ალექსანდრე ვარვარიძე

რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში და მის შემდეგ

ალექსანდრე ვარვარიძე

რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში და მის შემდეგ

Alexander Varvaridze

WHAT IS GOING ON IN OUR LIVES AND AFTER

Edited by Mirian Begiashvili

© Alexander Varvaridze 2020

ალექსანდრე ვარვარიძე

რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში და მის შემდეგ

რედაქტორი: მირიან ბეგიაშვილი

© ალექსანდრე ვარვარიძე 2020.
ყველა უფლება დაცულია.

BOOKS.VARVARIDZE.COM

შინაარსი

ნაწილი I

როგორ ვქმნით ჩვენს რეალობას **5**

ასტრალური კომპიუტერული ქსელი (მატრიცა) 5

კარმული პროგრამა 45

ავტომატური კარმა 98

პროგრამები და სტერეოტიპები 110

სურვილები და მიზნები 119

სიყვარულის მედიტაცია 167

ნაწილი II

ასტრალური სამყარო **186**

მატერიალური სამყაროს დატოვება 186

განვლილი ცხოვრების განხილვა 197

სულების განაწილება 203

ასტრალური სამყაროს ინფრასტრუქტურა 206

სულების განვითარების ეტაპები 218

გიდები (მფარველი ანგელოზები) 239

დაბადება მატერიალურ სამყაროში 248

ასტრალური გუმბათი 260

ნაწილი III

სამყაროს ძირითადი სტრუქტურა **268**

ღმერთი და სამყაროს წარმოშობის ისტორია 268

სიმკვრივე, თორმეტი სერვერი 290

როგორ მუშაობს დრო 318

სულების წარმოშობის ისტორია 337

სულის სტრუქტურა და ევოლუცია 343

ადამიანის სხეულის აგებულება 364

ადამიანის წარმოშობის ისტორია 399

ჩვენი მზის სისტემის და დედამიწის ისტორია 402

სინათლე და სიბნელე ჩვენს სამყაროში 407

დედამიწის პოლიტიკური და ბიზნეს მოდელი 421

ქვეყნის და პლანეტის კარმული სისტემა 438

წინასიტყვაობა

2006 წლიდან ვარ დაკავებული არამატერიალური სამყაროების შესწავლით, ხოლო წიგნის ძირითადი ნაწილი დაწერილია 2010 - 2020 წლების შუალედში. ის წარმოადგენს შეჯამებას იმ მრავალწლიანი კვლევისა, რაც ამ ხნის განმავლობაში გავიარე და რომელიც დაწერილია მაღალგანვითარებული არსებებისგან მიღებული ინფორმაციის, თუ პირადი გამოცდილების საფუძველზე. იქიდან გამომდინარე, რომ წიგნის შინაარსი მოიცავს ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობ სფეროს, თავიდანვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ აღწერილი სამყარო და მისი კანონზომიერებანი არ არის ვინმეს მიერ დამტკიცებული. მე არ მსურს იფიქროთ, რომ ის, რასაც აქ წაიკითხავთ, არის სრული სიმართლე და სხვანაირად არ შეიძლება რომ იყოს. ასევე, არ მინდა იფიქროთ, თითქოს მე მგონია, რომ ეს ერთადერთი სიმართლეა და სხვანაირად არ შეიძლება, რომ

სამყარო არსებობდეს. აქ თქვენ გაეცნობით მხოლოდ ჩემი გადმოსახედიდან დანახულ რეალობას.

მე შევეცადე წიგნში მოთხრობილი ინფორმაცია მაქსიმალურად ლაკონიურად გადმომეცა, რათა მკითხველს მინიმალურ დროში მაქსიმალური ინფორმაცია მიეღო იმ დაჩქარებული ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, რაც დღეს საზოგადოებაში არსებობს. ასევე, მე შევეცადე, რომ გადმოცემული ინფორმაცია მაქსიმალურად ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო, ამიტომ მომყავს უამრავი მაგალითი ჩვენი ყოველდღიურობიდან. წიგნში არ გამომიყენებია ისეთი ტერმინები, რაც ფართოდ არ არის ცნობილი, ხოლო თუ მაინც მიწევდა, შევეცადე შემდგომ ახსნა-განმარტებაც მიმეყოლებინა.

წიგნი იყოფა სამ ძირითად ნაწილად:

პირველ ნაწილში მოთხრობილია, თუ როგორ ქმნის ადამიანი თავის რეალობას და რა ფაქტორები განაპირობებს მის ბედს, როგორ მუშაობს კარმული სისტემის მექანიზმი, როგორ შეუძლია ადამიანს უკეთესად წარმართოს თავისი ცხოვრება, რათა საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება შეძლოს.

მეორე ნაწილში აღწერილია სამყარო, რომელიც იშლება მატერიალური სამყაროს მიღმა და რომელშიც ადამიანის სული ხვდება გარდაცვალების შემდგომ. წიგნში დეტალურად მიმოხილულია იმ სამყაროს არსებობის პრინციპები, სადაც სული იმყოფება თავისი ინკარნაციების შუალედში. ასევე ისიც, თუ როგორ ირჩევს და გეგმავს სული თავის მომავალ დაბადებას მატერიალურ სამყაროში. თუ

თქვენ ეს თემატიკა უფრო გაინტერესებთ, მაშინ შეგიძლიათ პირდაპირ ამ ნაწილიდან დაიწყოთ კითხვა და შემდგომ, სურვილისამებრ, პირველ ნაწილზე გადახვიდეთ. ამით შინაარსობრივი თანმიმდევრობა არ დაირღვევა.

მესამე ნაწილი მოგვითხრობს სამყაროს ძირითად სტრუქტურაზე, ღმერთის როლზე სამყაროს შექმნასა თუ მართვაში. ასევე აღწერილია ადამიანის ფიზიკური სხეულის და სულის სტრუქტურა, განვითარების ეტაპები და მათი წარმოშობის ისტორია. შევეხებით ისეთ რთულ თემებსაც, როგორიც არის სულის ფრაგმენტაცია და დრო.

გარკვეული პერიოდულობით წიგნი ახლდება, ამიტომ სანამ კითხვას დაიწყებდეთ, გთხოვთ, ეწვიოთ ბმულს და გადმოწეროთ მისი ბოლო ვერსია:

BOOKS.VARVARIDZE.COM

წიგნის შესაბამის თავზე სწრაფად გადასასვლელად
გამოიყენეთ სარჩევში არსებული ღილაკები.

ნაწილი პირველი

როგორ ვქმნით ჩვენს რეალობას

ასტრალური კომპიუტერული ქსელი (მატრიცა)

ჩვენი ცხოვრება არის მხოლოდ ერთი რგოლი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დიდი ჯაჭვისა, რომელსაც გავდივართ მატერიალურ სამყაროში, მრავალრიცხოვანი ინკარნაციების განმავლობაში.

ერთ გარემოში გაზრდილი ორი სხვადასხვა ადამიანის მომავალი ბედი შეიძლება აბსოლუტურად

განსხვავებულად განვითარდეს და ამას ბევრი რამ განაპირობებს. თუმცა ჩვენ გავარჩევთ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მოქმედებს ადამიანის ბედზე, ცხოვრებაზე და განაპირობებს მის მომავალს. ეს ფაქტორებია: ჩვენი სურვილები და მისწრაფებები, კარმული პროგრამა, ავტომატური კარმა და პროგრამები თუ სტერეოტიპები ჩვენს ქვეცნობიერში. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული და ურთიერთზემოქმედებენ. თუმცა სანამ ამ ძირითად ფაქტორებს განვიხილავთ, გავეცნოთ, თუ რა სისტემა განაპირობებს ყოველივე ზემოალნიშნულის ფუნქციონირებას.

ალბათ შეგინიშნავთ, რომ ბევრი რამ სამყაროში მთლად შემთხვევით არ ხდება. ერთი ადამიანისთვის სამყარო თითქოს გამალებით ერთ კონკრეტულ რამეს იზიდავს, ხოლო მეორესთვის - აბსოლუტურად განსხვავებულს. სინამდვილეში, ამ ყველაფრის უკან ღმერთის მიერ შექმნილი, დიდი ასტრალური კომპიუტერული სისტემა ან მატრიცა დგას, რომელიც დედამიწის ასტრალურ შრეზე არსებობს

და ყველა სულიერი არსება, რომელიც ჩვენს მატერიალურ სამყაროში იმყოფება, შეერთებულია ამ კომპიუტერულ ქსელთან.

წიგნში მე გამოვიყენებ ჩემ მიერ გამოგონილ სახელს “ასტრალური კომპიუტერული ქსელი”, რაც, ვფიქრობ, რომ უფრო ახლოსაა ჩვენს რეალობასთან და მკითხველისთვისაც გასაგებად ჟღერს. ადრეულ პერიოდში, ამ სისტემის მუშაობის პრინციპის მიტანა ადამიანამდე ძნელი იყო, მაგრამ დღეს, შეიძლება ითქვას, ჩვენს ყოველდღიურობაში ამის გამარტივებული ან პრიმიტიული ასლი არსებობს და მას ინტერნეტი და კომპიუტერული სისტემა ჰქვია.

მატრიცა, იგივე ასტრალური კომპიუტერული სისტემა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მრავალფუნქციური და ტექნოლოგიურად რთულია, ვიდრე ჩვენი კომპიუტერული ქსელი. მის სისტემაში არ არის მხოლოდ მშრალი ინფორმაცია, როგორც კომპიუტერში. მას აქვს გაცილებით დიდი შესაძლებლობები. მატრიცაში ინახება ემოცია, ფიქრი, ის შეიცავს ჰოლოგრამულ ტექნოლოგიებს, ხელოვნურ ინტელექტს და სხვა., რაც განაპირობებს

იმას, რომ ის, თუ ასე შეიძლება ითქვას, წარმოგვიდგება როგორც ცოცხალი ორგანიზმი.

ასტრალური კომპიუტერული სისტემა ამა თუ იმ ეპოქის ტექსტებში სხვადასხვა სახელით გვხვდება. უფრო ძველ ლიტერატურაში ის მოიხსენიება როგორც "აკაშის ქრონიკები", თანამედროვე ფილმებში როგორც "მატრიცა", ასევე, ხელოვნური ინტელექტი და ა.შ.

თუ ჩვენ მივალთ ადამიანებთან, რომლებსაც არასდროს სმენიათ კომპიუტერის და ინტერნეტის შესახებ და ავუხსნით მათ, თუ რა არის ინტერნეტი და კომპიუტერული ქსელი, ხოლო შემდეგ დავაკვირდებით, თუ როგორ გადასცემენ ისინი ამ ინფორმაციას სხვა ადამიანებს, მივიღებთ დაახლოებით იმ აღწერას, რაც ზოგჯერ, წარსულ პერიოდში, გვხვდება ადამიანთა მიერ დაწერილ ტექსტებში. ეს შეიძლება იყოს გიგანტური ბიბლიოთეკა, სადაც ინახება დიდი ცოდნა ან სიბრძნის ხე, რომელმაც ყველაფერი იცის და სხვ.

რაც უფრო გასაგები იქნება მატრიცის მუშაობის სისტემა, მით უფრო მოსახერხებელი იქნება ჩვენთვის

ცხოვრება. ისევე როგორც კომპიუტერის და ინტერნეტის ზომიერი მოხმარება გვიადვილებს ცხოვრებას.

“აკაშას ქრონიკებში” იგივე ასტრალური კომპიუტერული სისტემის - მატრიცის ბაზებში ფიქსირდება აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ხდება დედამიწაზე მოლეკულურ დონეზე, თუმცა ეს წარმოადგენს ამ მექანიზმის მხოლოდ მცირე ნაწილს და რეალურად, ის გიგანტური მრავალფუნქციური კომპიუტერია. იმისთვის, რომ ბოლომდე გავიაზროთ, თუ რას წარმოადგენს ეს სისტემა, მე მოვიგონე ასეთი შედარება: წარმოიდგინეთ, რომ მომავალში ყველა ინსტიტუტი, სახელმწიფო ორგანო, ასევე ინტერნეტ-სისტემა დაიხვეწა და შემდგომ გაერთიანდა, მათ შორის, სოციალური ქსელები, საგადასახადო სისტემა, საჯარო რეესტრი, საკანონმდებლო, ფინანსური სისტემები, ბანკები და საბოლოოდ, ჩვენ მივიღეთ ასეთი სურათი: თქვენ, როგორც სულს, გაქვთ მინიჭებული უნიკალური კოდი, დაახლოებით ისეთი, როგორიც თქვენს პირადობის მოწმობაში. მასზე მიბმულია პროფილი,

რომელიც მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოს. ასევე, სოციალურ ქსელს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ კომენტარები დაწერონ, შეგაფასონ და ა.შ. თქვენი პროფილი მოიცავს თქვენს საბანკო ანგარიშს, ასევე თქვენს ურთიერთობას საკანონმდებლო ორგანოებთან, კარმულ დავალიანებას თუ პირიქით, ზედმეტობას. აქ არის ყველაფერი, რაც მრავალი ინკარნაციის განმავლობაში გაიარეთ თქვენი ფიქრების ჩათვლით. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და როგორც წესი, სულებს მასზე წვდომა არ აქვთ.

ასტრალური კომპიუტერული ქსელის სერვერები დამონტაჟებულია ყველა ქალაქთან და დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ადამიანების ჩათვლით, არის მასთან დაკავშირებული. აქედანვე ხდება ადამიანის ენერგომომარაგება (ამას ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ თავში: ადამიანის წარმოშობის ისტორია).

სანამ მატრიცის არაერთი ფუნქციის მიმოხილვას გავაგრძელებდეთ, შესაძლოა გაგიჩნდეთ კითხვა, თუ რისთვის არის საჭირო ასტრალური კომპიუტერი?

რა იქნებოდა, რომ ასტრალური კომპიუტერული სისტემა არ ყოფილიყო? წარმოვიდგინოთ ჩვენს რეალობაში არსებული სისტემები - ბანკები, სასწავლებლები, სატრანსპორტო სისტემა, სამთავრობო სტრუქტურები, იურიდიული დაწესებულებები, სავაჭრო სისტემა და მრავალი სხვა. ამ ნებისმიერი დაწესებულებისა თუ ქსელის უკან დგას გამართული სისტემა და მის გარეშე ვერცერთი ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტი გამართულად ვერ იფუნქციონირებს, მაშინ რატომ უნდა გვეგონოს, რომ დედამიწა თავის ეკოსისტემით და რამდენიმე მილიარდი მაცხოვრებლით შეიძლება სისტემის გარეშე არსებობდეს? სინამდვილეში, ბევრი რამ, რაც დედამიწაზე ბუნებრივი გვგონია, ხელოვნურად არის შექმნილი და ასტრალური კომპიუტერული სისტემის დახმარებით იმართება.

მიზიდულობის სისტემა

დღეს, როცა მე ამ წიგნს ვწერ, არსებობს დიდი ინფორმაცია, თუ როგორ ვზემოქმედებთ საკუთარ ცხოვრებაზე და ვქმნით ჩვენს რეალობას.

სინამდვილეში, ეს ყველაფერი ასტრალური კომპიუტერული სისტემის მუშაობის შედეგია. დავიწყოთ შემდეგი მაგალითით: წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს აინტერესებს რაიმე სფერო, ფიქრობს მასზე ან მთლიანად მასზე არის კონცენტრირებული. ასტრალური კომპიუტერისთვის ეს ერთგვარი მოთხოვნაა, ჩვენს რეალობაში კი დაახლოებით იმ ქმედების ანალოგი, როდესაც ადამიანი ინტერნეტში წერს რაიმე საძიებო სიტყვას. სისტემა იმახსოვრებს ამ სიტყვას და ამ სიტყვიდან გამომდინარე, ის ხვდება თუ რა სფეროთი არის ადამიანი დაინტერესებული და ცდილობს ანახოს ის ინფორმაცია, რომელიც ამ თემასთან არის კავშირში. ინტერნეტ გვერდებზე ეს ხშირად გვხვდება სხვადასხვა სარეკლამო შეთავაზების სახით. დაახლოებით იგივე პრინციპით მუშაობს ასტრალური კომპიუტერიც. როდესაც ადამიანი კონცენტრირებულია რომელიმე სფეროზე ან სურს რაიმე, ასტრალური კომპიუტერის სისტემა ავტომატურად ეძებს სხვადასხვა შესაძლებლობას და ცდილობს მის ცხოვრებაში მიიზიდოს ყველაფერი, რაც ამ სფეროსთან ან სურვილთან არის კავშირში, იმ საშუალებებით, რის მოძებნასაც მოახერხებს. ეს

შეიძლება იყვნენ ადამიანები ამ სფეროდან, რომლებიც გამოჩნდებიან მის ცხოვრებაში ან სიტუაციები, მინიშნებები ან სულაც ინფორმაცია, რომელიც მოვა თითქოს არსაიდან, მოულოდნელად და მსგავსი მრავალი სხვა რამ.

იგივე პრინციპი მოქმედებს არა მარტო რაიმე ინტერესის სფეროებსა და სურვილებზე, არამედ ადამიანის განწყობაზე, ემოციებსა თუ მიდგომებზეც. თუ ადამიანი ცხოვრებაში კონცენტრირებულია ან ეძებს სილამაზეს, მაშინ ასტრალური კომპიუტერული ქსელი ნახავს რა არის მის ბაზაში ამასთან თემატურად დაკავშირებული და შეეცდება ის მისთვის მოიზიდოს. ამის შედეგად, მის ცხოვრებაში გამოჩნდება შესაბამისი მოვლენები, სიტუაციები, ადამიანები თუ ნივთები.

აქედან გამომდინარე, ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ის, თუ რაზეა ადამიანი კონცენტრირებული, რას ეძებს ან რა ენერგიას გამოიმუშავებს - ცხოვრებას უყურებს ოპტიმისტურად თუ პესიმიზმი სძლევს, ფიქრობს ბედნიერებაზე ან უბედურებაზე, არის თვითკმარი

ადამიანი ან დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აწუხებს, ეძებს სიყვარულს ან სიძულვილს, არის მომართული პოზიტიურად ან ნეგატიურად, მხიარულობს ან მუდმივად რაღაც აღიზიანებს, საქმეებს აკეთებს ენთუზიაზმით ან უხალისოდ. ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მთავარი აქ არის ის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ადამიანის პროფილში აღიბეჭდება.

წარმოვიდგინოთ, რომ მივუჯექით სხვის კომპიუტერს, გავხსენით ბრაუზერში სოციალური ქსელი მაგალითად FACEBOOK ან საიტები, სადაც რეკლამებია თემატიკის მიხედვით ან თუნდაც YOUTUBE, სადაც პირველ გვერდზე გამოდის ვიდეოები ინტერესების მიხედვით. ჩვენ უმალვე მიხვდებით, თუ რა იზიდავს ამ ადამიანს - აინტერესებს მანქანები და რბოლა, კულინარია, მოგზაურობა თუ რაიმე სპორტი. იმავე პრინციპით, თუ საკუთარ თავს შევხედავთ ასტრალური სამყაროდან, მაშინვე დავინახავთ, თუ რაზე ვართ კონცენტრირებული, რა გვიზიდავს და გვსურთ ცხოვრებაში, რა მიდგომები გვაქვს ცხოვრების, თუ

სხვადასხვა მოვლენის მიმართ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ტრიალებს - ინტერესებიდან დაწყებული და ფიქრებით დამთავრებული. ამის შემდეგ, შეიძლება მყისვე გავიაზროთ და მივხდეთ, თუ რატომ ხდება ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ ან რატომ ვიზიდავთ გარკვეულ მოვლენებს, რასაც სხვა არ იზიდავს.

ისევ თუ განვმეორდებით, პრაქტიკაში ეს მექანიზმი მუშაობს შემდეგნაირად:

ვწუწუნებთ? მატრიცა გადაწყვეტს, რომ ვართ დაინტერესებული წუწუნით და ავტომატურად დაიწყებს ჩვენთვის იმის მოძიებას, რაც წუწუნთან არის კავშირში. ის ბაზაში ნახავს ჩანაწერებს რასთან არის ყველაზე მეტად დაკავშირებული წუწუნი და სავარაუდოდ იპოვის იმას, რისგანაც ყველაზე უფრო მეტს წუწუნებს ხალხი. გადაწყვეტს, რომ სწორედ ამით ვართ დაინტერესებული.

ბევრს ვფიქრობთ უბედურებაზე? მატრიცა ნახავს, რასთან არის კავშირში უბედურება და შეეცდება თქვენთვის ეს მოიძიოს.

უმადურები ვართ? კომპიუტერული სისტემა გადახედავს რასთან არის კავშირში უმადურება სტატისტიკის მიხედვით. რისგანაც უფრო ხდებიან ადამიანები უმადურები, ამის მიხედვით შეეცდება ჩვენთვის ეს სიტუაციები მიიზიდოს.

გვიხარია ცხოვრება? მატრიცა გადახედავს რა არის კავშირში სიხარულთან და შეეცდება შესაბამისი სიტუაციები მოიზიდოს, რამეთუ ასტრალური კომპიუტერის გადმოსახედიდან, სიხარულით ვართ გატაცებული და ეს ჩვენი არჩევანია.

დაუსრულებლად რომ აღარ გავაგრძელოთ, იგივე პრინციპი ვრცელდება მადლიერებაზე, გართობაზე, სიყვარულზე, მწუხარებაზე და სხვ. თუ მიხვდით ამ პრინციპის მუშაობას, შეგიძლიათ თავად დააკვირდეთ საკუთარ თავს, თქვენს ყოველდღიურ ფიქრებს და მიხვდეთ, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნებით.

რაც უფრო ინტენსიურია განცდა, სურვილი და კონცენტრაცია ამა თუ იმ იდეაზე, მით უფრო ინტენსიურად ცდილობს ასტრალური კომპიუტერული სისტემა ამასთან დაკავშირებული

ყველა არსებული ინფორმაცია თუ შესაძლებლობა მოიზიდოს, მაგრამ გადაჭარბებულმა ენერგიამ შეიძლება საპირისპირო რეაქციაც გამოიწვიოს (აქ ბევრი ნიუანსია, რასაც ალგორითმი ითვალისწინებს).

ზემოთ აღწერილ სისტემას აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია რომ ადამიანმა გაითვალისწინოს. დედამიწაზე არსებობს უამრავი, მცირე თუ მასობრივი თეორია, სწავლება და გაერთიანება, სხვადასხვა იდეის გარშემო. როდესაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ჩართულია და კონცენტრირებულია ამ კონცეფციის გარშემო, ასტრალური კომპიუტერი მათ ყოველ ნაბიჯზე უგდებს ყველაფერს, რასაც ნახავს და რაც ამასთან არის კავშირში. ამ დროს ადამიანი ამას იღებს როგორც მტკიცებულებას, რომ ეს თეორიები სრული ჭეშმარიტებაა ან რომ ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა. საბოლოო ჯამში, ადამიანი ექცევა სრულ ილუზიაში და ეს ფანატიზმშიც შეიძლება გადაიზარდოს.

მაგალითად, თუ თქვენ ამუშავებთ თეორიას იმის შესახებ, რომ ამ მატერიალური სამყაროს მიღმა რაღაც არსებობს, მაშინ ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ იმის მტკიცებულება, რომ მატერიალური სამყაროს იქით რაღაც ნამდვილად არსებობს. იმიტომ, რომ ასტრალური კომპიუტერი შეეცდება მიიზიდოს ყველაფერი, რაც ამ კონცეფციასთანაა დაკავშირებული, ყველაფერი, რასაც კი მოძებნის. და თუ თქვენ საპირისპირო თეორიას ამუშავებთ, თითქოს ამ მატერიალური სამყაროს მიღმა არაფერი არ არის, მაშინ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მტკიცებულებებს, რომ ამის იქით, მართლაც არაფერი არსებობს. ეს იქნება სატელევიზიო გადაცემები, სტატიები, თქვენთვის ავტორიტეტული ადამიანების მიერ გამოთქმული აზრები, თუ თალლითური ინფორმაციის მხილება, ვინც ამტკიცებს, რომ მატერიალური სამყაროს მიღმა რაღაც არსებობს; საბოლოოდ, ადამიანი შეიძლება იმდენად ჩაერთოს პირველ ან მეორე თეორიაში და მიიღოს იმდენი ინფორმაცია, რომ მას იდეის დონეზეც კი არ მოსდიოდეს საწინააღმდეგო აზრი თავში და ვერც ხვდებოდეს, რომ საწინააღმდეგო

აზრის მილმაც დგას უამრავი ინფორმაცია, მტკიცებულება თუ თეორია.

ეს პრინციპი ეხება ყველა სფეროს. მათ შორის: ეზოთერიკულს, კულტურულს თუ პოლიტიკურს. მაგალითად, ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს ქვეყანაში, რომელიც სასტიკი დამპყრობელია და ეგონოს, რომ მისი ქვეყანა ყველაზე ჰუმანურია პლანეტაზე. ასევე, რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი შეიძლება თვლიდეს, რომ მხოლოდ მისი რელიგიაა ერთადერთი ჭეშმარიტება და სხვა თეორია მისთვის უბრალოდ არ იარსებებს. როგორც მაგალითად, ადამიანს, რომელსაც მთელი ცხოვრება აინტერესებდა ავტომობილები. მას ყოველ ნაბიჯზე შეხვდება ყველაფერი, რაც ამასთან კავშირშია. თუმცა შეიძლება არასდროს შეხვდეს მაკიაჟთან ან მაკიაჟის გაკეთებასთან დაკავშირებული საკითხები და მან სავარაუდოდ, არც კი იცოდეს, რომ ეს თემა საერთოდ აქტუალურია, სადმე ფიგურირებს ან ვინმეს აინტერესებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასტრალურ კომპიუტერს არ აქვს განსჯის უნარი. ის მუშაობს

ავტომატურად და არ არის პასუხისმგებელი, თუ როგორ მიიღებთ თქვენ იმას, რასაც ის მოიზიდავს თქვენთვის; რა დასკვნებს გამოიტანთ ან რას მოიმოქმედებთ. ზუსტად ისე, როგორც ჩვენი კომპიუტერი არ აგებს პასუხს ჩვენს ქმედებაზე.

ალბათ გსმენიათ მოსაზრება - რისიც გვეშინია, სწორედ ის შეიძლება მოხდეს. . მოვიყვანოთ მაგალითი: ადამიანს ეშინია, რომ ველოსიპედს მოჰპარავენ. როდესაც ამ საკითხზე ფიქრობს, ასტრალური კომპიუტერი თვლის, რომ მას აინტერესებს ყველაფერი, რაც ველოსიპედის მოპარვასთან თუ ქურდობასთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, იგივე თემატიკით არის დაინტერესებული ველოსიპედის პოტენციური ქურდი და იქიდან გამომდინარე, რომ მატრიცა ცდილობს მსგავსი ინტერესების ადამიანები ერთმანეთს დააკავშიროს, ბუნებრივია შეეცდება ეს ორი ადამიანი ერთმანეთთან მიიზიდოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანს აუცილებლად მოჰპარავენ ველოსიპედს, თუმცა ამ შემთხვევაში, ამის თეორიული შანსი უფრო იზრდება.

შეფასების სისტემა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელი კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინტერნეტის ან თუნდაც სოციალური ქსელების სისტემის ცოდნა გვაძლევს საშუალებას ბუნდოვნად მაინც გავიაზროთ, თუ რა სისტემით მუშაობს ასტრალური კომპიუტერი.

როცა დედამიწაზე წარმოიქმნება რამე გაერთიანება, ეს შეიძლება იყოს ქვეყანა, სამთავრობო სტრუქტურა, სხვადასხვა ინტერესის ქვეშ გაერთიანებული ოფიციალური ჯგუფები, რელიგიური გაერთიანებები, კომპანიები, სხვადასხვა სფეროს მოყვარულთა კლუბები, სასწავლებლები თუ სხვა, ასტრალურ კომპიუტერში წარმოიქმნება ჯგუფი, დაახლოებით ისე, როგორც Facebook-ში სხვადასხვა გაერთიანებებს აქვთ ჯგუფები ან გვერდები.

როცა ჩვენ ფიქრებში ვაფასებთ ან თუნდაც, ხმამაღლა გამოვთქვამთ აზრს სხვა პიროვნების

შესახებ, ეს ავტომატურად აღიბეჭდება ამ პიროვნების, ასტრალური კომპიუტერის სისტემაში არსებულ პროფილზე. ისევე, როგორც სოციალური ქსელის შემთხვევაში, მისი სიახლეების კედელზე დადებული კომენტარი, თუ შეფასება. ხოლო, თუ ეს ფიქრები და აზრები მიმართულია რაიმე გაერთიანებისა თუ კომპანიისკენ, ეს ანალოგიურად გამოჩნდება ასტრალური კომპიუტერის სისტემაში დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ ვაკეთებთ Facebook-ის სისტემაში რაიმე კომპანიის, თუ გაერთიანების გვერდზე, თუ ჯგუფში, კომენტარს ან შეფასებას. ფაქტობრივად, ჩვენი ფიქრები, მიზნები, მიდგომები თუ შეფასებები, მატრიცაში არის უკვე როგორც კონკრეტული ქმედება, რომელიც ფიქსირდება და რჩება როგორც ჩანაწერი, იქ, საითაც ის არის მიმართული.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ხართ კრიმინალი და ამიტომ არ გიყვართ პოლიცია, ნეგატიურად მოიხსენიებთ თქვენს გონებაში და აგრესიულად ხართ განწყობილი მის მიმართ. ამ დროს, მატრიცაში თქვენი ეს მიდგომები ჩნდება როგორც კომენტარები

ან როგორც ნეგატიური პოსტები ამ გაერთიანების, კონკრეტულად, პოლიციის ჯგუფში/გვერდზე. როდესაც თქვენ შეხვდებით ადამიანს, (ამ შემთხვევაში, პოლიციელს, რომელიც გაერთიანებულია ამ ჯგუფში/გვერდზე) ის ინტუიციურ დონეზე ხედავს თქვენს ნეგატიურ კომენტარებს და იგრძნობს, რომ ნეგატიური დამოკიდებულება გაქვთ იმ გაერთიანებისადმი, რასაც ის წარმოადგენს. ეს რა თქმა უნდა, მოხდება ქვეცნობიერ დონეზე. ანალოგიური პრინციპი ვლინდება ყველა სფეროში, იქნება ეს კომპანიები, საზოგადოება, ინტერესთა სფეროები, ოჯახები, ქვეყნები, პოლიტიკური პარტიები, რელიგიები, სქესის წარმომადგენლები, რასები და სხვ.

თვალსაჩინოებისთვის, მინდა მოვიყვანო შემდეგი მაგალითები, რომლებიც სქესთა გაერთიანებას ეხება. მაგალითად, თუ ქალს აქვს ნეგატიური დამოკიდებულება კაცების მიმართ, ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ქალი გულგატეხილია ან ბავშვობისას მას ქვეცნობიერში ჩაუდეს რაიმე ნეგატიური ჩანაწერი კაცების მიმართ. ყოველ

ნეგატიურ გაფიქრებაზე ამ ქალის ჩანაწერი როგორც კომენტარი ან შეფასება, ჩნდება კაცების ჯგუფში/გაერთიანებაში. და როცა ქალი შედის კაცთან ურთიერთობაში, იქნება ეს მეგობრული, საქმიანი თუ სასიყვარულო, კაცი ამას გრძნობს და თავისდაუნებურად ცუდად განეწყობა ქალის მიმართ. ეს ნეგატიურად აისახება ნებისმიერ ურთიერთობაში, რომელიც ექნება ქალს კაცთან. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება დიდი სიძნელეები გამოიწვიოს ქალის დაოჯახების საკითხში და ასევე, უკვე ოჯახურ ურთიერთობებშიც. ანალოგიურად, კაცების მხრიდან ქალების მიმართ ნეგატიური აზრები, იქნება ეს უნდობლობა, ეჭვიანობა თუ სხვა არაერთი ნეგატიური აზრი თუ სტერეოტიპი. აღნიშნული გამოიწვევს იმას, რომ ამ კაცთან ქალებს არ მოუნდებათ ურთიერთობა. და მსგავსად წარმოიქმნება პრობლემები ოჯახის შემთხვევაში. ერთი სიტყვით, ასეთი კაცი ქალების მხრიდან პატივისცემას არ დაიმსახურებს.

თუ იმყოფებით მსგავს სიტუაციაში და ამის გამოსწორება გსურთ იმ გაერთიანებაში, სადაც

ბევრი ნეგატივი გაგიგზავნიათ, უნდა ეცადოთ გააგზავნოთ სიყვარული დიდი ოდენობით იმისათვის, რომ გადაიფაროს და განეიტრალდეს არსებული ნეგატიური ჩანაწერები. (სიყვარულის ენერგიის გაგზავნის ხერხებს განვიხილავთ თავში სიყვარულის მედიტაცია).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე პრინციპი მოქმედებს პიროვნების შემთხვევაში. თუ ვინმეზე ნეგატიურად გაიფიქრეთ ან შეაფასეთ, ეს ასტრალურ კომპიუტერში მაშინვე აღიბეჭდება და შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს ფიქრი მას ქვეცნობიერ დონეზე უკვე მიუვიდა. ასევე, თქვენი შეფასება და ფიქრი გამოჩნდება მათთვისაც, ვინც ამ პიროვნებასთან შევა კონტაქტში ან მოახდენს კონცენტრაციას მასზე.

ასტრალური კომპიუტერის, ეგრეთ წოდებულ შეფასების სისტემაში, არის ბევრი ალგორითმი და ნიუანსი. მაგალითად, როდესაც კონცენტრირდებით ან ყურადღებას აქცევთ რაიმე კომპანიას, ინტუიციურად პირველ რიგში იმ პიროვნებების შეფასებას და აზრებს დაინახავთ, ვინც თქვენთვის

შედარებით უფრო ახლობელია ან რაიმე კავშირი გაქვთ მათთან. როგორც, Facebook-ში რაიმე საჯარო პოსტის შემთხვევაში, უპირველესად ხედავთ იმ პიროვნებების შეფასებებს, ვინც მეგობრებში გყავთ ან რამე გაკავშირებთ მათთან. რა თქმა უნდა, ასტრალური კომპიუტერის მსგავსი ალგორითმები ბევრად უფრო დახვეწილი და რთულია, ვიდრე Facebook-ის ალგორითმი.

გასათვალისწინებელია, რომ იმის გარდა, თუ რას ფიქრობენ თქვენზე სხვები, თქვენს პროფილში კომენტარების და შეფასებების სახით ალიბეჭდება ისიც, თუ როგორი თვითშეფასება გაგაჩნიათ. ამიტომ მნიშვნელოვანია თავად ადამიანი თუ რას ფიქრობს საკუთარ თავზე და როგორ აფასებს მას. მაგალითად, როცა თავდაჯერებულობა არ გაკლიათ ან თვლით, რომ თქვენს საქმეში პროფესიონალი ხართ, ამით საკუთარ თავს ავტომატურად უწერთ მაღალ შეფასებას და ამ შეფასებას სხვა ადამიანების შეფასებებთან ერთად ხედავს ის ადამიანიც, რომელიც თქვენთან კონტაქტში შემოდის ან თქვენზე კონცენტრირდება.

იგივე პრინციპი მოქმედებს გაერთიანებების შემთხვევაში. გაერთიანების გვერდზე ალიბეჭდება მისი წევრების ფიქრები და აზრები თავიანთ ჯგუფზე. იქნება ეს კომპანიები, საზოგადოება, ინტერესთა სფეროები, ოჯახები, ქვეყნები, პოლიტიკური პარტიები, რელიგიები, სქესის წარმომადგენლები, რასები თუ თუნდაც მთელი კაცობრიობა.

ამის გარდა, შეფასების მეთოდი მოქმედებს არა მხოლოდ დიდ, არამედ მცირე გაერთიანებებსა და ობიექტებზეც. მაგალითად, ისეთზე, როგორიც არის ჩვენი მიზნები და იდეები. წარმოვიდგინოთ, რომ ვაპირებთ რაიმე იდეის ხორცშესხმას. ეს შეიძლება იყოს ბიზნეს იდეა, სადმე წასვლა თუ რაიმე სხვა ჩანაფიქრის განხორციელება. როდესაც ამას საკუთარ გონებაში ვგეგმავთ, ის როგორც ჩანაწერი ან ობიექტი გამოჩნდება ასტრალურ კომპიუტერში. დიდი ობიექტის ანალოგიურად, ამ პატარა ობიექტთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ მხოლოდ იდეას წარმოადგენს, გამოჩნდება როგორც ჩვენი, ასევე სხვისი შეფასება, თუ რა თქმა უნდა, მის

შესახებ სხვა ადამიანიც გაიგებს. შესაბამისად, ეს შეფასებები გარკვეულწილად იმოქმედებს ამ ობიექტის მომავალ ბედზე იმისდა მიხედვით, თუ რა შეფასებას ვაძლევთ ამ იდეას ჩვენ და ასევე ის ადამიანები, რომელთაც აღნიშნული იდეა გავუზიარეთ.

მაგრამ, აქ იმალება ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლის გასაანალიზებლად სხვა საკითხებთან შედარებით უფრო მეტი დრო დამჭირდა. ადამიანი, რომელსაც ვუზიარებთ ამ იდეას, შეიძლება იყოს ჩვენი კეთილის მსურველი, თუმცა აქ მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას გვისურვებს ეს ადამიანი, არამედ ისიც, თუ რას ფიქრობს ამ იდეაზე სინამდვილეში, ღრმად გულში. მინდა შეგახსენოთ, რომ ასტრალურ კომპიუტერში ჩანს ყველა ჩვენი ოდნავი გაფიქრება ან ღრმად გულში გაელვებული აზრიც კი.

აქედან მოდის ის შეხედულება, რომ ჩაფიქრებული იდეა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ, ჯობს არავის მოვუყვეთ, დაზღვევის მიზნით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი საპირისპიროდ მუშაობს თუ

ადამიანი, იმის გარდა, რომ თქვენი კეთილის მსურველია, ღრმად გულში დარწმუნებულია, რომ ამ იდეის განხორციელებას შეძლებთ და ეს სარგებელს მოუტანს ადამიანებს. ამ შემთხვევაში, ის თავისი შეფასებით, რომელიც მიებმება ამ იდეას, მწვანე შუქს აძლევს მის განხორციელებას.

საბოლოო ჯამში, რაღაც დონეზე, შეფასების სისტემა შეიძლება მოქმედებდეს ყველაფერზე. თუნდაც ადგილებზე, ნივთებზე და მთელ მატერიალურ სამყაროზეც კი. მაგალითად, ადამიანი შეიძლება შევიდეს ოთახში და თქვას, რომ იქ კარგი აურაა. შესაძლებელია ეს ნიშნავდეს იმას, რომ მანამდე ამ ადგილს სტუმრობდნენ ადამიანები, რომლებმაც პოზიტიური ემოცია და შეფასება დატოვეს.

ეგრეგორების სისტემა

როგორც უკვე ვთქვით, თეორიულად, ასტრალური კომპიუტერული სისტემა შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენს რეალობაში არსებული კომპიუტერული

ტექნიკის შორეული მომავლის ტექნოლოგიად. ის თავის თავში შეიცავს ჰოლოგრამულ თუ ენერგო-ინფორმაციულ სისტემას და ყველაფერი, რაზეც ვისაუბრეთ, ამ ენერგო-ინფორმაციული სახით არსებობს ასტრალურ სამყაროში. თუნდაც ის აზრები თუ შეფასებები, რომელსაც აკეთებს ადამიანი, ასტრალურ კომპიუტერში არსებობს ენერგო-ინფორმაციული პაკეტების სახით, რომლის უკან დგას ის ალგორითმი, რომლის მუშაობის პრინციპის მცირედ ნაწილს წინა თავში შევეხეთ. თვალსაჩინოებისთვის წარმოვიდგინოთ, რომ დღევანდელი კომპიუტერული სისტემა უკიდურესად განვითარდა, მაუსი ან კლავიატურა აღარ გჭირდებათ, არამედ ყველაფერს ფიქრის ძალით მართავთ, ხოლო მონიტორის მაგივრად თქვენ გარშემო 3D გამოსახულებაა. იმას რასაც დღევანდელ კომპიუტერში აკეთებთ, ხსნით აპლიკაციებს, არედაქტირებთ ფაილებს და ა.შ., ასტრალური კომპიუტერული სისტემის შემთხვევაში, ვიზუალურად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც

ენერგო პაკეტები, რომლებიც ირგვლივ გაქვთ განლაგებული და თქვენი ფიქრის ძალით იმართება.

ეგრეგორს უწოდებენ დიდი ზომის ენერგო-გაერთიანებებს. ისინი წარმოიქმნება ადამიანების მიერ, ფიქრით გამოყოფილი ენერგიებით, რომლებიც ავტომატურად ერთიანდებიან მათი მსგავსი შემცველობის მიხედვით. მაგალითად, თქვენ კონცენტრირებული ხართ ერთ რამეზე, ისევე როგორც სხვა ადამიანი და მაშინ თქვენი ენერგიები ხვდებიან ერთად და ქმნიან ეგრეგორს. ამის ზუსტ ანალოგს ჩვენს რეალობაში წარმოადგენს ფულადი სახსრების ბიუჯეტი. როგორც მაგალითად, არსებობს სახელმწიფოს ბიუჯეტი, კომპანიების ბიუჯეტი ან დაწესებულებების ბიუჯეტი, ასევეა ადამიანებისგან გამომუშავებული ენერგიის ბიუჯეტები, რომელიც არსებობს იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებიც ამ ენერგო ბიუჯეტში რიცხავენ ენერგიას. ტერმინი "ეგრეგორი" ხშირად გამოიყენება, როდესაც აღწერენ იმ გაერთიანებას ასტრალურ კომპიუტერში, რომელიც ჩვენ შევადარეთ Facebook ჯგუფებს.

მაგალითად, მე შემიძლია ვთქვა, რომ ვარ გაერთიანებული სამხატვრო ეგრეგორში, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. სინამდვილეში, აქ იგულისხმება, რომ ჩართული ვარ ასტრალურ კომპიუტერში არსებულ გაერთიანებაში, რაც წინა თავებში Facebook-ის ჯგუფს შევადარეთ, ხოლო ეგრეგორი წარმოადგენს ამ გაერთიანების ენერგო ბიუჯეტს.

ინფორმაციული ბაზები კომპიუტერულ ქსელში

ზემოთ განხილული სისტემების გარდა, რომელთანაც ყველანი შეხებაში ვართ, ჩვენ, ადამიანები, ხანდახან ვიყენებთ ასტრალურ კომპიუტერში არსებულ ბაზებში განთავსებულ ინფორმაციასაც. სული ზოგჯერ ავლენს ინტერესს რალაც კონკრეტულ სფეროში და გარკვეულ ცხოვრებებს, თუნდაც გადაბმით, ამ მიმართულებით განვითარებას უთმობს. მაგალითად, თუ ადამიანი წინა ან რომელიმე ცხოვრებაში იყო მუსიკოსი, ბუნებრივია, რომ ამ ცხოვრებაშიც მას მუსიკის ნიჭი გამოკვეთილად ექნება განვითარებული. აქედან

გამომდინარე, თუ ბავშვი იბადება ვირტუოზული ნიჭით, სავარაუდოა, რომ მან თავისი წინა არაერთი ცხოვრება იმავე საქმეს დაუთმო, ხოლო დაბადების დროს მიღებული ამნეზიის შემდეგ, მას ზოგიერთი რამის სწავლა თავიდან მოუწევს - იმის, რაც წინა ცხოვრებებში უკვე ისწავლა და გაიარა. ამიტომ გიდმა შესაძლოა გარკვეულწილად მისცეს წვდომა კომპიუტერულ ქსელში არსებულ ინფორმაციის ბაზებთან, რომელიც ამ კონკრეტულ სფეროს მოიცავს, იმისთვის, რომ ადამიანს არ მოუწიოს თავიდან იმის სწავლა, რაც წინა ცხოვრებებში უკვე არაერთხელ ჰქონდა გავლილი. გიდი არის მაღალგანვითარებული არსება, რომელიც იცავს თქვენს ინტერესებს ფაქიზი სამყაროდან. დაწვრილებით განხილულია თავში: გიდები (მფარველი ანგელოზები).

მაგალითისთვის, დაკავებული ხართ რაიმე ხელობის შესწავლით. იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ გარდა, ამ სფეროში უკვე ბევრი ადამიანი მოღვაწეობდა, კომპიუტერულ ქსელში არსებობს დიდი ინფორმაციული ბაზა ამის შესახებ. გიდი გაძლევთ

წვდომას ამ ბაზებზე და ადევნებს თვალს, რომ ეს ინფორმაცია თქვენთან მოვიდეს ეტაპობრივად იმისთვის, რომ მისი გააზრება და აღქმა მოახერხოთ. ეს პროცესი ძირითადად ხდება ღამის პერიოდში, როდესაც ადამიანს სძინავს. ის დილით იღვიძებს უკვე ახალი ინფორმაციით მის თავში და შემდეგ იწყებს ამ ინფორმაციის აღქმას და გააზრებას. ასევე, გიდმა შეიძლება ჩათვალოს, რომ თქვენი განვითარებისთვის უკეთესი იქნება ზოგიერთ რამეს არა ბაზებიდან, არამედ თვითონ, საკუთარი ძალებით მიხვდეთ ან მიხვიდეთ გარკვეულ დასკვნებამდე, ხოლო ბაზებთან წვდომა შეზღუდოს. აქ ვარიანტები ძალიან ბევრია. ამ სისტემას ზოგჯერ იყენებენ, როდესაც ადამიანს არ აქვს ცხოვრებაში იმდენი დრო, რომ დაეუფლოს კონკრეტულ სფეროს საკუთარი ძალებით და მას შეიძლება ამისთვის ერთი ცხოვრებაც არ ეყოს ან მაგალითად, ისწავლოს ის, რაც მექანიკურია და ეს პროცესი მას არ ავითარებს და სხვ.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ გიდი თავისი ცოდნით ეხმარება ან აძლევს

წვდომას ამა თუ იმ ინფორმაციაზე, მაგრამ, თუ როგორ გაიგებთ ან როგორ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას, ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია. გიდი არ ერევა თქვენს კეთილ ნებასა და თავისუფალ არჩევანში. ასევე, არ უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც ჩვენ რამეს სწავლა გვინდა, ფეხს ფეხზე გადავიდებთ და ის ჩვენ წვდომას მოგვცემს ინფორმაციაზე. ეს არის მხოლოდ გარკვეული დამხმარე საშუალება. ინფორმაციას არ აქვს აზრი თუ მისი გაგება და აღქმა არ შეგვიძლია. და ეს ყველაფერი ჩვენი ძალებითა და დაუღალავი შრომით მიიღწევა. თუ ადამიანი ამ ინფორმაციის მისაღებად მზად არ არის, მაშინ მას ვერც აღიქვამს და მისთვის არანაირი ღირებულება არ გააჩნია.

რაც შეეხება ბაზებში არსებულ ინფორმაციას, ის არ არის კონკრეტულად გიდის ან გიდების შექმნილი, ეს ინფორმაცია ჩვენი ცივილიზაციის განვითარების პროცესში გროვდებოდა, დაახლოებით ისე, როგორც ინტერნეტში არსებული მასალა გროვდება, ივსება ინფორმაციით და იხვეწება. საბოლოო ჯამში, ინფორმაციის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს,

პრობლემატური და რთულია ის, თუ როგორ შეძლებს ამ ინფორმაციის გააზრებას თვითონ ადამიანი, თუ რამდენად მოამზადებს საკუთარ თავს ამ ინფორმაციის მისაღებად.

თვალსაჩინოებისთვის მინდა მოვიყვანო მაგალითი. წარმოვიდგინოთ გამომგონებელი, რომელიც ცდილობს რაიმე მექანიზმის გამოგონებას. ამ დროს, გამომგონებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, გიდი ჩატვირთავს ინფორმაციას იმ კომპიუტერში, რომელიც გამომგონებელთან არის შეერთებული. გამომგონებელი ნელ-ნელა დაიწყებს ამ ინფორმაციის გარჩევას და აღქმას და როდესაც ის უკვე მზად იქნება ამ მექანიზმის გადამწყვეტი ინფორმაციის მისაღებად, ის ამ ინფორმაციას მიიღებს, როდესაც ეძინება. უკვე გაღვიძებულ მდგომარეობაში მას მთლიანად ექნება ინფორმაცია აღქმული, თუ როგორ მუშაობს ეს მოწყობილობა. ეს არ ნიშნავს, რომ გამომგონებელს თავისი ძალებითაც არ შეუძლია რაიმე გამოიგონოს. უბრალოდ, ეს შესაძლოა დროში იმდენად გაიწელოს, რომ ერთი ცხოვრებაც არ ეყოს ამისთვის და თეორიულად, თუ

ის შემდეგ ცხოვრებაში იმავე რაღაცით იქნება დაკავებული, დახმარების გარეშე იმავე პროცესს გაივლის, რაც წინა ცხოვრებაში გაიარა და ამას აზრი არ ექნება. კომპიუტერული გამოგონებების უმეტესობა დედამიწაზე ამ პრინციპით განხორციელდა. ამიტომ თუ თქვენ გადახედავთ დროის სკალას, მიხვდებით, რომ ტექნიკური პროგრესი ძალიან მოკლე დროში მოხდა. ვინაიდან და რადგანაც, დედამიწის მმართველობამ გადაწყვიტა, რომ ხალხი უკვე მზად არის ამ ტექნიკური ნახტომისთვის, ამიტომ ინფორმაცია კომპიუტერის აგებულების შესახებ ხელმისაწვდომი გახადა გამომგონებლებისთვის. ისევ და ისევ, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანებს თავისი ძალებით არ შეეძლოთ ნაბიჯ-ნაბიჯ მიელწიათ ამ პროგრესისთვის, მაგრამ ამას მრავალი ასეული თუ ათასი წელი დაჭირდებოდა. ამას გარდა, ეს პროცესი კაცობრიობამ უკვე არაერთხელ გაიარა დედამიწაზე არსებული წინა ცივილიზაციების დროს და კიდევ ერთხელ იმავეს გავლას და იმავე გამოცდილების მიღებას, აზრი არ ექნებოდა.

იგივე პრინციპი მუშაობს სხვა სფეროებშიც, მაგალითისთვის მოვიყვანოთ სცენარისტი, რომელიც ცდილობს დაწეროს სცენარი ფანტასტიკური ჟანრის ფილმისთვის, რომელიც კაცობრიობის მომავალს ეხება. ის მიიღებს წვდომას მოთხოვნილ ინფორმაციაზე კაცობრიობის მომავლის შესახებ. თუმცა თუ როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებს და შემდგომ, რეჟისორი როგორ გადაიღებს ამ ფილმს, ეს უკვე სხვა საკითხია. ამიტომ ხდება ხოლმე, რომ ძველ ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში ხშირად, ზუსტად ან დაახლოებით არის ნაჩვენები ის სიტუაცია, თუ ტექნიკური პროგრესი, რომელიც დღეს უკვე სახეზეა ან მომავალში დადგება.

ნიჭი არის სულის მიერ წინა ინკარნაციების განმავლობაში გამომუშავებული გამოცდილება. არსებობს კონცეფცია, რომ ნიჭი მშობლებიდან გადაეცემა შვილებს, თუმცა ეს მთლად სწორი არ არის. თქვენ ალბათ გინახავთ ადამიანი, რომელიც გარკვეული საქმისადმი დიდ ნიჭს ავლენს, მაგრამ მისი მშობლები ამ ნიჭს საერთოდ არ ფლობენ. ასევე გსმენიათ, რომ შვილები არიან ნიჭიერები და

საქმიანობენ იმავე დარგში, სადაც მშობლები. ეს კი ხდება იმიტომ, რომ ზოგჯერ სული სპეციალურად ირჩევს მშობლებს იმისთვის, რომ იმავე სფეროში გაილრმავოს ცოდნა და უკეთესად დაეუფლოს პროფესიას. რა თქმა უნდა, ეს საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანი აუცილებლად მშობლების პროფესიას უნდა გაჰყვეს ცხოვრებაში, თუ ამ სფეროში თავადაც ავლენს ნიჭს.

ინტუიცია

ინტუიცია შეიძლება ვუწოდოთ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ვიღებთ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ასტრალური კომპიუტერული ბაზებიდან. ეს არის მექანიზმი, რომელიც გვაკავშირებს იმ ინფორმაციასთან, რომელსაც იმ მომენტისთვის არ ვფლობთ. როდესაც ადამიანი ამბობს, რომ მას ინტუიცია რაღაცას ჰკარნახობს, ეს ჰგავს სიტუაციას, როდესაც ადამიანმა უკვე ინტერნეტში მოიძია და გარკვეულ ინფორმაციას ფლობს ამის შესახებ. ხშირად, ინტუიციის სახით მოწოდებულ ინფორმაციაში გიდების ხელიც ურევია.

რა თქმა უნდა, გიდის მოწოდებული ინფორმაცია ძალზე ფასეულია, მისი დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე.

ასტრალური კომპიუტერიდან ინფორმაციის მიღების პროცესში, ძალიან იშვიათად, თუმცა მაინც შეიძლება მოხდეს უზუსტობა, რაც ადამიანურ ფაქტორს უკავშირდება. პირველი, რაც შეიძლება აღინიშნოს, ჩვენ, ადამიანებს ზოგჯერ გვიჭირს გავარჩიოთ ეს არის ასტრალური კომპიუტერიდან მომავალი, გიდის მიერ მოწოდებული, თუ ჩვენი გონების მიერ შექმნილი ინფორმაცია. ადამიანს ზოგჯერ შეუძლია მცდარ ინფორმაციაზე მთელი კოშკები ააგოს. მეორე ფაქტორი შესაძლოა გახდეს ადამიანის მიერ არასწორად გაგებული და აღქმული ინფორმაცია. დაახლოებით ისე, როგორც თარგმანში შეიძლება იყოს რაღაც ხარვეზები. ამიტომ, ეს ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ ხოლმე. თუმცა ეს არ უნდა გადაიზარდოს უნდობლობაში, რაც შეიძლება შემაფერხებელი ფაქტორი გახდეს ადამიანის განვითარებაში ან თუნდაც საქმეების წარმოებაში ნებისმიერი მიმართულებით. ასეა თუ ისე, ამ

ყველაფრის გათვალისწინებით, სჯობს, რომ ადამიანი ყოველთვის ენდოს ინტუიციას. მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნილ ლიტერატურაში, შესაძლოა თარგმნისას გაპარული უზუსტობანი შეგვხვდეს, თუმცა ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ წიგნი არ უნდა წავიკითხოთ ან წაკითხულს არ უნდა ვენდოთ.

კარმული პროგრამა

დედამიწა შეიძლება შევადაროთ ექსპერიმენტულ სასწავლო დაწესებულებას. ეს არის ყველაზე ახლო ანალოგი, რაც შეიძლება იყოს იმ მატერიალური და ასტრალური სამყაროსი, სადაც სული გადის განვითარებას. ხოლო კარმა არის მიზეზ-შედეგობრივ სისტემაზე აგებული სასწავლო პროგრამა, რომელიც მიმართულია პიროვნების სულიერი განვითარების, დახვეწისა და ზრდისკენ. არსებობს ზოგადი კარმული პრინციპები, როგორც ძირითადი სასწავლო პროგრამა, რომელიც არ არის ერთხელ დაკანონებული, არამედ იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ეპოქალური პერიოდია ან რა მორალური ნორმებია იმ დროს დედამიწაზე. დაახლოებით ისე, როგორც სახელმწიფოში შეიძლება იცვლებოდეს კანონები იმ სიტუაციიდან

გამომდინარე, რაც ხდება იმ პერიოდისთვის ქვეყანაში და ასევე, როგორც შეიძლება იცვლებოდეს საგანმანათლებლო პროგრამა. ხოლო ამ კარმული პრინციპების გათვალისწინებით, იწერება კარმული პროგრამა ყველა სულზე ინდივიდუალურად. კარმა არის პროგრამა, რომელსაც ადგენენ კარმის სპეციალისტები ასტრალურ სამყაროში. ეს პროცესი აღწერილია თავში: განვლილი ცხოვრების განხილვა. ის იწერება პიროვნების წინა, განვლილი ცხოვრების საფუძველზე. ეს ხდება როგორც ცალკე პიროვნების, ასევე, ქვეყნების, ქალაქებისა და ცივილიზაციისთვისაც კი. შესაბამისად, არსებობს როგორც პიროვნების ინდივიდუალური კარმა, ასევე, ოჯახის კარმა, ქალაქის კარმა, ქვეყნის კარმა და პლანეტის კარმა, რომლებიც განხილული იქნება თავში: ქვეყნის და პლანეტის კარმული სისტემა.

კარმა არ არის დანაშაულის და სასჯელის სისტემა. ის უფრო ჰგავს შეცდომებისა და მათი ნებაყოფლობით გამოსწორების სასწავლო პროგრამას ან პირიქით, თქვენი კეთილი

ქმედებებიდან გამომდინარე, დაჯილდოების პროგრამას.

კარმა არსებობს იმისთვის, რომ დაეხმაროს ადამიანს გამოასწოროს ის თვისებები, რომლებმაც მას ცხოვრებაში ბალანსი დააკარგვინა და უკიდურესობაში ჩააგდო. ერთხელ გამოსწორებული და დამუშავებული თვისება უკვე მომავალში ადამიანს დაეხმარება ბალანსი შეინარჩუნოს და უკიდურესობებისგან დაიცვას.

ზოგადად, კარმული პროგრამები არსებობს იმისთვის, რომ სამყაროში არ იყოს სრული ქაოსი. კარმის არარსებობა იქნებოდა იგივე, რომ უნივერსიტეტში არ არსებობდეს სასწავლო პროგრამა. ასევე, კარმის გათვალისწინებით, სამყარო არც ისე უსამართლოა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და რა თქმა უნდა, არც იდეალურად სამართლიანი, იქიდან გამომდინარე, რომ იდეალური არაფერი არსებობს.

ინფორმაცია ჩვენი განვითარების და კარმული დავალიანებების ან პირიქით, ზედმეტობის შესახებ იწერება კომპიუტერულ ქსელში, დაახლოებით ისე,

როგორც ჩვენი პოლიკლინიკის ანკეტა, რომელშიც ინახება ჩვენი ავადმყოფობის ისტორია ან სასწავლებლის კომპიუტერულ ქსელში ჩვენი ჩაბარებული გამოცდები და ნიშნები. იმ შემთხვევაში, თუ წარმოგვექმნა კარმული დავალიანება, მისი დაფარვა შეგვიძლია დაიწყოთ უკვე შემდეგ ინკარნაციაში ან გადავდოთ მომავალი ინკარნაციებისთვის. ეს ნებაყოფლობითია. თეორიულად, შეგვიძლია სრულად უარი ვთქვათ კარმული დავალიანებების დაფარვაზე, თუმცა ეს ჩვენს ინტერესებში შეიძლება არც შედიოდეს იმიტომ, რომ მაშინ ჩვენი განვითარება შეიძლება გარკვეულწილად შეფერხდეს. მაშინ, როდესაც სული გადაწყვეტს კარმული პროგრამის შესრულებას, კარმის სპეციალისტები მას ჩაწერენ კაუზალურ და სხვა ფაქიზ სხეულებში, რაც მომავალში უკვე გარკვეულ მოვლენებზე გააქტიურდება, უბიძგებს და ადამიანზე შესაბამის ზეგავლენას მოახდენს.

აღმოსავლურ რელიგიებსა თუ სწავლებებში არსებობს თეორია, რომ ადამიანი ჩაკეტილია დედამიწაზე და ის ვერაფრით აღწევს თავს

დაბადება-სიკვდილის ციკლს, თუმცა ეს სიმართლეა მხოლოდ ნაწილობრივ. სინამდვილეში, ბევრ შემთხვევაში თვითონ სულს არ სურს გამოვიდეს ამ დაბადება-სიკვდილის ციკლიდან, სანამ ყველა გაკვეთილს არ ისწავლის. ამის ზუსტი ანალოგია ჩვენს რეალობაში არსებული სასწავლებლები, სადაც სტუდენტს არ აწყობს შუა სწავლის პროცესიდან გამოვიდეს უნივერსიტეტიდან, რადგან დიპლომის გარეშე მას არ ექნება პერსპექტივები, ვერ იშოვის იმ სამსახურს ან ვერ მოხვდება იმ ადგილას თუ პოზიციაზე, რაც მას სურს. დაუსრულებელი კარმით, დაუსრულებელი გაკვეთილებით სული შესაძლოა ვერ მოხვდეს იმ სამყაროში, რომელშიც სურს, რომ მომავალში მოხვდეს.

კარმული კანონები არ არის ერთხელ დაწერილი დაკანონებული კანონმდებლობა, რის მიხედვითაც ხელმძღვანელობენ კარმის სპეციალისტები. მაგალითად, ცხოველების დახოცვას შეიძლება მოჰყვეს კარმული შედეგები, იქიდან გამომდინარე, თუ რა უდევს საფუძვლად ამ ქმედებას. თუ ადამიანი დადის სანადიროდ და უმოწყალოდ კლავს

შედარებით დიდი ზომის ცხოველებს სიამოვნების მისაღებად, ამას შეიძლება მოჰყვეს კარმული შედეგები, მაგრამ ადამიანისთვის, რომლის პროფესიაა ცხოველების ხოცვა და სხვა გამოსავალი არც აქვს, ამას შესაძლოა ნეგატიური შედეგები ბევრად მცირე დოზით მოჰყვეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა უდევს საფუძვლად ადამიანის ამა თუ იმ ქმედებას, რაზე ფიქრობს ამ დროს და რა სურვილები ამოძრავებს. როგორც უკვე ვთქვით, სულის საქმის განხილვაზე შესაბამისი სპეციალისტები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, თუ რაში მდგომარეობს პრობლემა და უკვე ამის შემდეგ სული თავად წყვეტს უნდა თუ არა საკუთარი ნაკლის გამოსწორება.

კარმულ პროგრამაში იწერება თქვენი ცხოვრების ძირითადი მონახაზი, ცხოვრების ზოგიერთი საკვანძო მომენტი და არა ყოველდღიურობა. ეს ყველაფერი, კეთილი ნების გათვალისწინებით ხდება. კარმულ პროგრამაში იდება ის ვარიანტებიც, რომლის ფარგლებშიც შეიძლება რაღაც ვერ შეძლოთ ან გადაიფიქროთ და აირჩიოთ სხვა ცხოვრებისეული

გზა - იმისგან განსხვავებული, რაც კარმის ძირითად შტოშია მოცემული. ამიტომ კარმის პროგრამისტებმა უნდა გათვალონ ყველა შესაძლო ვარიანტი და შექმნან მრავალგანშტოებიანი პროგრამა. ზოგიერთი კარმული პროგრამის ზეგავლენა ნაწილდება ხოლმე მთელ ცხოვრებაზე დოზირებულად, იმ მიზნით, რომ ადამიანს მიეცეს გააზრების საშუალება. და ასევე, იმისათვის, რომ ყველაფერი ერთდროულად არ დაატყდეს თავს. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს ერთჯერადად მომხდარი შემთხვევა ან ცხოვრებისეული გაკვეთილი.

კარმული პროგრამის, გიდის მუშაობის და ასტრალური კომპიუტერის ხარჯზე თქვენ შეიძლება გაკვირვებულიც ყოფილხართ, თუ როგორ საბავშვო კონსტრუქტორივით ეწყობა თქვენი ცხოვრება, თავისი ვითომდა "დამთხვევებით".

ჩვენ ტელევიზორში ხშირად ვადევნებთ თვალს სხვადასხვა დანაშაულს. ეს ქმედებები შეიძლება იყოს წინა ცხოვრებების კარმული გაგრძელება და შედეგი ან შეიძლება სულაც არ იყოს კარმული. თუმცა მომავალში მოჰყვეს კარმული შედეგები. თუ

პიროვნებას, რომელიც მსხვერპლის როლშია, არ ჰქონდა რაიმე კარმული დავალიანება და ის უბრალოდ შემთხვევით უდანაშაულო მსხვერპლი აღმოჩნდა, მაშინ სისტემას მასთან დავალიანება ექნება. უხეში შედარება: წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს ბიუჯეტში აქვს შეტანილი გარკვეული თანხა და თუ ის მანქანის მართვისას დაარღვევს წესებს, დაკისრებული ჯარიმა იმ დაგროვებული თანხიდან გამოექვითება.

რას შეიძლება შეიცავდეს კარმული პროგრამა

კარმულ პროგრამაში შეიძლება იყოს ჩართული ერთი, ორი ადამიანი ან ადამიანების ჯგუფიც. უმეტეს შემთხვევაში, კარმული პროგრამები შეგვიძლია ამოვიცნოთ იმ ძლიერი ემოციების წყალობით, რაც გარკვეულ ქმედებებს ან საქმიანობას გასდევს თან. როდესაც, თქვენ სრულად ხართ ჩართულები საქმიანობაში და ქმედებებში, ზოგჯერ ვერც უწევთ თავს კონტროლს და არც სხვის რჩევებს ითვალისწინებთ. ეს შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური საქმიანობები

თუ ქმედებები და ძირითადად ეს ხდება იმისთვის, რომ აქედან შესაბამისი გამოცდილება და გაკვეთილები მიიღოთ.

ასევე, კარმული პროგრამა შეიძლება შეიცავდეს იმ თვისებების გამომუშავებას, რაც აკლია ადამიანს. ეს თვისებები ზოგჯერ ვლინდება იმ შეცდომებიდან გამომდინარე, რომლებსაც სული უშვებს წინა ინკარნაციების განმავლობაში. მაგალითად, თუ სული ერთ-ერთ დაბადებისას ჩართულია ისეთ ქმედებებში, როგორიცაა სხვისი ჩაგვრა ან სისასტიკე, ეს ნიშნავს, რომ მას არ აქვს განვითარებული თანაგრძნობის უნარი, ვერ შედის მსხვერპლის მდგომარეობაში. ამიტომ, შემდგომ ინკარნაციებში, თუ მოინდომებს, მოუწევს თვითონ გაიაროს ჩაგვრა და იყოს მსხვერპლის როლში იმისთვის, რომ საკუთარ თავზე განიცადოს ის, რასაც სხვის მიმართ სჩადიოდა და ამით გამოიმუშაოს თანაგრძნობის უნარი.

კარმა შეიძლება მოიცავდეს სხვა, უამრავ ფაქტორს. მაგალითად, წინა ინკარნაციების განმავლობაში გამოვლინდა, რომ ვერ იტანთ გარკვეული ტიპის

ადამიანებს ან მათთან ურთიერთობისას გაქვთ სხვა სახის პრობლემები. ამ შემთხვევაში, კარმული პროგრამის მუშაობის შედეგად, ამ ცხოვრებაში ინტენსიურად მიიზიდავთ მსგავს ადამიანებს ან გეყოლებათ ახლობლები ან თუნდაც ოჯახის წევრები, რომლებიც ზუსტად ასეთი ტიპის ადამიანებს მიეკუთვნებიან. ეს ყველაფერი საჭირო იქნება იმისთვის, რომ შეძლოთ მსგავსი ადამიანების შინაგანად მიღება.

იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას კარმული პროგრამის მუშაობაზე, მინდა მოვიყვანო მორიგი მაგალითი, თუ როგორ გამოიყურება კარმული პროგრამის დასაწყისი და დასასრული: წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთ ცხოვრებაში, სულმა მიიღო ლამაზი სხეული, რაც არის უკვე უპირატესობა სხვა სხეულებთან შედარებით და ასეთ პირობებში სულმა შეიძლება სხვადასხვა თვისება გამოამჟღავნოს, რასაც მანამდე არ გამოავლენდა. ეს შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური თვისებები ან სულაც ნეიტრალური დარჩეს. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში

წარმოვიდგინოთ, რომ ლამაზი სხეულის მქონე სულს, თუ ჟარგონს გამოვიყენებთ, “თავში აუვარდა“, დაუწყო ყველას ზემოდან ყურება და ნაკლებად მიმზიდველი ადამიანების დაცინვა. ასევე, ლამაზი სხეულის ბოროტად გამოყენება და საბოლოო ჯამში მან ნეგატიურად გამოავლინა თავისი თავი ამ კონკრეტულ ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში, ასტრალურ სამყაროში მისი პირადი საქმის განხილვაზე გაკეთდება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ მას ეს თვისება აქვს გამოსასწორებელი. თუ ამის შემდეგ სულმა უკვე მომდევნო ცხოვრებაში გადაწყვიტა აღნიშნული თვისების გამოსწორება, მას ამ ინკარნაციაში ნაკლებად ლამაზი სხეული ექნება. (ძვირფასო მკითხველო, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ვინც საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილოა, აუცილებლად წინა ცხოვრებაში მსგავსი პრობლემა ჰქონდა. ეს და სხვა მაგალითები არის ჩემ მიერ გამოგონილი წიგნისთვის, მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის. ყველა სულს თავისი განსხვავებული კარმული ისტორია აქვს). მოგვიანებით, კარმული პროგრამა ამ ადამიანის გარშემომყოფთ უბიძგებს იმისკენ, რომ მოექცნენ ამ

ადამიანს შესაბამისად იმისთვის, რომ მან საკუთარ თავზე იგრძნოს ყველაფერი და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები, რაც მას შემდეგში ამ თვისების გამოსწორებისკენ უბიძგებს. გიდი დააკვირდება ადამიანის წინსვლას ამ მიმართულებით და თუ საჭირო გახდა შესაძლოა ტესტიც ჩაუტაროს მას, კერძოდ კი სიზმარში ჩაუტვირთოს ის სიტუაცია, როდესაც ის ისევ ლამაზია და დააკვირდეს, თუ რას მოიმოქმედეს იმავე სიტუაციაში - ისევ გამოავლენს იმ ნეგატიურ თვისებებს თუ უკვე აღარ. ისევ და ისევ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სიზმარი, რაც კი გვესიზმრება, გიდის მიერ გამოგზავნილ გამოცდას ემსახურება. სიზმრებს სხვა მრავალი დანიშნულება აქვს. საბოლოოდ, ასტრალურ სამყაროში განვლილი ცხოვრების განხილვაზე, წარდგენილი იქნება ყველა შეგროვებული მასალა და თუ ჩაითვლება, რომ სულმა გამოასწორა შესაბამისი თვისება, მას ტაშს დაუკრავენ და ეტყვიან, რომ მისია წარმატებით შეასრულა. მას უსურვებენ წარმატებას და ამის შემდეგ სული კმაყოფილი დაუბრუნდება თავის ჯგუფს ასტრალურ სამყაროში. თუ სული ვერ მოახერხებს ერთ ცხოვრებაში ამ თვისების

დამუშავებას, ეს ტრაგედია არ არის. მას მომავალში, შემდეგ ინკარნაციებში ექნება საშუალება გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა იმდენი ხანი, რამდენიც დასჭირდება.

იგივე პრინციპი მიესადაგება სხვა შემთხვევებსაც. მაგალითად, ადამიანმა ცხოვრებაში სოლიდური ქონება მიიღო ან დააგროვა, რის შედეგად ის გახდა უფრო ალმატებული ვიდრე საზოგადოების უმეტესი ნაწილი. ეს ადამიანისთვის უკვე ერთგვარი ტესტია, თუ როგორ გამოიყენებს თავის ქონებას, რა თვისებებს გამოავლენს ან რა ფასეულობებზე ექნება ცხოვრება აწყობილი. ეს ყველაფერი შეჯამდება და ამას მოჰყვება შესაბამისი, დადებითი თუ უარყოფითი შედეგები, იმავე პრინციპით, რაც ზემოთ გავარჩიეთ. ასევე, თუ თქვენ არაკეთილსინდისიერი გზებით ცდილობთ მოიპოვოთ ან უკვე მოიპოვეთ ფული და ქონება ან მიითვისეთ ის, რაც არ გეკუთვნით, შემდგომ ცხოვრებებში უკვე კარმის მიხედვით გექნებათ ის ცხოვრებები, რაც ამ თვისებას გამოასწორებს. მაგალითად, დაკარგავთ ქონებას ან შეიძლება გახდეთ თაღლითების

მსხვერპლი ან უკიდურეს სილარიბეში მოგიწიოთ ცხოვრება და ა.შ. თუმცა ისევ და ისევ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვინც ღარიბია, ისინი წინა ცხოვრებაში აუცილებლად არაკეთილსინდისიერად შოულობდნენ ფულს. აქ, რა თქმა უნდა, სხვა უამრავი ფაქტორიც არსებობს, თუნდაც ის გარემო, სადაც დაიბადეთ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების პრინციპზე მუშაობს კარმული პროგრამა, როდესაც ადამიანი იღებს გარკვეულ პრიორიტეტებს, იქნება ეს სიმდიდრე, ძალაუფლება, თანამდებობა, ცნობადობა, განსაკუთრებული შესაძლებლობები, ძლიერი/ლამაზი სხეული თუ სხვა რამ. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანი ზუსტად ასეთ დროს ავლენს გარკვეულ თვისებებს, რასაც სხვა მდგომარეობაში ვერ გამოავლენდა. თუ სქემატურად წარმოვიდგენთ, ადამიანი მიდის ზემოთ, უშვებს შეცდომას, ვარდება ისევ ქვემოთ, ასწორებს იმ თვისებებს, რამაც შეცდომა დააშვებინა კარმული პროგრამის დახმარებით და ისევ მიიწევს ზემოთ. თუმცა ერთხელ დამუშავებული თვისება უკვე არ აძლევს მას

საშუალებას დააშვებინოს იგივე შეცდომა და უფრო მაღლა ადის ვიდრე წინა ჯერზე ავიდა. მორიგი ჩამოვარდნაც უკვე ისე ქვემოთ აღარ იქნება და საბოლოო ჯამში, ამ ციკლური პრინციპით, ის უფრო ზემოთ და ზემოთ ადის სულიერი განვითარების გზაზე. ხატოვნად რომ ვთქვათ, ის დგამს სამ ნაბიჯს წინ, ორს უკან. შემდეგ, ისევ სამ ნაბიჯს წინ, ორს უკან და ა.შ.

ანალოგიურად, მოყვანილი მაგალითების საპირისპიროდ ხდება ყველაფერი, როდესაც ჩვენ სიკეთეს ვთესავთ, რითაც შემდეგი ცხოვრება უკვე ჩვენთვის იქნება ბევრად წარმატებული, დადებითი და ეს უამრავ რამეში შეიძლება აისახოს. თუ ადამიანს აქვს კარგი კარმა და სისტემას მის მიმართ გააჩნია დავალიანება, მაგრამ ეწინააღმდეგებით, რომ ის თქვენ ცხოვრებაში გამოვლინდეს კარგი შემთხვევებით, მატერიალური ნივთების მიღებით, თუ სხვა სასიხარულო მომენტებით, მაშინ ის აისახება იმ დროს, როდესაც ამისთვის მზად იქნებით.

ოჯახური და სხვა ურთიერთობები

კარმული პროგრამა ხშირად მოიცავს დაუსრულებელ საქმეს, დაუსრულებელ ურთიერთობას ორ ან მეტ პირს შორის. მაგალითად, ერთმა ადამიანმა მეორისგან ისესხა სოლიდური თანხა, ხოლო შემდგომ არ დაუბრუნა, ჟარგონულად რომ ვთქვათ“გადააგდო”. დაზარალებული ადამიანი დარჩა რბილად რომ ვთქვათ, ნაწყენი და ამ შემთხვევამ გამოიწვია ვნებათაღელვა და მძაფრი ემოციები. ეს არის დაუსრულებელი სცენარი, სადაც ჩართულია ორი ადამიანი. თუ ისინი მოისურვებენ, შეუძლიათ დაგეგმონ შემდეგ ცხოვრებაში ისეთი სიტუაცია, სადაც მოხდება მათი გასწორება, რასაც ეძახიან კარმული კვანძის გახსნას.

ადამიანს, რომელმაც დააზარალა სხვა, კარმული დავალიანება ნებისმიერ შემთხვევაში წარმოექმნება, იმის მიუხედავად, აპატია თუ არა მას დაზარალებულმა. თუ დაზარალებულმა მხარემ თავის მხრივ აპატია დამნაშავეს, მას შეუძლია აღარ მიიღოს მონაწილეობა მომავალ ქმედებებში ამ საქმესთან დაკავშირებით. თუმცა იმ სულს, რომელმაც მეორე ადამიანი დააზარალა, მაინც

მოუწევს კარმული დავალიანების დაფარვა, რაც შეუძლია მომავალში უკვე სხვა პარტნიორთან ერთად განახორციელოს.

ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის კარმული ურთიერთობების გამოსასწორებლად, ხშირად გამოიყენება ოჯახური ურთიერთობები. ზოგჯერ ოჯახის წევრებს შორის ცუდი ურთიერთობა მათ შორის კარმის არსებობას მიუთითებს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახში ისედაც არ შეიძლება განვითარდეს ცუდი ურთიერთობა სხვადასხვა მიზეზით. თუ ორ ადამიანს შორის ხდება დიდი კონფლიქტი და ეს აგრესია ერთმანეთის მიმართ გრძელდება ან პოტენციურად შეიძლება გაგრძელდეს, მაშინ ეს ორი ადამიანი შემდეგ ცხოვრებაში შეიძლება დაიბადოს როგორც მშობელი და შვილი ან სხვა ახლო ურთიერთობა ჰქონდეთ, რათა მოხდეს მათი შერიგება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლებთან თუ სხვა ოჯახის წევრებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდეს იმისთვის, რომ ეს მოუგვარებელი კარმული ურთიერთობა დასრულდეს.

კარმულია თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ოჯახის წევრებთან კარგი ურთიერთობა გქონდეთ და მიიღოთ ისინი ისეთებად, როგორებიც არიან. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანის შეცვლა არ არის ადვილი თავისი ტექნიკური აგებულების გამო, რასაც განვიხილავთ თავში: ადამიანის სხეულის აგებულება. შესაძლოა არ მოგწონდეთ ოჯახის წევრის დამოკიდებულება თქვენ მიმართ, მაგრამ ხომ არ იცით, თუ რა ხდებოდა წინა ცხოვრებებში თქვენ შორის, იქნებ მას, რომელიღაც ცხოვრებაში ბევრად უარესად მოექეცით. ამიტომ სასურველია მოხდეს სრული მიღება და შეყვარება ისეთებად, როგორებიც არიან და არა ბრძოლა მათი გადაკეთებისთვის, რაც უმეტეს შემთხვევაში უშედეგო მცდელობაა. ოჯახის წევრებთან მაქსიმალურად გულახდილ ურთიერთობას და სიყვარულს მოჰყვება კარმული კვანძის გახსნა, თუ რა თქმა უნდა, ასეთი არსებობდა. თუ თქვენ ოჯახის წევრი გარდაცვლილი გყავთ, მაგრამ ფიქრობთ, რომ მასთან ვერ მოახერხეთ კარმული კვანძის გახსნა და ურთიერთობის დალაგება, მაშინ ამის გაკეთება

ახლაც არ არის გვიან. ამისთვის საჭიროა ორმხრივი სურვილი, თქვენსა და გარდაცვლილს შორის, ამ მიზნისთვის თქვენი დაკავშირება შეიძლება მოხდეს უბრალოდ ერთმანეთზე კონცენტრაციით, სიზმრების საშუალებით, ნახევრად მძინარე მდგომარეობაში, მედიტაციით ან სხვა გზით. რა თქმა უნდა, ამ პროცესში ძირითადად ფიგურირებს ხოლმე გულწრფელობა, პატიება, შერიგება და რა თქმა უნდა, სიყვარული, რაშიც სიყვარულის მედიტაცია დაგეხმარებათ.

სასიყვარულო ურთიერთობები

პირადი ურთიერთობები ან სასიყვარულო კარმა ყველაზე გავრცელებული და სტატისტიკურად ყველაზე ხშირი კარმული ურთიერთობებია, რაშიც ადამიანები არიან ჩართულები.

ზოგჯერ, სასიყვარულო კარმის ამოცნობა შეგიძლიათ იმით, როცა გიყვარდებათ ადამიანი, რასაც მოულოდნელი, ძლიერი ემოციური ფონი ახლავს და შესაძლოა, ეს ერთი ნახვითაც მოხდეს,

იმისდა მიუხედავად რომ ობიექტი შესაძლოა თქვენი შესაფერისი საერთოდ არარის. ეს შეიძლება იყოს კარმული პროგრამა, რომელიც სხვადასხვა მიზანს ისახავდეს. ამ დროს, გიდის კომპიუტერიდან აქტიურდება და იტვირთება სიყვარულის პროგრამა თქვენს გონებაში და ახდენს ძლიერ ზემოქმედებას. მსგავსი სცენა მხატვრულად ასახული გვხვდება თანამედროვე თუ ძველ ილუსტრაციებში, სადაც წყვილის თავზე დაფრინავს ანგელოზი, რომელიც თავის ქვეშევრდომს მშვილდ-ისრიდან ესვრის ისარს გულში. ხოლო ამ სცენის შემოკლებული ვერსია ან კონცეფციის ფრაგმენტი გვხვდება სოციალურ ქსელებში, როგორც გულის სტიკერი ისრით 💘 ან თვითონ ანგელოზი, რომელსაც მომარჯვებული აქვს მშვილდ-ისარი. ასეთი ძლიერი, ემოციური, სასიყვარულო მიზიდულობა შეიძლება ხდებოდეს იმიტომ, რომ თქვენ რაიმე გაკვეთილი გამოიტანოთ ამ ურთიერთობიდან. ეს შეიძლება იყოს წინა ცხოვრებებიდან წარმოქმნილი დაუსრულებელი კარმული ურთიერთობა, ანგარიშსწორება ან კიდევ უამრავი სხვა რამ, ვარიანტი ბევრია. ასეთი ურთიერთობა დაშორებითაც შეიძლება დასრულდეს

ან პირიქით - ურთიერთობა გაგრძელდეს, რაც უკვე წყვილის სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა სტატისტიკურად დაშორების ვარიანტი ცოტათი მეტია, მათ შორის, იქიდან გამომდინარეც, რომ ასეთ ურთიერთობას ზოგჯერ ემოციების და ვნებათაღელვის მკვეთრი შესუსტება ახასიათებს.

იმ ძლიერ ემოციებთან დაკავშირებით, რომელსაც ადამიანი განიცდის ძლიერი სიყვარულის ან მიჯაჭვულობის დროს, არსებობს პატარა ცდომილებები ტერმინებში, მაგ. “მონათესავე სული” (ინგ: Soul-mate) და “ტყუპისცალი სული / ტყუპების ალი” (ინგ: Twin Flams). მონათესავე სული შეიძლება დავარქვათ ასტრალურ სამყაროში ერთ ჯგუფში ან სულიერი განვითარების მსგავსი მიმართულების კლასტერში გაერთიანებულ სულებს , რომელსაც ჩვენ განვიხილავთ თავში სულის განვითარების ეტაპები. ასევე, შეგვიძლია ამავე სახელებით მოვიხსენიოთ სული, რომელთანაც რომელიმე წინა ცხოვრებაში ბევრი რამ გაკავშირებდა. მოვიყვანოთ მაგალითი: ერთ დღეს შევხვდით დიდი ხნის უნახავ ბავშვობის მეგობარს ან კლასელს. რა თქმა უნდა, მის

დანახვისას გაგვიჩნდება თბილი ემოციები, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აუცილებლად შეყვარებულები გავხდებით? ამავე დროს, ეს რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმასაც, რომ მართლაც შეიძლება ერთმანეთი შეგვიყვარდეს და ის ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი გახდეს. რაც შეეხება ტერმინს "ტყუპისცალი სული" ან "ტყუპების ალი". ასეთი სული მიიღება ფრაგმენტაციის შედეგად და წარმოადგენს იგივე ჩვენს თავს, ოღონდ სხვა განვლილი გამოცდილებით გარკვეული, დიდი დროის მონაკვეთში. აღნიშნული პროცესი განხილული იქნება თავში სიმკვრივე, თორმეტი სერვერი. ადამიანის ტყუპისცალი სული როგორც წესი, რჩება მაღალ სიმკვრივეებში და თეორიულად იმავე დროს რომც დაიბადოს, მასთან შეხება არ გვექნება იმ მიზეზით, რომ სულს არ აწყობს იგივე გამოცდილების გავლა. აქედან გამომდინარე, სასიყვარულო ურთიერთობაც ასეთ სულებს შორის იშვიათად ყალიბდება.

მე ხშირად შემხვედრია გულგატეხილი ადამიანი, რომელიც განიცდის, ბევრს ფიქრობს და საბოლოდ

ხვდება ილუზიაში. ამ დროს ადამიანი თვლის, რომ მხოლოდ ის არის თავის ცხოვრებაში “ის ერთადერთი” და მხოლოდ მას შეეძლო ყოფილიყო მისი ცხოვრების თანამგზავრი და მან კი ის დაკარგა. ეს განცდა ადამიანს კიდევ უფრო უმძიმებს მდგომარეობას. ამ დროს ადამიანი უნდა ეცადოს შეწყვიტოს შინაგანი ბრძოლა და მიიღოს სიტუაცია ისე, როგორც არის. მიიღოს ეს გაკვეთილი და ბოლოს შინაგანად გაუშვას. კარმული გაკვეთილის მთავარი პრინციპი სწორედ ეს არის, რომ ადამიანმა უნდა მიიღოს სიტუაცია შინაგანად, უნდა გაიაზროს და არ უნდა დაუწყოს ბრძოლა, არ უნდა ჩავარდეს განცდების მორევში და არ უნდა ააშენოს ილუზიის მთელი კოშკები. მან უბრალოდ უნდა მოახერხოს და გადააგოროს ეს სიტუაცია.

პატიება, თუნდაც მაშინ როდესაც საპატიებელი არაფერია, არის სწორედ ის მექანიზმი, რომელსაც შეუძლია კარმული სასიყვარულო ან სხვა ურთიერთობები დაასრულოს და შინაგანი მიჯაჭვულობები მოხსნას. იმ შემთხვევაში, თუ წყვილი შორდება წყენების და დაპირისპირების

ფონზე, სასურველია, რომ მოხდეს მათი შინაგანი შერიგება, ერთმანეთის პატიება. ამ დროს ადამიანი უნდა იყოს მადლიერი იმისთვის, რომ მისმა ყოფილმა შეყვარებულმა თავისი ცხოვრების გარკვეული დრო დაუთმო სწორედ მას, იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ადამიანს ჰქონდა განზრახული. სასურველია მან გაიხსენოს და კონცენტრირდეს ყოფილის მხოლოდ დადებით თვისებებზე და გაუგზავნოს მას სიყვარული და მადლიერება. იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა მათი ურთიერთობა იყო დიდი ხნის წინ, ამის გაკეთება გვიან არასდროს არის. ასევე, ამის გაკეთება იმავე წარმატებით შესაძლებელია, თუ მეორე ადამიანი უკვე ამ მატერიალურ სამყაროში არ იმყოფება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ სიყვარული არ არსებობს. ამ მხრივ ყველაზე კარგი ურთიერთობა არის მაშინ, როდესაც წყვილის ორივე წევრი იღებს ერთმანეთს ისეთებს, როგორებიც არიან და უპირობოდ უყვართ ერთმანეთი. ეს შეიძლება

ჩაითვალოს ნამდვილ სიყვარულად. ასევე, ხშირად ხდება, როდესაც პარტნიორები ზედიზედ ირჩევენ ერთად ცხოვრებას სხვადასხვა ინკარნაციაში და ამით უფრო და უფრო აღრმავებენ ურთიერთობას და ერთმანეთისადმი სიყვარულს. იმ შემთხვევაში, თუ ერთი პარტნიორის განვითარების სიჩქარე მაღალია მეორე პარტნიორთან შედარებით და ერთი პარტნიორი ძალიან ჩამორჩება მეორეს და ასე ვთქვათ, რაღაც დონეზე უკვე აფერხებს მის წინსვლას, მაშინ შეიძლება მოხდეს პარტნიორების დაშორება და ეს ტრაგედია არ უნდა გახდეს.

საბოლოო ჯამში, კარმულია ურთიერთობა თუ არა კარმული, ნებისმიერ შემთხვევაში, პატიება, მადლიერება და სიყვარული - ეს არის ის სამი რამ, რასაც შეუძლია მოხსნას ის მიჯაჭვულობა, რისგანაც ზოგჯერ ადამიანები იტანჯებიან. და არ აქვს მნიშვნელობა მეორე ადამიანი იმყოფება მატერიალურ სამყაროში, თუ უკვე აღარ.

ზოგადად, ადამიანის პირადი ურთიერთობა, როგორც თავად სახელი მეტყველებს, მისი პირადი საქმეა. თითოეული ადამიანის მოთხოვნილებები,

ემოციები, ტემპერამენტი თუ ლტოლვები განსხვავდება. შესაბამისად, ადამიანის ქმედებები თუ მიდგომები ამ კუთხით ინდივიდუალურია. ადამიანი მორალურ კანონებს ნაწილობრივ თავად ქმნის საკუთარი თავისთვის და მომავალში ეს კანონები იმოქმედებს და განხორციელდება მასზე. სასურველია, რომ ადამიანი მოერიდოს სხვისი ქცევის განკითხვას, რადგან ამ ყველაფერმა შესაძლოა მასზე იმუშაოს იქიდან გამომდინარე, თუ როგორ განიკითხავს ის სხვას ან თუნდაც საკუთარ თავს. ამ სისტემას ჰქვია ავტომატური კარმა და მას მოგვიანებით განვიხილავთ.

ნებისმიერ ურთიერთობაში, გარკვეული სახით, მნიშვნელოვანია გულწრფელობა. ასევე, არ არის სასურველი კონკრეტული მოგების მიღების მიზნით მოხდეს იმ დაპირებების მიცემა პარტნიორისთვის, რომელიც თავიდანვე ტყუილია. სიტყვიერი დაპირების მიცემა ან შეთანხმება, რომელიც ტყუილზე არის აგებული, ადვილად გამოჩნდება მატრიცაში, თქვენს პირად საქმეში და თქვენს თაღლითობისკენ მიდრეკილებაზე მიუთითებს.

ასეა თუ ისე, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დედამიწა არის შეცდომების პლანეტა, სადაც ადამიანი უშვებს უამრავ შეცდომას და ამ შეცდომების შემდეგ ადამიანი არ უნდა ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში ან კიდევ სხვას არ უნდა დააბრალოს, არამედ, გაიაზროს, მიხვდეს თუ რა შეცდომა დაუშვა, ეცადოს მის გამოსწორებას და მომავალში გაითვალისწინოს. უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომის გამოსწორება გვიან არასდროს არის.

შეთანხმებები

თუ კარმული პროგრამის სისტემა წარმოადგენს იურიდიულ ფორმას, მაშინ შეთანხმებები არის დაბადებამდე ასტრალურ სამყაროში წინასწარი "სიტყვიერი შეთანხმება" ორ ან რამდენიმე სულს შორის. მაგალითად, ასტრალურ სამყაროში ორი სული შეიძლება შეთანხმდეს, რომ ამ კონკრეტულ ცხოვრებაში ისინი ცოლ-ქმარი იქნებიან, თუმცა ამ შემთხვევაში ერთ-ერთ სულს ან უკვე მატერიალურ სამყაროში ყოფნის დროს შეუძლია გადაიფიქროს და შეცვალოს თავისი გეგმები. მაგალითად, წინასწარ

დაგეგმილი წყვილი, შეიძლება შეხვდეს ერთმანეთს და შემდეგ ერთ-ერთს ან თუნდაც ორივეს აღარ მოეწონოს პარტნიორი და სცენარი შეცვალოს. ამ შემთხვევაში, ისინი უბრალოდ სხვა გზით წავლენ და ცხოვრება გაგრძელდება ჩვეული რიტმით. ასეთი შეთანხმებების ვარიაციები სულებს შორის, რომლებიც იგეგმება მათი დაბადების წინ, ძალიან ბევრია. მაგალითად, შეიძლება წინასწარ დაიგეგმოს ბიზნეს საქმიანობაში ერთად ყოფნა, პარტნიორობა რაიმე სფეროში, უბრალოდ მეგობრობა, ერთმანეთის დახმარება ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში და მრავალი სხვა.

ავადმყოფობები და დეფექტები

ზოგიერთ შემთხვევაში კარმულ პროგრამაში შეიძლება ჩაიდოს ავადმყოფობები ან ფიზიკური დეფექტები. თუმცა ეს შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ წინა ცხოვრებებში ადამიანმა დაუშვა შეცდომა, არამედ ამ მდგომარეობამ ადამიანს უნდა უბიძგოს იმისკენ, რაც დააფიქრებს ისეთ რამეებზე, რაზეც სხვა მდგომარეობაში არ დაფიქრდებოდა. მან უნდა გამოიტანოს გარკვეული დასკვნები, შეხედოს ცხოვრებას ან გარკვეულ საკითხებს სხვა თვალით და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თვითონ სულის სურვილით და გადაწყვეტილებით ხდება.

კარმულ პროგრამაში ზოგჯერ შეიძლება ჩაიდოს ის პროცესი თუ როგორ გარდაიცვლება ადამიანი. ის შეიძლება მძიმე დაავადებებსაც შეიცავდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ისედაც არ შეიძლება რომ დაავადდეს. და თუ ის მოხუცებულ ასაკში ისედაც დაავადდა, მაგრამ მას კარმულად არ ეკუთვნოდა ავადმყოფობაში და ტანჯვაში სიკვდილი,

მაშინ შესაძლოა მისმა გიდმა გადაწყვიტოს მისი ცხოვრებიდან გამოყვანა. ეს შეიძლება მოხდეს მრავალი გზით. მაგალითად, ადამიანს უცებ დაემართოს ინფარქტი. და ისევ და ისევ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ინფარქტი ამ ფაქტორის გარეშე არ დაემართებოდა.

კარმასთან მუშაობა

ღმერთის მიერ შექმნილ დიდ სამყაროში, ვერ ნახავთ ვერცერთ კუთხე-კუნჭულს, სადაც რაიმე წესები არ არსებობს. წესები არის ყველგან. არის უნივერსალური წესები, რომლებიც ეხება აბსოლუტურად ყველა სამყაროს, არის წესები, რომლებიც განსხვავდება და მოქმედებს კონკრეტულ სამყაროებზე.

კარმული კანონების გავლენის ქვეშ მოხვედრისგან თავის ასარიდებლად, პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ზოგიერთ ქცევას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული შედეგები. ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვართ სრულიად თავისუფლები,

უბრალოდ ვაკეთოთ რაც გვინდა ან რაც მოგვესურვება, თუნდაც ეს კანონით არის დაშვეული და ეს ჩვენს თავისუფლებას დავაბრალოთ.

უკვე შექმნილ კარმას ვერ ავცდებით, თუმცა მისი ზემოქმედება შეიძლება იყოს მსუბუქი თუ ჩვენ მას მივიღებთ როგორც გაკვეთილს. გავაკეთებთ დასკვნებს, გავიაზრებთ და გავითვალისწინებთ. თუ ჩვენ დავიწყებთ კარმული შედეგების წინააღმდეგ ბრძოლას, ეს კარმული გაკვეთილი კიდევ უფრო დიდხანს გაიწელება. თუ ჩვენ ყველაფერს, როგორც ტრაგედიას ისე მივიღებთ, მაშინ ამ ნეგატივმა შეიძლება ფესვები გაიდგას და რაც დავიმსახურეთ იმაზე მეტი ნეგატივი მივიღოთ და ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაგვექცეს.

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ცუდი კარმა, მაგრამ თავისი ცხოვრება
მაინც ზღაპრად აქციოს და ადამიანს შეიძლება ჰქონდეს
კარგი კარმა და თავისი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციოს.

ეს არის კეთილი ნების ფუნდამენტური კანონი დედამიწაზე.

წარსული კარმა უნდა შესრულდეს სიყვარულით, მონდომებით და მადლიერებით. კარმული პროგრამა მოიცავს იმას, რაც სულს ჯერ ნასწავლი არ აქვს და არა სასჯელს. წარმოვიდგინოთ, რომ სასწავლებელში სტუდენტს აძლევენ სამეცადინოს. ის მეცადინეობს წუწუნით, უკმაყოფილებით და თავს იდანაშაულებს, თუ რატომ არ იცოდა ეს აქამდე. ანალოგიურად, სული გაკვეთილს იღებს ასტრალურ სამყაროში და მოაქვს მატერიალურ სამყაროში სამეცადინოდ.

პატიება ერთ-ერთი კარგი აქტია კარმული შედეგების ნაწილობრივ შესარბილებლად ან ზოგჯერ - დასასრულებლად. თუმცა დაზარალებულის სურვილით და პატიებით არ შეიძლება დამნაშავეს გაუნეიტრალდეს კარმული შედეგები. მაგალითად, თქვენ ხართ "მსხვერპლი" და აპატიეთ "თავდამსხმელს", მის საქციელს კარმული შედეგები მაინც მოჰყვება. მაგრამ თუ მაგალითად, ორ ადამიანს შორის მტრული დამოკიდებულებაა და

მათი კარმული შედეგები გრძელდება ცხოვრებიდან ცხოვრებაში, დავუშვათ, ერთ ცხოვრებაში ერთმა დაუშავა, მომდევნო ცხოვრებაში მეორემ და მათ შორის მტრობა მიმდინარეობს და შემდეგ მოხდა პატიების აქტი, მაშინ კარმა ამ ორ ადამიანს შორის სრულდება. ამას უწოდებენ კარმული კვანძის გახსნას.

ახლა კი, ჩვეულებისამებრ გავეცნოთ იმ უკიდურესობებს, რაშიც შეიძლება გადავარდეს სული: იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა სწავლებაში ფიგურირებს ინფორმაცია კარმის შესახებ, კარმული პრინციპის გაცნობის შემდეგ, ადამიანები, რომლებიც მიდრეკილნი არიან თავისი წარუმატებლობა ცხოვრებაში სხვას დააბრალონ, ექცევიან ილუზიაში, რომ მათი წარუმატებლობა ნებისმიერ სფეროში სწორედ კარმის ბრალია. ეს ზოგჯერ ჩვევაშიც კი გადადის. ადამიანი ყოველ წარუმატებელ შემთხვევას, პირად ურთიერთობას, ემოციას თუ ჯანმრთელობის პრობლემას კარმას უკავშირებს და ამით იმართლებს თავს საკუთარ

თავთან. უმეტეს შემთხვევაში ეს არასწორად გაგებული კარმის სისტემაა.

ასევე არიან ადამიანები, რომლებიც არ ცდილობენ ცხოვრებაში რაიმე შეცვალონ. ისინი, ვინც მიდრეკილნი არიან ჯიუტობისა და დაუმორჩილებლობისკენ, იწყებენ ბრძოლას სამყაროს კანონზომიერებისა და კარმის წინააღმდეგ, არ იღებენ გაკვეთილს და არ აანალიზებენ იმას, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა მათ ცხოვრებაში.

კარმული საკითხების განხილვის შემდეგ, ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, თუ მაინც ყველაფერი კარმულ პროგრამასა და კანონებზეა დაფუძნებული, მაშინ რა აზრი აქვს სიკეთისკენ სწრაფვას, სხვის დახმარებას და ა.შ.? ეს დაახლოებით შეიძლება შევადაროთ იმ სიტუაციას, როდესაც ქვეყანაში არსებობს წესები და კანონები და ამიტომ აღარ ღირს უკეთესი ფასეულობებისკენ სწრაფვა. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენს აზროვნებაზე და სწორ კონცეფციებზე არის დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება და ის, თუ რას მოვიზიდავთ მომავალში,

თუნდაც კარმული კანონების გათვალისწინებით. იცვლებიან ადამიანები და მათი ფიქრები, იცვლება სამყარო და კარმული კანონების მათზე ზემოქმედებაც.

ასევე, უკიდურესობად შეიძლება ჩაითვალოს წარსული კარმის გამო თავის დადანაშაულება. ეს იგივეა, რომ უნივერსიტეტში ადამიანმა თავი დაიდანაშაულოს, რომ მან არ იცის ის, რასაც სწავლობს. ან პატარა ბავშვი დავადანაშაულოთ, რომ მან შემთხვევით რაღაც გატეხა. მან ეს გატეხა იმიტომ, რომ ჯერ არ იცის, რომ როდესაც რაიმე ვარდება სიმაღლიდან ის ტყდება და ჯერ ვერ არჩევს მსხვრევად ნივთს მყარისგან. სულებს, რომლებიც დამწყებ ეტაპზე იმყოფებიან, ზოგჯერ უჭირთ ცუდის და კარგის გარჩევა იქამდე, სანამ ამას თავიანთ თავზე არ გამოცდიან. ამას ემატება დაბადების ამნეზია და ის გარემო, რომელშიც გავიზარდეთ. ამიტომ თავის დადანაშაულება ეს საკუთარ თავზე თავდასხმაა. ეს განსჯაა, ოღონდ, ამ შემთხვევაში, სხვის ნაცვლად, საკუთარი თავის. ეს არის ერთ-ერთი უკიდურესობა. შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი

ხაფანგი, რომელშიც სული შეიძლება მოექცეს. ამის გამოსასწორებლად, ადამიანმა უნდა აპატიოს თავს ყველაფერი, მათ შორის ისიც, რომ საკუთარ თავს ესხმოდა და გამუდმებით ადანაშაულებდა . ასევე, მან უნდა შეიყვაროს თავი და ამის გაკეთების ძალიან მარტივი გზა არის სიყვარულის მედიტაცია, რომელსაც შემდეგ თავებში განვიხილავთ.

სულის განვითარების გრძელ გზაზე იკვეთება გარკვეული ტენდენცია. დამწყები სული უფრო მიდრეკილია შეცდომების დაშვებისკენ, ვიდრე უკვე განვითარებული. შესაბამისად, დამწყები სული უფრო მიდრეკილია კარმული დავალიანებების დაგროვებაზე, ვიდრე გასტუმრებაზე. ხოლო განვითარებულ სულს უფრო მეტად უწევს ძველი კარმული დავალიანებების გასტუმრება და უშვებს ნაკლებ შეცდომებს. ზოგჯერ ეს ხდება იმის მიზეზი, რომ განვითარებულ სულებს უფრო რთული ცხოვრება აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ სულის დედამიწაზე განვითარების ბოლო სტადიაზე, უმეტეს შემთხვევაში, სულები მუშაობენ შინაგანად სამყაროს ისეთად მიღებაზე, როგორიც ის სინამდვილეში არის.

კარმული პრინციპების გაცნობის შემდეგ, ადამიანს გაუჩნდება განცდა. თუ ვინმეს შეიძლება ცუდი რამ შეემთხვეს და მიზეზი მისი კარმული დავალიანება იყოს, მაშინ რა აზრი აქვს, რომ მას დავეხმაროთ? გავაკეთოთ ანალოგი, წარმოვიდგინოთ რომ ადამიანმა ბიზნესში დაუშვა გარკვეული შეცდომები და გაკოტრდა, დარჩა აბსოლუტურად უფულოდ და ამ დროს ჩვენი დამოკიდებულება: თვითონ დაუშვა შეცდომა ბიზნესში, ამიტომ დარჩა უფულოდ და რა აზრი აქვს, რომ მას დავეხმაროთ?! ან წარმოვიდგინოთ, ადამიანს ჰქონდა ბანკის ვალი, მოუწია ბინის გაყიდვა და დარჩა უსახლკაროდ. ამ დროს, ჩვენ მას არ დავეხმაროთ და ვიფიქროთ, რომ მას ბანკის ვალი ჰქონდა დასაფარი, ამიტომ დარჩა უსახლკაროდ და მისი ბედიც ეს არის! ამას გარდა, ამ ცხოვრებაში ჩვენთვის უცნობია კარმულია თუ არა გარკვეული მოვლენები, რომელიც ადამიანის გარშემო ვითარდება. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი გაჭირვებაში იმყოფება, კარმულია ეს თუ არა, ჩვენ მას უნდა დავეხმაროთ და თუნდაც კარმული გავლენა შევუმსუბუქოთ. ყველაზე კარგი დამხმარე არის ინტუიცია, რაც ადამიანს

კარნახობს, როგორ მოიქცეს უკეთესად ან ვის და როგორ დაეხმაროს. გასათვალისწინებელია, რომ გულგრილობისთვის და დახმარების არ გაწევისთვის შეიძლება ადამიანმა მიიღოს შესაბამისი კარმა.

ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია, რომ ადამიანმა არ იცოდეს თავისი კარმის შესახებ, ამიტომ, თვითონ კარმულ პროგრამაში იწერება ფუნქცია, რომელიც უბლოკავს ადამიანს ამ ინფორმაციას და ის შეიძლება მთელი ცხოვრება იკვლევდეს, თუ რატომ ხდება მის ცხოვრებაში გარკვეული მოვლენები და ვერასდროს ვერ მიხვდეს ამის მიზეზს, თუნდაც ეს ელემენტარული იყოს.

ზოგიერთ სწავლებაში, მოცემულია კონცეფცია, რომ ადამიანები ჩათრეული არიან კარმულ სისტემაში და ვერ გამოდიან იქიდან, ეს ბოლომდე სწორად არ ასახავს არსებულ ვითარებას. სულს თვითონ არ აწყობს კარმის დაუსრულებლად მიტოვება. ისევე როგორც სტუდენტს არ აწყობს სწავლის შუა გზაში მიტოვება იმიტომ, რომ მაშინ მისი განვითარება ფერხდება და საბოლოოდ ის ვერ მოხვდება იქ, სადაც მას სურს რომ მოხვდეს.

ადამიანის კარიერული თუ პროფესიული განვითარება

ღმერთის მიერ შექმნილი თვალუწვდენელი სამყარო, რომლის წარმოუდგენლად პატარა ნაწილს შეადგენს დედამიწა, არის აბსოლუტურად სისტემური, რომლის გამართულად მუშაობასაც პროფესიონალები განაპირობებენ. ამიტომ ნებისმიერი საქმის პროფესიონალი, საქმის კარგი შემსრულებელი, თუ შესაბამისი გამომუშავებული თვისებები ფასობს სამყაროს ნებისმიერ კუთხეში. ეს ეხება დღეს დედამიწაზე არსებულ ყველა სფეროს, იქნება ეს მედიცინა, ხელოვნება, მშენებლობა, ბიზნესი, მმართველობა, რაიმე ხელობა, მომსახურების სფეროები თუ მილიონი სხვა რამ. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ დედამიწაზე ცხოვრების მისია მხოლოდ სწავლა და მუშაობაა და ჩვენ ცხოვრების ყოველი წამი მხოლოდ და მხოლოდ მუშაობასა და სწავლაში უნდა გავატაროთ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი არჩეული საქმე

ბოლომდე შევისწავლოთ და ვიყოთ ამ საქმეში პროფესიონალი.

მოდით გავამარტივოთ და გავაკეთოთ შედარება. თქვენ გადაწყვიტეთ მედიცინის შესწავლა, აირჩიეთ შესაბამისი კურსი სხვა ქვეყანაში, სწავლა რა თქმა უნდა ფასიანი, გააფორმეთ ხელშეკრულება და წახვედით იმ ქვეყანაში სასწავლებლად. სასწავლებელში მისვლის წინ დაიბლოკეთ მეხსიერება - ასეთია სასწავლებლის წესები. ამიტომ სასწავლებელში ყოფნის დროს თქვენ უკვე აღარ გახსოვთ, რომ აქ სწავლისთვის მოხვედით და რომ თქვენში გარკვეული რესურსებია ჩადებული ამისთვის. თუმცა მეტწილად ლექციებს/გაკვეთილებს არ ესწრებით და დროს უქმად ჰკარგავთ. როდესაც დაბრუნდებით სასწავლებლიდან, მოგეხსნებათ ამნეზია, დაგიბრუნდებათ მეხსიერება და სწორედ მაშინ თავზე ხელს შემოირტყამთ. ანალოგიურად, ზოგჯერ სული დაბადებამდე, სხვა მისიების პარალელურად ირჩევს გარკვეული ხელობის ან დარგის შესწავლას, მაგრამ როდესაც იბადება, აღარ ახსოვს თავისი გეგმა და შეიძლება ბოლომდე კარგად

ვერ შეისწავლოს ეს სფერო, შემდეგ კი ინანოს, რომ ამ მხრივ ცხოვრება ტყუილად გაფლანგა.

ეს რომ არ მოხდეს, სასურველია ნებისმიერი საქმე, რომელსაც აკეთებთ, შეისწავლოთ საფუძვლიანად და გახდეთ ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალი. ზოგჯერ ადამიანი შეიძლება ფიქრობდეს, რომ იმას, რასაც სწავლობს და რა თვისებებსაც გამოიმუშავებს, დროებით, მხოლოდ ამ ცხოვრებაში გამოადგება. სინამდვილეში, ყველაფერი, რასაც ვსწავლობთ, ჩვენთან რჩება და წარმოადგენს ჩვენი სულის ნაწილს სამუდამოდ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მით უმეტეს, დღესდღეობით სხვადასხვა სფეროში პროფესიონალიზმის გაღრმავებისთვის არის ძალიან ბევრი საშუალება, მათ შორის ინტერნეტ რესურსები.

კონკრეტული საქმის ცოდნის გარდა, დიდ როლს თამაშობს ის, თუ რა თვისებებს გამოავლენს ადამიანი პროფესიული განხრით და როგორ ასრულებს ამა თუ იმ საქმეს და დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, ის მუშაობს კომპანიაში მომსახურების განხრით, მნიშვნელოვანია რა პასუხისმგებლობას გამოავლენს ადამიანი - თუ

რამდენად მონდომებული, მოწესრიგებული, პუნქტუალური და მოტივირებული იქნება. თუ მიმდინარე ინკარნაციაში კარგად ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობებს და მეტის გაკეთებაც შეგიძლიათ უკვე მომავალში ან თუნდაც შემდეგ ცხოვრებაში, უფრო საპასუხისმგებლო საქმეებშიც იქნებით ჩართული. მაგრამ, თუ უპასუხისმგებლოდ, გულგრილად და მექანიკურად ასრულებთ საქმეს და არ ხართ განვითარებაზე ორიენტირებული, ეს ნიშნავს, რომ ჯერ არ გაქვთ შესაბამისი თვისებები გამომუშავებული და შემდეგ ცხოვრებაშიც უფრო დაბალი ან მსგავსი პროფესია გექნებათ იქამდე, სანამ არ გამოიმუშავებთ სათანადო თვისებებს, რომ უფრო ზემოთ წახვიდეთ. მომავალ ცხოვრებაში თქვენ მოხვდებით ისეთ გარემოში, რაც შეგიწყობთ ხელს ამ თვისების გამომუშავებაში.

ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა უდევს საფუძვლად თქვენს საქმიანობას, რამდენად გაქვთ სურვილი შეიტანოთ წვლილი საზოგადოების საკეთილდღეოდ. თუ მომსახურების სფეროში ხართ, რამდენად კარგად და გულით ემსახურებით საზოგადოებას.

ასეთ ნიუანსებს დიდი ყურადღება ექცევა ასტრალურ სამყაროში. ცხოვრებაში შეიძლება არჩევანის წინაშეც დადგეთ - ფული თუ წესიერება? და თქვენი ეს არჩევანი შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორიც გახდეს თქვენი სულის მომავლისთვის.

ისევე, როგორც სულიერ განვითარებაში ადამიანი ვითარდება ციკლურად, პროფესიულ განვითარებაშიც იგივე პრინციპი შეინიშნება. ადამიანი აღწევს წარმატებებს და მიდის წინ თავის კარიერაში. რაც უფრო ზემოთ ადის, შეცდომების დაშვების რისკი პროპორციულად იზრდება. თუ შეცდომა დაუშვა, ვარდება ისევ უკან, ხვეწს იმ თვისებებს, რამაც ჩამოაგდო და ისევ ზემოთ მიიწევს. ასე რომ, პროფესიონალიზმის პარალელურად, უნდა დაიხვეწოს თვისებებიც. წარმოვიდგინოთ, რომ მიაღწიეთ კარიერულ წინსვლას, მაგალითად,გახდით კორპორაციის დირექტორი, თუმცა “თავში აგივარდათ”, ზემოდან დაუწყეთ სხვებს ყურება, ცუდად სარგებლობთ თანამდებობით ან ხალხს უწევთ ექსპლუატაციას. ეს ნიშნავს, რომ ჯერ არ ხართ მზად მსგავსი თანამდებობისთვის და უკვე

შემდეგ ცხოვრებებში დაბალ პოზიციაზე იქნებით იქამდე, სანამ შესაბამის თვისებებს არ განავითარებთ.

დარწმუნებული ვარ, დაგებადებათ კითხვა - მაშინ რატომ ხდება ისე, რომ ზოგჯერ მაღალ თანამდებობაზე, იქნება ეს ბიზნესი თუ პოლიტიკა თუ სხვა სფერო, ხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი თვისებები გამომუშავებული. საქმე იმაშია, რომ ამ ცხოვრებაში, დედამიწაზე არსებული კეთილი ნების პრინციპიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანების საქმიანობაში ჩარევა არ ხდება. ყველაფერი, რაზეც ვისაუბრეთ, შემდეგ ცხოვრებაზე აისახება. მაგალითად, თუ გეკუთვნით დაბალ თანამდებობაზე ყოფნა, მაგრამ გაიძვერობით მოახერხეთ ძალიან მაღალი პოზიციების დაკავება, ეს ნიშნავს, რომ თქვენ გაიძვერობის და სხვა მსგავსი თვისებებიც ალმოგაჩნდათ და იმის გარდა, რომ ამას კარმული შედეგები მოჰყვება, შემდეგ ცხოვრებებში უკვე კარმული პროგრამა დაბლიდან მაღლა მოხვედრის

საშუალებას აღარ მოგცემთ იქამდე, სანამ ეს თვისებები არ დამუშავდება.

ისევე როგორც კარიერულ, ასევე ფინანსურ აღმავლობას მოჰყვება დაკვირვება ზემოდან. თუ ადამიანი მდიდრდება, ეს არის ერთგვარი ტესტი, თუ რა თვისებებს გამოავლენს ის ან უკვე სიმდიდრის ფონზე. მაგალითისთვის, რაში დახარჯავს ფულს, შეიცვლება კარგისკენ, ცუდისკენ და სხვა. თუ სიმდიდრეს არასწორად ან ბოროტად გამოიყენებს, როგორც უკვე ვთქვით, ამას მოჰყვება კარმული შედეგები და უკვე შემდეგ ცხოვრებაში დაიბადება სილარიბეში და შეექმნება ის სიტუაციები, რომლებიც უბიძგებენ იმ თვისებების გამოსწორებისკენ, რამაც შეცდომები დააშვებინა.

ხშირად ხდება მეორე უკიდურესობაც, როდესაც ადამიანი არ არის დარწმუნებული თავის თავში, ჰგონია, რომ არ არის საკმარისად ძლიერი, რომ შეძლოს რაიმე საქმიანობაში მოღვაწეობა. ეს ზოგჯერ ემართებათ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებიც ზუსტადაც რომ მაღალი პოზიციებისთვის არიან შექმნილნი. თუ ხართ

წესიერი, მოწესრიგებული და პასუხისმგებლობიანი ადამიანი, ბოლომდე უნდა გაშალოთ ფრთები და ყველაფერი უნდა მოიმოქმედოთ იმისთვის, რომ წარმატებებს მიაღწიოთ ცხოვრებაში და არ ისხდეთ ინერტულად და იძახოთ: მოდი, ჯობია წყნარად ვიჯდები და არ დავირღვევ კომფორტის ზონას. თუ ამ ცხოვრებაში გეძლევათ საშუალებები და არ გამოიყენებთ მათ, ეს ნიშნავს რომ არ გჭირდებათ წარმატებები და არც განვითარება ამ კუთხით. შესაბამისად, შემდეგ ცხოვრებაზეც თქვენზე აქცენტი აღარ გაკეთდება იმიტომ, რომ დაბალ პოზიციაზე ყოფნა და მინიმალურიც გაკმაყოფილებთ.

თუ დაკარგეთ სამსახური, ზიხართ სახლში და ამბობთ, რომ არ იცით თუ რა გააკეთოთ, რით დაკავდეთ და ცდილობთ უბრალოდ დრო გაიყვანოთ, ეს ნიშნავს, რომ უკვე გაქვთ გარკვეული პრობლემები საკუთარი თავის განვითარებაში, არა იმიტომ, რომ სამსახური დაკარგეთ. არის უამრავი საქმიანობა, რომელშიც შეგიძლიათ გაიღრმაოთ

ცოდნა თუნდაც იმ სფეროში, რომელიც თქვენს ამჟამინდელ პროფესიას უკავშირდება.

ამავე დროს, კარიერული თუ შემოქმედებითი წინსვლა არ უნდა დაემსგავსოს ბრძოლას. თქვენ არ უნდა სდიოთ წარმატებას, ის თვითონ მოვა, როდესაც ამისთვის შინაგანად მზად და წარმატებისთვისაც მიმზიდველი იქნებით. იყავით მაღალი ფასეულობების მატარებელი, ბეჯითი, კეთილსინდისიერი, გამოავლინეთ შესაძლებლობების მაქსიმუმი, იყავით საქმეში პროფესიონალი და სისტემაც მოგცემთ მომავალში ყველაფერ იმას, რაც დაიმსახურეთ და რასთანაც ხართ შესაბამისობაში. ის მსახურება თუ სიკეთე, რასაც თქვენ გასწევთ, არასდროს დაიკარგება, ის თქვენი სულის, ეგრეთ წოდებულ პორტფოლიოში სამუდამოდ დარჩება და ეს იქნება ის, რასაც წარმოადგენთ დღეს, ხვალ და მარადიულად, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

არის თუ არა დედამიწაზე თავისუფალი ნება

დედამიწა და ჩვენი ცივილიზაცია სინამდვილეში წარმოადგენს ექსპერიმენტს და შეიძლება ითქვას, ჩვენ ვართ ამ ექსპერიმენტის მონაწილენი. ექსპერიმენტის მთავარი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: რა იქნება, თუ ადამიანებს დავავიწყებთ ვინ არიან ისინი და მივცემთ მოქმედების მაქსიმალურ თავისუფლებას. კოსმიური მასშტაბით, კაცობრიობა სინამდვილეში იმყოფება განვითარების მხოლოდ საწყის სტადიაზე. ადამიანს შეუძლია თავის ცხოვრებიდან შექმნას წარმატებული პერსონაჟი და პირიქით, ბოლომდე დაეცეს და გაინადგუროს თავი. მას შეუძლია ცხოვრებიდან მიიღოს მაქსიმუმი, განვითარდეს ან უაზროდ გაფლანგოს თავისი ცხოვრება, დიდი ძალისხმევის შედეგად შექმნას რაიმე და შემდეგ ერთ დღეში გაანადგუროს. დაიჯეროს ათასი სისულელე, რომელიც ლოგიკაშიც კი არ ჯდება, და სხვასაც დააჯეროს ან მთელი ცხოვრება სიკეთეს ემსახურებოდეს და მოულოდნელად ბოროტების სამსახურში ჩადგეს ან პირიქით. როგორც, უკვე ვთქვით, გიდები ეცდებიან ადამიანს მიუთითონ და დაეხმარონ, მაგრამ

საბოლოო სიტყვა მაინც თავად ადამიანზეა და მისი არჩევანია გადამწყვეტი.

იგივე პრინციპი მოქმედებს ქვეყნის და მთელი ცივილიზაციის შემთხვევაშიც კი, სადაც არჩევანს მასში გაერთიანებული ადამიანების კრიტიკული მასა აკეთებს. სწორედ ქვეყნის მოსახლეობის კრიტიკული მასა წყვეტს, თუ რა მიმართულებით იაროს ქვეყანამ, ხოლო ცივილიზაციის მიმართულებას დედამიწის მთლიანი მოსახლეობის მასა წყვეტს. ეს თემა განხილულია თავში ქვეყნის და პლანეტის კარმული სისტემა.

ავტომატური კარმა

ავტომატური კარმა გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში. ეგრეთ წოდებული განვლილი ცხოვრების განხილვა არის ის ერთადერთი ადამიანური ფაქტორი, რომელიც ჩვენ ბედზე ზემოქმედებს, სხვა დანარჩენი, მათ შორის ავტომატური კარმა, მუშაობს ავტომატურად, ასტრალური კომპიუტერული ალგორითმის თუ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით.

წარმოვიდგინოთ ფეხბურთის მოედანი, სადაც მიმდინარეობს მატჩი. თამაშს ჰყავს მსაჯი, რომელიც თვალს ადევნებს პროცესს და თუ ვინმე დაარღვევს წესს, ის აფიქსირებს ამას და ფეხბურთელს აჯარიმებს. ახლა წარმოვიდგინოთ რვა მილიარდი ფეხბურთის მოთამაშე. მსაჯებს გაუჭირდებათ ყველა მოთამაშის შეფასება და დევნა, ამიტომ ღმერთმა

გამოიგონა სისტემა, სადაც ფეხბურთელი თავად შეაფასებს საკუთარ თამაშს და თვითონვე დანიშნავს ჯარიმას, თუ ჩათვლის, რომ ჯარიმას იმსახურებს. მოთამაშე საკუთარ თავს უბრალოდ ვერ მოატყუებს და მან კარგად იცის რა წესიც დაარღვია. შესაბამისად, საკუთარ თავს ისეთ ჯარიმას დაუწესებს, როგორსაც თვითონვე ისურვებდა, სხვის მიერ იგივე დარღვევის ჩადენის შემთხვევაში ან ისეთს, როგორსაც სამართლიანად ჩათვლის.

ავტომატური კარმის სისტემაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რას აკეთებს ადამიანი, არამედ იმასაც, თუ რა დამოკიდებულება აქვს თავად საკუთარი ქმედების მიმართ. ეგრეთ წოდებული "მჯერა" და ის სტერეოტიპები, რომლებიც ჩვენს ქვეცნობიერში არსებობს, მაგალითად ის, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, ავტომატური კარმის ალგორითმის მუშაობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

თვალსაჩინოებისთვის, ორმა ადამიანმა გააკეთა რაიმე, ჩვენი გადმოსახედიდან, ნეგატიური ქმედება. ერთის ქვეცნობიერის ბაზაში არის ჩანაწერი, რომ ეს

ცუდი ქმედებაა, ხოლო მეორის ქვეცნობიერის ბაზაში ამ ქმედების შესახებ არანაირი ჩანაწერი არ არსებობს. ფაქტობრივად, ერთმა იცის, რომ ცუდს აკეთებს, ხოლო მეორემ არ იცის. ამ შემთხვევაში, პირველი დაიწყებს იმის მოზიდვას, რასთანაც არის კავშირში ეს ქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის დაიწყებს მიზიდვას იმის, რისიც მისივე შეფასებით იმსახურებს ადამიანი, რომელიც მსგავს ქმედებას სჩადის. ხოლო მეორეს შემთხვევაში არაფერი მოხდება.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალი ფასეულობების მატარებელია ადამიანი, მით უფრო მოქმედებს მასზე ავტომატური კარმა, მის ქვეცნობიერში არსებული ფასეულობებიდან და მიდგომებიდან გამომდინარე. ხოლო სულზე, რომელიც დამწყებია და ჯერ არ აქვს ფასეულობები ჩამოყალიბებული, უფრო ნაკლებად. ეს წააგავს სიტუაციას, სადაც პატარა ბავშვმა, რომელმაც სახლში რაღაც გატეხა, ამაზე პასუხს ნაკლებად მოსთხოვენ ვიდრე ზრდასრულ ადამიანს. გამოთქმა “არ ცოდნა არ ცოდვაა” კარგად ასახავს

ავტომატური კარმის ალგორითმის მუშაობის პრინციპს.

ამ სისტემიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვეცადოთ დავაფიქსიროთ საჯაროდ თუ საკუთარ გონებაში ადამიანების კარგი თვისებები. დავაფიქსიროთ, როდესაც ვხედავთ, რომ ადამიანი საზოგადოებისთვის კარგ საქმეს აკეთებს, შეაქვს საკუთარი წვლილი საერთო კეთილდღეობაში. როდესაც ასეთ ადამიანს წარმატებას გულწრფელად უსურვებთ, ამ პრინციპიდან გამომდინარე, მომავალში ეს თქვენზეც აისახება. ამას მასიური ხასიათიც შეიძლება ჰქონდეს. თუ დააკვირდებით, ქვეყნები, სადაც ადამიანები თავიანთ აზრებში, საჯაროდ თუ სოციალური ქსელის კომენტარებში ერთმანეთს წარმატებას უსურვებენ, უხარიათ სხვისი წარმატება და არ შურთ სხვისი კეთილდღეობა, მათი ქვეყნის ეკონომიკური და ცხოვრების დონე მით უფრო მაღალია. რა თქმა უნდა, ავტომატური კარმის გარდა, იქ სხვა ფაქტორებიც მოქმედებს.

იგივე პრინციპი მუშაობს სხვისი განსჯის შემთხვევაში. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ

ყველაფერი, რაც სხვის განსჯას ეხება, ადრე თუ გვიან შეიძლება თქვენზეც აისახოს.

ავტომატურ კარმის სისტემაში მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი ყოველთვის იყოს მართალი საკუთარ თავთან,
და მართალი ყველა მის ქმედებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტომატური კარმის მუშაობაში გადამწყვეტი როლი აქვს ჩვენს ფიქრებს და მიდგომებს. თვალსაჩინოებისთვის მინდა მოვიყვანო ასეთი მაგალითი, თუ როგორ ჩანს ასტრალური სამყაროდან ან მატრიცის მხრიდან ჩვენი მოქმედება. წარმოვიდგინოთ ორი ადამიანი. პირველი იმყოფება ომში, ხედავს უამრავ საშინელ სცენას, ხვდება სხვადასხვა მძიმე და საშიშ სიტუაციაში, მაგრამ ადამიანი მოქმედებს ყოველგვარი ემოციის გარეშე, ის უბრალოდ მშვიდად ასრულებს თავის მოვალეობას. მეორე ადამიანი მუშაობს კეთილმოწყობილ ოფისში. ირგვლივ არც მკვლელობებია, არც სისხლი. ის მხოლოდ

ყოველდღიური რუტინული ცხოვრებისგან იღებს სტრესს. ამის ნიადაგზე ნერვულია, ღელავს, უარყოფითად აფასებს სხვის ქმედებებს, თუმცა ფონად როგორც ვთქვით, მაქსიმალური სიწყნარეა. ახლა დავაკვირდეთ მას ასტრალური სამყაროდან: პირველი ადამიანი გამოჩნდება აბსოლუტურად განონასწორებული, მშვიდი და წყნარი პიროვნება, ხოლო მეორე მოგვევლინება როგორც აგრესიულ ტიპაჟი, რომელიც საკუთარ ფიქრებში გაუცნობიერებლად უამრავ ადამიანს კლავს. ის ყოველდღიურად იღებს სტრესს და აქვს ძალიან დაძაბული, ნერვული ცხოვრება. ეს ფაქტორები ავტომატური კარმის მუშაობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ეს პრინციპი მუშაობს ყველა ჩვენს ქმედებასა თუ პროფესიაში, მაგალითად: მხატვარი რომელსაც ღრმად გულში სჯერა, რომ ჰქმნის შემოქმედით, ხარისხიან, გემოვნებიან, მაღალი ფასეულობის მქონე პროდუქტს და ამოძრავებს მაღალი ფასეულობები, მაგრამ თუ ხვალ ფულის გულისთვის დახატავს, ისევ და ისევ, თავისი აზრით უგემოვნო ნახატს, რაც არ

ემსახურება ადამიანების გემოვნების სწორ ჩამოყალიბებას და განვითარებას, მაშინ მას კარმულ სისტემაში მინუსი დაწერება. კიდევ ერთი მაგალითი: ბლოგერი რეკლამას უწევს რაღაც პროდუქტს, რომელზეც იცის, რომ ხარისხიანი ან სასარგებლო არ არის, თუმცა ამას ფულისთვის აკეთებს, მას ეწერება მინუსები. მაგრამ იგივე პროდუქტს რეკლამას უწევს მეორე ბლოგერი, რომელიც ღრმად გულში დარწმუნებულია, რომ ის ხარისხიანია და სარგებლობას მოუტანს ხალხს. მაშინ ამ შემთხვევაში, მის ქმედებას მხოლოდ კარმული პლუსები მოჰყვება. ეს პრინციპი მუშაობს ყველა საქმიანობაში, იქნება ეს ბარმენი, ექიმი, პროგრამისტი, მშენებელი, მენეჯერი, მზარეული თუ პოლიტიკოსი. საბოლოოდ, ეს ქულები ჯამდება და სწორედ ამაზეა დამოკიდებული სულის მომავალი ბედი.

როდესაც ადამიანი ჩართულია ისეთ საქმეში, რასაც საზოგადოებისთვის თუნდაც მცირედი კეთილდღეობა მოაქვს, მაშინ რა თქმა უნდა, მისი

დადებითი კარმა ყოველ წუთს უსასრულოდ იზრდება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დედამიწას მართავს ადამიანების მიერ შექმნილი აზრების და სურვილების ნაკრები. ხოლო მექანიზმი, რითაც ეს ხდება, არის ავტომატური კარმის ალგორითმი ან იგივე ხელოვნური ინტელექტი. ტექნიკურად ამ სამუშაოს ასრულებს ასტრალური კომპიუტერი (მატრიცა). ეგრეგორების სისტემა წარმოადგენს ამ მექანიზმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ასტრალურ კომპიუტერში არსებულ ალგორითმს ეფუძნება. თვალსაჩინოებისთვის მინდა გავაკეთო ცოტა არაზუსტი შედარება, თუმცა ინფორმაციის გააზრებისთვის სასარგებლო. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი აზრები - არის ფული, რომელსაც ვრიცხავთ ბანკში. ასტრალური კომპიუტერი - ს ბანკში არსებული ფიზიკური კომპიუტერული სისტემა. ავტომატური კარმა - ალგორითმი, ბანკის კომპიუტერული სისტემა. ხოლო ეგრეგორები - ბანკის სისტემაში არსებული ფულადი სახსრები.

ჩვენთვის, ადამიანებისთვის არ ჩანს ეგრეგორების ზემოქმედება ერთმანეთზე - ისევე როგორც ვერ ვხედავთ ბანკის ფულად ტრანზაქციებს, მაგრამ თუ ბანკის სისტემაში ჩავიხედავთ, შიგნიდან ნათლად დავინახავთ ფულადი სახსრების მოძრაობას. ანალოგიურად, ასტრალური სამყაროდან შეგვიძლია დავინახოთ ეგრეგორების ფუნქციონირება, თუ მათი ერთმანეთზე ზემოქმედება.

დედამიწაზე ავტომატური კარმის გამართულად მუშაობას განაპირობებენ მაღალ განვითარებული არსებები, ზუსტად ისე, როგორც ბანკის სისტემის გამართულად მუშაობას უზრუნველყოფენ ბანკის თანამშრომლები. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ არსებებს შეუძლიათ ეგრეგორებზე ზემოქმედება თვითნებურად, ისევე როგორც ბანკის თანამშრომელს არ შეუძლია სურვილისამებრ ტრანზაქციების შესრულება.

პირადი ანგარიში

ასტრალურ სამყაროში არსებულ კომპიუტერულ სისტემაში ყველა სულს აქვს თავისი პირადი ანგარიში, დაახლოებით როგორც საბანკო სისტემაში ხდება. ისევე როგორც მატერიალურ სამყაროში ცხოვრება არ არის უფასო, ჩვენ ვიხდით შემოსავლის გადასახადებს, კომუნალურ გადასახადებს და სხვა. ასევე მატერიალურ სამყაროშიც ცხოვრება უფასო არ არის, სანამ ჩვენ ვიბადებით ვდებთ სისტემასთან კონტრაქტს, რის მიხედვით ყოველდღიური შრომით თუ ქმედებით გამოვიმუშავებთ გარკვეული ტიპის ენერგიას რომელიც არის ფასიანი დოვლათი, როგორც ჩვენ სამყაროში ფული.

როგორც მანქანის ტარების დროს, როდესაც ჩვენ ვარღვევთ წესებს ვიხდით ჯარიმას, კარმული კანონების დარღვევის შემთხვევაშიც ჩვენ გვეკისრება გარკვეული გადასახადი, რაც ჩვენი ამ თუ შემდეგ ცხოვრებების განმავლობაში გადასახდელი გვექნება. და პირიქით, თუ ჩვენ კარგად ვიქცევით, ვაკეთებთ სიკეთეს, ბიუჯეტს ჩვენს მიმართ ექნება დავალიანებაში რაც მომავალში, თუნდაც შემდეგ ცხოვრებაში სხვადასხვა კეთილდღეობით აისახება.

თუ ჩვენ დაგვემართა უბედურება რომელიც კარმულად არ გვეკუთვნოდა და დავზარალდით, მაშინ ისევ და ისევ ბიუჯეტს ჩვენს მიმართ წარმოექმნება დავალიანება, ანუ ჩვენ დაგვერიცხება კარმული ქულები ან თუ ბულალტრულ ენას გამოვიყენებთ ჩვენ გვექნება ზედმეტობა და თუ ჩვენ მომავალში გარკვეული კანონები დაარღვიეთ მაშინ წარმოქმნილი დავალიანება გამოიქვითება იმ ზედმეტობის რაოდენობიდან.

ეგრეთ წოდებული კარმული ქულების დაგროვება ხდება როდესაც ადამიანი სიკეთეს აკეთებს უანგაროდ და არ მოელის სამაგიეროს. ეს ჩვევა ყველაზე უფრო ფასობს ამ სისტემაში. კარმული ქულები გროვდება ასევე მაშინ როდესაც სული/ადამიანი უარს იტყვის იმ სიკეთეებზე რაც კარმულად ეკუთვნის. უკვე დაგროვებული ქულების შემთხვევაში თუ როგორ დაიხარჯება ეს ქულები დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ წარმართავს ეს ადამიანი თავის მომავალს. თუ ადამიანი საერთოდ უარს ამბობს ქულების გამოყენებაზე და ბულალტრული ენით ზედმეტობა დიდი აქვს და

ეზრდება, ეს მას საგრძნობლად დაეხმარება სულიერ წინსვლაში.

პროგრამები და სტერეოტიპები

ადამიანის ქვეცნობიერი შეიძლება შევადაროთ კომპიუტერის მყარ დისკს, რომელსაც არ აქვს განსჯის უნარი, ის მუშაობს აბსოლუტურად ავტომატურად, იმ პროგრამების და ჩანაწერების საფუძველზე, რაც მასშია ჩაწერილი. როგორც კომპიუტერი მუშაობს ისე, როგორც ჩვენ მას დავაპროგრამებთ, ასევე ტვინი სწორი დაპროგრამების შემთხვევაში იმუშავებს ჩვენ სასარგებლოდ და მივიღებთ ცხოვრებას ისეთად, როგორიც გვინდა. და პირიქით, არასწორად დაპროგრამირების შემთხვევაში, შეგვექმნება მთელი რიგი პრობლემები, მთელი ცხოვრების განმავლობაში. ეს შეიძლება ეხებოდეს წარმატებას, კეთილდღეობას, ბედნიერებას, ურთიერთობებს და ზოგჯერ ჯანმრთელობასაც კი.

ეს პროგრამები, სტერეოტიპები თუ ჩანაწერები სათავეს იღებენ ჩვენი წარსულიდან, როგორც წინა ცხოვრებებიდან, ასევე უმეტესობა ჩვენი ახლანდელი ცხოვრებიდან და ბავშვობიდან.

როდესაც ადამიანი იბადება, ის იწყებს გარემოსთან შეგუებას, ინფორმაციის მიღებას და პარალელურად ადამიანის გონებაში ავტომატურად იქმნება სხვადასხვა პროგრამა და სტერეოტიპი. მაგრამ, მთავარი პრობლემა არის ის, რომ პარალელურად იქმნება ადამიანისთვის არამარტო სასარგებლო და სასიკეთო პროგრამები, არამედ ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ მის საზიანოდ იმუშაონ მთელი ცხოვრების განმავლობაში, იმ დრომდე, სანამ ინდივიდი მათ არ გააჩერებს. ეს სფერო კარგად არის გამოკვლეული ფსიქოლოგიის და ფსიქიატრიის დარგში.

რეალურად, სტერეოტიპები თუ პროგრამები ქმნიან შემდეგი მოქმედების ჯაჭვს: მოქმედება ან ფიქრი, სტერეოტიპი, შემდეგ რასთან არის კავშირში ეს სტერეოტიპი თქვენს ქვეცნობიერში და სიგნალი ასტრალურ კომპიუტერ მატრიცაში, რასაც მოჰყვება

მატრიცის მხრიდან შესაბამისი ქმედება. მაგალითად: თუ ადამიანს სჯერა, რომ ცოდვილია, მნიშვნელობა არ აქვს, რატომ სჯერა ან ვინ დაარწმუნა. მთავარია, ქვეცნობიერში ფიქსირდება აზრი ან ფიქრი, რომ ის არის ცოდვილი. ქვეცნობიერმა, რა თქმა უნდა, არ იცის, ტერმინი "ცოდვილის" მნიშვნელობა. ის იწყებს ძიებას, თუ რასთან შეიძლება იყოს ეს სიტყვა ასოცირებული მისი პატრონისთვის. იქვე კი დაფიქსირებულია აზრი, რომ ცოდვილი უნდა დაისაჯოს. ჩნდება ერთგვარი "ჩანაწერი", რომელიც გაკეთებულია ბევრად ადრე, ისევ და ისევ მისი პატრონის მიერ. ქვეცნობიერი ავტომატურად დაუკავშირებს ამ ორ სიტყვას და მიიღებს ბრძანებას: "მე ვარ ცოდვილი, ხოლო ცოდვილი უნდა დაისაჯოს". ამის შემდეგ ეტაპზე ქვეცნობიერი დაიწყებს ძებნას, თუ რასთან არის ასოცირებული ტერმინი „დასჯა" ამ ადამიანისთვის. ის შეიძლება აღმოჩნდეს კავშირში ტანჯვასთან, გაჭირვებასთან, ზოგადად ყველაფერ ნეგატიურთან, სწორად იმასთან, რასაც კი თვითონ ეს ადამიანი უსურვებდა სხვას. საბოლოოდ, ქვეცნობიერი დაიწყებს ისეთი სიტუაციის მოზიდვას, სადაც მისი პატრონი

დაიტანჯება ან მიიღებს სხვა ნეგატიურ გამოცდილებას. (მოზიდვა, როგორც უკვე ვთქვით, მოხდება ასტრალური კომპიუტერის დახმარებით - იმ სისტემით, რომელიც წინა თავში აღვწერეთ). ამ ყველაფრის შედეგად, როდესაც ჰკითხავთ ამ ადამიანს თუ რატომ აღმოჩნდა ამ დღეში, გიპასუხებთ, რომ არ იცის და ყველაფერს სხვას გადააბრალებს ან იტყვის, რომ ეს მისი კარმა ან ბედისწერა იყო.

არც ქვეცნობიერს და არც ასტრალურ კომპიუტერს არ აქვს განსჯის ფუნქცია, ის მხოლოდ ასრულებს მისი პატრონის ბრძანებებს, რომლებიც იბადება ადამიანის ფიქრებიდან, სტერეოტიპებიდან, აზრებიდან და მიზნებიდან. ისინი ეწყობიან ერთ რიგად და ქმნიან ერთ დიდ ბრძანებას. მაგრამ, ეს მთლიანი მოქმედება არ იმუშავებს თუ ამ ბრძანებების ჯაჭვს ერთი კომპონენტი მაინც აკლია. მაგალითად, ადამიანი აკეთებს ცუდს, მაგრამ არ იცის, რომ ეს ცუდია. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ,როდესაც სული დამწყებია და მას ჯერ არ აქვს ფასეულობები ჩამოყალიბებული თავის განვლილ

ცხოვრებებში და მის ქვეცნობიერში ჯერ არ არის ამ ქმედების შესახებ არანაირი ჩანაწერი. მაშინ ქმედებების ჯაჭვი არ შეიკვრება. ასევე ადამიანი შეიძლება აკეთებდეს ცუდს და იცოდეს, რომ ეს ცუდი საქციელია, მაგრამ მას არასდროს უსურვებია ამ ან რომელიმე განვლილ ინკარნაციაში რაიმე ცუდი მათთვის, ვინც ანალოგიურად მოქცეულა. ის თვლის, რომ ეს ცუდი სინამდვილეში კარგია და სჯერა კიდეც, რომ ამის გამკეთებელი არაფერს იმსახურებს. მაგრამ, თუ ოდესმე მიხვდება და დაიჯერებს, რომ ცუდია, ეს პროგრამის ჯაჭვი უმალვე ამოქმედდება.

წარმოვიდგინოთ ქურდი, რომელიც სულ იპარავს და მის ქვეცნობიერში არ არის ინფორმაცია, რომ ის რაიმე ცუდს აკეთებს, მაშინ მან შეიძლება არაფერი მოიზიდოს ამ ქმედებით, მაგრამ ერთი მაღალი ფასეულობების მქონე ადამიანს თუ ხელი წაუცდება და რაღაცას მოიპარავს, მაშინ შეიძლება შესაბამისი შედეგები მთელი ძალით დაატყდეს თავს. თუ ასეთი რამ მოხდა, გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის ის, რომ ადამიანმა აპატიოს თავის თავს. პატიების ფაქტორიც იქიდან გამომდინარეობს, თუ რამდენად

შეძლებდა ეს ადამიანი სხვის პატიებას იმავე სიტუაციაში.

რა თქმა უნდა, ყველაფერი იგივე პრინციპით მუშაობს საპირისპირო მიმართულებით, როდესაც ადამიანი აკეთებს სიკეთეს და სწამს, რომ სიკეთის გამკეთებელს ეს სიკეთე წინ დახვდება, მაშინ ცხოვრებაში შესაბამის მოვლენებს მიიზიდავს. თუ ადამიანი არ თვლის, რომ ის, ვინც სიკეთეს აკეთებს, რაიმე დამატებითს იმსახურებს, მაშინ ეს მოქმედებების ჯაჭვი არ შეიკვრება და ადამიანი არ მიიზიდავს იმას, რასაც იმსახურებს. ასე რომ არ მოხდეს, ყოველთვის, თქვენს გულში თუ ხმამაღლა, უსურვეთ ადამიანებს - მათ, ვინც ამას იმსახურებს, სიკეთე, წარმატება და სიუხვე ცხოვრებაში. შეგიძლიათ ეს ჩვევად აქციოთ.

ზოგჯერ სახეზე გვაქვს ისეთი უკიდურესობაც, როდესაც ადამიანი ზომაზე მეტად თვითკრიტიკულია. ის შეიძლება არაფერში იყოს დამნაშავე და თავი ისე დააპროგრამიროს, რომ იზიდავდეს იმას, რასაც დამნაშავე ადამიანი მიიზიდავდა.

არასწორი სტერეოტიპები, რომლებიც განაპირობებს ადამიანებისთვის არასასურველი რეალობების მოზიდვას მრავალნაირია. მე შევეცადე გამეკეთებინა პატარა კრებული, რომელიც სხვადასხვა სფეროს ეხება, თუმცა რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი გაცილებით ვრცელია.

მე არ ვარ საკმარისად კარგი;
მე არ ვიმსახურებ ბედნიერებას, სიყვარულს ან კარგად ყოფნას;
მე არ ვარ ისეთი, როგორიც უნდა ვიყო;
ცხოვრება ბრძოლაა;
ცხოვრება უსამართლოა;
მე ვერ მექნება ის, რაც მინდა ცხოვრებაში;
მე არავის ვჭირდები;
ყველაფერი სხვისი ბრალია;
მე ცოდვილი ვარ;
ადამიანი დასაბამიდან ცოდვილია;
პოლიტიკა ბინძურია და ა.შ.

მსგავსი დანერგილი სტერეოტიპების და ჩანაწერების წაშლა ქვეცნობიერიდან შესაძლებელია საკუთარი ფასეულობების თუ სტერეოტიპების გადაფასებით ან

ამ მიმართულებით მომუშავე სპეციალისტის დახმარებით.

ასეა თუ ისე, საუკეთესო ვარიანტია ადამიანმა გამოიმუშაოს ჩვევა, სადაც ის მეტ ყურადღებას მიაქცევს პოზიტიურ მხარეს, როგორც მოვლენებთან დაკავშირებით, ასევე ადამიანებში. პირველ რიგში დაინახავს იმას, თუ როგორ შრომობენ ადამიანები, ცდილობენ იყვნენ უფრო კარგები, დაძლიონ სირთულეები, შექმნან სასარგებლო და უკეთესი გარემო საზოგადოებისთვის და მუშაობენ საკუთარ თავზე. როგორც უკვე ვთქვით, ხშირად უსურვეთ სხვა ადამიანებს წარმატება და კარგად ყოფნა. ეს შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენს გონებაში, სიტყვიერად თუ სოციალურ ქსელში კომენტარების სახით. უსურვეთ მათ მიიღონ უკეთესი შედეგი და რომ შრომა დაუფასდეთ. ასევე, იგივე შეგიძლიათ განახორციელოთ საკუთარ თავზე, აპატიოთ ყველაფერი, რაც წარსულში ხდებოდა, შეაქოთ თქვენი თავი. დაუკვირდეთ იმას, თუ რა მონდომებით უმკლავდებით დაბრკოლებებს, სიძნელეების მიუხედავად, თუ როგორ შრომობთ უკეთესი

მომავლისთვის, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი ოჯახისთვის და საზოგადოებისთვის. და ბოლოს, რაც მთავარია, უნდა შეიყვაროთ გარემო და საკუთარი თავი, ამაში დაგეხმარებათ სიყვარულის მედიტაცია რომელიც მოგვიანებით იქნება განხილული.

სურვილები და მიზნები

ჩვენი რეალობის შექმნაში სურვილების როლს მე პირველ ადგილზე დავაყენებდი. შეიძლება ითქვას, რომ სურვილები და სურვილების კომბინაციები მართავს სამყაროს. სურვილების სწორი მართვით ადამიანი უმეტეს შემთხვევაში მიიღებს იმას, რაც სურს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მიმდინარე თავში მომყავს მაგალითები, რომლებიც მატერიალურ კეთილდღეობის ელემენტებს შეიცავს, თუმცა მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის. მიზნები კი ინდივიდუალურია და იგივე პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ სულიერ განვითარებაზეც და საერთოდ ის ყველაფერს ესადაგება.

შეიძლება გსმენიათ, რომ სამყარო მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანებს სურვილები შეუსრულოს -

ცხოვრებაში ყველამ მიიღოს ის, რაც სურს. ეს ნამდვილად სწორი კონცეფციაა, თუმცა ამის უკან დგას ბევრი დეტალი, რომლის ცოდნის გარეშეც ალნიშნულმა კონცეფციამ ადამიანი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: თქვენ გაიგეთ, რომ არსებობს სხვადასხვა ტრანსპორტი, მაგალითად ავტომობილი, რომლის დახმარებით შესაძლებელია **ა** - დან **ბ** პუნქტში გადაადგილება. ამ იდეით აღტაცებული მიუჯექით საჭეს, აკრიფეთ მაღალი სიჩქარე და დანიშნულების ადგილზე მიქრიხართ, ყველანაირი წესის დაცვის გარეშე. თქვენ ვერ ამჩნევთ ვერც შუქნიშნებს, ვერც საგზაო მოძრაობას. რა თქმა უნდა, საბოლოოდ ის შედეგი მიიღეთ, რომ შეასკდით მანქანას, მოტეხეთ ბოძი, შევარდით ვილაცის ეზოში, დალეწეთ თქვენი და სხვა უამრავი მანქანა. შემდეგ გადმოდიხართ განცვიფრებული სახით და იძახით “კი, მაგრამ მანქანა გადაადგილებისთვის არ არის შექმნილი?”

პირველი, რაც უნდა ვიცოდეთ არის ის, რომ ღმერთის მიერ შექმნილ დიდ სამყაროში, ყველაფერი

ეფუძნება გარკვეულ კანონზომიერებებს, იქნება ეს ფიზიკური თუ სხვა, რომელიც ჩვენთვის შეიძლება უცნობი იყოს. სასწაულები, როგორც ასეთი, სამყაროში უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ არის ძალიან ბევრი რამ, რაც ჩვენ, ადამიანებმა უბრალოდ არ ვიცით და რაც სასწაულად შეიძლება მოგვეჩვენოს. ასეა თუ ისე, თუ ადამიანი თავის გონებას გაავარჯიშებს, ჩვევებს დახვეწს და თავის თავზე იმუშავებს, მაშინ შეიძლება სამყარო მისთვის ზღაპრადაც კი იქცეს.

გასათვალისწინებელია, რომ ოდნავი გაფიქრება სურვილის თუ რაიმე სიტუაციის წარმოდგენის სახით არის ბრძანება, რომელიც ასტრალურ სამყაროს კომპიუტერულ სისტემაში გაიცემა. ის შეიძლება შევადაროთ კონკრეტულ ქმედებას ჩვენს ფიზიკურ სამყაროში. მეორე საკითხია, თუ რამდენად მოახერხებს ეს ბრძანება შორს წავიდეს, რა მექანიზმებს აამოქმედებს ის ასტრალურ კომპიუტერში. ეს ბევრს ფაქტორზეა დამოკიდებული, რასაც ჩვენ ეტაპობრივად განვიხილავთ ამ თავში.

ყველა მექანიზმს, კომპიუტერულ ტექნიკას თუ საყოფაცხოვრებო ხელსაწყოს მოჰყვება გამოყენების ინსტრუქცია, ხოლო რთულ მექანიზმს, როგორც კომპიუტერია, სწავლა წლობით სჭირდება. ჩვენ ყველას დაბადებიდან გვაქვს ჯადოსნური ჯოხი, მაგრამ ინსტრუქცია არ წაგვიკითხავს და იმის გამო, რომ მისი გამოყენება არ ვიცით, ზოგიერთი მას კაკლის გასატეხად იყენებს, ზოგიც ლურსმნის კედელზე მისაჭედებლად. მაგრამ, ცოდნის გარეშე თუ დავიწყეთ ამ ჯოხის ქნევას, შეიძლება უარესი შედეგიც მივიღოთ. ამიტომ, სანამ კარგად არ გვექნება გააზრებული, ნასწავლი და ამისთვის არ ვიქნებით სათანადოდ მომზადებულები, ჯობს ისევ კაკლის ვერსიით დავკმაყოფილდეთ.

რამდენად ადეკვატური ვართ იმასთან, რასაც ვითხოვთ

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც დგას რაღაც კონკრეტულ წერტილში, სადაც სხვადასხვა მოვლენა ან სიტუაცია ობიექტების სახით განლაგებულია მის გარშემო, განსხვავებულ მანძილებზე. ადამიანს

თავისი ქცევით ან ფიქრებით შეუძლია ობიექტებს შორის მანძილის შეცვლა - მისი შემცირება ან გაზრდა. ბანალური მაგალითი: თქვენ გსურთ იქცეთ მდიდარ ადამიანად. ეს სურვილი, როგორც ობიექტი, გაჩნდება თქვენგან გარკვეული მანძილით დაშორებულ რაღაც წერტილში. თქვენ შეგიძლია დაიწყოთ ამ წერტილისკენ მოძრაობა და თუ რა სიჩქარით მიხვალთ მიზნამდე, ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. მაგალითად, იმყოფებით თბილისში და მიემგზავრებით ბათუმში. თუ მგზავრობთ ოპტიმალური გზით, დანიშნულების წერტილზე მიხვალთ სწრაფად. ანუ, თუ იმგზავრებთ უმოკლესი გზით, მოგიწევთ ყველა იმ მინიშნებაზე დაკვირვება, რომლებიც გზაში შეგხვდებათ. ეს ყველაფერი შეიძლება შევადაროთ მოვლენებს, რომლებიც ჩნდებიან თქვენს ცხოვრებაში ერთგვარი მინიშნებების სახით. ამ მინიშნებებს აგენერირებს ასტრალური კომპიუტერი და მათ შეუძლიათ ჩვენთვის სწორი მიმართულებების მოცემა, რაც უკვე გავარჩიეთ, თუმცა სასურველი ობიექტის მიმართულებით მოძრაობა ზოგჯერ შეიძლება არ იყოს საკმარისი. პროცესი უფრო სწრაფად

განვითარდება, თუ ობიექტი ჩვენ მიმართ დაიწყებს მოძრაობას. პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის თავად ვართ ისეთივე ობიექტი, როგორც ის ჩვენთვისაა. ჩვენ არ შეგვიძლია ვაიძულოთ ობიექტი, რომ იმოძრაოს ჩვენი მიმართულებით. ადამიანმა ისე უნდა შეცვალოს თავისი თავი, რომ ობიექტის სამიზნე თავად გახდეს. ის იწყებს მოძრაობას ჩვენი მიმართულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი აზროვნება და ჩვენი მსოფლმხედველობა არის იმ ობიექტისთვის შესაფერისი და მიმზიდველი.

კითხვა შეიძლება შემდეგნაირად დაისვას - ჩვენ გვიყვარს კეთილდღეობა, მაგრამ ვუყვარვართ კი ჩვენს კეთილდღეობას თავად?! ჩვენ გვიზიდავს რაიმე გარემოება, მაგრამ ვართ კი ამ გარემოებისთვის მიმზიდველნი?! ასევე, ჩავიფიქრეთ რაიმე ბიზნესი, მაგრამ ვართ კი ამ ბიზნესისთვის მომხიბვლელნი?! ამ დამოკიდებულების განვრცობა შეიძლება ყველაფერზე, ადამიანებზეც კი.

ჩვენი არასწორი ქმედებების და ფიქრების საშუალებით ჩნდებიან ის ობიექტებიც, რომლებიც ჩვენთვის არასასურველნი არიან. ისინი მაინც იწყებენ

ჩვენი მიმართულებით მოძრაობას, თუ მათთვის მიმზიდველები გავხდებით. ეს პრინციპი ავტომატურად მუშაობს, სურვილის მიუხედავად. მსგავსი ობიექტების კატეგორიაში შეიძლება შედიოდეს უსიამოვნებები, კონფლიქტები, უბედური შემთხვევები და სხვ. თუ რა განაპირობებს და რატომ ვართ ნაკლებად მიმზიდველნი ამა თუ იმ ობიექტისთვის, დამოკიდებულია სტერეოტიპებზე და მათ კომბინაციებზე, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ.

საბოლოოდ, ნებისმიერი სურვილის ძალით მიზიდვა შეუძლებელია. ადამიანმა თავად უნდა განიცადოს მეტამორფოზა ისე, რომ სურვილებს შეუყვარდეთ და თავადაც დაიწყონ მოძრაობა ადამიანის მიმართულებით. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია ადამიანის ქვეცნობიერის მუშაობის პრინციპის გათვალისწინება. მაგალითი: წარმოიდგინეთ წარმატებული და წარუმატებელი ადამიანი. თუ ისინი ერთდროულად, ერთად აღმოჩნდებიან მსგავს სიტუაციაში და თანაბარ პირობებში, წარმატებული ადამიანი ისევ გახდება წარმატებული, ხოლო წარუმატებელი ისევ იგივე

მდგომარეობაში დარჩება. ამის მიზეზია აზროვნება და სტერეოტიპების კომბინაცია. წარმატებული ადამიანის აზროვნება და ქვეცნობიერი მიმზიდველია სიმდიდრისთვის, შესაბამისად ის მარტივად აღწევს მიზანს ამ კუთხით. მინდა აღვნიშნო, რომ აქ განხილულია მხოლოდ ამ სისტემის პრინციპზე, რაც არ ნიშნავს, რომ ყველა წარმატებული ადამიანი ჩვენს რეალობაში ამ პრინციპით გახდა წარმატებული, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც.

ყალბი, "რუტინული" თუ ჭეშმარიტი სურვილები და მათი მოქმედების პრინციპი

თუ დავაკვირდებით საკუთარ თავს, მივხვდებით, რომ დღის განმავლობაში საკმაოდ ბევრ სურვილს ვაგენერირებთ. ახლა წარმოვიდგინოთ მილიარდობით ადამიანი, რომელსაც უამრავი სურვილი გააჩნია. თუ მხატვრულ შედარებას მოვიხმობთ, საბოლოო ჯამში, ყველა ადამიანს, საკუთარი თავი, სხვაც და მთლიანად სამყაროც ისეთი უნდა რომ იყოს, როგორიც თავად სურს. თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღესაც

ჩვენი ყველა სურვილი ასრულდა, თუნდაც ის, რაც რეალობას შეესაბამება - რა ამბავი დატრიალდება დედამიწაზე? - ალბათ რამდენიმე წამში განადგურდება, ამიტომ კომპიუტერულ სისტემაში ჩადებულია დიდი დამცავი მექანიზმი და უამრავი ალგორითმი, რომელიც ამ ყველაფრის გამოთვლას ცდილობს, უსაფრთხოების მიზნით.

მაგალითისთვის, მინდა მოვიყვანო ალგორითმი ასტრალურ კომპიუტერში, რომელიც ცდილობს გამოითვალოს, თუ რამდენად დარწმუნებული ხართ იმ თქვენს კონკრეტულ სურვილში და უკვე შემდეგ, გაუშვას პროცესი ერთი ნაბიჯით წინ ან შეაჩეროს ის. თვალსაჩინოებისთვის, ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ დედამიწის კომპიუტერულ სამყაროში არსებულ მექანიზმს, როდესაც გსურთ შეასრულოთ რაიმე მოქმედება, აჭერთ ღილაკს და შემდგომ სისტემა გაჩვენებთ დამატებით ფანჯარას, რომელიც გეკითხებათ: “დარწმუნებული ხართ, რომ გსურთ ამ ქმედების შესრულება?” ამის შემდეგ აჭერთ “კი”-ს ან ბრძანების გაუქმებას. ასეთი ღილაკი ასტრალურ კომპიუტერულ სისტემაში არ მოიპოვება, ამიტომ

მასში ჩადებულია ალგორითმი, რომელიც ცდილობს ყველა გარემოს გათვალისწინებით შეამოწმოს, გაითვალისწინოს უამრავი დეტალი და შემდეგ გაუშვას პროგრამა. ის ცდილობს უამრავი სურვილისგან განასხვაოს, თუ რომელია ის სურვილი, რომელიც ნამდვილად გსურთ რომ აგიხდეთ, არის უსაფრთხო თქვენთვის და გარემოსთვის და კიდევ უამრავ გარემოებას ითვალისწინებს.

იმისთვის, რომ ასტრალურმა კომპიუტერმა განასხვაოს ის სურვილი, რომელიც ნამდვილად გინდათ, მნიშვნელოვანია ის შემართება და თავდაჯერებულობა, რაც ამ სურვილს უკავშირდება. დღესდღეობით ინტერნეტში თუ სწავლებებში არსებობს სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, სურვილის ხანგრძლივად გამეორება ან ამაზე ხშირად ფიქრი. ან მაგალითად, ქაღალდზე დაწერა და თვალსაჩინო ადგილას მიმაგრება. შემდეგ, ამ სურვილის ასრულებაზე ყოველდღიურად მუშაობა, კონცენტრირება და სწრაფვა.

ამის გარდა, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია შინაგანი ემოციური მდგომარეობა - თუ რა სიხარულით და სიყვარულით მივდივართ ამ სურვილის ასრულებისკენ. თუ სხვა სიტყვებით ვიტყვით, რა ემოციას ვურთავთ ჩვენს სურვილს. სიყვარული - ეს არის მექანიზმი, რომელიც,ყველა კარს აღებს ასტრალური კომპიუტერის სამყაროში. ეს შეიძლება შევადაროთ პროცესს, როდესაც, ასე ვთქვათ, ბეჭედს არტყამთ თქვენ გზავნილს მატრიცაში.

ზოგჯერ ადამიანმა შეიძლება ისურვოს ის, რაც სინამდვილეში საერთოდ არ სურს და არ აქვს ჩაფიქრებული, მაგალითად: იმყოფებით კრიტიკულ სიტუაციაში და წამოიძახეთ: “ღმერთო, ნეტა მოვკვდე”. იმის მიუხედავად, რომ მატრიცაში არის ჩადებული მექანიზმი, რომელიც ამ სურვილს შესაძლოა აჩერებს, ყოველთვის არსებობს შანსი, რომ ეს ბრძანება მაინც გაძვრეს და რომელიმე ეტაპამდე მაინც მივიდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ნეგატიური მოთხოვნა დაფიქსირდება ასტრალურ კომპიუტერში და თქვენს პორტფოლიოში. ჩემი რჩევა

იქნებოდა, რომ ჯობს საერთოდ ამოიღოთ ისეთი ფრაზები, რომლის შინაარსი მიმართულია საკუთარი თავის თუ სხვისი განადგურებისკენ, როგორც მაგალითად, “რატომ მიწა არ გამისკდება?!”, “შენ არ გაიხარე!”, “რატომ ვარ ცოცხალი?!”, “მიწა კი დაგაყარე!”, “ნეტა როდის ამოწყდებით ასეთები?!” და მრავალი სხვა. ეს ეხება აბსოლუტურად ყველა ნეგატიურ სურვილს.

სურვილების დაკონკრეტება

როდესაც ინტერნეტის საძიებო სისტემაში ვეძებთ რამეს, ყოველთვის ისე არ ხდება, რომ პირველივე ცდაზე ვიპოვოთ ის, რასაც ვეძებდით. ამიტომ, ვცდილობთ უფრო ზუსტად ჩავწეროთ ის საძიებო სიტყვები ან წინადადება, რათა საძიებო პროგრამაში პირველ რიგში გამოჩნდეს სასურველი ინფორმაცია. ანალოგიურად მუშაობს ასტრალური კომპიუტერი. იქიდან გამომდინარე, რომ ის არის ზუსტი მექანიზმი და არ აქვს განსჯის უნარი, ამის გამო სურვილებს სჭირდება მაქსიმალური დაკონკრეტება. რაც უფრო გავაანალიზებთ და დავაზუსტებთ თუ რა გვინდა,

მით უფრო მივიღებთ შესაბამის ზუსტ შედეგს. წარმოიდგინეთ კომიკური სიტუაცია: ადამიანი ოცნებობდა იმაზე, რომ ჯიბეში ფული ყოველთვის ჰქონოდა. მას ეს სურვილი მარტივად აუსრულდა, რადგან ბანკში დაიწყო მუშაობა და ყოველდღიურად სხვისი ფული გადაჰქონდა. ახლა გავარჩიოთ თუ რა მოხდა ამ შემთხვევაში. ადამიანის სურვილი, რომ ჯიბეში ფული სულ ჰქონოდა, დაფიქსირდა ასტრალურ კომპიუტერში, საძიებო სისტემამ კი არსებული ვარიანტებიდან მონახა ამ სურვილთან ყველაზე შესაძლო, ახლო ვარიანტი. მან თავის ბაზაში მონახა ვარიანტი - თუ ვის უდევს ყველაზე ხშირად და ყველაზე მეტი ფული ჯიბეში და ეს ბანკის თანამშრომელი აღმოჩნდა. ხოლო შემდეგ დაიწყო პიროვნებისთვის ამ სიტუაციის მიზიდვა, კონკრეტული საძიებო ალგორითმებით. ჯერ მოძებნა ვარიანტები, კერძოდ ის, თუ როგორ შეიძლებოდა ბანკში მუშაობის დაწყება. შემდეგ ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, წარმოიქმნა შემდეგი მოთხოვნა და ა.შ. საბოლოოდ, აღნიშნულის საფუძველზე ჩამოყალიბდა ის ოპტიმალური გზა, რითაც შეიძლებოდა ეს პიროვნება მოხვედრილიყო

ბანკის თანამშრომლის თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ეტაპობრივად მოხდებოდა და შესაძლოა დროშიც კი გაწელილიყო.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, თუ რის ხარჯზე გსურთ ამა თუ იმ მიზნის მიღწევა, თუ სურვილის ასრულება. ადამიანს ძლიერ უნდოდა, რომ მამაცი ყოფილიყო და მუდამ ამაზე ოცნებობდა. ასტრალურმა კომპიუტერმა დაიწყო შესაძლო ვარიანტების მოძიება და გამოთვალა, რომ ადამიანები ხდებიან მამაცები, როდესაც ისინი საკუთარ თავზე ექსტრემალურ სიტუაციას გამოცდიან. შემდეგ ალგორითმმა დაიწყო მონახვა შესაძლო ვარიანტებისა, თუ როგორ შეიძლებოდა შეექმნა ამ ადამიანისთვის ექსტრემალური სიტუაცია და გამოძებნა ისეთი ვარიანტი, სადაც ადამიანს იტაცებენ. შემდეგ, მოიძია შესაძლო ვარიანტები, იყვნენ თუ არა მის გარშემო ადამიანები, ვისაც ჩაფიქრებული ჰქონდა ადამიანის გატაცება. და თუ მსგავსი ვარიანტი მოიძებნა, ის ასევე ალგორითმებით შეეცდება დააკავშიროს ეს ორი მხარე, რომელთაგან ერთი პოტენციურად გატაცების

ობიექტია, ხოლო მეორე - გატაცების მსურველი. საბოლოოდ, ადამიანს მოიტაცებენ და ის გაივლის ათას უბედურებას და სტრესს. და ბოლოს, თუ ცოცხალმა გამოაღწია, ის უფრო მამაცი იქნება. რა თქმა უნდა, როცა მას გაიტაცებენ, ვერც მიხვდება, რომ სინამდვილეში ეს პროცესი მის სურვილს მოჰყვა, თუმცა შესაძლოა, ასეთი სტრესის ხარჯზე, სულაც არ სურდა სიმამაცის მოპოვება.

შესაბამისად, ასტრალურმა კომპიუტერმა და ქვეცნობიერმა ზოგჯერ სასურველია იცოდეს, არა მხოლოდ ის, თუ რა მოიზიდოს თქვენთვის, არამედ ისიც, თუ რა გზა მონახოს და რის ხარჯზე მოხდეს ამა თუ იმ მიზნის მიღწევა.

ასტრალური კომპიუტერი ცდილობს მიიზიდოს არამარტო ის, რაც გსურთ, არამედ აგარიდოთ ისიც, რაც არ გსურთ. სისტემისთვის ის, რომ თქვენ რალაც არ გინდათ, ანალოგიური სურვილი თუ ბრძანებაა და იგივე პრინციპით მუშაობს. მაგალითად, თქვენ არ გინდათ სკოლაში გამოცდაზე დასწრება ან არ გინდათ სამსახურში მისვლა, მაშინ შეიძლება დაიწყოს თქვენთვის გარემოებების, იმ ვარიანტის

მოძიება და მიზიდვა, რაც აგაცდენთ ამ ქმედებას. ეს შეიძლება იყოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაიმე შემთხვევა თუ სხვა სიტუაცია. ეს პრინციპი ვრცელდება ყველაფერზე: არ მოგწონთ და არ გინდათ ცხოვრება? ასტრალური კომპიუტერი ეცდება მიიზიდოს ის გარემოება, რაც შეაფერხებს თქვენს ფუნქციონირებას მატერიალურ სამყაროში. არ მოგწონთ ქვეყანა? ის შეეცდება შექმნას ისეთი გარემოება, რომ ეს ქვეყანა დატოვოთ და ა.შ.

ბლოკები ჩვენს ქვეცნობიერში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასტრალურ კომპიუტერულ სისტემაში მოქმედებს ალგორითმი ან დამცავი მექანიზმი, რომელიც ცდილობს გამოთვალოს გარკვეული ხარვეზები, თუ ასეთი არსებობს და შეაჩეროს მოქმედების ჯაჭვი, რაც სურვილს და მიზანს შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ნამდვილად გსურთ თუ არა, რამდენად გაწყობთ თქვენ ის, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ სურვილს და უამრავი სხვა რამ. ამის დადგენას ის ჩვენს ქვეცნობიერში არსებული ინფორმაციის დახმარებით

ცდილობს და ეს ყველაფერი ხდება ჩვენივე უსაფრთხოებისთვის.

წარმოიდგინეთ, რომ გყავთ მანქანა, მიემგზავრებით სადმე, მიუჯდებით საჭეს, ქოქავთ და მიდიხართ. ასეთ დროს ხომ არ ფიქრობთ: "იქნებ არ ვარ საუკეთესო მძღოლი? რომ ვერ მივიდე დანიშნულების ადგილამდე? შევძლებ კი საერთოდ მართვას?" თუ მანქანაში ჩაჯდომისას მსგავს საკითხებზე ფიქრობთ, მაშინ რაღაც არ არის წესრიგში, ესე იგი ან ტარება არ იცით ან სხვა რაღაც გიშლით ხელს. ამ შემთხვევაში, ასტრალური კომპიუტერის სისტემა აღნიშნულს უმალვე დააფიქსირებს და დაბლოკავს ამ ქმედებას. ასევეა რეალურ ცხოვრებაშიც, მაგალითად, წამოწყებული გაქვთ ბიზნესი, მაგრამ არ ხართ დარწმუნებული, წარმატებას მიაღწევთ, რომ ეს კარგი იდეაა და სხვ. ასტრალური კომპიუტერის ალგორითმი უმალვე დააფიქსირებს ამ მომენტს და აღარ მიიღებს შემდეგ გადადგმულ ნაბიჯებს, რომ მიიზიდოს ის, რაც ამ ბიზნესის განვითარებას სჭირდება. თუმცა რა თქმა

უნდა, ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ეს საქმე არ გამოგივათ.

თვალსაჩინოებისთვის მინდა ჩემი მაგალითი მოგიყვანოთ. დიდი ხნის წინ, როდესაც დამწყები მხატვარი ვიყავი, მქონდა შემდეგი ბლოკები, რაც აფერხებდა ჩემს, როგორც მხატვრის შემოქმედებას და თვითრეალიზაციას:

1. იქნებ არ ვარ საკმარისად კარგი მხატვარი;
2. ხატვას ვერ ვიწყებდი და ვწელავდი იმის შიშით, რომ არ გამომივიდოდა და ტილოს ტყუილად გავაფუჭებდი.
3. იქიდან გამომდინარე, რომ ნახატებში ვდებდი დიდ შრომას, ისინი ჩემთვის შვილებით იყვნენ და შესაბამისად, მენანებოდა მათი გაყიდვა და მათთან განშორება;
4. შიში იმისა, რომ ნახატი ერთ დღესაც შეიძლება აღარ გაიყიდოს და უფულოდ დავრჩები და აქედან გამომდინარე, საღებავს და ტილოებსაც ვერ ვიყიდდი (ფაქტობრივად ორი ურთიერთ გამომრიცხავი შიში გამოდის: მეშინოდა იმის, რომ ნახატი არ გაიყიდებოდა და პარალელურად მეშინოდა, რომ

გაიყიდებოდა და მასთან განშორება მომიწევდა);
5. მქონდა ეჭვები, რომ იქნებ ნახატებს რეალურზე უფრო მაღალი ფასი ადევს;
6. იქნებ ხალხს არ აქვს საშუალება, რომ ჩემს ნახატებში თანხა გადაიხადოს.

სხვა გავრცელებული ბლოკები, რომელიც ყველაზე ხშირად შემხვედრია: ადამიანი არ არის დარწმუნებული, რომ გამოუვა საქმე; არ არის დარწმუნებული, რომ კარგ საქმეს აკეთებს; ეშინია იმ მდგომარეობის, რაც განხორციელებულ მიზანს/საქმეს შეიძლება მოჰყვეს; არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ამ საქმეში საკმარისად კომპეტენტურია; აქვს ანაზღაურების/ფულის მილების დისკომფორტი და ა.შ. ამას ემატება მთელი რიგი სხვადასხვა ბლოკისა, რომელიც შეიძლება ქვეცნობიერში დარჩეს ბავშვობის პერიოდიდან მოყოლებული, რომლის ჩამოთვლაც შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

თუმცა არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კიდევ ახალი ბლოკი გაგიჩნდეთ:

“იქნებ რაიმე ბლოკი მაქვს და არ ვიცი, ამიტომ მიზანს ვერ მივაღწევ”. ამას ხუმრობით შეგვიძლია ვუწოდოთ “ბლოკის შიშის ბლოკი” ან “ბლოკის შიშის სინდრომი”.

ადამიანი მთელი თავისი არსებით უნდა გრძნობდეს, რომ ჩაფიქრებული სურვილი, თუ საქმე გამოვა, მისთვის და საზოგადოებისთვის იქნება სიკეთის მომტანი. თუ ის ვირტუალურად წარმოიდგენს, რომ ეს საქმე უკვე გაკეთდა, დისკომფორტს არ უნდა გრძნობდეს.

ბლოკების მოსახსნელად საჭიროა ქვეცნობიერში ამ ჩანაწერების მიგნება და წაშლა. თუ ამას ადამიანი თვითონ ვერ აკეთებს, მაშინ სპეციფიკური მიმართულებით მომუშავე სპეციალისტს უნდა მიმართოს.

აუსრულებელი ოცნებები

ზოგჯერ ადამიანი ძალიან ბევრს ოცნებობს, მოკლე დროში აგენერირებს უამრავ სურვილს, გეგმავს სხვადასხვა ქმედებას და საქმეს, რომელსაც ვერ

ახორციელებს. ზოგჯერ, ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანი დიდ დროს სახლში ატარებს ან მარტო ცხოვრობს და ძირითად დროს სწორედ ოცნებებსა და დაუსრულებელი გეგმების დაწყობაში ატარებს. მენტალურ სამყაროში ეს სურვილები არსებობენ როგორც ობიექტები, თქვენი სასიცოცხლო ენერგიის ხარჯზე. როცა სურვილს აისრულებთ, ეს ენერგია გიბრუნდებათ. ალბათ დაკვირვებიხართ, როცა მიზანს მიაღწევთ, ენერგია უმალვე გემატებათ. მაგრამ, თუ ერთ აუსრულებელ ოცნებას დავუმატებთ მეორეს და ასე დაუსრულებლად, ავაგებთ აუსრულებელი სურვილების მთელ იმპერიას, რაც ჩვენს ენერგიაზე შეიძლება ცუდად აისახოს და ჯანმრთელობაზეც კი იმოქმედოს. ეს ეხება განუხორციელებელ საქმეებსაც. ამას გარდა, ქვეცნობიერი ეჩვევა, რომ თქვენი ასი სურვილიდან ასივე უბრალოდ ოცნებაა და არარეალურია. ხოლო, როცა ასმეერთე სურვილის ასრულება ნამდვილად მოგინდებათ,ის ისე მოიქცევა, როგორც იმ წინა ასი სურვილის შემთხვევაში მოიქცეოდა.

ეს რომ არ მოხდეს, უნდა ვეცადოთ, რომ არ მოვწყდეთ რეალობას, დიდხანს არ ვიყოთ ვირტუალურ სამყაროში. მივაჩვიოთ ქვეცნობიერი, რომ ჩანაფიქრი აუცილებლად განხორციელდება. ქვეცნობიერის გავარჯიშება მარტივი სურვილის ახდენით შეგიძლიათ. წარმოიდგინეთ, რომ გჭირდებათ ასანთი, რომელსაც ყიდულობთ. დაგაინტერესათ წიგნმა -კითხულობთ. გსურთ ვილაცასთან დარეკვა - რეკავთ. გინდათ სადმე წასვლა - მიდიხართ. ამ "ვარჯიშებით" ქვეცნობიერი ეჩვევა, რომ თითქმის ყველა თქვენი სურვილი მარტივად უნდა ახდეს. შემდეგ ეტაპზე, როცა გაზრდით სურვილების მასშტაბებს, ქვეცნობიერი და ასტრალური კომპიუტერული სისტემის ალგორითმი ამასაც დაემორჩილება.

მოქმედების ხანგრძლივობა

რა დროში შეიძლება მივიზიდოთ ან აგვიხდეს სურვილი? იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანი უშვებს ბევრ შეცდომას, სურვილების და მიზნების შემთხვევაშიც შეიძლება ხშირად შეცდეს.

მაგალითად, თქვენ გაიფიქრეთ, რომ რაღაც გსურთ და მეორე დღეს, როდესაც გაიღვიძეთ, მიხვდით, რომ ეს სურვილი საერთოდ არ გჭირდებოდათ. ამიტომ, ასტრალური კომპიუტერული პროგრამა გარკვეულ დროს გაძლევთ იმისთვის, რომ გადაიფიქროთ. მსგავსი ფუნქცია შეიძლება შეგხვდეთ ინტერნეტ პლატფორმებზეც, მაგალითად სოციალურ ქსელში შემთხვევით დააჭირეთ რაიმეს გაზიარებას ან მოწონებას და პლატფორმა არ ხდის ამას საჯაროს ის რამდენიმე წამი იმისთვის რომ თუ თქვენ შემთხვევით დააჭირეთ ამ ღილაკს გქონდეთ დრო ქმედების გაუქმების. აქ ჩნდება ახალი კითხვა, რა დრო უნდა მოიცადოს ასტრალურმა კომპიუტერმა იქამდე სანამ დაიწყებს მოქმედება? აქაც ჩადებულია უამრავი მექანიზმი, რომელიც აჯამებს უამრავ ფაქტორს და გარემოებას გამოჰყავს ოპტიმალური დრო და იმის შემდეგ იწყებს მოქმედებას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ეს დრო შეიძლება იყოს რამდენიმე წამიდან დაწყებული რამდენიმე წლით დამთავრებული. ფაქტობრივად, იშვიათ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება ისურვოს რაიმე ბავშვობაში და ასრულება შეძლოს, მხოლოდ

ზრდასრულ ასაკში, მაშინ, როდესაც მისთვის ეს სურვილი აღარ არის აქტუალური. თუმცა ამ შემთხვევაში, არის ხოლმე ის ფაქტორიც, როცა სისტემამ უბრალოდ ვერ ნახა მოთხოვნილი ვარიანტი თავის დროზე, მაგრამ ის გამოჩნდა წლების შემდეგ.

ყველა ფუნქცია, რაც გავარჩიეთ და რაც კი არსებობს ასტრალური კომპიუტერში, სისტემაში არსებულ ციფრებში გაწერილი პარამეტრების საშუალებით რეგულირდება. ამას და ზოგადად ასტრალური კომპიუტერის მუშაობას თვალს ადევნებენ მაღალ განვითარებული არსებები, რომლებიც ამ დარგის სპეციალისტებს წარმოადგენენ.

თეორიულად შესაძლებელია, რომ კომპიუტერულ ქსელში შეიცვალოს პარამეტრი, ჩაიწეროს სხვა მნიშვნელობა და ყველაფერი, რასაც ჩვენ ვიზიდავთ ჩვენს ცხოვრებაში ბევრად აჩქარდეს. ან მაგალითად ალგორითმის ამოქმედების დროის პარამეტრებში საერთოდ ჩაიწეროს ნულები, მოიხსნას ყველანაირი დაცვითი საშუალება და თუ თქვენ გაბრაზებული ხართ ცხოვრებაზე და ისურვებთ ამ პლანეტის

განადგურებას, სერვერი მომენტალურად დაიწყებს ძიებას თუ რა საშუალებები არსებობს იმისთვის, რომ ეს სურვილი როგორმე აგისრულოთ.

სინამდვილეში, დღესდღეობით ასტრალური კომპიუტერის სისტემის პარამეტრები სწორედ რომ იცვლება. ამ წიგნის ძირითადი ნაწილი მე დავწერე დაახლოებით 2010 - 2020 წელების შუალედში, ვწერდი ნელ-ნელა და პაუზებით. ახლა, როდესაც ამას ვწერ ფიქრების და მიზნების მართვა ისეთი აქტიური შეიძლება არ არის, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დედამიწაზე ჩვენი რეალობის ვიბრაცია ეტაპობრივად იწევს ზემოთ, ყველაფერი რაც აქ გავარჩიეთ უფრო და უფრო აქტიური გახდება. შეიცვლება რეალობების მიზიდვის სიჩქარე და ყველაფერი ძალიან დაჩქარდება. საბოლოო ჯამში ცხოვრება ნელ-ნელა ზღაპარს დაემსგავსება. ვიბრაციასთან ერთად იზრდება ადამიანის შესაძლებლობებიც. ამის პირველი ნიშნები იქნება ის, როდესაც ვილაცაზე გაიფიქრებთ და ის უცებ მოგწერთ ან დაგირეკავთ. ან მაგალითად რაღაცის მოწერა ან თქმა უნდოდა ადამიანს და თქვენც იგივე

მოგივიდათ თავში, ასევე წინასწარ შეიძლება იცოდეთ რა მოხდება და უამრავი სხვა რამ. საბოლოოდ ჩვენი ფიქრები შეიძენს უკვე ისეთ ძალას. რაც, ერთი მხრივ ჩვენ ცხოვრებას ზღაპრად გადააქცევს, თუმცა ამასთან ერთად ნეგატივის მოზიდვის საშიშროებაც პროპორციულად გაიზრდება.

სურვილების ასრულების კუთხით შეიძლება გამოიკვეთოს უკიდურესობები. ერთი უკიდურესობაა, როდესაც ადამიანი სულ თავის მხოლოდ სურვილების ასრულებაზეა ორიენტირებული და ის უკვე მექანიკურად გადასულია მხოლოდ სიამოვნების მიღებაზე მოხვეჭაზე ან ისეთ რამეების მოპოვებაზე რაც აღარ სჭირდება. ეს უკვე სულის ნაკლოვანებაში შეიძლება გავიდეს და მოჰყვეს კარმული შედეგები. მეორე უკიდურესობა როდესაც ადამიანს არ გააჩნია არანაირი სურვილი ის ხდება უმოქმედო, არ ცდილობს თავის ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს და არც ცდილობს თავისთავი უფრო

დახვეწოს. აქაც როგორც ყველაფერში სასურველია დავიცვათ ბალანსი.

როგორ მივიღოთ ის, რაც გვინდა

და ბოლოს, მინდა შევაჯამო ზემოთ მოყვანილი თეორიები, რათა გავიმყაროთ მიღებული ინფორმაცია. იმისთვის, რომ ჩვენ მივიღოთ რაც გვინდა, ეს პროცესი უნდა დაიხვეწოს იქამდე, რომ დაემსგავსოს სუპერმარკეტში პურის ყიდვას. თითქმის ყველაფერი რაც არ ახლავს ამ პროცესს, შეიძლება ზედმეტად ჩაითვალოს.

ადრე, როდესაც მე ვტესტავდი სურვილების ასრულების მექანიზმს, დავაკვირდი შემდეგს:. როდესაც, უბრალოდ სატესტო რეჟიმში ჩავიფიქრებდი სურვილს, ის ადვილად მისრულებოდა. მაგრამ, როდესაც მართლა მინდოდა რამე, ის ნაკლებად ხორციელდებოდა. სინამდვილეში, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ იმ სურვილზე, რომელიც მე ნამდვილად მინდოდა, ვახდენდი ძლიერ მიჯაჭვულობას, ვანიჭებდი მას დიდ

მნიშვნელობას, ვახდენდი მასზე გადაჭარბებულ კონცენტრირებას. ახლა წარმოვიდგინოთ ეს სიტუაცია მაღაზიის შემთხვევაში. თქვენ შედიხართ პურის მაღაზიაში აფორიაქებულ მდგომარეობაში და ეუბნებით გამყიდველს: “მე ეს პური ძალიან მჭირდება!”, “თქვენ თუ ახლა მე პურს სასწრაფოდ არ მომყიდით მე ცხოვრება დამენგრევა” და ა.შ.. ეს ქცევა არ არის ადეკვატური და ამიტომ ასტრალური კომპიუტერი თავს იზღვევს და მსგავს შემთხვევას სავარაუდოდ დაბლოკავს. ერთი სიტყვით, ასტრალურ კომპიუტერზე არსებულ ხელოვნურ ინტელექტს მიჯაჭვულობა არ უყვარს.

აქვე მინდა ჩამოვთვალო გავრცელებული შეცდომები მაღაზიის მაგალითზე: “თუ შეიძლება მომეცით ორი ან სამი პური”, “მე ეს პური მეკუთვნის!”, “მინდა საერთოდ ეს პური?”, “შევძლებ კი ამ პურის სახლში წაღებას?”, “როგორ მიიღებენ ამ პურს ჩემთან, ოჯახში?”, “ამ პურით გარეთ რომ გავალ, რაიმე პრობლემები ხომ არ შემექმნება?” და მრავალი სხვა.

ამიტომ, თქვენ შეგიძლიათ პურის ყიდვის სცენა გამოიყენოთ, როგორც ტესტი, შესადარებლად.

როდესაც, რაიმე კონკრეტულს ისურვებთ, ამ დროს წარმოიდგინეთ თქვენი თავი პურის მაღაზიაში და დააკვირდით საკუთარ თავს. ამის შემდეგ, უცებ მიხვდებით, თუ რა ზედმეტი აზრი მოგივიდათ თავში, რომელიც პურის მაღაზიაში არასდროს არ მოგივიდოდათ და რომელიც ასტრალური კომპიუტერის ალგორითმმა შეიძლება დაბლოკოს. საბოლოოდ, შეგიძლიათ დახვეწოთ თქვენი ფიქრები იმდენად, რომ პურის ყიდვის პროცესისგან დიდად არ განსხვავდებოდეს.

აქვე მინდა დავამატო, რომ ზემოხსენებული პურის ყიდვის პროცესი მაგალითისთვის მოვიყვანე იქიდან გამომდინარე, რომ პურის ყიდვა ყველაზე გავრცელებული პროცესია ყოველდღიურობაში. თუმცა თქვენ შესაძლოა პურს სულაც არ ჭამდეთ და არც სუპერმარკეტში დადიოდეთ, ამიტომ, ყველამ, ინდივიდუალურად, შეგიძლიათ ის პროდუქტი და გარემო წარმოიდგინოთ, რომელიც თქვენთვის უფრო კომფორტულია.

ფულადი სახსრების მართვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასტრალური კომპიუტერი ცდილობს მიიზიდოს ადამიანისთვის ის, რაც მას ჭირდება და რამდენიც ჭირდება, თუმცა ამას ემატება უამრავი ნიუანსი.

მაგალითისთვის, განვიხილოთ იგივე მოქმედების ორი სხვადასხვა ვარიანტი: თქვენ გაქვთ ფული და იყიდეთ ორი დამატებითი ბინა, რომელიც რეალურად არ გჭირდებათ, უბრალოდ იყიდეთ და დაკეტილი გაქვთ. ვარიანტი მეორე: თქვენ გაქვთ ფული, იყიდეთ ორი დამატებითი ბინა იმ მიზნით, რომ გააქირაოთ და მიიღოთ აქედან შემოსავალი. ასტრალური კომპიუტერული სისტემის გადმოსახედიდან, პირველ ვარიანტში თქვენ ტყუილად გაქვთ ის, რასაც არ იყენებთ და ეს ქმედება შეიძლება სიძუნწედ ჩაითვალოს და ამას გარკვეული შედეგიც მოჰყვეს. ხოლო, მეორე შემთხვევაში, თქვენ ეს ბინა გჭირდებათ გასაქირავებლად. ის იქნება ჩართული საბაზრო ურთიერთობებში, მოუტანს სარგებლობას სხვას და თავადაც მიიღებთ აქედან სარგებელს, რომელსაც,

თავის მხრივ, სხვა პროექტებისთვისაც გამოიყენებთ. ამ შემთხვევაში, ფულიც და ბინაც უქმად არ ცდება და საერთო საქმეს ემსახურება. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს დანაზოგი და თუ ასეთი არსებობს, ახლავე გავიქცეთ და ის ფულიც რაღაცაში ჩავდოთ.

ეს პრინციპი ეხება სხვა უამრავ რამესაც. მაგალითისთვის წარმოიდგინეთ ტანსაცმელი, რომელიც გიდევთ კარადის უკანა უჯრაში, უკვე დიდი ხანია მას არ იყენებთ და ღრმად გულში ისიც იცით, რომ არც არასდროს გამოიყენებთ. ესეც ანალოგიურად არასასურველი ქმედებაა სისტემის გადმოსახედიდან. იგივე პრინციპი შეიძლება მივუსადაგოთ ყველაფერს, უძრავ ქონებას, საყოფაცხოვრებო ნივთებს, სამზარეულოს ჭურჭელს და ა.შ.

ამიტომ, იდეალურ ვარიანტში ყველაფერი, რაც გაქვთ, ჯობს იყოს ათვისებული, ჰქონდეს თავისი გამოყენების ფუნქცია, თუნდაც მინიმალური.

ბევრი ადამიანის ყველაზე გავრცელებული სურვილია, ჰქონდეს ბევრი ფული. ამასთან

დაკავშირებით მინდა მოვიყვანო შემდეგი მაგალითი: წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელსაც უნდოდა ბევრი ფული ჰქონოდა. მას გაუგია, რომ სამყარო მიმართულია იმისკენ, რომ ყველას ჰქონდეს ის, რაც სურს, ამიტომ ის ყოველდღე ითხოვს მატერიალურ რესურსებს სამყაროსგან, მაგრამ ამ ინტენსიური მოთხოვნების მიუხედავად, მის ცხოვრებაში არაფერი იცვლება, მაშინ ის საგონებელში ვარდება: “კი, მაგრამ, სამყარო ხომ იმისკენ არის მიმართული, რომ ყველამ მიიღოს ყველაფერი, რაც უნდა?”. ეს წააგავს ისეთ სიტუაციას, როდესაც თქვენ გაგიგიათ, რომ არსებობს რაღაც ფონდი. იქიდან გამომდინარე, რომ გინდათ ფული, მიდიხართ ამ ფონდში ყოველდღე, შედიხართ და ეუბნებით, რომ ფული გჭირდებათ. საბოლოოდ ფული, რა თქმა უნდა, ვერ მიიღეთ და ბოლოს გაიკვირვეთ: “კი, მაგრამ, ეს ფონდი ხომ ადამიანის დაფინანსებით არის დაკავებული?”

ამიტომ, როდესაც ჩვენი სურვილია გქონდეს ბევრი ფული, მატრიცამ ან ხელოვნური ინტელექტის ალგორითმმა შესაძლოა ამაზე რეაგირება არ მოახდინოს. მაგრამ თუ ვითხოვთ კონკრეტულ

თანხას კონკრეტული საქმისთვის თუ პროექტისთვის, მაშინ მატრიცა შეეცდება მოიზიდოს ის იმ შესაძლებლობებით, რაც ჩვენ რეალობაში არსებობს, იმ მეთოდით, რომელიც უკვე აღვწერეთ.

აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ თუ ადამიანი სხვადასხვა მაქინაციით, არაკეთილსინდისიერად მოიპოვებს ფულს, იქნება ეს გადასახადების დამალვა, თუ ბიუჯეტიდან თანხების მითვისება, არაკეთილსინდისიერი გარიგებები, კლიენტების მოტყუება და უამრავი სხვა რამ, მაშინ მატრიცა გამოითვლის და შეაჯამებს იმ თანხას, რაც არ გეკუთვნოდათ და შემდეგ ცხოვრებებში დაგეკისრებათ იმის გამომუშავება, თავისი პროცენტებით, ინტენსიური შრომის ხარჯზე. ასევე, შესაძლოა რამდენიმე ცხოვრება სიღარიბეშიც გაატაროთ. და პირიქით, თუ ქველმოქმედებას ეწევით, კეთილსინდისიერი გზით მოპოვებული სახსრებით, ეს ამ ან შემდეგ ცხოვრებაში სასიკეთოდ აისახება. შესაბამისად, თუ წინა ცხოვრებაში ეწეოდით კეთილ საქმეებს, ამ ცხოვრებაში დაგიბრუნდებათ კეთილდღეობის, წარმატების თუ

ფულადი სახსრების სახით. მაგრამ, თუ არ ხართ ღია ამ კეთილდღეობისთვის და ბლოკავთ მას, ის მოვა მაშინ, როდესაც ამისთვის იქნებით მზად. თუ ამ ინკარნაციაში საერთოდ უარი თქვით ამაზე, მაშინ ეს შემდეგ ცხოვრებაზე გადავა.

და როგორც ყველაფერში, აქაც არსებობს ორი უკიდურესობა - არამიზნობრივი ხარჯვა და არამიზნობრივი დაგროვება. არამიზნობრივი დაგროვებაა, როდესაც ადამიანი აგროვებს ქონებას თუ ფულს მიუხედავად იმისა, რომ მას ეს არ სჭირდება. მფლანგველობა ეს არის საპირისპირო უკიდურესობა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანს არ აქვს გამომუშავებული თავისი ქონების თუ რესურსების განკარგვის უნარ-ჩვევები. მაგალითად, ადამიანი ხელფასს ბოლომდე ხარჯავს და არ აკეთებს თუნდაც მცირეოდენ დანაზოგს.მაშინ, იქიდან გამომდინარე, რომ ასტრალური კომპიუტერის ხელოვნურ ინტელექტში ჩადებულია სულების საგანმანათლებლო პროგრამა, ის შეიძლება შეეცადოს ასეთი პიროვნებისთვის მიიზიდოს სიტუაცია, სადაც ის კრიზისში ჩავარდება, უფულოდ

დარჩება, რათა სულმა მოახდინოს ამ ყველაფრის გააზრება. თუ ადამიანი ვერ მიხვდება რატომ ხდება ეს, მაშინ სიტუაცია შეიძლება კიდევ და კიდევ უფრო გართულდეს.

ასეა თუ ისე, მსგავსი შეცდომები ადამიანისთვის უნდა იყოს ბიძგი მიმართული იმისკენ, რომ ისწავლოს ფულადი თუ სხვა რესურსების სწორი მართვა. იდეალური ვარიანტია მაშინ, როდესაც ადამიანი აყალიბებს თავისთვის მოსახერხებელ სისტემას და შემდეგ ხვეწს მას და საბოლოოდ, მისთვის საუკეთესო ოქროს შუალედს პოულობს.

კონკრეტული თანხების მოძიება

როგორც უკვე ვთქვით, ასტრალური კომპიუტერი წარმოადგენს კომპიუტერულ მექანიზმს და მუშაობს ავტომატურად, ციფრული სიზუსტით. თუ თქვენ გჭირდებათ გარკვეული თანხა, რაღაც კონკრეტული საქმისთვის, უნდა მოხდეს თანხის დაზუსტება თეთრების ჩათვლით. წარმოიდგინეთ, რომ

ბანკომატიდან გამოგაქვთ ფული და კითხვაზე რა თანხა გესაჭიროებათ, პასუხობთ - მინდა დაახლოებით, 200-220 ლარი. როგორ ფიქრობთ, არსებობს ისეთი გრაფა, სადაც ჩაწერთ, რომ დაახლოებით ორასი - 200-220 ლარი გნებავთ? ან მაგალითად, მიხვედით ბანკში ან ფონდში და გეკითხებიან, თუ რამდენი ფული გჭირდებათ და თქვენ პასუხობთ, რომ დაახლოებით 500 ლარამდე. მსგავსი დაუზუსტებელი მოთხოვნები ასეთ სისტემებში არ განიხილება. მეორე საკითხია, თუ რას მოიძიებს თქვენთვის მატრიცა, მაგალითად, მოითხოვეთ 1000 ლარი ზუსტად და ეს მოთხოვნა დამუშავდა, მატრიცა შეეცადა ეპოვა ეს ვარიანტი, თუმცა მიაგნო 900 ან თუნდაც 1200 ლარიან ვარიანტს. რა თქმა უნდა, შეიძლება საერთოდ ვერაფერი იპოვოს.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ ფონდში და ეუბნებით: მჭირდება 1000 ლარი, მაგრამ სინამდვილეში გჭირდებათ 997 ლარი. ასტრალური კომპიუტერისგან შეუძლებელია რაიმეს დამალვა, ჩვენი ყველა ფიქრი იქ აბსოლუტური სიზუსტით

ალიბეჭდება. ადამიანური თვალთახედვით, 3 ლარი არაფერს წარმოადგენს, მაგრამ კომპიუტერის გადმოსახედიდან ეს გარკვეული თანხაა და მას არ შეუძლია შეაფასოს მისი სიდიდე. ფაქტი ის არის, რომ თქვენ გარკვეულ თანხას არამიზნობრივად უთითებთ. ამიტომ, თუ გარკვეული საქმისთვის გჭირდებათ 567 ლარიდან 50 თეთრი, მაშინ მიუთითეთ ზუსტად ეს თანხა და იმასაც ნუ იფიქრეთ, რომ 50 თეთრს თავად დაუმატებთ. ასტრალურმა კომპიუტერმა შეიძლება მოახდინოს შედარება, ადამიანს სჭირდება ერთი თანხა და უთითებს აბსოლუტურად სხვა ოდენობას, ესე იგი, აქ რალაც არ არის წესრიგში. ციფრებს უყვარს სიზუსტე. თუ რეკავთ ტელეფონზე და ერთი ციფრი მაინც შეგეშალათ, სასურველ აბონენტთან ვერ მოხვდებით.

ამის გარდა, უნდა დაკონკრეტდეს, თუ რისთვის გჭირდებათ ეს კონკრეტული თანხა. იმისთვის, რომ ასტრალურმა კომპიუტერმა დაიწყოს მოთხოვნის დამუშავება, საჭიროა სიზუსტე, აბსოლუტური გულწრფელობა, თავდაჯერებულობა, შინაგანი

რწმენა, რომ ნამდვილად გჭირდებათ ეს კონკრეტული თანხა გარკვეული საქმისთვის, ყველანაირი ყოყმანის გარეშე. ხოლო შემდეგ, თუ რას მოიძიებს მატრიცა, ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მოთხოვნა უკეთესად, სიყვარულის ფონზე მუშაობს. ის არის გასაღები ან პაროლი ასტრალური კომპიუტერის სისტემაში. წარმოიდგინეთ, რომ შედიხართ საქველმოქმედო თუ სხვა ფონდში და ხმამაღლა მოითხოვთ გარკვეულ დაფინანსებას და გაქვთ უამრავი პრეტენზია. დამოკიდებულება, როგორც ასეთი, რომ თქვენ რალაც გეკუთვნით, უკვე არ არის კარგი ტონი და იმის გარდა, რომ ასტრალური კომპიუტერი არ მიიღებს მას, ეს შეიძლება თქვენს უმადურობაზე ან სხვა ნაკლოვანებაზეც მიუთითებდეს.

ასევე კვლავ მინდა შეგახსენოთ, რომ ფულადი სახსრების ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი საქმისთვის მოთხოვნას ან იმ საქმისთვის, რაც თქვენ ან ხალხს რაიმე ზიანს მოუტანს, შეიძლება მოჰყვეს კარმული შედეგები, მათ შორის: თანხების უკან

დაბრუნება, ფულის წვალებით გამომუშავება, სილარიბე და სხვა სანქციები.

სილარიბის და სიმდიდრის პროგრამები

არსებობს უამრავი კონცეფცია, სტერეოტიპი, მიდგომა თუ ისეთი ფიქრებისკენ მიდრეკილება, რამაც გარკვეულწილად, შეიძლება ადამიანისთვის მიიზიდოს კეთილდღეობა ან სილარიბე. აქ შემიძლია ჩამოვთვალო ის პრინციპები, თუ აზროვნების მოდელები, რაც ჩემი ცხოვრების განმავლობაში შემინიშნავს და დავკვირვებივარ. პირველი, რასაც გამოვყოფდი, არის ხარჯებზე თუ შემოსავალზე კონცენტრირების ბალანსი. ადამიანი, რომელიც ხარჯებზეა კონცენტრირებული და მისი მთავარი სადარდებელი სწორედ ხარჯების შემცირებაზე ზრუნვაა, მიდრეკილია სილარიბისკენ, ხოლო ის, ვინც უფრო მეტად თავის შემოსავლებზე და საკუთარი თავის დახვეწაზეა კონცენტრირებული, რათა შესაბამისი მეტი ანაზღაურება მიიღოს - უფრო გამდიდრებისკენ. მაგალითად, თუ ადამიანისთვის პროდუქტებზე ფასები მაღალია და მას არ ყოფნის

სახსრები, სიღარიბისკენ ორიენტირებული ადამიანი მხოლოდ იმაზე იქნება კონცენტრირებული, თუ რა მაღალია ფასები, ხოლო იმაზე ნაკლებად იფიქრებს, რომ სინამდვილეში ეს მას აქვს დაბალი შემოსავალი. სიმდიდრისკენ მიდრეკილი ადამიანი კი პირიქით, იფიქრებს, რომ რახან მას ფული არ ყოფნის პროდუქტებზე, ესე იგი, მეტი სამუშაო აქვს საკუთარ თავზე, რომ მეტი ფული გამოიმუშაოს.

არ მინდა იფიქროთ, რომ მე ვერ შევდივარ გაჭირვებული ადამიანის მდგომარეობაში - მეც არაერთხელ გამივლია გაჭირვების პერიოდები ცხოვრებაში. ბავშვობისას, მე და ჩემი მეგობარი თვეობით ვაგროვებდით ფულს, რომ ერთი პატარა ბეზე გვეყიდა და შემდეგ შუაზე გაგვეყო. მაგრამ ალგორითმს, იმის გამოთვლა რამე ძვირია თუ იაფი, არ შეუძლია იმიტომ, რომ ეს შედარებითი მცნებაა. მთავარი არის ის, თუ რა აზრები შეედინება ადამიანისგან ასტრალურ კომპიუტერში.

ამიტომ, რაც არ უნდა ღარიბი იყოს ადამიანი და არასწორ ფიქრებს აწვდის ასტრალურ კომპიუტერს, სისტემა მაინც შეეცდება ის კიდევ უფრო ქვემოთ

დაქაჩოს. და პირიქით, შეიძლება ადამიანისთვის რალაცა ძვირი იყოს, მაგრამ მან ეს ფული მაინც მადლიერებით და სიხარულით გასცეს და ამით ხელოვნური ინტელექტი მისთვის მეტის მოზიდვას შეეცდება.

იგივე პრინციპი შეიძლება დამსაქმებლის მიდგომაზეც გავრცელდეს, მაგალითად ადამიანი კონცენტრირებულია იმაზე, რომ დასაქმებულს რაც შეიძლება ნაკლები ხელფასი დაუნიშნოს, რათა თავისი ბიზნესი ამის ხარჯზე წამოწიოს. ან პირიქით. ამ კონცეფციებიდან გამომდინარე, ასტრალური კომპიუტერი მომავალში თქვენთვის ან თქვენი ბიზნესისთვისაც შესაბამისი რეალობის მოზიდვას დაიწყებს.

თუ ადამიანი ცდილობს სხვადასხვა ხრიკებით ამუშაოს სხვა ადამიანი და არ მისცეს მას შესაბამისი გასამრჯელო, ასევე დამსაქმებელი, რომელიც ამუშავებს დასაქმებულს და არ აძლევს შესაბამის შეთანხმებულ ხელფასს ან თუნდაც, რაიმე საქმეში ან ბიზნესში ადამიანი ცდილობს მეორე ადამიანის “გადაგდებას”, გამოყენებას ან მოტყუებას, ეს უკვე

ნიშნავს, მხატვრულად თუ ვიტყვით იმას, რომ მას “სილარიბის ბილეთი” უკვე ნაყიდი აქვს და შარვლის უკანა ჯიბეში უდევს.

იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებთ სხვის შრომას, ასტრალური და კარმული სისტემა იგივე მიდგომას თქვენზე ავტომატურად გამოიყენებს. მაგალითად, თუ თვლით, რომ გარკვეული სერვისების შესრულებასა და შრომაში ადამიანებმა უფრო ნაკლები ანაზღაურება უნდა აიღონ, მომავალში თქვენს შრომაშიც ნაკლებს მიიღებთ. ხოლო თუ პირიქით ფიქრობთ, მაშინ ასტრალური კომპიუტერი მიმართული იქნება იმისკენ, რომ თქვენს შრომაშიც მეტი ანაზღაურება მიგალებინოთ.

უხეში მაგალითი: თქვენ დღის განმავლობაში ვილაცას დაეხმარეთ, მაგალითად, გაჭირვებულს მიეცით ფული და ეს გააკეთეთ უანგაროდ. შემდეგ იმავე დღეს იყიდეთ ნიგოზი, ვაშლი და ამაში ფული გადაიხადეთ, თუმცა დაგენანათ, თუნდაც იმიტომ, რომ გეძვირათ. ხელოვნური ინტელექტი აუცილებლად დააფიქსირებს იმ მომენტსაც, რომ რალაც უანგაროდ გააკეთეთ და იმ ფიქრსაც, რომ

რალაც დაგენანათ. გამოდის, რომ ერთ დღეში თქვენ განახორციელეთ ერთი კარგი და ორი არც თუ ისე კარგი ქმედება, იმიტომ რომ დაგენანათ. სამივე ეს ქმედება, თუნდაც მცირედით, მაგრამ აისახება კარმაზე.

მე ასევე მსმენია მიდგომა თუ სტერეოტიპი, რომ რაც კარგია და რაც სიკეთეს ემსახურება, უნდა იყოს აუცილებლად უფასო. მაგალითად, თუ ხედავთ, რომ ვილაც ატარებს ლექციას მაგალითად, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, მედიტაციაში თუ სხვა სფეროში და თვლით, რომ ეს ლექცია ადამიანის განვითარებას ეხება. თუ ამის საშუალება გაქვთ, ჯობს არ დაინანოთ ამაში ფულის გადახდა, წინაალმდეგ შემთხვევაში, ამ მიდგომას ასტრალური კომპიუტერი აღიქვამს ისე, თითქოს გსურთ, რომ სხვამ იშრომოს და თქვენ კი სხვისი შრომის შედეგი უფასოდ მიითვისოთ. (რა თქმა უნდა, სამყაროში არსებობს უამრავი ადამიანიც და არსებაც, რომლებიც ადამიანებს ემსახურებიან თუ ეხმარებიან უსასყიდლოდ. აქ მხოლოდ ადამიანის დამოკიდებულებაზე, ფიქრებზე და მიდგომაზეა

საუბარი). სხვა სიტყვებით, როდესაც გინდათ რაღაც უფასოდ მიიღოთ, ეს არის იმის საპირისპირო, როდესაც გსურთ, რომ რაღაც უანგაროდ გასცეთ.

გარდა ამისა, საქმე იმაშია, რომ ღმერთის კანონებით, სამყაროში კეთილსა და მის საპირისპირო მიმართულებას შორის არსებობს ჯანსაღი კონკურენცია, თუ გენანებათ ფული სიკეთეში, ამით ფაქტობრივად ძირავთ ამ მხარეს და საბოლოოდ გამოდის, რომ სიკეთეს კი არ ემსახურებით, არამედ გსურთ, რომ ის მხოლოდ თქვენი კეთილდღეობისთვის გამოიყენოთ.

ერთი სიტყვით, თუ შევაჯამებთ, ადამიანს, რომელიც მოხვეჭაზეა ორიენტირებული, ექნება შესაბამისი კარმა და ასტრალური კომპიუტერი მისთვის ერთს მოიზიდავს, ხოლო ვინც უფრო მეტად ორიენტირებულია გაცემაზე - მეორეს.

სად მიედინება ჩვენი ენერგია

ჩვენ ყოველდღიურად ვხარჯავთ ფულს, ვყიდულობთ საკვებს, ვიყენებთ სხვადასხვა სერვისს და ამ ყველაფრის უკან დგას ესა თუ ის მწარმოებელი და კომპანია. შესაბამისად, რაც უფრო ხშირად ვიყენებთ ამა თუ იმ ბიზნესის პროდუქტსა თუ სერვისს, ეს კონკრეტული კომპანიები თუ ბიზნესები მით უფრო მეტად ფართოვდებიან, რაც ბუნებრივი და კანონზომიერია. ადრე, როდესაც შევდიოდით პურის მაღაზიაში, ვიხდიდით ნაღდი ფულით. შემდეგ ეს სისტემა განვითარდა და ახლა უკვე ფულს ვიხდით ბანკის პლასტიკური ბარათის მეშვეობით, ტერმინალთან ახლოს მიტანით, ისე, რომ ფიზიკურად შეგვიძლია არც კი შევეხოთ. სისტემა ისე დაიხვეწა, რომ ფიზიკურად ფულს ველარ ვხედავთ,

მაგრამ იქ, სადღაც სისტემაში, ჩვენი ფული გადაირიცხა. ახლა, წარმოვიდგინოთ, რომ სისტემა იმდენად დაიხვეწა, რომ ჩვენი ფიქრებით შეგვიძლია სხვადასხვა ტრანზაქციის განხორციელება, უკვე არა ფულის, არამედ ენერგიის, რაც ზუსტადაც რომ ფულის ერთეულია იმ სამყაროში, რომელშიც ეს ტრანზაქციები სრულდება.

სინამდვილეში, ჩვენ ამის შესახებ არ ვიცით, თუმცა ყოველდღიურად ვრიცხავთ ენერგიას სხვადასხვა ანგარიშზე, რაც ბუნებრივი და კანონზომიერია. მთავარი კითხვაა ვის ვურიცხავთ და რა ანგარიშზე ვრიცხავთ. როდესაც მივდივართ ქუჩაში და ქუჩის თავში კიდია კომპანიის ბანერი, შეიძლება მას არც შევხედოთ, თუმცა ქვეცნობიერი ამას აფიქსირებს და ძალიან პატარა ოდენობის გადარიცხვას აკეთებს ამ კომპანიის ეგრეგორში. როდესაც დავდივართ დიდ სავაჭრო ცენტრში, კომპანიების და სხვადასხვა პროდუქციის რაოდენობა ძალიან დიდია, შესაბამისად, პატარა გადარიცხვებით უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობა გროვდება, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, როდესაც მსგავს დიდ სავაჭრო

ცენტრებში ვიზიტის შემდეგ ადამიანი გამოფიტულად გრძნობს თავს. მაგრამ, სინამდვილეში, როდესაც რაიმე ემოციას განვიცდით, მაშინაც ხდება ენერგიის ჩარიცხვა, ოღონდ ეს კომპანია უკვე დარეგისტრირებულია არა ფიზიკურ სამყაროში, იუსტიციის სახლში, არამედ ასტრალური კომპიუტერული ქსელის სისტემაში.

ეს ანგარიშები პირობითად შეგვიძლია დავყოთ ორ კატეგორიად - ნეგატიური და პოზიტიური. ნეგატიური კატეგორიის ანგარიშებში შეედინება ადამიანის მიერ გამოყოფილი ენერგია, რომელსაც ის გამოყოფს აგრესიის, უმადურობის, შურის, სიძულვილის თუ სხვა შემთხვევაში. ხოლო პოზიტიურში შედის სიყვარული, მადლიერება, სიხარული და ა.შ.. როდესაც თქვენ სოციალურ ქსელში ნახეთ რაღაც ვიდეო და თავში ნეგატიური აზრი მოგივიდათ, ჩათვალეთ, რომ თქვენს ნეგატიურ ანგარიშზე უმალვე ჩარიცხეთ თანხა, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნახეთ ამ ვიდეოში ან რა მიზეზით გამოყავით ეს ენერგია. აქედან გამომდინარე, თქვენ შეიძლება სიკეთის და

პოზიტიური ფასეულობების მხარეს იდგეთ, მაგრამ ამავე დროს გამალებით რიცხავდეთ ნეგატიურ ანგარიშებზე ფულს. ეს თქვენ ნეგატივის ანგარიშების კლიენტად გხდით, გაქვთ გახსნილი დაგროვების ბარათი და ითვლებით ნეგატიური კომპანიების მოწინავე წევრად. ანუ თქვენ ხართ კეთილი, ხოლო სინამდვილეში დგახართ ნეგატიურ მხარეს. როგორც თქვენ ინტერნეტ ბანკინგში შეგიძლიათ ადევნოთ თვალი, რომელ ანგარიშზე თუ რა თანხა გაქვთ ჩარიცხული , რა გაქვთ ნაყიდი ან რომელი სერვისით გისარგებლიათ, ისე ასტრალურ კომპიუტერში თქვენს ანგარიშზე ფიქსირდება ყველა ე.წ. ენერგო ტრანზაქცია. ახლა ამოვბეჭდოთ თქვენი "საბანკო ამონაწერი". თქვენ გგონიათ, რომ კეთილი ადამიანი ხართ, მაგრამ თუ ასეა, რატომ გაქვთ ჩარიცხული აგრესიის და სიძულვილის ანგარიშზე ესოდენ დიდი თანხა მთელი ცხოვრების განმავლობაში? დარწმუნებული ხართ, რომ ნათელ მხარეს ემსახურებით?

სინამდვილეში, ამ დიდი ანგარიშების უკან დგანან სხვადასხვა არსებები. ზოგიერთი მათგანი თქვენთვის

შეიძლება ცნობილიც არის, მითებიდან, რელიგიური ტექსტებიდან, ინტერნეტიდან თუ სხვა წყაროებიდან. თუმცა მათზე კონცენტრაცია ან მათი სახელების ხსენებაც კი, მათ ანგარიშებზე ენერგიის ჩარიცხვას ნიშნავს - თუნდაც მიზერულის.

შეიძლება გაგიჩნდათ კითხვა, მაშინ სად ჩავრიცხოთ ენერგია, თუ საერთოდ ვაპირებთ ამის გაკეთებას? რა თქმა უნდა, ჯობს ჩარიცხოთ ფული იმის მიხედვით განვითარების რომელი გზაც გაქვთ არჩეული. ეს თქვენი ნებაყოფლობითი არჩევანია და ღმერთის კანონების მიხედვით, შეგიძლიათ ნებისმიერი გზა აირჩიოთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სინათლის მხარეს დგახართ, სინამდვილეში ეს არის ერთი მშვენიერი ანგარიში და მის უკან დგანან სინათლის არსებები და ისინი არიან ამ ანგარიშის მფლობელები. ამ ანგარიშზე თქვენ რიცხავთ ენერგიას სიყვარულის განცდის დროს. ეს არის სიყვარულის ანგარიში, რომელშიც ძალიან ბევრი სინათლის არსებაა გაერთიანებული. თუ როგორ ჩავრიცხოთ ამ ანგარიშზე ენერგია, ამას მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ.

მედიტაცია

იმ დიდ სამყაროში, რომელიც ღმერთმა შექმნა, სხვა კანონებთან ერთად ჩაიდო კეთილი ნების პრინციპი, რაც სულს საშუალებას აძლევს აირჩიოს ის მიმართულება ან ფასეულობებისკენ სწრაფვა, რაც მას სურს. სამყაროში არსებულმა სულების და არსებების გარკვეულმა ნაწილმა გადაწყვიტა სიყვარულის ეგიდით გაერთიანება, იმიტომ, რომ ეს წარმოადგენს არსებობის თუ თანაცხოვრების საუკეთესო გზას. მათ გადაწყვიტეს შემწყნარებლობის, სიკეთის და სიყვარულის გზით განვითარება და არსებობა. სამყაროს თითქმის ყველა სინათლის არსება ამ გაერთიანებაშია განევრიანებული.

ეს მედიტაცია, რომელიც მასწავლეს, არის ერთგვარი განაცხადი, რომ თქვენ ნამდვილად გსურთ ამ გაერთიანების ერთ-ერთი წევრი იყოთ და რომ თქვენ დგახართ ან გსურთ დადგეთ ნათელ მხარეს. თქვენი არჩევანი ნათელი ფასეულობებისკენ სწრაფვაა და გინდათ, რომ თქვენი მომავალი სულის არსებობა

სინათლის სამყაროს დაუკავშიროთ. რა თქმა უნდა, მომავალი სულის არსებობაში იგულისხმება ბევრად მეტი დროის მონაკვეთი, ვიდრე ერთი ცხოვრებაა. ეს ყველაფერი მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ განვითარების სწორედ ეს გზა გაქვთ არჩეული. ეს შეიძლება შევადაროთ, როდესაც ქვეყანა ირჩევს დემოკრატიულ ფასეულობებს და ამ მიმართულებით ვითარდება.

შეიძლება იფიქროთ, რომ თქვენ ისედაც დადებითი ადამიანი ხართ და ისედაც გაქვთ სიყვარული. ან იფიქროთ, როგორ შეიძლება დააძალოთ საკუთარ თავს გქონდეთ სიყვარული, როცა ცხოვრობთ ისეთ გარემოში, სადაც სიყვარულის ნაკლებობა ან ამდენი გაჭირვება და ნეგატივია გარშემო. თუმცა სინამდვილეში, გარემო თქვენ ირგვლივ, და სიტუაცია, რომელშიც იმყოფებით,სიყვარულის მედიტაციასთან კავშირში არ არის.

შესრულების ტექნიკა წარმოადგენს ერთი, ერთი შეხედვით ბანალური სიტყვის ტვინში გამეორებას იმ დროს, როდესაც გაგახსენდებათ. ეს სიტყვა არის “მიყვარს.. მიყვარს.. მიყვარს.. მიყვარს..“ ყველაზე

მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამისთვის არ არის საჭირო სპეციალური განწყობის შექმნა, არ არის აუცილებელი ამ სიტყვას თან ახლდეს გარკვეული ემოცია, საჭიროა მხოლოდ ამ სიტყვის მექანიკური გამეორება. როდესაც თქვენ მობილ ბანკით სადმე ფულს რიცხავთ, თქვენ ხომ ამას ემოციით არ აკეთებთ, უბრალოდ მექანიკურად მიყვებით ინსტრუქციას. ანალოგიურად, ასევე მექანიკურად ჩარიცხეთ თქვენი ენერგიის პატარა ნაწილი იმ დიდ ფონდში, რასაც სიყვარული ჰქვია. ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ნებისმიერ დროს, მაგალითად, ადიხართ სახლში კიბეებზე ან იმყოფებით სტუმრად და გაგახსენდათ აღნიშნული მედიტაცია, იწყებთ გამეორებას გულში ყოველგვარი ძალდატანების და დაძაბვის გარეშე. იგივე პრინციპით შეგიძლიათ გაიმეოროთ სამსახურში, ქუჩაში, თუ ველოსიპედის ტარების დროს.

დროთა განმავლობაში ის განწყობა და ის ემოციაც, რაც უპირობო სიყვარულს შეიძლება ახლდეს, მოვა სწორედ ამ სიტყვის გამეორებით, ბუნებრივად და

არა ძალდატანებით და დაძაბვით. ის მოვა იმ დროს, როდესაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ.

ამ სიტყვის გამეორების გარდა, თანდათანობით შეგიძლიათ გააფართოოთ მედიტაციის არეალი და სიყვარულის მედიტაცია შეასრულოთ ნივთების მიმართულებით, მაგალითად: მიყვარს ფანქარი... მიყვარს კბილის ჯაგრისი... მიყვარს საჭმელი... მიყვარს ქუჩა... მიყვარს საფულე... და ასე ნებისმიერ ნივთზე. ასევე სხეულის ნაწილებზე, მაგალითად: მიყვარს ჩემი თითი... მიყვარს კუჭი... მიყვარს ხერხემალი... მიყვარს თვალები... და ა.შ. საბოლოოდ, უნდა შეეცადოთ შეიყვაროთ თქვენი ფიზიკური სხეულის ყველა ნაწილი. თუნდაც ის ნაწილები, რომლებიც თითქოს არ მოგწონთ.

ასევე კარგი იქნება, თუ მოხდება თქვენი თვისებების, ჩვევების, რეაქციების და ზოგადად თქვენი თავის შეყვარებაც. საკუთარი თავის მიღება და სიყვარული ორი უმთავრესი მისიაა, რომლისკენ სწრაფვაც გადამწყვეტია სულის განვითარებისთვის.

შემდეგ, იგივე მეთოდი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ადამიანების მიმართაც. როგორც კი დაიწყებთ

კონკრეტულ ადამიანების მიმართ სიყვარულის მედიტაციას და გაუგზავნით მათ სიყვარულს, შესაძლოა მათ ეს იგრძნონ და თქვენი მოკითხვა მოინდომონ. საბოლოოდ, თქვენ გარშემო ყველა ადამიანი უნდა შეიყვაროთ.

შემდეგ ეტაპზე, შეგიძლიათ თქვენი პრაქტიკა მიმართოთ, მოვლენებზე, შემთხვევებზე და ადგილებზე. ეს შეიძლება იყოს წვრილმანი საქმე, რომელსაც ასრულებთ. მაგალითად, ჭურჭლის გარეცხვა ან სახლის დალაგება, ასევე ტრანსპორტით მგზავრობა, სამსახურში საქმის შესრულება და სხვ. კარგი იქნება, თუ გამოიმუშავებთ ისეთ ჩვევას, რომლის დახმარებითაც ყველაფერს სიყვარულის ჭრილში შეხედავთ. ნებისმიერი ცუდი გამოცდილება, შემთხვევა თუ ბოროტება მიიღოთ შინაგან დონეზე, სიყვარულის ფონზე.

საბოლოო ჯამში, თვენი ცხოვრება დაიწყებს ცვლილებას ყოველი მხრივ, იმ მიმართულებითაც, რაც საერთოდ არ არის კავშირში სიყვარულთან ან ამ სიტყვის გამეორებასთან. გაგიუმჯობესდებათ კონცენტრაციის უნარი, გაქრება აკვიატებული

უაზრო ფიქრები, მოგემატებათ თავდაჯერებულობა, ენერგია, გახდებით ბევრად ამტანი და რაც ადრე სტრესულად გეჩვენებოდათ, აღარ იმოქმედებს თქვენზე. ასევე, გახდებით ყველასთვის სასურველი ადამიანი, ყველა ეცდება თქვენთან მეგობრობას, სურვილების და მიზნების რეალიზაცია მოხდება სწრაფად და სხვ. ფაქტობრივად, ეს არის ის მარტივი გზა, რომლითაც შესაძლებელია გადაიჭრას ფიზიკური თუ შინაგანი პრობლემები, ერთდროულად და დიდი ძალისხმევის გარეშე. მათ შორის ის პრობლემებიც, რაც ამ წიგნშია იყო აღწერილი.

როდესაც სიყვარულის მედიტაციას და მისი მოქმედების ეფექტს კარგად იგრძნობთ და მიიღებთ, ეცადეთ შეინარჩუნოთ სიყვარულის მდგომარეობა და დანერგოთ ის ყოველდღიურობაში. იარეთ გაღიმებულებმა და გაუღიმეთ ყველას, გიყვარდეთ ყველა თქვენს გარშემო. როდესაც, ქუჩაში სიარულისას ეცადეთ იგრძნოთ თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში. როდესაც, ნაცნობი შეგხვდებათ, გამოელაპარაკეთ დიდი სიყვარულით და იგრძენით

შინაგანი სიხარული. არ არის საჭირო თავდაცვის მიზნით შინაგანი სიცივის და ასე ვთქვათ, ყალბი ნილბის ტარება. იყავით ისეთი, როგორიც ხართ და იმუშავეთ იმაზე, რომ შეინარჩუნოთ შინაგანი გულწრფელობა იმ დროსაც კი, როდესაც უბრალოდ ქუჩაში მიდიხართ. იგრძენით შინაგანი კმაყოფილება, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ იმყოფებით ამ მატერიალურ სამყაროში. იმისდა მიუხედავად, რომ შეიძლება მოხვდეთ სიტუაციაში, რომელიც მტრულად მოგეჩვენოთ, შეიქმენით ის შინაგანი მდგომარეობა, სადაც ყველა თქვენიანია. ხოლო თუ რამე არ მოგწონთ, ხმამაღლა გამოხატეთ თქვენი აზრი, ოღონდ ამის უკან არ უნდა იყოს ზიზღი ან აგრესია, არამედ მეგობრული რჩევა და სიყვარული. თუ ადამიანმა რამე დააშავა, დაარღვია რაიმე ნორმა/კანონი ან არასწორად მოიქცა და თქვენ შენიშვნას მისცემთ სიყვარულის ფონზე, შეიძლება იმ მომენტში არც კი შეიმჩნიოს, მაგრამ სინამდვილეში ბევრს იფიქრებს თქვენს ნათქვამზე და ისმთელი ცხოვრება ემახსოვრება. შეინარჩუნეთ ბავშვურობა, იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა უკვე ასაკოვანი იყოთ. აღიქვით საკუთარი თავი როგორც ბავშვი, არ

არის საჭირო იმის ჩვენება, რომ ვინმეზე უფროსი ხართ ასაკით, სხვებისგან მეტი პატივისცემის მოპოვების მოლოდინის გამო. ხოლო თუ ასაკით პატარა ხართ, უფროსების მიმართ პატივისცემა ყოველთვის შეინარჩუნეთ. სამყაროში დიდი მნიშვნელობა აქვს ზრდილობის და ტაქტის შენარჩუნებას ურთიერთობებში. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ უზრდელობას ან ბულინგს კარმული შედეგები მოჰყვება.

წარმოიდგინეთ თქვენი პროფესია, სფერო, ის საქმიანობა, რითაც მთელი ცხოვრება იყავით დაკავებული. თქვენ ყველაზე კარგად იცით ამ პროფესიის დეტალები, რა და როგორ ჯობია გააკეთოთ იმისთვის, რომ მიიღოთ მაქსიმალური შედეგი იმიტომ, რომ ამ საქმის სპეციალისტი ხართ. ახლა, წარმოვიდგინოთ ახალბედა, რომელსაც ეს პროფესია ახალი ათვისებული აქვს. თუ მას თვალს ადევნებთ, უკვე წინასწარ გეცოდინებათ, რა შეცდომებს დაუშვებს და რაც მთავარია, გეცოდინებათ ყველაზე ოპტიმალური გზა იმისთვის, თუ, როგორ ჯობს საქმე საუკეთესოდ გაკეთდეს.

ანალოგიურად, ჩვენი სამყაროს ღმერთს აქვს დიდი გამოცდილება, უნახავს კოლოსალურად ბევრი რამ თავისი არსებობის განმავლობაში. ამას ემატება ისიც, რომ ღმერთი ფლობს ამ თვალუწვდენელ სამყაროებს, უნახავს ცივილიზაციების არსებობის ბევრი ვარიანტი და ამ ყველაფრის შემდეგ, მისი და სხვა მაღალგანვითარებული არსებების მთავარი გზავნილი ყოველთვის იყო ის, რომ არსებობის ყველაზე საუკეთესო გზა უპირობო სიყვარულია.

ამ ცხოვრების და ყველა წინა ინკარნაციის განმავლობაში, ადამიანს აქვს ურთიერთობა ბევრ, სხვა ადამიანთან. ამ დროს ხდება ენერგიის მიმოცვლაც, თქვენი სულის ენერგიის ძალზე მცირე ნაწილი რჩება სხვა ადამიანის აურაში, ხოლო სხვისი სულის ფრაგმენტი თქვენსაში. ეს განაპირობებს იმას, რომ ადამიანის სულის პატარა ფრაგმენტები მიმოფანტულია პლანეტის მასშტაბით. თუ სიყვარულის მედიტაცია წარმატებით ხორციელდება, მაშინ დაიწყებთ ამ თქვენი სულის პატარა ფრაგმენტების უკან დაბრუნებას. თქვენ გადაიქცევით მაგნიტად, რომელიც იზიდავს ამ

პატარა ნაწილაკებს. ეს მოხდება თავისთავად და არ არის აუცილებელი აღნიშნული მიზნად დაისახოთ და ამისთვის კონკრეტული ქმედებები განახორციელოთ.

ასევე, სიყვარულის მედიტაცია დადებითად იმოქმედებს იმ მექანიზმზე, რასაც ავტომატური კარმა ჰქვია, როგორც პიროვნებაზე, ასევე პლანეტარული მასშტაბითაც. თუ ეს სიყვარულის მედიტაციის გზავნილი გავრცელდება და მოიცავს მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას, მაშინ პლანეტის ავტომატური კარმა შეიცვლება და კაცობრიობა განვითარების სხვა მიმართულებას აიღებს.

თუ თქვენ საბოლოოდ გადაიქცევით სიყვარულის არსებად, მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ სამყაროს იმ დიდი ნაწილის, სადაც ვრცელდება სინათლე, თითქმის ყველა კარი თქვენთვის ღიაა. წარმოვიდგინოთ, რომ პასპორტში გირტყიათ სუპერ ვიზა, რომლითაც ყველა პოზიტიური ეგიდით გაერთიანებულ სამყაროში შეხვალთ. დაახლოებით ისე, როგორც ჩვენს რეალობაში, გაქვთ დემოკრატიული ქვეყნის პასპორტი ან ვიზა და

შეგიძლიათ შეუფერხებლად იმოძრაოთ დემოკრატიის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ქვეყნებში.

იმის გარდა, რომ სიყვარულის მედიტაციის კეთებით სინათლეს ემსახურებით, ეს შეიძლება ენერგიის დაბანდებადაც ჩაითვალოს ისე, როგორც ჩვენს რეალობაში ყიდულობთ სახლს დედამიწის ყველაზე კარგ ადგილას, სადაც თქვენი მეზობლები სულ სიყვარულის არსებები და ანგელოზები არიან.

სიყვარულის მედიტაციის შესრულების გარდა, შეგიძლიათ გახდეთ სიყვარულის მედიტაციის გამავრცელებელი, ასწავლოთ სავარჯიშო სხვებს და ეს მოგიტანთ კიდევ უფრო მეტ ბონუსს მატრიცულ სისტემაში, იმოქმედებს თქვენს კარმასა და ენერგო ბიუჯეტზე.

და ბოლოს, როგორც უკვე განვიხილეთ, ღმერთმა შექმნა სამყარო და სულები, რომლებსაც მისცა თავისუფლება აერჩიათ ის გზა, რაც თავად სურთ. სულების გარკვეულმა ნაწილმა აირჩია სიყვარულის გზა და ისინი სიყვარულის ეგიდით გაერთიანდნენ. თქვენ გაქვთ თავისუფლება აირჩიოთ სიყვარულის

გზა ან გაერთიანდეთ სხვა გაერთიანებაში. აი, ასეთი მარტივია სინამდვილეში ყველაფერი.

ნაწილი მეორე

ასტრალური სამყარო

მატერიალური სამყაროს დატოვება

მთელი ცხოვრების მანძილზე, ყველაფერი, რასაც ადამიანი გადის ამ ცხოვრებაში, როგორც სრული ფილმი, იწერება მისი ტვინის ქვეცნობიერ ნაწილში. სიკვდილის მომენტში, წამის მეათედით ადრე, სანამ ფიზიკური სხეული განადგურდება, ეს ინფორმაცია უკუსვლით გადაიწერება პიროვნების უფრო ფაქიზ, ასტრალურ სხეულზე. წარმოვიდგინოთ ფილმი, რომელიც გადავახვიეთ დასაწყისზე, ადამიანის დაბადების მომენტზე და პაუზაზე დავაყენეთ. ეს სისტემა მუშაობს ავტომატურად და აქტიურდება, როდესაც ადამიანის სხეულის განადგურების,

სიკვდილის საფრთხე იქმნება. ამიტომ, ხშირად ხდება, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო, ადამიანი, რომელიც მისულია სიკვდილის ზღვარზე, წამიერად ხედავს, თუ როგორ გაიელვებს მის წინ მთელი ცხოვრება.

მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანი ფიზიკური გარსის გარდა ფლობს ეთერულ, ასტრალურ, მენტალურ და კაუზალურ სხეულებს, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ, თუმცა ამ წიგნში იმისთვის, რომ მკითხველისთვის უფრო მოსახერხებელი იყოს, გამოვიყენებთ ტერმინს “ასტრალური სხეული” და “ასტრალური სამყარო”.

მას შემდეგ, რაც ფიზიკური სხეული დაასრულებს ფუნქციონირებას და სული დატოვებს მას, ავტომატურად ამოქმედდება სხვა, მაღალტექნოლოგიური, დედამიწის მასშტაბის გიგანტური მექანიზმი, რომელიც ძალდაუტანებლად იზიდავს სულს, როგორც მაგნიტი რკინას და მაღალი სიჩქარით გადაჰყავს ეგრეთ წოდებულ ასტრალური სამყაროს მოსაცდელ ადგილას. ამ დროს სული ხედავს, რომ ის მაღალი სიჩქარით გადაადგილდება

გვირაბში. “გვირაბების” გავლის შემდეგ ის ხვდება განათებულ ადგილას, რომელსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ მოსაცდელი დარბაზები. ანალოგიისთვის ჩვენი რეალობიდან, ეს შეიძლება შევადაროთ ადამიანს, რომელიც მიემგზავრება სხვა ქვეყანაში და თვითმფრინავში მგზავრობის შემდეგ, ის ხვდება აეროპორტში.

ლეგენდები ამ გვირაბებზე და განათებულ ადგილებზე შეიძლება მოვისმინოთ ადამიანებისაგან, რომლებიც ახლოს იყვნენ სიკვდილთან, მოხვდნენ ამ სისტემაში, ხოლო შემდეგ ისევ მატერიალურ სამყაროში დააბრუნეს. ისე, როგორც, მაგალითად, კლინიკური სიკვდილის შემთხვევაში ან ზოგჯერ ნარკოზის ქვეშაც კი. ეგრეთ წოდებული აეროპორტის მოსაცდელი დარბაზები დიზაინით შეიძლება შევადაროთ ზოგიერთ ფილმში მოცემულ სცენებს, სადაც აღწერილია სამოთხე ღრუბლებში, თავისი განათებებით და დამამშვიდებელი აურით. ყველაფერი ეს მოწყობილია იმისთვის, რომ სულმა იქ მაქსიმალურად კარგად იგრძნოს თავი იმიტომ, რომ

დედამიწიდან ის ზოგჯერ გადაღლილი და სტრესულ მდგომარეობაში ბრუნდება.

რატომ შექმნა ღმერთმა ეს გიგანტური მექანიზმი, რომელიც მაგნიტივით იზიდავს სულს გვირაბებში? წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწაზე დღეში კვდება დაახლოებით 150 000 ადამიანი. რომ არა ეს მექანიზმი, მაშინ სულები დედამიწას მოეფინებოდნენ როგორც მოჩვენებები და ეს იქნებოდა კარგი სცენარი ფილმისთვის, სადაც სულები ნელ-ნელა მრავლდებიან დედამიწაზე და ადამიანების კოშმარად იქცევიან, ხოლო ბოლოს პლანეტასაც კი იპყრობენ.

ყველაფერი, რაც ჩვენ აქ გვაქვს აღწერილი, წარმოადგენს სიკვდილის პროცესის ძირითად, ყველაზე ხშირ სცენარს. არსებობს ბევრი გამონაკლისი და სხვა ვარიანტებიც, მაგალითად, ზოგჯერ შეიძლება სულმა სიკვდილის შემდეგ სხვადასხვა მიზეზით არ დატოვოს მატერიალური სამყარო და მას მისცენ საშუალება იაროს მატერიალური სამყაროს ფარგლებში როგორც მოჩვენება, თუმცა ასეთი შემთხვევები გამონაკლისია და იშვიათი. ასევე, ის შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა

რეალობასა თუ ეგრეგორში იმ მრწამსის, სურვილის თუ მიდგომების მიხედვით, რაც მას გააჩნია. თუმცა ერთ-ერთ, ჩემი აზრით უფრო მნიშვნელოვან გამონაკლისს ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ თავში: ასტრალური გუმბათი. ნებისმიერ შემთხვევაში, სული ადრე თუ გვიან მაინც ხვდება ეგრეთ წოდებულ მოსაცდელ დარბაზებში და გადის იმ პროცესებს, რომელსაც აღვწერთ.

სტანდარტულად, სულს ნელ-ნელა უბრუნდება მეხსიერება და მისი განცდაა, რომ ის ბრუნდება სახლში და არა პირიქით. ასტრალურ სამყაროში მას ახსოვს თავისი წარსული ინკარნაციები დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ ცხოვრებაში გვახსოვს განვლილი ცხოვრების ძირითადი, მნიშვნელოვანი და აქტუალური მომენტები და არა ყოველი წამი და ყოველი დღე.

ბევრს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, დახვდებიან თუ არა მას გარდაცვლილი ახლობლების სულები მოსაცდელ დარბაზებში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დაახლოებითი ანალოგი. თქვენ მიფრინავთ

ქვეყანაში, მაგალითად, ამერიკაში, სადაც თქვენი ბევრი უახლოესი ადამიანი ცხოვრობს. დაგხვდებიან თუ არა ისინი აეროპორტში? როგორც მაგალითად ამერიკაში, ასევე ასტრალურ სამყაროში ყველა დაკავებულია თავისი საქმით. მაგრამ თუ იმის საჭიროება გახდა, რომ თქვენ შეგექმნათ მაქსიმალური კომფორტი, მაშინ თქვენი გიდი (გიდებს შემდგომში განვიხილავთ) მოგიწყობთ ამაღელვებელ და სასიხარულო შეხვედრას თქვენს ახლობლებთან ან თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ გამოყენებული იქნება ჰოლოგრამები. მინდა გითხრათ - არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლები იმ სამყაროში სხედან ფანჯრის რაფაზე და ელოდებიან, თუ როდის მოვკვდებით, რათა გვნახონ. ძირითადად ისინი თავისი საქმეებით არიან დაკავებულები ან უკვე ახალ დაბადებაზე ფიქრობენ და ა.შ. საქმე იმაშია, რომ როდესაც ახლობელი ადამიანი ტოვებს მატერიალურ სამყაროს, ჩვენი გადმოსახედიდან ეს არის ტრაგედია, ხოლო იმ სამყაროდან ყველაფერი სხვაგვარად ჩანს. პირველი, რაც უნდა იცოდეს ადამიანმა არის ის, რომ წასული სული ბევრად კარგ

პირობებშია, ვიდრე ჩვენ ვიმყოფებით. მიცვალებულზე დარდი აზიანებს თვითონ ადამიანსაც და არასასიამოვნოა ასტრალში მყოფი ახლობელი სულისთვისაც. ამიტომ ადამიანი უნდა ეცადოს შეწყვიტოს დარდი, მიიღოს ეს ფაქტი შინაგანად და გააგრძელოს ცხოვრება და განვითარება. აქედან წასულ სულს ნებისმიერ შემთხვევაში შეხვდებით ასტრალურ სამყაროში, რომელსაც მოგვიანებით აღვწერთ და სწორედ მაშინ გაიაზრებთ, რომ მატერიალურ სამყაროში ყოფნის დროს სულ ტყუილად ინერვიულეთ, იდარდეთ და სასონარკვეთაზე ბევრი ენერგია და დრო დაკარგეთ.

სულის მოსაცდელ დარბაზებში მოხვედრის შემდეგ, თუ ამის საჭიროება დადგა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სულს აძლევენ საშუალებას ადევნოს თვალი თუ რა ხდება მის ოჯახში მისი გარდაცვალების შემდეგ, მაგალითად პანაშვიდებზე და ზოგჯერ ამას მისი ახლობლებიც გრძნობენ. თუმცა ეს რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ გარდაცვლილის ახლობლები ფიქრობენ, რომ

მიცვალებულის სული ჯერ კიდევ მათთან არის და ეს უბრალოდ მათი ფანტაზიის ნაყოფია.

დავუბრუნდეთ ამ ვეებერთელა სისტემის განხილვას. იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას თუ რა მასშტაბებზეა აქ ლაპარაკი, წარმოიდგინეთ აეროპორტი, სადაც დღეში ჩამოფრინდება დაახლოებით 150 000 ადამიანი. ერთი დიდი განსხვავება ჩვენს აეროპორტებსა და ასტრალურ აეროპორტს შორის არის ის, რომ თუ ჩვენს აეროპორტში მგზავრები ერთ დიდ შენობაში იმყოფებიან, ასტრალურ აეროპორტში ეს ყველაფერი გაშლილია დიდ ტერიტორიებზე და სულები ზოგჯერ ერთმანეთს ვერც კი ხედავენ. წარმოიდგინეთ, თუ რამხელა გამტარუნარიანობა უნდა ჰქონდეს ამ აეროპორტს და რამდენი არსება უნდა ემსახურებოდეს ამ სისტემას, რათა ის შეუფერხებლად მუშაობდეს. რა თქმა უნდა, სერვისთა უმეტესობა არის ავტომატიზებული და ჩართულები არიან რობოტები, ჰოლოგრამები და სხვა ტექნოლოგია. თუმცა ამის უკან უამრავი არსება

დგას და მსახურობს იმისთვის, რომ ამ ყველაფერმა გამართულად იმუშაოს.

მე მქონდა შეხება არსებებთან რომლებსაც, მათი თქმით, ჰქონდათ ასეთი სამსახური, ისინი ეხმარებოდნენ ენერგია გამოცლილ და შოკირებულ ადამიანებს სიკვდილის მერე გარემოსთან ადაპტაციაში თუ გადაადგილებაში. მათ იუმორით ახსენეს: იქიდან გამომდინარე, რომ სხეულიდან გამოსვლის შემდეგ ზოგჯერ სულები პირდაპირ მათ აწყდებოდნენ, სიკვდილის არსებები შეარქვეს და ნეგატიური, სიკვდილთან ასოცირებული სახელი ჰქონდათ ადამიანების სამყაროში. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თუ თქვენს გვერდით არსება დაინახეთ, ე.ი. სიკვდილი გელით. დედამიწაზე ადამიანების გარდა ბევრი არსება ბინადრობს, და არაერთი სხვა რასაც არსებობს.

სხვადასხვა რელიგიაში არსებობს ესა თუ ის რიტუალი, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილის შემდეგ სულისთვის ენერგიის გაგზავნას (ქრისტიანულში - წესის აგება). ეს შეიძლება შევადაროთ სიტუაციას, როდესაც ჩვენი ახლობელი

გაემგზავრა სხვა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მას თავისი ფული ჯიბეში უდევს, მაგრამ ჩვენ დამატებით ცოტაოდენ თანხას ვუგზავნით. განვითარებულ სულებს მეტწილად ეს არ სჭირდებათ, თუმცა ძალიან იშვიათ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო იყოს უფრო დამწყები თუ დაბალ ვიბრაციაზე მყოფი სულებისთვის ან იმ სულებისთვის, რომლებმაც უკიდურესად გადაღლილებმა და გამოფიტულებმა დატოვეს სხეული. ასეთი შემთხვევები ძალზე ცოტაა, თუმცა როგორც არ უნდა იყოს, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არსებები უპატრონოდ არცერთ სულს არ დატოვებენ და თუ ამის აუცილებლობა გახდა, დაეხმარებიან დანიშნულების ადგილამდე მისვლაში.

განვლილი ცხოვრების განხილვა

ე.წ. მოსაცდელი დარბაზების შემდგომ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, სული მიჰყავთ მისი ბოლო განვლილი ცხოვრების განხილვაზე. სტრუქტურით, ეს პროცესი წააგავს სასამართლოს, თუმცა შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავდება მისგან. ეს და მთლიანად სისტემა, რასაც აღვწერთ, ჰგავს უფრო საგანმანათლებლო სისტემას და არა სადამსჯელოს. აქ, მიმდინარეობს ცხოვრებისეული, მნიშვნელოვანი დეტალების განხილვა სულის ბოლო, განვლილი ცხოვრების საფუძველზე, რომელიც ჩაწერილია მის ფაქიზ სხეულში, როგორც სრული ფილმი, იმ მეთოდით, რომელიც ჩვენ აღვწერეთ, როდესაც განვიხილეთ ადამიანის სიკვდილის მომენტი. ამ განხილვაზე ყურადღება ექცევა ყველა იმ დადებით ფაქტორს თუ პიროვნულ მიღწევებს,

რომლებსაც ამ ცხოვრებაში ადამიანმა მიაღწია. ასევე, ყურადღება ექცევა მის დადებით ქმედებებს. მას აქებენ, აძლევენ სტიმულს და ეს მისი დედამიწაზე, მომავალი რეინკარნაციის პერიოდში, პოზიტიური შემთხვევებით და მოვლენებით იქნება ასახული. ასევე ეუბნებიან, თუ რა შეეძლო მას გაეკეთებინა უკეთესად, რათა მომავალში გაითვალისწინოს. ასევე, მიუთითებენ ხარვეზებზე, თუ ასეთი არსებობს და ურჩევენ გზებს მათ გამოსასწორებლად. თუ სული ჩათრეული იყო სხვადასხვა სასტიკ ქმედებაში ან ძალადობის აქტში, მას, რა თქმა უნდა, აძლევენ ამ შეცდომების გამოსწორების საშუალებას, თუმცა მომავალში, თუკი მოისურვებს, მოუწევს იმავეს გამოცდა საკუთარ თავზე - რა ზიანიც სხვას მიაყენა. ეს არ იქნება გამიზნული მის დასასჯელად, არამედ იმისთვისაა, რომ სულმა თავად იგრძნოს, თუ რა ცუდია მსხვერპლის როლში ყოფნა და აქედან სწორი დასკვნა გამოიტანოს.

სული განხილვაზე წარდგება თავისი გიდის ან გიდის თანაშემწეს თანხლებით. ამ პროცესის ყველა

მონაწილე არსება არის დიდი გამოცდილების მქონე, კარმის სპეციალისტი სხვადასხვა სამყაროდან. ისინი მოწვეულნი არიან სხვადასხვა ცივილიზაციიდან, მსახურობენ და იღებენ შესაბამის გასამრჯელოს, დაახლოებით იგივე სისტემით, როგორც ეს დედამიწაზე ხდება.

იშვიათად არის შემთხვევები, როდესაც სული ადგას სისასტიკის და ბოროტების გზას, მისი გამოსწორება ცხოვრებიდან ცხოვრებაში ვერ ხდება და ის სხვასაც უშლის განვითარებაში ხელს. ასეთ დროს სული გადაიგზავნება სხვა შესაბამის სამყაროში ან თუ მას საერთოდ არ აქვს განვითარების არანაირი პერსპექტივა და აბსოლუტურად დეგრადირებულია, წაუშლიან ყველა იმ ინფორმაციას და გამოცდილებას, რაც გაიარა მთელი დაბადებების, რეინკარნაციის ციკლის განმავლობაში. ხდება მისი განულება და მას აძლევენ საშუალებას განვითარება დაიწყოს ნულიდან. საბოლოო ჯამში, მისგან ჩამოყალიბდება აბსოლუტურად სხვა პიროვნება. თუმცა ეს ძალზე იშვიათი გამონაკლისია.

ტერმინი “განხილვა” ჩემ მიერ არის მოგონილი. ჩავთვალე, რომ შინაარსობრივად ის არის ყველაზე ახლოს ზემოთ აღწერილ პროცესთან. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სტრუქტურით ეს ჰგავს სასამართლოს, დედამიწაზე სხვადასხვა ლიტერატურაში ის მოიხსენიება, როგორც სულის სამსჯავრო, განკითხვის დღე და სხვ. ასევე, ზემოთ აღწერილი სასამართლოს სცენები ხშირად გვხვდება სხვადასხვა ეპოქის მხატვრის ტილოებზე.

რა აზრი აქვს ამ განხილვას და თუ როგორ იმოქმედებს ის ჩვენ შემდეგ ცხოვრებაზე, განხილულია თავში სახელად კარმული პროგრამა.

აქ შეიძლება წარმოიქმნას კითხვა, თუ ხელოვნური ინტელექტი განაპირობებს ავტომატური კარმის მუშაობას, რომელიც აღვწერეთ თავში ავტომატური კარმა, მაშინ რა საჭიროა პირადი საქმის განხილვის პროცესი? საქმე იმაშია, რომ ხელოვნური ინტელექტი აკეთებს ძირითად სამუშაოს, მაგრამ მას არ შეუძლია ეგრეთ წოდებული სწავლის თუ მართლმსაჯულების პროცესი მთლიანად ჩაანაცვლოს იმიტომ, რომ მისი შესაძლებლობები

მაინც შეზღუდულია. ისევე როგორც დედამიწაზე ბევრი რამ შეიძლება მაქსიმალურად ავტომატიზებული იყოს და დედამიწაზე ეს ტენდენცია ისედაც არის, მაგრამ, აბსოლუტურად ყველა პროცესის ჩანაცვლება მაინც გაუჭირდება და ადამიანურ ფაქტორს მაინც ვერ ასცდება.

მინდა ასევე დავამატო, რომ სტანდარტულად, დრო, რომელიც გადის სულის სხეულის დატოვების შემდეგ, განვლილი ცხოვრების განხილვამდე, უდრის აქ გასულ 40 დღეს. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს მატერიალურ და ასტრალურ სამყაროებში დრო სხვადასხვა სიჩქარით მიედინება, სულისთვის რომელიც ელოდება მისი სულის საქმის განხილვას, ასტრალურ სამყაროში ბევრად ნაკლები დრო გადის. არსებობს ტრადიცია, როდესაც გარდაცვლილის ახლობლები სიმბოლურად იკრიბებიან და ცდილობენ მხარი დაუჭირონ და ენერგია გაუგზავნონ მიცვალებულის სულს. ისეც ხდება ხოლმე, როდესაც მატერიალურ სამყაროში სტიქიებით თუ სხვა მსოფლიო მოვლენებიდან გამომდინარე, მატერიალურ სამყაროს ერთდროულად უფრო მეტი

სული ტოვებს ვიდრე სხვა პერიოდში და ამ დროს წარმოიქმნება უფრო დიდი რიგები, რაც ლოდინის პერიოდს დროებით ზრდის. ახლა, როდესაც მე ამ წიგნს ვწერ, ჩენელინგის ტექნიკის დახმარებით არსებებთან სპეციალურად დავაზუსტე და ეს პერიოდი ზუსტად 40 დღეს უდრის.

სულების განაწილება

ისევ თუ განვმეორდებით, ყოველი ცხოვრების დასრულების შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, თქვენ გაივლით “გვირაბებს”, მოხვდებით მოსაცდელ ადგილას, რომელიც აეროპორტს შევადარეთ. შემდეგ, მოხდება თქვენი საქმის განხილვა, სადაც გაკეთდება ჩანაწერები, თუ რა გაქვთ გამოსასწორებელი ან რაში იყავით წარმატებულები და ამის შემდეგ უკვე მიემართებით სულების ძირითად სამყოფელში ან თუ ისევ ანალოგს მოვიყვანთ, ასტრალური სამყაროს დედაქალაქში. ის გადაჭიმულია ძალზე დიდ ტერიტორიაზე და იქ უამრავი სული იმყოფება, მათ შორის, აბსოლუტურად ყველა, ვინც კი, ამ თუ სხვა უამრავ ცხოვრებაში თქვენი ახლობელი ყოფილა.

მატერიალური სამყაროსგან განსხვავებით, ასტრალური სამყაროს ძირითადი ნაწილი დაყოფილია იარუსებად ან შრეებად, სადაც სულები ხვდებიან თავისი განვითარების მიხედვით. ამ სისტემის ყველაზე ახლო ანალოგი არის მატერიალური სამყაროს სკოლა, სადაც შენობა დაყოფილია სართულებად. პირველ სართულზე განთავსებულები არიან სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები, ხოლო რაც უფრო ზედა სართულზე ავდივართ - მით უფრო მაღალი კლასის მოსწავლეები გვხვდებიან. ასტრალური სამყაროს შემთხვევაში, რაც უფრო მეტ გამოცდილებას იღებს სული დაბადებიდან დაბადებამდე, მით უფრო ზედა იარუსის სამყაროში გადადის.

მნიშვნელოვანია, რომ სულების განვითარების მიხედვით დახარისხებას აკეთებს ისევ და ისევ მაღალტექნოლოგიური კომპიუტერული მანქანა ავტომატურად, რომელიც შეიძლება შევადაროთ ჩვენს სამყაროს აეროპორტში არსებულ მეტალო დეტექტორს, რომელიც წრიპინებს, როდესაც აღმოაჩენს მეტალს. მეტალო დეტექტორისგან

განსხვავებით ეს მანქანა კითხულობს ყველაფერს თქვენ შესახებ - გამოცდილებას, მიზნებს, სურვილებს და სხვ. აჯამებს, გადაამუშავებს ინფორმაციას და იმის მიხედვით გიშვებთ შესაბამის იარუსზე. მაგალითისთვის, თუ თქვენ ხართ სუპერ განვითარებული სული, გავლილი გაქვთ ყველა საფეხური, მაშინ ყველა დეტექტორს გაივლით შეუფერხებლად და მოხვდებით ყველაზე მაღალ იარუსზე.

სულების შრეებზე განაწილების ფუნქციის გარდა, ამ მანქანებს აქვთ აურის წმენდის ფუნქცია იმ დაბინძურებისგან, რაც სულმა დედამიწიდან ბოლო დაბადებიდან გამოიყოლა. ეს არის ანალოგი შხაპის მილებისა ჩვენ სამყაროში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მრავალფუნქციური კომპიუტერული მექანიზმები მუშაობენ ავტომატურად, თუმცა მათ თვალს ადევნებენ შესაბამისი სპეციალისტები.

ასტრალური სამყაროს ინფრასტრუქტურა

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ სამყარო რომელზეც ჩვენ ამ თავებში გვაქვს საუბარი, არის აქ, დედამიწაზე და მიბმულია მატერიალურ სამყაროს. ისევე როგორც ადამიანს აქვს მატერიალური სხეული, რომელსაც თავის მხრივ გააჩნია ფუნქციონირებისთვის სხვადასხვა დამატებითი უფრო ფაქიზი მატერიისგან შექმნილი სხეულები, როგორიც არის ეთერული, ასტრალური, მენტალური, კაუზალური და სხვ., ისე პლანეტას სტანდარტულად აქვს ფიზიკური გარსის გარდა უფრო ფაქიზი, ვიბრაციით მაღალი გარსები და სამყაროები, რომლებზეც არის განთავსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურა.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია იარუსი, მასში არსებული სამყარო სიხშირის მით უფრო

მალალ ვიბრაციაზე იმყოფება. სხვა სიტყვებით, სამყაროს მატერიის სიმკვრივე მით უფრო იზრდება. მატერიის ვიბრაციას და პლანეტების სტრუქტურას სიმკვრივეების მიხედვით, ჩვენ განვიხილავთ თავში სიმკვრივე, თორმეტი სერვერი.

სტა ნდარტულ შემთხვევაში, როდესაც სული ტოვებს მატერიალურ სხეულს და კვდება, ხვდება ასტრალურ სამყაროში და ასტრალური სამყაროდან, თუ გადაწყვეტს, ისევ იბადება დედამიწაზე. სიკვდილის შემდეგ სული შესაძლოა სხვა რეალობებშიც მოხვდეს, სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე, თუმცა ამ წიგნში ასეთი, გამონაკლისი შემთხვევები განხილული არ იქნება.

ზოგადად, დედამიწა შეიცავს კიდევ ბევრ, სხვადასხვა სიმკვრივეზე განთავსებულ სამყაროებს/რეალობებს, თუმცა ჩვენ აქ ვისაუბრებთ მხოლოდ იმ ადგილზე, სადაც ძირითადი სულების რაოდენობა ბინადრობს, როგორც მაგალითად, ქვეყნის დედაქალაქში. და საიდანაც ხდება სულის მორიგ, ახალ ინკარნაციაში შემოსვლა.

შრეების, სართულების ინფრასტრუქტურა

ახლა განვიხილოთ, თუ რა ხდება იარუსებზე. ასტრალური სამყარო შექმნილია იგივე პრინციპით, როგორც დედამიწაზე ჩვენი მატერიალური სამყარო. ისევე როგორც ჩვენს მატერიალურ სამყაროში არსებობს სხვადასხვა სტრუქტურა, ბუნებიდან დაწყებული, შენობა-ნაგებობით დამთავრებული, იგივე პრინციპით, ასტრალურ სამყაროში შექმნილია სტრუქტურები იქიდან გამომდინარე, თუ რა სჭირდება სულს ასტრალური სხეულის პირობებში.

მაგალითად, საცხოვრებელი ადგილების გარდა ჩვენს მატერიალურ სამყაროში ყველაზე ხშირად გხვდება ბანკები, აფთიაქები და კვების ობიექტები, ტანსაცმლის მაღაზიები და სხვ. ასტრალურ სამყაროში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ობიექტები: საგანმანათლებლო ცენტრები, ბიბლიოთეკები, შეკრების ადგილები, არენები, ლაბორატორიები და ასევე უამრავი დაწესებულება, რომელიც უკავშირდება დედამიწაზე სიცოცხლის პირობების,

კლიმატის თუ სხვა მატერიალური სამყაროს მოვლას და შენარჩუნებას.

ისევე, როგორც დედამიწაზე, აქ არსებობს უამრავი პროფესია და სამუშაო, რომელსაც სული ირჩევს საქმიანობისთვის. ის სწავლობს, საქმიანობს და ვითარდება ასტრალურ სამყაროში ისევე, როგორც ჩვენ ამას ვაკეთებთ მატერიალურ სამყაროში. ასტრალურ სამყაროში პროფესიები და საქმეები, რითაც შეუძლია სულს დაკავდეს, ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა აქტივობათა უმეტესობა უკავშირდება დედამიწას, მის შენარჩუნებასა და მოვლას. ბევრი რამ, რაც ჩვენ გვგონია რომ ბუნებრივად ხდება და არსებობს დედამიწაზე, სინამდვილეში ამ სამყაროდან იმართება. ამის გარდა, თუ დედამიწაზე ადამიანები ხშირად ერთ პროფესიას მიჰყვებიან, ასტრალურ სამყაროში სულები დროდადრო იცვლიან პროფესიას იმისთვის, რომ მაქსიმალური გამოცდილება მიიღონ და მეტი ახალი რამ ისწავლონ.

რაც შეეხება სულების საცხოვრებელ ადგილებს, ეს შეიძლება შევადაროთ ერთმანეთისაგან გამოყოფილ გამჭვირვალე კედლებს, რომელიც მოფენილია ძალიან დიდ ტერიტორიაზე, როგორც გამჭვირვალე ბარაკები, სადაც თითო შენობაში ბინადრობს კოლექტიურად ერთ ჯგუფში მყოფი ათი-ოცი სული, დაახლოებით ისე, როგორც საკლასო ოთახში. საქმე ის არის, რომ ასტრალურ სხეულს არ სჭირდება ძილი, კვება, ხშირი დასვენება და სხვა ის საჭიროებანი, რაც სჭირდება მატერიალურ სხეულს. ის ფუნქციონირებს შეუფერხებლად და გადაბმულად, ამიტომ ძირითადად სულები სულ არიან მოქმედებაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში, სწავლაში თუ ხუმრობა-გართობაში და რაც მთავარია, მომავალი ცხოვრებების დაგეგმვაში. ისინი არ არიან დამძიმებული იმ ყოველდღიური რუტინით, რაც გვხდება ფიზიკური სხეულის შემთხვევაში და შესაბამისად, არ საჭიროებენ საკუთარ ნაგებობაში გამოკეტილად არსებობას.

იქიდან გამომდინარე, რომ ასტრალური სამყარო არის უფრო მაღალი ვიბრაციის სამყარო, იქ მატერია

უფრო ფაქიზი, არამყარია და ეფუძნება ოდნავ განსხვავებულ ფიზიკურ პრინციპებს. მაგალითად, ავიღოთ შენობა, როგორიც არის ბიბლიოთეკა. შინაარსობრივად ეს შენობა არის ბიბლიოთეკა, მაგრამ ვიზუალურად სხვადასხვა სულმა შეიძლება აღიქვას განსხვავებულად. ეს შეიძლება შევადაროთ აპლიკაციას, სადაც სხვადასხვა "სქინები" შეგიძლიათ დააყენოთ რაიმე ობიექტსა თუ პლატფორმაზე. მაგალითად, ავიღოთ ბიბლიოთეკა. სული, რომელიც იბადებოდა აზიაში და მას ქვეცნობიერის ბაზაში აქვს აზიური სტილის დიზაინის შენობები, აღიქვამს როგორც აზიური სტილის შენობას, ხოლო თუ სული მიჩვეულია ბიბლიოთეკა წარმოიდგინოს როგორც თანამედროვე ნაგებობა, მას ვიზუალურად თანამედროვე დიზაინში აღიქვამს. ფაქტობრივად, ასტრალური სამყარო იყენებს სულის მიერ დაგროვებულ და მის ქვეცნობიერში არსებულ ინფორმაციას იმისთვის, რომ აღწეროს თავისი თავი თუნდაც ვიზუალურად და ისე დაანახოს სულს. და იქიდან გამომდინარე, რომ სულის მიერ დაგროვებული გამოცდილება სხვადასხვაა, ამიტომ ობიექტებსაც ისინი აღიქვამენ ვიზუალურად

სხვადასხვანაირად. თუმცა, თუ ობიექტი შინაარსობრივად ბიბლიოთეკაა, ის ყველასთვის ბიბლიოთეკა იქნება. ამ სისტემის გააზრება მნიშვნელოვანი არის იმიტომ, რომ ჩვენი მატერიალური სამყაროს მიღმა არსებული უფრო მაღალი სიხშირის სამყაროები, მათ შორის ასტრალური სამყაროც, ძირითადად ამ პრინციპზეა აგებული.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ასტრალური სამყარო, რომელსაც ჩვენ აღვწერთ ამ წიგნში, შექმნილია ღმერთის და მისი გუნდის ხელმძღვანელობით, ამას უფრო დაწვრილებით შემდეგ, შესაბამის თავებში შევეხებით.

ურთიერთობა

ასტრალურ სამყაროში სულების ერთმანეთთან კონტაქტი ხდება არა ვერბალურად, არამედ ტელეპათიურად, რაც ინფორმაციისა და ემოციის გაცვლის უფრო სწრაფ შესაძლებლობას იძლევა,

ვიდრე ამას ჩვენ ბგერების გამოყენებით, მატერიალურ სამყაროში ვახერხებთ.

რაც შეეხება სულების გარეგნობას, ასტრალურ სამყაროში თქვენ ვიზუალურად შეგიძლიათ გამოიყურებოდეთ ისე, როგორც თავად აღიქვამთ საკუთარ თავს. ასევე, შეგიძლიათ გამოიყურებოდეთ ისე, როგორც თქვენთვის ან სხვებისთვის მოსახერხებელია. სულს თავისი გარეგნობა შეუძლია შეცვალოს მომენტალურად, სურვილისამებრ, თუმცა აქ არსებობს ერთგვარი ეტიკეტი. როდესაც ურთიერთობა გაქვთ სხვა ნაცნობ სულთან, მას წარუდგებით ისე, როგორც ის მიჩვეულია თქვენ დაგინახოთ იმისთვის, რომ ურთიერთობა იყოს უფრო მოსახერხებელი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს გარეგნობა ბოლო ცხოვრებიდან.

თუ სულს მოვაშორებთ ვიზუალურ მხარეს, ის შეიძლება შევადაროთ ენერგიის ნაერთს, რომლიდანაც გამოსჭვივის ის პიროვნება, ვისაც სინამდვილეში წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, პიროვნების ამოცნობა მისი გარეგნობის გარეშეც არის შესაძლებელი.

ასტრალურ სამყაროში ბევრად მკაფიოდ ჩანს სულის პიროვნული თვისებები, მისი ინტელექტი და განვითარების დონე, ვიდრე მატერიალურ სამყაროში.

ზემოთ აღწერილი სისტემა არის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ასტრალური სამყარო და ზედა, მატერიალურის მიღმა მყოფი, მაღალი სიმკვრივის სამყაროები აღნიშნული პრინციპით არსებობენ და ამ პრინციპის ცოდნა გაგიადვილებთ ამ სამყაროში ორიენტაციას. ამასთან შეხება ადამიანს შეიძლება მიმდინარე ცხოვრებაშიც ჰქონდეს, მაგალითად: გიდს ან სხვა არსებას სურს, რომ რაღაც ინფორმაცია მოგაწოდოთ. ის შემოდის თქვენთან სიზმარში და გაწვდით რაიმე ინფორმაციას, თქვენ ამ ინფორმაციას შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ იმიტომ, რომ ვერც მიხვდეთ თუ ვინ და რატომ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია. ამიტომ გიდმა ან სხვა არსებამ შეიძლება გამოიყენოს ასეთი ხერხი - ის დაგენახოთ იმ ადამიანის სახით, ვინც თქვენთვის ავტორიტეტულ პიროვნებას წარმოადგენს. ეს შეიძლება იყოს რელიგიური პერსონაჟი იმ

კონფესიიდან, რომელსაც მიეკუთვნებით. რა თქმა უნდა, ეს თეორიულად არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ რელიგიური პერსონაჟი მართლაც ის იყოს, ვისი სახითაც წარმოგიდგებათ.

ასტრალურ სამყაროში არ არსებობს სქესი როგორც ჩვენთან, დუალურ მატერიალურ სამყაროში. თუმცა, სულს შეიძლება მაინც გასდევდეს გარკვეული თვისებები სქესის მიხედვით. მაგალითისთვის, თუ სულმა მთლიანობაში იცხოვრა 100 ცხოვრება, აქედან 80 ცხოვრება გაატარა ქალის სხეულში, ხოლო 20 კაცის, მაშინ სავარაუდოა, რომ მასში ქალური ენერგია უფრო მეტად იქნება განვითარებული.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რა საჭიროა ამ ასტრალურ სამყაროს (რაც ზემოთ აღვწერეთ) არსებობა? წარმოვიდგინოთ უნივერსიტეტი, სადაც უამრავი სტუდენტი სწავლობს. როდესაც უმთავრდებათ სწავლის საათები, სადმე უნდა წავიდნენ, თუმცა მათი ნამდვილი სახლი შორს არის. ამისთვის კი არსებობს საერთო საცხოვრებელი. ანალოგიურად, როდესაც სული ტოვებს სხეულს, ის

ჰაერში გამოკიდებული ვერ დარჩება. ამიტომ არსებობს ასტრალური სამყარო, რომელიც კეთილმოწყობილია და მორგებულია სულის მოთხოვნებსა და ინტერესებზე. თუმცა ძალიან დიდი ხნით ადრე, იყო დრო, როდესაც ასტრალური საერთო საცხოვრებელი არ იყო მოწყობილი დედამიწაზე და სულები ინკარნაციის გასავლელად თავისი მშობლიური ცივილიზაციებიდან მოდიოდნენ აქ.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ სად არის ჯოჯოხეთი. შეიძლება ითქვას, რომ ჯოჯოხეთში ვერ მოხვდებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკვე იქ იმყოფებით. ეს ხუმრობით, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი ადგილები, სადაც სული შეიძლება მოხვდეს თავისი ქცევიდან გამომდინარე. ზოგადად ადამიანს ან ადამიანების ჯგუფს თვითონ შეუძლია შექმნას ჯოჯოხეთი ნებისმიერ ადგილას, თუნდაც სხვისი კარნახით. თუმცა, ამ წიგნში მე შევეცადე გამემახვილებინა ყურადღება ყოველივე კარგზე და არა ცუდზე, რათა მაქსიმალურად დადებით მოვლენებზე ვიყოთ

კონცენტრირებული, რითაც ცხოვრებაში მხოლოდ პოზიტივს მოვიზიდავთ.

სულების განვითარების ეტაპები

ასტრალური სამყაროს ძირითადი სტრუქტურა ყველაზე მეტად ჰგავს სკოლას, უნივერსიტეტს ან მსგავს საგანმანათლებლო სისტემას, ხოლო მატერიალურ სამყაროში მოსვლა შეიძლება შევადაროთ "პრაქტიკას". ჩვენს მატერიალურ სამყაროში შესაძლოა ვერ შეატყოთ განვითარების რომელ საფეხურზე მდგომ ადამიანთან გაქვთ საქმე, ასტრალურ სამყაროში კი ეს ჩანს ზუსტად ისე, როგორც სკოლაში შეგიძლიათ გაარჩიოთ მეორე კლასელი მეათე კლასელისგან. სულის განვითარება დაკავშირებულია იმ გამოცდილებასთან, რასაც სული აგროვებს როგორც მატერიალურ სამყაროში დაბადებებით, ასევე ასტრალურ სამყაროში სწავლა-განათლებით.

რაც უფრო ვითარდება სული, მით უფრო მკვრივდება და მდიდრდება მისი აურა და შესაბამისად, იძენს მუქ ფერს. როდესაც სული იწყებს ადამიანში ჩასახვის გრძელ ციკლს, მას აქვს თეთრი ფერის აურა, ხოლო შემდგომ მდიდრდება ფერებით, რომელიც სტრუქტურით ჰგავს ცისარტყელას ფერების კომბინაციას.

ეს ფერი ადვილად ჩანს მხოლოდ ასტრალურ სამყაროში, თუმცა დედამიწაზეც არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ განვითარებული გარკვეული უნარი და მათთვის ხილვადია ე.წ. სულის აურის სიმკვრივის ფერები. ამ უნარს დედამიწაზე ეძახიან სინესთეზიას. მატერიალურ სამყაროში უფრო ადვილად ხილული შეიძლება გახდეს ადამიანის აურის ფერები, რომელიც კავშირშია მის ემოციურ მდგომარეობასთან, რაც არ არის კავშირში სულის განვითარების აურის ფერებთან. ეს ორი სხვადასხვა რამ არის.

დღეს დედამიწაზე მყოფი ადამიანების განვლილი ინკარნაციების რაოდენობა აბსოლუტურად სხვადასხვაა, ასევე განსხვავებულია მათი

განვითარების დონეც, რაც ამ რიცხვის პირდაპირ პროპორციული არ არის იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ადამიანის განვითარების სიჩქარე განსხვავდება. ერთი სული შეიძლება უფრო მალე ვითარდებოდეს, ხოლო მეორე ძალიან ნელა. ასევე, იგივე სულმა შეიძლება ათი ცხოვრების მანძილზე ოდნავ წაიწიოს წინ, ხოლო მერე ერთ ცხოვრებაში აჩვენოს დიდი შედეგი. საშუალო არითმეტიკულით დღეს მყოფი ადამიანების განვლილი ცხოვრებების რაოდენობა დაახლოებით 1000 ია, ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით მეტი და ზოგშიც - ბევრად ნაკლები.

ასეა თუ ისე, ყველა იმ საფეხურის დასაძლევად, რაც პირობითად არის მიღებული ასტრალურ საგანმანათლებლო სისტემაში, სულს შეიძლება დასჭირდეს ბევრი ცხოვრების გავლა მატერიალურ სამყაროში, თუმცა თეორიულად ამის გაკეთება მას რამდენიმე ცხოვრებაშიც შეუძლია. ეს მხოლოდ ინდივიდუალურად სულზეა დამოკიდებული.

თუ ადამიანის სხეულში სულის განვითარების ეტაპებს პირობითად სამ ნაწილად დავყოფთ,

მივილებთ სამ კატეგორიას: დამწყები სულები, საშუალოდ განვითარებული სულები და მეტად განვითარებული სულები. სულების დაყოფა უფრო მეტადაც შეიძლებოდა, თუმცა მე სიმარტივისთვის სამად დავყავი. ზოგადად, სულების მსგავსი კლასიფიკაცია არ არის ეთიკური, თუმცა ამის გარეშე სულების განვითარების სისტემის აღწერა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა.

დამწყები სულები - ჯერ ადაპტაციას გადიან, ეჩვევიან ადამიანის სხეულის გამოყენებას, ასევე სწავლობენ ურთიერთობებსა და ქცევის წესებს. იქიდან გამომდინარე, რომ მათ ჯერ არ აქვთ საკმაო გამოცდილება, ჯერჯერობით მოქმედებენ ინსტინქტების საფუძველზე და სწავლობენ პასუხისმგებლობას. ხშირად, მათი ძირითადი მიმართულება მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვაა. ასევე, მათ ჯერ არ გააჩნიათ საკმარისად განვითარებული ემოციები და არ გააჩნიათ მაღალი ფასეულობები.

შეგახსენებთ, რომ დამწყები სული არაფრით ჩამოუვარდება განვითარებულ სულს, როგორც

მეორე კლასელი არ ჩამორჩება მეცხრეკლასელს იმის გარდა, რომ მან არსებობა უფრო გვიან დაიწყო ვიდრე განვითარებულმა სულმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოყვანილი სქემა არ წარმოადგენს რაიმე კანონს ან მოცემულობას. ადამიანის სულიერი განვითარება არ შეიძლება შევაფასოთ მისი ამჟამინდელი ფინანსური, მენტალური, თუ სოციალური სტატუსის მიხედვით. მაგალითად, ჩვენ შეიძლება ვნახოთ საზოგადოებაში სტატუსით ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანი, ამავე დროს სუპერ-განვითარებული სული, რომელიც წინა ცხოვრებაში იყო მეფე, თუმცა ამ ცხოვრებაში აირჩია ეს დაბალი სტატუსი იმისთვის, რომ მიელო ის გამოცდილება, რომელსაც ვერ მიიღებდა მეფობისას, თავის წინა ინკარნაციაში. ამგვარად, მოყვანილი სქემა არის უბრალოდ ტენდენცია და არა კანონი.

საშუალოდ განვითარებული სულები - წარმოადგენენ საზოგადოების წამყვან ბირთვს. ისინი მუშაობენ როგორც კვალიფიცირებული მუშაკები და არიან საზოგადოების წამყვანი ფენა.

განვითარებული სულები - ხასიათდებიან უკვე მაღალი ინტელექტუალური მონაცემებით ხშირად გვევლინებიან საზოგადოებისგან განსხვავებული, ალტერნატიული ტიპის ადამიანებად. მათ ზოგჯერ უჭირთ საზოგადოებაში ინტეგრაცია და არც თუ იშვიათად, მაღალფარდოვანი თემებით არიან გატაცებული. ასევე, განვითარებული აქვთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

როგორც უკვე ვახსენეთ, დედამიწაზე, სულის არსებობის საწყის სტადიაზე მყოფ ადამიანში ჭარბობს ინსტინქტები, ხოლო განვითარებასთან ერთად მოდის ცნობიერება, რაც საბოლოოდ ცვლის ინსტინქტებს. ინსტინქტები არის პროგრამის კრებული, რომელიც არსებობს იმისთვის, რომ ადამიანს დაეხმაროს მის მოღვაწეობაში, როდესაც ჯერ არ აქვს დაგროვილი პირადი გამოცდილება. ინსტინქტები შეიძლება შევადაროთ მაგალითად, თვითმფრინავის ავტო პილოტს რომელიც მოქმედებს, როდესაც პილოტი არ ახორციელებს თვითმფრინავის მართვას თავად. დროთა განმავლობაში, სული სწავლობს სხეულის მართვას

ჩვენს რეალობაში და ინსტინქტები თანდათანობით უკანა პლანზე გადადის. გაცნობიერებული ადამიანი ნიშნავს, რომ ის ინსტინქტებს მინიმალურად იყენებს.

უმეტეს შემთხვევაში, დამწყები სულები ირჩევენ პროფესიებს, რაც არ საჭიროებს მაღალ ინტელექტს, ეს ხშირად უკავშირდება ისეთ საქმიანობას, სადაც ჭარბობს ფიზიკური შრომა. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ განვითარებულმა სულმა არ შეიძლება მსგავსი პროფესია აირჩიოს. მეცნიერებაში, ხელოვნებაში ან კიდევ ისეთ პროფესიებში, რაც უფრო მაღალ კვალიფიკაციას საჭიროებს, უმეტეს შემთხვევაში, ტრიალებენ საშუალო ან მაღალი განვითარების სულები. საბოლოო ჯამში, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი სულები ერთად ქმნიან ერთმანეთისთვის მოსახერხებელ გარემოს. ისინი ინაწილებენ საქმიანობებს, ყველას თავისი ნიშა აქვს, ხოლო ამის ერთიანობა ქმნის გამართულ სისტემას და არსებობის საუკეთესო პირობებს ყველასთვის. პრობლემები იწყება მაშინ, როდესაც სული ან სულები ხვდებიან იმ სფეროში, რომელიც არ არის

მათთვის განკუთვნილი და არ შეესაბამება მათი განვითარების დონეს. მაგალითად: პოლიტიკაში ძირითადად უნდა მიდიოდნენ საზოგადოების მხოლოდ მაქსიმალურად მაღალგანვითარებული სულები. თუ პოლიტიკაში ხვდება შედარებით განვითარების საწყის სტადიაზე მყოფი სული, ამან შეიძლება საკმაოდ ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნისთვის. იგივე შეიძლება ითქვას კომპანიებსა თუ სხვა გაერთიანებებზე, სადაც მმართველები და ხელმძღვანელები უმჯობესია იყვნენ მაქსიმალურად განვითარებული სულები.

ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სხვადასხვა მიმართულებით პოლარიზება, სიკეთისკენ ან ნეგატიურისკენ სწრაფვა ეს ცალკე განსჯის საგანია და განვითარებაზე არ არის დამოკიდებული. ნეგატიურ ან პოზიტიურ გზას შეიძლება ადგეს როგორც მეორე კლასელი, ასევე მერვე კლასელი. თუმცა, დამწყებ სულს ჯერ არ აქვს ამორჩეული საბოლოოდ თუ რომელი მიმართულებით განვითარდება. ამ ორ

მიმართულებას ჩვენ განვიხილავთ თავში: სულის სტრუქტურა და ევოლუცია.

სასურველია, რომ არ მოხდეს საზოგადოების მაღალი და დაბალი კლასების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამან შეიძლება წარმოშვას დაპირისპირება, რისგანაც, რა თქმა უნდა, ორივე მხარე დაზარალდება.

საბოლოო ჯამში, დამწყები სულები გახდებიან განვითარებული სულები, ხოლო მათ ადგილს დაიკავებენ შედარებით უფრო ახლად შექმნილი სულები.

ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანთა სულების განვითარების დონეს რეალურად ვერ დავადგენთ იმიტომ, რომ იმ ადამიანის სული, რომელიც შესაძლოა აქ განვითარებულად არ მოგვეჩვენოს, სინამდვილეში, მის სულს უკვე გავლილი ჰქონდეს ბევრი ინკარნაცია. ამ თემაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ ერთ-ერთ შემდგომ თავში სახელად როგორ მუშაობს დრო.

სულის განვითარების გზა

იმისთვის, რომ გავცეთ პასუხი ხშირად დასმულ კითხვას: რისთვის ვცხოვრობთ? უნდა ავიღოთ დროის ორი წერტილი - ადამიანის ბავშვობა და მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი და შევადაროთ, თუ რით განსხვავდება ადამიანის ეს ორი მდგომარეობა. აქ მნიშვნელოვანია ის მიღებული გამოცდილება, რომელიც გახდა მისი დახვეწის და შეცვლის საწინდარი, არის სწორედ ის რისთვისაც იცხოვრა. ეს გამოცდილება წარმოადგენს ცხოვრებაში მის მთავარ შენაძენს, ბარგსა თუ ფასეულობას.

ყველა ცოცხალი არსება სამყაროში, ვითარდება და იხვეწება იმ გამოცდილების დახმარებით, რასაც გადის სხვადასხვა სამყაროში. თუმცა, ეს გამოცდილება არის აბსოლუტურად განსხვავებული, რაც სამყაროს ხდის მრავალფეროვანს და უფრო საინტერესოს. ის, რასაც დღეს ადამიანი წარმოადგენს, არის წინა ცხოვრებების გრძელი ჯაჭვის თუ ასტრალურ სამყაროში არსებობისას მიღებული გამოცდილებების შედეგი, რასაც, რა თქმა უნდა, ემატება ამ ცხოვრებაში დაგროვილი

გამოცდილებაც. ასევე, ნიჭი რომელსაც ადამიანი ზოგიერთ სფეროში ბავშვობიდან ავლენს, ეს მეტწილად წარმოადგენს წინა ცხოვრებებში მის მიერ შეძენილ გამოცდილებას კონკრეტულად ამა თუ იმ სფეროში. ამას ემატება სხვადასხვა ფაქტორი, რასაც შემდგომ თავებში შევეხებით. რომ არ არსებობდეს წინა ცხოვრებები და სული ნულიდან იწყებდეს განვითარებას, მაშინ ყველა ადამიანი დაახლოებით ერთნაირი იქნებოდა. ხოლო ერთ გარემოში გაზრდილნი - აბსოლუტურად იდენტური.

არ არსებობს რაიმე სტანდარტული გზა სულიერი განვითარებისთვის. სული ყველაზე კარგად ვითარდება და იხვეწება, როდესაც ის თავის ინდივიდუალურ გზას მიჰყვება და არა ვინმეს მიერ ნაკარნახევს ან ვინმეს მიბაძვით. საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელიც სულმა შეიძლება გამოიყენოს თავისი სულიერი გზის გასაკვლევად, არის ინტუიცია.

საბოლოო ჯამში, ყველა ადამიანმა ღრმად, გულში იცის, თუ რა არის მისთვის საუკეთესო ვარიანტი,

რაც კი შეიძლება აირჩიოს ცხოვრებაში და ყველა შემთხვევაში, ეს მისი ინდივიდუალური გზაა.

სულის განვითარების ამ საფეხურებზე ზოგჯერ იკვეთება ორი უკიდურესობა, რომელშიც სული შეიძლება გადავარდეს. სულის განვითარების ტემპი არის სხვადასხვა და ეს ასეც უნდა იყოს, რაც სრულიად ბუნებრივია. თუ სული საგანგებოდ აჩქარებს თავის სულიერ განვითარებას, ისახავს მიზნებს, საზღვრავს დროს და განვითარების ან სწავლის პროცესს დროის გარკვეულ ჩარჩოებში ათავსებს, ეს შეიძლება მისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს და დიდი პრობლემები გამოიწვიოს. აღნიშნული შეიძლება შევადაროთ ხაფანგს, რომელიც თავად სულმა მოუწყო საკუთარ თავს. როდესაც სულს სადღაც ეჩქარება, ის ირთულებს საქმეს, იმძიმებს ცხოვრებას, ეხვევა ათას შარში იმისთვის, რომ მალე განვითარდეს, თითქოს რაიმე შეჯიბრში მონაწილეობდეს ამას ფანატიზმს შევადარებდი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ვირტუალური სამყარო, სადაც ვიმყოფებით,ღმერთმა შექმნა იმისთვის, რომ ჩვენ

ვიცხოვროთ, შევირგოთ ცხოვრება და სხვასაც შევარგოთ. მეორე უკიდურესობა, რომელშიც სული შეიძლება გადავარდეს, არის მისი სრული ინერტულობა, მდგომარეობა როდესაც, ადამიანს გართობის გარდა სხვა არაფერი აინტერესებს, როდესაც ის ცდილობს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. მისი მთავარი მიზანი ხდება მხოლოდ კომფორტის შექმნა ცხოვრებაში. თუმცა ამის შეფასება მხოლოდ ერთი ცხოვრებით შეუძლებელია.

ყველაზე საუკეთესო ვარიანტი ის ოქროს შუალედია, როდესაც სული ნელ-ნელა, მშვიდად და მყარად მიდის წინ, სწავლობს, ვითარდება და თან ცხოვრებასაც ირგებს. ოპტიმალურად იყენებს იმ დროს, რაც მისთვის ამ ცხოვრებაშია გამოყოფილი. ერთი მხრივ, ის ცდილობს არ გაფლანგოს დრო უაზროდ, იმაში, რაც მას უბრალოდ არაფერს აძლევს, დგამს გაბედულ ნაბიჯებს და არ ეშინია ცვლილებების, არც სტაბილურობის, თუ ასეთი რამ საჭიროა. მეორეს მხრივ, ამ ყველაფრის ფონზე არ უნდა აჩქარდეს ზედმეტად, შეეცადოს შეინარჩუნოს

შინაგანი სიმშვიდე. მან უნდა იცოდეს, რომ მუდამ იარსებებს და არასდროს გაქრება, მრავალი მილიარდი წლის შემდეგაც კი.

ჯგუფები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქიდან გამომდინარე, რომ ასტრალურ სამყაროში სულებს არ სჭირდებათ იზოლირებულად ყოფნა, მათი ძირითადი სამყოფელი, გამჭვირვალე ასტრალური კედლებით არის გაყოფილი, სადაც სულების ჯგუფი ბინადრობს. მათი რაოდენობა შეიძლება იყოს ათამდე ან მეტი, დაახლოებით ისე, როგორც საკლასო ოთახში. ეს ჯგუფი წარმოადგენს კიდევ უფრო დიდი კლასტერის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მსგავსი ჯგუფებისგან შედგება. ეს შეგვიძლია შევადაროთ კლასელებს/ჯგუფელებს სკოლაში/უნივერსიტეტში.

ხშირად ჩვენი ახლობლები ამ ცხოვრებაში, მათ შორის ოჯახის წევრები და მეგობრებიც ერთი ჯგუფის წევრები ან ზოგჯერ ერთ კლასტერში მყოფი სულები არიან. ტერმინი მონათესავე სული (ინგ: Soul-mate) წამოვიდა ერთ ჯგუფში ან თუნდაც ერთ კლასტერში მყოფი სულების ახლო

ურთიერთობიდან, რაშიც იგულისხმება ის, რომ არაერთი ცხოვრება მათ ერთად აქვთ გატარებული და ასტრალურ სამყაროშიც ერთად არიან. თუმცა, თუ ოჯახის წევრი სხვა კლასტერიდან არის, ეს არაფერს ცვლის, ასტრალურ სამყაროში ნებისმიერ დროს შეიძლება ნებისმიერ სულთან დაკავშირება და იმდენი დროის ერთად გატარება, რამდენსაც ორივე მხარე მოისურვებს.

ზოგადად, დედამიწაზე ნებისმიერი სულის სანაცნობო წრე ძალზე დიდია. მაგალითისთვის, თუ ჩვენ პირობითად გვიცხოვრია 1000 ცხოვრება, თითო ცხოვრებაში გავიცანით 300 ახალი სული და თუ ამას დავუმატებთ ასტრალურ სამყაროში გაცნობილი სულების რაოდენობას, მივიღებთ საკმაოდ დიდ ციფრს. საბოლოოდ, გამოდის, რომ დედამიწაზე დიდი რაოდენობით სულებს იცნობთ და ბევრ მათგანთან შესაძლოა ახლო ურთიერთობაც გქონდათ. თეორიულად თითო ცხოვრებაში გყავდათ დედ-მამა, ბაბუები, ბებიები, და-ძმა, შვილები, შვილიშვილები და ა.შ. ეს რიცხვი გავამრავლოთ იმ რიცხვზე რამდენჯერაც დაიბადეთ დედამიწაზე, ამ

შემთხვევაში 1000-ზე და მივიღებთ დიდი რაოდენობით სულებს, რომლებთანაც არაერთ ცხოვრებაში ძალიან ახლოს იყავით, თუმცა ბევრ შემთხვევაში თქვენი ახლობელი ადამიანები ერთი და იგივე სულები იყვნენ. მაგალითად, ერთ ცხოვრებაში ვინმე შეიძლება თქვენი ძმა ყოფილიყო და შემდეგ ცხოვრებაში კი ბებია. ფაქტობრივად, როდესაც სული ასტრალურ სამყაროში იმყოფება, მის გვერდითაა ყველა ახლობელი სული, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია და მათ შორის დიდი სიყვარული სუფევს. ეს სიყვარული იმდენად ყოვლისმომცველია, სულს ეუფლება განცდა, რომ უბრალოდ სიყვარულში არსებობს და რეალურად ასეც არის. თუმცა დროთა განმავლობაში, სული ეჩვევა ამ სიტუაციას და უკვე სურს განიცადოს მყარი ფიზიკური სხეული, შეიგრძნოს მყარი მატერია და განიცადოს ახალი თავგადასავალი უკვე მატერიალურ სამყაროში, რაც ასტრალურ სამყაროში დიდ ფასეულობად განიხილება. სულის მორიგი დაბადების თემას ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით.

იქიდან გამომდინარე, რომ ცხოვრებიდან ცხოვრებაში სულები სხვადასხვა სიჩქარით ვითარდებიან, თუ სული გადავიდა განვითარების შემდეგ საფეხურზე, ხოლო ჯგუფი ჯერ კიდევ წინა საფეხურზეა, ამ შემთხვევაში სული ტოვებს ამ ჯგუფს და უერთდება სხვა, უფრო მაღალ საფეხურზე მყოფ სულების ჯგუფს. თუმცა, რა თქმა უნდა, ამით ძველ ჯგუფთან კავშირი არ წყდება.

საკუთარი თავის განადგურება (თვითმკვლელობა)

სხვადასხვა მიზეზით და დღეს არსებული არაერთი ფაქტორის გამო, ზოგი ადამიანი, რომელიც ეჩეხება სირთულეებს ან აქვს შინაგანი პრობლემები ან დეპრესია, მოსდის აზრები თვითმკვლელობის შესახებ. საქმე იმაშია, ჩვენ ყველას გვგონია, რომ სხეული, რომელსაც ვფლობთ, გვეკუთვნის ჩვენ. სინამდვილეში, ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს სწორ კონცეფციად. ჩვენს სხეულში, როგორც მექანიზმში და მის მოვლა-ექსპლუატაციაში დიდი შრომაა ჩადებული, ასევე იმ გარემოში, სადაც ეს სხეული ფუნქციონირებს. ჩვენ ამ სხეულში ვიხდით

გადასახადს და ის დროებით მფლობელობაში გადმოგვეცემა. ეს შეიძლება შევადაროთ ბინას, რომელსაც ვქირაობთ, როდესაც მივემგზავრებით სხვა ქვეყანაში, ხოლო შემდეგ ვიწუნებთ პირობებს და ვანადგურებთ ნაქირავებ ბინას. ახალი სხეულის მიღებასთან ერთად, იღებთ პასუხისმგებლობას, რომ მაქსიმალურად მიხედავთ ამ სხეულს. თქვენ დროებით ფლობთ სხეულს, რომლის ფლობა სინამდვილეში სხვასაც უნდოდა, თუმცა მმართველმა სისტემამ ის თქვენ განდოთ. იმის გარდა, რომ ზარალდებიან თქვენი ახლობლები, ზარალდება თქვენი გიდიც, ასევე ზარალდებიან ის სულები, რომლებსაც თქვენთან ერთად სხვადასხვა კარმული ამოცანა ჰქონდათ დაგეგმილი, საქმე ურთულდებათ ამ სულების გიდებსაც, რომლებსაც მოუწევთ კარმული პროგრამების შეცვლა და ამისთვის პროგრამისტებს მოუწევთ შესაბამისი სამუშაოს განევა თავიდან და ა.შ. თქვენ კი ამ ზარალის ანაზღაურება მოგიწევთ.

ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ რაც არ უნდა მძიმე იყოს ცხოვრება, ადრე თუ გვიან, ყველა პრობლემა

გვარდება. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი პრობლემა შინაგანად მივიღოთ. მივიღოთ როგორც ცხოვრების გაკვეთილი. არასდროს იფიქროთ თქვენი სხეულის განადგურებაზე! ეს, ამის პირდაპირი მნიშვნელობით, გამოსავალი არ არის. ხოლო თუ ასეთი აზრები მაინც მოგდით თავში და ხართ კრიტიკულ მდგომარეობაში ან დეპრესიაში, პირველი, რაც უნდა მოიმოქმედოთ არის დახმარების თხოვნა., არ დამალოთ თქვენი მდგომარეობა, მიმართეთ მეგობრებს, უცნობებს, ითხოვეთ დახმარება სოციალურ ქსელში, ასევე თქვენი გიდის. ასეთ დროს მოერიდეთ სახლში გამოკეტვას. იარეთ გარეთ, სხვადასხვა ღონისძიებაზე, მაგალითად, თეატრში, კინოში, სამხატვრო გამოფენებზე თუ სხვა. თუ გაქვთ პროფესია და საქმიანობა, ბოლომდე ჩაერთეთ მის შესრულებაში და დაისახეთ ახალი მიზნები.

ხანდახან ადამიანს მოსდის აზრი, რომ ის არავის სჭირდება. სინამდვილეში, ეს სრული ილუზიაა. ეს და მსგავსი აზრები ზოგჯერ ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანი დისტანცირდება სხვებისგან და ასე

ვთქვათ, საკუთარ თავში იკეტება ან სულაც, ფიზიკურად სახლში ატარებს უფრო მეტ დროს, ვიდრე ეს საჭიროა. ამას გარდა, დეპრესია შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მსუბუქი ფსიქიკური თუ სხვა დაავადებისა და ვიტამინების ნაკლებობისგანაც.

გიდები (მფარველი ანგელოზები)

გიდები არიან არსებები, რომლებიც დედამიწაზე სამუშაოდ, ჩვენზე გაცილებით განვითარებული სხვადასხვა ცივილიზაციიდან არიან მოწვეულნი. ისინი არიან ბევრად ძველი არსებები ვიდრე ადამიანები და აქვთ გაცილებით დიდი გამოცდილება სამყაროში დიდ ხნიანი არსებობის ხარჯზე. თუ ანალოგს გავაკეთებთ, განვითარების დონით დღევანდელ ადამიანებსა და გიდებს შორის განსხვავება ისეთია, როგორც ჩვენს რეალობაში, პატარა ბავშვებსა და პროფესორებს შორის. ასტრალურ სამყაროში, ადამიანთა სულებს შორის ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, რაც მათი დიდი ცოდნისა და გამოცდილების დამსახურებაა.

გიდი შეგვიძლია შევადაროთ ადამიანის პროდიუსერს, კურატორს ან მასწავლებელს. ის არის

სპეციალისტი, რომელსაც თქვენ სულთან დადებული აქვს ხელშეკრულება და ასტრალური სამყაროდან ცდილობს თქვენი ინტერესები გაატაროს. გიდს და მის მფარველობის ქვეშ მყოფ სულს შორის, მატერიალურ სამყაროში მოსვლის წინ, დგება ხელშეკრულება, რის მიხედვით სული ადამიანად ყოფნის დროს გამოიმუშავებს მისთვის გარკვეული რაოდენობის ენერგიას, ეს არის ერთგვარი საფასური, რასაც გიდი იღებს გაწეულ შრომაში. მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული ტიპის ენერგია სამყაროში განიხილება როგორც ჩვენ სამყაროში ფულის ერთეული. თუმცა, ამ არსებების აქ მოღვაწეობა შეიძლება ქველმოქმედებად ჩაითვალოს. როგორც, მაგალითად, ჩვენს სამყაროში ადამიანები მიდიან რთულ პირობებში, სხვა რეგიონში სამუშაოდ, სადაც ბავშვებს ეხმარებიან, თუმცა შეეძლოთ თავის ქალაქში, ოფისში ემუშავათ.

გიდის ინტერესშია თქვენ განვითარდეთ, დააგროვოთ საჭირო გამოცდილება, როგორც პროდიუსერი ცდილობს თავის ქვეშევრდომი იყოს უფრო წარმატებული. გიდს გააჩნია თავისი

განვითარების გზა და თქვენი წარმატება განვითარებაში, იგივე მისი, როგორც თქვენი მასწავლებლის წარმატებაა. ის დებს თავის ენერგიას, დროს და დიდ შრომას თავის ქვეშევრდომში. ამიტომ, ჩვენ ალბათ უნდა ვეცადოთ, რომ მათი იმედები გავამართლოთ.

ჩვენს სამყაროში გიდებზე არსებობს ბევრი ლეგენდა და ინტერპრეტაცია, თუმცა ძირითადად, მათ დედამიწაზე მოიხსენიებენ როგორც მფარველ ანგელოზებს, (არ უნდა აგვერიოს ტერმინში ანგელოზების სამყარო, რაც აბსოლუტურად სხვა სამყაროს ეხება).

რა თქმა უნდა, გიდს არ შეუძლია ადამიანს მატერიალურ სამყაროში პირდაპირი გაგებით, სდიოს, ამისთვის არსებობს მაღალ ტექნოლოგიური ასტრალური კომპიუტერული ქსელი ან მატრიცა (განხილულია თავში: ასტრალური კომპიუტერული სისტემა), რომელიც ჩვენი აზროვნების სტრუქტურებთან არის შეერთებული, რაც გიდს აძლევს საშუალებას იმ სულს, რომელზეც პასუხისმგებლობა აქვს აღებული, გარკვეული

დახმარება გაუწიოს, როდესაც ამის საჭიროება წარმოიქმნება.

გიდი ძირითადად მიჰყვება წინასწარ დაწერილ პროგრამას და ადამიანს აძლევს მინიშნებებს ამ პროგრამის ფარგლებში. ის არ ერევა მის პირად საკითხებში და მით უმეტეს, ადამიანის არჩევანში ან თავისუფალ ნებაში. საბოლოო ჯამში, ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანმა თვითონ გაიკვლიოს ცხოვრების გზა და თავადვე მიიღოს გადაწყვეტილებები. თუ ის უშვებს შეცდომებს, თვითონ უნდა გაიაზროს და მიხვდეს ამას, ნებისმიერ ვითარებაში. თუმცა ზოგჯერ ხდება პირდაპირი ჩარევაც. მაგალითად, კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც ადამიანი გამოუვალ მდგომარეობაშია, გიდმა მას კომპიუტერიდან შეიძლება გაუგზავნოს გარკვეული ინფორმაცია ან მინიშნებები და მიუთითოს სიტუაციიდან შესაძლო გამოსავლის გზები. ადამიანი, რა თქმა უნდა, ამას აღიქვამს როგორც საკუთარ აზრს ან ჩათვლის, რომ მას ბოლო წუთს დაეხმარნენ ზემოდან. როდესაც ადამიანს ემუქრება რაიმე რეალური საფრთხე, გიდმა

შეიძლება ის აარიდოს სხვადასხვა, მის ხელთ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, თუ საჭიროდ ჩათვალა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შეგემთხვეთ არასასიამოვნო რამ, თუმცა ამის უკან გიდი იდგეს, რომელმაც ამით უფრო დიდ საფრთხეს აგარიდათ.

ვარიანტები ბევრია და გიდი ყოველთვის ცდილობს მინიმალურად ჩაერიოს თქვენს ცხოვრებაში, თუმცა, ზოგჯერ, უკიდურესად კრიტიკულ მომენტში შეიძლება ადამიანზე მაქსიმალური კონტროლიც აიღოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგას. ამ დროს ადამიანი თავისი ან სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად არარეალურ ქმედებებს მიმართავს, მაგალითად, უცებ მიქრის სხვის გადასარჩენად, რა დროსაც არარეალური ფიზიკური ძალა ემატება და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს და მოქმედებს ისე, როგორც ჩვეულებრივ რეჟიმში არ ძალუძს. ამ დროს ადამიანი ერთი მხრივ ხედავს, რომ იმოქმედა ესოდენ ეფექტურად, მეორეს მხრივ, ბოლომდე ვერ აცნობიერებს თუ რა მოხდა იმიტომ, რომ ის

სინამდვილეში თვითონ არ მოქმედებდა, თუმცა თვლის, რომ ზებუნებრივმა ძალებმა გადაარჩინეს ან რომ მას ან სხვას სიკვდილი არ ეწერა. ადამიანს ასეთ შემთხვევაში ძალა ემატება იმიტომ, რომ გიდი თავისი ზემოქმედების გარდა, მის სხეულში უშვებს დიდ, დამატებით ენერგიას საკუთარი კომპიუტერიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიტიკულ და შოკურ სიტუაციაში მყოფი ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში, შეშდება და უძლურდება, დიდი ენერგიის სწრაფად დახარჯვის გამო.

ალბათ ცხოვრების განმავლობაში შეგხვედრიათ მთვრალი ადამიანი, რომელიც თითქმის ვერ აზროვნებს და თითქოს ფეხზეც ვერ დგას, თუმცა ის მიუყვება გზას სახლში და ბეწვზე ცდება იმ საფრთხეებს, რაც გზაზე ხვდება. თითქოს ის უნდა დაეცეს და თავი გაიტეხოს, თუმცა ბოლო წუთში თავს აკონტროლებს და აგრძელებს სვლას. ესეც გიდის დახმარებით ხდება. სწორედ აქედან მოდის გამოთქმა, რომ თითქოს მთვრალ კაცს რაღაც ძალა იცავს.

გიდებს აქვთ თავისი კანონები და რეგულაციები, რაც რეგულირდება მათზე ერთი საფეხურით მდგომი გიდების მიერ, მაგალითად, გიდს ეკრძალება რაიმე დააძალოს მის ქვეშევრდომს, თუნდაც ეს ადამიანს სჭირდებოდეს იმ მომენტში. გიდის მოქმედება არასდროს სცილდება შეთავაზების და რჩევის ჩარჩოებს. საბოლოო გადაწყვეტილება ყოველთვის ადამიანმა უნდა მიიღოს, როგორც ცხოვრების პერიოდში, ასევე ცხოვრებებს შორის ასტრალურ სამყაროში. ამ პლანეტაზე ეს არის ფუნდამენტური პრინციპი.

ინფორმაცია, რასაც ზოგჯერ ადამიანი თვლის, რომ ზემოდან მიუვიდა, სწორედ გიდების კომპიუტერიდან მოწოდებული ინფორმაციაა რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ ადამიანმა შეიძლება მიიღოს ინფორმაცია სხვა არსებისგან ან სხვა წყაროებიდან. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეს ხდება მაინც გიდის კონტროლის ქვეშ.

ასევე მინდა კვლავ აღვნიშნო, რომ იმას, რასაც თქვენ დღეს წარმოადგენთ, არის იმ მრავალრიცხოვანი არჩევანის შედეგი, რაც თქვენი სულის ხანგრძლივი

არსებობის განმავლობაში გაგიკეთებიათ. თქვენი მომავალი ბედიც აბსოლუტურად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა არჩევანს გააკეთებთ ამჟამად თუ მომავალში და ეს არ იქნება ვინმეს ნაკარნახები ან თავზე მოხვეული, თუნდაც გიდის მიერ. თქვენი ეს, კონკრეტული ცხოვრებაც მხოლოდ თქვენს გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. თქვენ მიერ გასაკეთებელ საქმეს არავინ გააკეთებს - არც გიდი და არც სხვა ვინმე.

ასევე, გიდი არ უნდა აგვერიოს, ჩვენს უმაღლესი მე-ში, რომლის ფრაგმენტსაც წარმოვადგენთ, გიდი აბსოლუტურად სხვა არსებაა. უმაღლესი მე შეიძლება შევადაროთ მშობელს და გიდი კი დაქირავებულ ძიძას ან მასწავლებელს, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ძიძის ან მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ ატარებთ. ფრაგმენტაციის საკითხებს დაწვრილებით წიგნის სხვა ნაწილში გავარჩევთ.

დაბადება მატერიალურ სამყაროში

სულის მიერ ასტრალურ სამყაროში გატარებული პერიოდი, მანამდე, სანამ მორიგ დაბადებას გადაწყვეტს, არის აბსოლუტურად განსხვავებული. თუმცა, შეიმჩნევა გარკვეული ტენდენცია - ახალგაზრდა, დამწყები სულები უფრო ჩქარობენ დაბადებას და ნაკლებ დროს ატარებენ ასტრალურ სამყაროში, ვიდრე განვითარებული, ძველი სულები. ამას გარდა, განვითარებული სულები უფრო მეტი ყურადღებით და გულმოდგინებით გეგმავენ შემდეგ ინკარნაციას. ეს შეგვიძლია შევადაროთ ახალ და ძველ თაობას - ახალგაზრდებს მეტი დროის გატარება ურჩევნიათ გარეთ, ზრდასრული ადამიანები კი მეტწილად შინ ყოფნას ამჯობინებენ.

როდესაც სული საბოლოოდ გადაწყვეტს ისევ მატერიალურ სამყაროში დაბრუნებას, გიდი

დაკავებულია სხეულის ძებნის პროცესით. სული და გიდი განიხილავენ და გეგმავენ იმ პრიორიტეტებს და პარამეტრებს, რაც სულის სურვილის და კარმული პროგრამის გათვალისწინებით შეიძლება შეირჩეს. შემდეგ, ასტრალური კომპიუტერული სისტემა ცდილობს გამოძებნოს ოპტიმალური ვარიანტი ყველა პარამეტრების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელი ფაქტორი ძალიან ბევრია: გარემო, კარმული ამოცანები, კარმული ურთიერთობები სხვა სულებთან, სულის მიზნები, ის მიზნები, რომელიც სულმა წინა ცხოვრებაში ვერ შეასრულა, სასურველი პროფესიის არჩევა თუ სხვა რამ. რა თქმა უნდა, შეუძლებელია აირჩიო იდეალური ადგილი და მშობლები, რომლებიც ზუსტად ყველა თქვენს ამოცანას ემთხვევა, ამიტომ არის განხილვა თუ რა არის უფრო პრიორიტეტული და ხდება არსებული ვარიანტებიდან საუკეთესოს ამორჩევა. ამორჩევის პროცესში სულს აქვს საშუალება გამოიყენოს მაღალგანვითარებული კომპიუტერული ტექნოლოგიები. ჰოლოგრამის და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიის

საშუალებით, ის ვირტუალურად აღმოჩნდება იმ გარემოში, რომელშიც დაიბადება მომავალში, იქნება ეს ქალაქი თუ სხვა ტიპის დასახლება. სულს შესაძლებლობას აძლევენ ფრაგმენტულად დაათვალიეროს ცხოვრების მომენტები, რათა სრულად შეიგრძნოს ის გარემო და სიტუაცია. რა თქმა უნდა, მას არ ანახებენ ისეთ მომენტებს, რომელიც წინასწარ არ უნდა იცოდეს, რომ მისცენ უფრო მეტი თავისუფალი არჩევანის საშუალება. ზოგჯერ ადამიანი შეიძლება ვერ იყოს ბოლომდე კმაყოფილი იმ გარემოთი, სადაც დაიბადა მაგრამ, მაგრამ არჩევა ხდება იმ ვარიანტებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია. ყველა სული საუკეთესო ადგილას ვერ დაიბადება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამდენი არჩევანი ფიზიკურად არ არსებობს. გამოთქმა “ადგილები შეზღუდულია” კარგად ესადაგება ამ სიტუაციას. ☺

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ განისაზღვრება სულის დაბადების ადგილი და კონკრეტული სხეული, სულთან ფორმდება კონტრაქტი, რომელშიც მოიცავს ყველა პირობას. ამავდროულად, კარმის

სპეციალისტები, ზემოხსენებული განხილვის (სასამართლოს) საფუძველზე, ასევე სულის შემდგომი განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე (იგულისხმება ახალი გამოცდილების მიღება და/ან იმ თვისებების გამომუშავება, რაც აკლია სულს), ადგენენ კარმულ გეგმას, მიზნებს. შემდგომ, ეს გეგმა გადაეცემათ კარმის პროგრამისტებს, რის საფუძველზეც ისინი ადგენენ ახალ კარმულ პროგრამას არჩეულ სხეულზე, სადაც უკვე კონკრეტულად იქნება ჩადებული ის სიტუაციები, რომელიც შესაძლოა შეექმნას სულს იმ მიზნების მისაღწევად, რაც კარმის სპეციალისტებმა დასახეს.. ასევე, პროგრამისტებს ევალებათ გათვალონ ყველა ის ვარიანტი, რომელიც შესაძლოა აირჩიოს სულმა და შექმნან რთული და კომპლექსური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლო ვარიანტს.

კარმის სპეციალისტები, ასტრალური კომპიუტერული სისტემის დახმარებით ხედავენ თქვენი მომავალი სავარაუდო რეალობების მონახაზს და მასზე აგებენ კარმულ პროგრამას. თუ ამ

მონახაზში ჩანს განშტოება, რომელიც თქვენთვის არ არის სასურველი, თუმცა მაინც შეიძლება ეს გზა აირჩიოთ, მაშინ ისინი ჩაამატებენ პატარა პროგრამას, რომელიც ამოქმედდება თუ ამ გზას აირჩევთ და გიბიძგებთ ისევ იმ განშტოებას დაუბრუნდეთ, რომელიც დაბადებამდე გაქვთ ჩაფიქრებული და თქვენთვის ხელსაყრელია. ეს შეიძლება იყოს რაღაც მოვლენები, რაიმე პრობლემები და სხვ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები ცხოვრებაში ამის გარეშე არ შეიძლება რომ იყოს და რომ ყველა პრობლემა კარმული პროგრამიდან მოდის.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ პროგრამაში ყოველთვის იდება სულის კეთილი ნება და არჩევანი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს პროგრამაში. საბოლოოდ პროგრამა ჩაიტვირთება სულის ფაქიზ სხეულებში, საიდანაც ის მოახდენს აწ უკვე განსხეულებულ პიროვნებაზე ზემოქმედებას იმ მომენტებში, როდესაც ეს საჭირო გახდება. ხოლო, გიდი თავის მხრივ, ამ პროგრამის ფარგლებში

მოახდენს უკვე განსხეულებული ადამიანის დახმარებას.

გიდი აკონტროლებს სპერმატოზოიდის მოხვედრაში იქ, სადაც საჭიროა და მის განაყოფიერებას, ასევე იღებს მონაწილეობას მშობლის მუცელში ბავშვის სწორ განვითარებაში, რომელშიც შემდეგ მოხვდება მისი მფარველობის ქვეშ არსებული სული. ასევე, ის ირჩევს ჩანასახის სქესს და სხვა მრავალ მახასიათებელს, რომელიც წინასწარ არის მოლაპარაკებული სულთან, კარმული ამოცანების გათვალისწინებით.

სული იწყებს სხეულის თავის თავზე მორგებას, როდესაც დედის მუცელში ბავშვი გარკვეულ დონეზე უკვე ფორმირებულია. საბოლოოდ, სულის მეხსიერებაზე იდება ბლოკი, ის იღებს ამნეზიას და იბადება მატერიალურ სამყაროში. გიდი ასევე ზემოქმედებს ბავშვის დაბადების დროზე და ცდილობს მაქსიმალურად ხელსაყრელ დროს მოხდეს დაბადება პლანეტების მიხედვით, იმ მისიებიდან გამომდინარე, რაც მისი მფარველობის ქვეშ მყოფ სულის მომავალში აქვს ჩაფიქრებული, რათა

ფიზიკურ პიროვნებას შესაბამისი თვისებები შესძინოს. თუ ცნობილი ხდება, რომ დედამ სხვადასხვა მიზეზის გამო აბორტი უნდა გაიკეთოს, მაშინ სული ამ სხეულში არ შემოდის იმიტომ, რომ ამას აზრი აღარ აქვს.

სანამ შემდეგ თავზე გადავალთ, მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რამაც დამაწერინა ინფორმაცია ასტრალურ სამყაროზე არის ის, რომ ჩემთვის ძალზე მძიმეა იმის ყურება, თუ რა ტკივილს განიცდიან ადამიანები, როდესაც ახლობელ ადამიანებს კარგავენ. ჩვენ ყველას გვაქვს ეს ან გამოვლილი ან გასავლელი. ვფიქრობ ეს ინფორმაცია დაეხმარება ადამიანებს შეუმსუბუქონ ის განცდა, რასაც საყვარელი ადამიანების დაკარგვას სდევს თან. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი საყვარელი ადამიანები (იშვიათი გამონაკლისების გარდა) უფრო კარგ ადგილზე არიან და მათ არაფერი უჭირთ.

ამნეზია

ასტრალური სამყაროს გაცნობის შემდეგ, შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, მაშინ რა აზრი აქვს დაბადებას, თუ ასტრალურ სამყაროშიც ვვითარდებით და ვიღებთ გამოცდილებას?

მატერიალურ სამყაროში დაბადება,რეინკარნაციის სისტემა და ამნეზია, რომელსაც ადამიანი იღებს ყოველი დაბადების დროს, სულს საშუალებას აძლევს განიცადოს ეს ცხოვრება, ასე ვთქვათ, განახლებული აღქმით. გააცნობიეროს ყველაფერი ისე, როგორც მისთვის სრულიად ახალი და განიცადოს ახალი, მძაფრი ემოციები. ასევე, ყოველ ჯერზე, ახალ გარემოში, უფრო კარგად გამოავლინოს თავი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხრივ. მაგალითად, თქვენ გყავთ მეგობარი, რომელსაც კარგად იცნობთ, თუმცა, როდესაც სამოგზაუროდ წახვალთ, მან შეიძლება სხვა კუთხით წარმოაჩინოს თავი. იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც კრიტიკულ მომენტში აღმოჩნდებით, რა დროსაც ადამიანმა შეიძლება სულ სხვაგვარად გამოავლინოს თავი. აქედან გამომდინარე, ასტრალურ სამყაროში თქვენ არასდროს გამოავლენთ იმ თვისებებს, რასაც

მატერიალურ სამყაროში ავლენთ. აქ გექმნებათ ისეთი სიტუაციები, რასაც ასტრალურ სამყაროში ვერ შეხვდებით. ფაქტობრივად, ამნეზიის სისტემა სულში უფრო ღრმად ჩახედვის საშუალებას იძლევა, რაც იმ ექსპერიმენტის ნაწილია, რომელსაც სახელად დედამიწა ჰქვია.

ამნეზიის გარეშე ადამიანს ყველაფერი ეცოდინებოდა, შეცდომებს არ დაუშვებდა და არც შესაბამისი ემოციური განცდა ექნებოდა. ახალ დაბადებულ ბავშვს ეხსომებოდა თავისი ყველა ინკარნაცია ისე, როგორც ჩვენ გვახსოვს გუშინდელი დღე და ის ფაქტობრივად ბევრად უფრო გაცნობიერებული იქნებოდა ყველაფერში, ვიდრე დღევანდელი ზრდასრული ადამიანი. ოჯახი, როგორც ასეთი, ვერ იარსებებდა იმ სახით, როგორიც არის დღეს. წარმოიდგინეთ, თქვენ გყავთ პატარა ქალიშვილი, რომელიც რომელიღაც ცხოვრებაში თქვენი ბაბუა იყო. და ეს ფაქტი თქვენც და თქვენს ქალიშვილსაც ისე გახსოვთ, როგორც გუშინდელი დღე. ☺

უნდა აღინიშნოს, ამ სისტემას აქვს თავის მინუსებიც. მაგალითად ის, რომ სულს ზოგჯერ ამნეზიის პირობებში უხდება იმავეს სწავლა თავიდან. თუმცა, წინა ცხოვრების გამოცდილებები მას ნიჭის სახით მოჰყვება. როდესაც ბავშვი პატარაობიდანვე ავლენს რაიმე ნიჭს, ეს ნიშნავს, რომ წინა ან რომელიმე სხვა ცხოვრებაში ამ საქმით დაკავებული, თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ამ ცხოვრებაშიც მან ეს მიმართულება აირჩიოს. იმის გამო, რომ სულმა ერთი და იგივე მექანიკური რაღაცები არ ისწავლოს ზედიზედ ყოველ ცხოვრებაში, გიდი აძლევს თავის ქვეშევრდომს წვდომას მატრიცის კომპიუტერულ ბაზებთან, საიდანაც ის ნელ-ნელა იღებს ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ბაზებზე წვდომა გიდმა შეიძლება დაუშვას მაშინაც კი, როდესაც ადამიანი პირველად ეუფლება რაიმე სფეროს. ბავშვობიდან "ვუნდერკინდები" არიან სულები, რომლებიც, სავარაუდოდ, წინა ან რამდენიმე ცხოვრებაში აირჩიეს იგივე პროფესია და ამას გარდა, აქვთ წვდომა ბაზებთან. "ვუნდერკინდები" ხშირად არ გვხვდებიან იმ მიზეზით, რომ, როდესაც სული ეუფლება რაიმეს ერთ ცხოვრებაში, მას შეიძლება

შემდეგ ცხოვრებაში სხვა რამ მოუნდეს და ჩათვალოს, რომ იმ სფეროში უკვე ამოწურა თავი. ვარიანტები, რა თქმა უნდა, დაუსრულებლად ბევრია.

ასევე, მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ერთი მხრივ, ამნეზია ადამიანს საშუალებას აძლევს შეიგრძნოს მატერიალური სამყარო ბოლომდე, თუმცა, მეორეს მხრივ, ზოგჯერ, ადამიანი არ უშვებს იმის არსებობის შესაძლებლობას, რომ ფიზიკური მატერიის იქით რაღაც არსებობს და ზომაზე მეტად უჩნდება მიჯაჭვულობა მატერიაზე. ეს იქნება ნივთები, ადამიანები, ადგილები თუ ზოგადად მატერიალური სამყარო. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს საპირისპირო უკიდურესობაში გადავარდნაც, როდესაც ადამიანმა იცის, რომ ამ მატერიალური სამყაროს იქით რაღაც არსებობს და ის, ასე ვთქვათ, მეასეხარისხოვნად მიიჩნევს ამ მატერიალურ სამყაროს და ჰგონია, რომ გულგრილად ან აგდებით უნდა შეხედოს აქაურ რეალობას. იდეალურ ვარიანტად შეიძლება

ჩაითვალოს, როდესაც ადამიანი ოქროს შუალედს იჭერს და ორივე მიმართულებით ვითარდება.

და ბოლოს, სანამ გადავალთ წიგნის მესამე ნაწილზე, შეგახსენებთ, რომ თავში: მატერიალური სამყაროს დატოვება, განვიხილეთ სტანდარტული სქემა იმისა, თუ რა პროცესებს გადის სული და სად ხვდება სიკვდილის შემდეგ, თუმცა ისიც აღვნიშნეთ, რომ არსებობს გარკვეული გამონაკლისები. სწორედ ასეთ, ერთ-ერთ ხშირ გამონაკლისზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, რომელიც, ჩემი აზრით, ისეთი თემატიკით დაინტერესებული ადამიანისთვის, როგორიც ეს წიგნია, ძალზე აქტუალური უნდა იყოს.

იქიდან გამომდინარე, რომ დედამიწაზე არის ბევრი ტანჯვა, სიღარიბე, ტკივილი თუ სხვა პრობლემა,

ბევრ ადამიანს რეინკარნაციის ჯაჭვიდან გამოსვლის სურვილი უჩნდება. ხშირად ეს ხდება გარკვეული ეზოთერული თუ რელიგიური ლიტერატურის გაცნობის შემდეგაც, თუმცა მე გამოვყოფდი სამ კონცეფციას: ეს არის სიკვდილის შემდეგ ღმერთთან მოხვედრის, მაღალ სამყაროებში გადასვლის და დედამიწიდან გაქცევის სურვილი. ეს შეიძლება შევადაროთ სიტუაციას, როდესაც ცხოვრობთ რომელიმე ქვეყანაში და იგებთ, რომ სხვაგან, სხვა ქვეყანაში ცხოვრების ბევრად უკეთესი პირობებია, ამიტომ ალაგებთ ბარგს და პირდაპირ ფეხით გაუყვებით გზას სხვა ქვეყანაში. როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ რა დაგხვდებათ გზაში? რა თქმა უნდა, საზღვარი.

როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მისი სურვილების ძალა იმატებს და როდესაც ასეთ სულს აქვს განზრახვა, რომ მოხვდეს სხვა სამყაროში ან თუნდაც ღმერთთან, ის ძლევს იმ მიზიდულობის მაღალტექნოლოგიურ მექანიზმების გავლენას, რომელიც შევადარეთ გვირაბებს და იწყებს სწრაფად გადასვლას დედამიწიდან ღია კოსმოსში. ასეთი

სულების შესაკავებლად ასტრალურ სამყაროში მოწყობილია დიდი ასტრალური გუმბათი, რომლის შუაში არის განათებული ხვრელი და სინათლე. სულებს უჩნდებათ ილუზია, რომ როდესაც ამ ხვრელში გაძვრებიან, მოიპოვებენ თავისუფლებას, ასევე სულები, ვინც ღმერთთან მოხვედრის სურვილით არიან აღტკინებულნი, ფიქრობენ, რომ იმ ნათების მილმა ღმერთია. ეს გუმბათი წააგავს მრავალშრიან ბადეს და სული ასე ვთქვათ, თავისივე ილუზიაში იხლართება. ის ფიქრობს: “აი, ცოტაც და გავალ”. სინამდვილეში, მექანიზმი მას ადებს ამნეზიას და უკან აგდებს. ის კვლავაც მიიწევს წინ და ეს მეორდებაისევ და ისევ. სული იჭედება და ტრიალებს ამ ხაფანგში. ეს პროცესი შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, იქამდე, სანამ ბოლოს არ მიხვდება, რომ ხაფანგში და ილუზიაშია მოქცეული. ამის შემდეგ ეგრეთ წოდებული გვირაბების მექანიზმის დახმარებით ის ისევ ბრუნდება ასტრალურ ძირითად სამყაროში, იმ ადგილას, რაც ჩვენ აეროპორტს შევადარეთ. ეს გუმბათი არსებობს იმისთვის, რომ ღია კოსმოსში არ მოხდეს სულების მასიურად, უპატრონოდ მოხვედრა

- იმ სულებისა, რომლებმაც არ იციან თუ რა ხდება სამყაროში, ღია კოსმოსში. მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ დიდი საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვებმა გაარღვიეს საბავშვო ბაღის კედელი და ათიათასობით ბავშვი ქუჩაში უმეთვალყურეოდ გაიჭრა.

ჯერ კიდევ მაშინ,როდესაც ამ წიგნის წერა ახალი დაწყებული მქონდა (2009-2011 წლები), მე ვიყავი იმ იდეის გავლენის ქვეშ, რომ დედამიწა ცოცხალია, ჯოჯოხეთია და როგორმე აქედან უნდა გავაღწიო. ეს იდეა არ მასვენებდა დღე თუ ღამე. შემდეგ ავიყოლიე თანამოაზრეები და ამ მიმართულებით დავიწყეთ ფიქრი და კვლევა. საბოლოოდ, კონტაქტზე გამოვიდა არსება/სული, რომელიც ამ საქმის სპეციალისტი გახლდათ. სწორედ მან მოგვიყვა ამ გუმბათის არსებობაზე და მეტიც, გაგვანდო, რომ მისი სული მაღალი სიმკვრივის სამყაროდან, მივლინებით იმყოფებოდა იმ გუმბათში როგორც დამკვირვებელი, რათა ინფორმაცია მიეწოდებინა სინათლის არსებებისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენი პირველი კითხვა იყო იმაზე, თუ როგორ შეიძლება

თავი აგვერიდებიანა ამ გუმბათისთვის. მან გვიპასუხა, რომ სიკვდილის წინ ადამიანი უნდა იმყოფებოდეს ყოვლისმომცველი სიყვარულის მდგომარეობაში, ხოლო როდესაც ის დატოვებს სხეულს, ყველაფერი რაც კი მის გარშემო განვითარდება, შინაგანად უნდა მიიღოს. ამ დროს, მის გარშემო ბევრი სხვადასხვა სიტუაცია შეიძლება განვითარდეს, იმის მიხედვით თუ რა სუსტ ადგილს უპოვიან. მაგალითად, მას შეიძლება აჩვენონ ჰოლოგრამა, რომ მისი ყველაზე ახლობელი ადამიანი შველას ითხოვს და მისგან დახმარება სჭირდება ან კიდევ სხვა უამრავი რამ.

ძალიან უხეში და არაზუსტი სტატისტიკით, ამ გუმბათში ხვდება დაახლოებით წასული სულების 30% - მდე. თითქმის ყველა ჩვენგანი, ვინც წინა რეინკარნაციებში ცდილობდა გასხივოსნებას თუ დაბადების ციკლიდან გამოსვლას, ასევე რელიგიური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ღმერთთან მოხვედრას ნამყოფები ვართ ამ გუმბათში. იმ სულების რაოდენობა, რომლებმაც შეძლეს ამ გუმბათის ავლით დედამიწიდან გასვლა, ძალზე

მცირეა. ეს ძალიზეთ გამორჩეული სულები არიან. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი სული, რომელიც აქედან ასე ვთქვათ, დროზე ადრე გავიდა, ზოგჯერ სხვადასხვა პერიოდის შემდეგ უკან ბრუნდება. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ჩააბარეთ უნივერსიტეტში რომელშიც სწავლა 5 წელი გრძელდება, თუმცა მესამე კურსზე თქვენ მიატოვეთ უნივერსიტეტი, ფაქტობრივად სწავლა შეწყვიტეთ და უკვე გარედან ადევნებთ თვალს თუ როგორ სწავლობენ და ბოლოს იღებენ დიპლომს თქვენი თანაკურსელები. თქვენ კი რჩებით სამ კურს დამთავრებული. მაგრამ, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლა არ არის დროით განსაზღვრული და სტუდენტმა შეიძლება სასწავლებლის დამთავრება ძალიან დიდი ხანი ვერ შეძლოს და პრობლემაც სწორად ეს ხდება ხოლმე.

გასხივოსნებისა და ამაღლების პრინციპებსა და მექანიზმზე ვისაუბრებთ შემდეგ წიგნში.

ნაწილი მესამე

სამყაროს ძირითადი სტრუქტურა

ღმერთი და სამყაროს წარმოშობის ისტორია

ის დიდი სამყარო, რომლის წარმოუდგენლად პატარა ნაწილს ჩვენი პლანეტაც წარმოადგენს, ღმერთმა დუალიზმის შესწავლის მიზნით შექმნა. მისი ძირითადი მიზანი იყო გამოცდილების დაგროვება, რომელიც მოიცავს სამყაროს გაფართოებას, განვითარებასა და თვითშემეცნებას.

მთელი ჩვენი ხილული თუ უხილავი სამყარო, თავისი ყველა სიმკვრივითა და განზომილებით, არის ვირტუალური. მყარი მატერია იმ სახით, როგორიც

ჩვენ წარმოგვიდგენია, ბუნებაში უბრალოდ არ არსებობს. თუმცა, ჩვენი გადმოსახედიდან, ის, რა თქმა უნდა, არსებობს იმ სახით, როგორსაც მას ალვიქვამთ. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ რა გზით არის მიღებული ფიზიკური მატერია და რა ტექნოლოგია არის გამოყენებული მატერიალური, თუ სხვა ფაქიზი სამყაროების შესაქმნელად. თუ პარალელს ჩვენს ცხოვრებასთან გავავლებთ, ეს შეიძლება შევადაროთ კომპიუტერში შექმნილ ვირტუალურ სამყაროს, რომელიც სამგანზომილებიანი გამოსახულების შესაქმნელ კომპიუტერულ აპლიკაციაშია აწყობილი. აქედან გამომდინარე, ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო არის სერვერზე (დიდი კომპიუტერი) გენერირებული ვირტუალური სამყარო და ყველაფერი, რაც კი მასშია წარმოდგენილი, ციფრებითა და მათი კომბინაციით არსებობს.

სამყაროს შექმნის პროცესი შეიძლება შევადაროთ აპლიკაციის ინსტალაციას. წარმოვიდგინოთ, რომ კომპიუტერში ვაყენებთ ფოტოშოპს. თუ ამ პროცესს დავაკვირდებით იმ საქაღალდიდან, სადაც ის

ინსტალირდება, დავინახავთ, რომ ფაილები და მათი სტრუქტურა თითქოს თავისით, ნელ-ნელა ჩნდება და იშლება ამ სივრცეში. და თუ ჩვენ ინფორმირებულები არ ვიქნებით ზოგადად სამყაროზე, ვიფიქრებთ, რომ ეს თავისით, ბუნებრივად ხდება. თუმცა სამყაროების შექმნას თუ პლანეტებზე "ინფრასტრუქტურის" მოწყობა/განვითარებას წარმოუდგენლად დიდი დრო სჭირდება.

ზოგადად, სამყარო მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას. თუ თეორიულად, მას გვერდიდან შევხედავთ, შევამჩნევთ მის გაფართოებასა და შეკუმშვას. ერთი სამყაროს შეკუმშვის დროს ფართოვდება სხვა სამყარო და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ აქ საუბარია ძალიან დიდ მასშტაბებზე. ჩვენ კი ვიმყოფებით ერთ-ერთ ასეთ გაფართოებულ სამყაროში (გაფართოების პროცესს მეცნიერები დიდ აფეთქებას უწოდებენ), რომლის გაფართოების პროცესი დაახლოებით 20 მილიარდი წლის წინ დაიწყო.

აქვე, მინდა შეგახსენოთ, რომ დედამიწა სხვა პლანეტებთან ერთად მოძრაობს მზის გარშემო და

ქმნის მზის სისტემას, რაც არის წარმოუდგენლად მცირე ნაწილი გალაქტიკისა, რომელიც შედგება დაახლოებით 100 მილიარდზე მეტი მზის სისტემისგან. ხოლო სხვა გალაქტიკების რაოდენობა 200 მილიარდს აღემატება. აქედან, პლანეტების გარკვეული, დიდი რაოდენობა ათვისებულია სხვადასხვა ცივილიზაციის მიერ.

თქვენ ალბათ გსმენიათ შავი ხვრელების შესახებ, რომლებიც სინამდვილეში დიდ პორტალებს წარმოადგენენ. პლანეტა, რომელიც მასში შევა, უმალვე გაჩნდება სხვა სამყაროში, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ ერთ ფაილს ავიღებთ საქაღალდიდან და მეორეში ჩავაგდებთ. სინამდვილეში, გალაქტიკები ან თუნდაც მზის სისტემები, ერთმანეთთან დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის პორტალით. მზის სისტემის პორტალები მდებარეობს მზეებში, ხოლო თვითონ მზეები დაკავშირებულია პორტალებით მის გარშემო მბრუნავ პლანეტებთან. თეორიულად, თუ არსებას, რომელიც იმყოფება სირიუსის სისტემის ერთ-ერთ პლანეტაზე და უნდა, რომ დედამიწაზე მოხვდეს, ამისთვის ის უნდა ჩაჯდეს

მფრინავ ხომალდში, თავისი პლანეტის პორტალიდან მოხვდეს ჯერ თავისი მზის პორტალში, შემდეგ მზის პორტალიდან მოხვდეს ჩვენი მზის პორტალში და მზის პორტალიდან გადმოვიდეს უკვე ჩვენს პლანეტაზე. რა თქმა უნდა, პორტალებზე არსებობს რეგულაციები და მასში შემოსვლისთვის უნდა იცოდეთ შესაბამისი კოდები. დაახლოებით ისე, როგორც თქვენს სადარბაზოში აყენია კარის კოდი, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, უფრო რთული სისტემაა. ეს სისტემა არსებობს იმისთვის, რომ პლანეტებზე არ მოხდეს სხვადასხვა კოსმოსური დაჯგუფების თავისუფალი შემოჭრა. ისევე, როგორც სადარბაზოებში არის კოდების სისტემა, რათა აღკვეთილ იქნეს უცხო ადამიანების შემოსვლა.

ზოგადად, კოსმოსში, პორტალების სისტემის არ არსებობის შემთხვევაში, მზის სისტემებს შორის მანძილი იმდენად დიდია, რომ ყველაზე სწრაფი ხომალდებიც (მფრინავი თეფშები) კი ვერ შეძლებენ ამხელა მანძილის დაფარვას ან ასეთი მგზავრობა წარმოუდგენლად დიდ დროს მოითხოვდა.

იგივე სისტემით ხდება პლანეტების ენერგო მომარაგებაც, რათა პლანეტები და მათი ცოცხალი სტრუქტურები მოძრაობაში იქნეს მოყვანილი. ენერგია მიეწოდება ჯერ გალაქტიკის ცენტრალურ მზეს, ხოლო შემდეგ ნაწილდება ცალკე მზის სისტემებზე, მათი მზეების გავლით. ენერგომომარაგება ხორციელდება მზის და პლანეტების მაღალი სიმკვრივეების შრეებიდან (სიმკვრივეებზე შემდგომში ვისაუბრებთ). ჩვენი რეალობიდან, ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ უსადენო ინტერნეტის განაწილებას Wi-Fi ტექნოლოგიით, სადაც მზე შეიძლება შევადაროთ ინტერნეტის გამანაწილებელ, უსადენო მოდემს. მზის სიმხურვალე და წვა ამ პროცესში არ მონაწილეობს. მზე იწვის ძირითადად იმიტომ, რომ სინათლე შემოიტანოს მის გარშემო არსებულ პლანეტებზე, დაახლოებით ისე, როგორც მოდემს შეიძლება ჰქონდეს ნათურა, რომელიც გარემოს ანათებს, თუმცა ეს არ იქნება ინტერნეტის მომარაგებასთან კავშირში. მზის მოდემიდან ენერგია შეედინება ასტრალური კომპიუტერის სისტემაში და აქედან ნაწილდება ცოცხალ ორგანიზმებზე. ამ პროცესს არ

აქვს ქაოსური ხასიათი და ყველაფერი ზუსტად ალირიცხება დაახლოებით ისე, როგორც ელექტრო ენერგიას ჩვენს სახლში ვიღებთ.

სულის ფრაგმენტაცია

თუ გაინტერესებთ, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარო, რას წარმოადგენს ღმერთი და რა როლს ვთამაშობთ ჩვენ ამ ყველაფერში, ფრაგმენტაციის სისტემის გააზრების გარეშე, ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ სისტემის გააზრება საკმაოდ რთულია, ამიტომ მე გამოვიგონე მორიგი შედარება, რაც შესაძლოა ამ ყველაფრის ზედაპირულად აღქმაში დაგეხმაროთ.

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ხართ ღმერთი. იმისთვის, რომ შეგექმნათ სამყარო და გამოგეკვლიათ ის, თქვენ გახსენით ინტერნეტ კაფე და შეიძინეთ უამრავი კომპიუტერი. ამ კომპიუტერების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, დარბაზის ცენტრში, დადგით თორმეტი სერვერი (სერვერი იგივე კომპიუტერია მომატებული

ფუნქციებით და შესაძლებლობებით). ეს სერვერები დადგით შუაში, ხოლო გარშემო განათავსეთ უამრავი კომპიუტერი, როგორც ხდება ხოლმე ოფისებსა და დაწესებულებებში. შუაში მოთავსებული თორმეტი სერვერი თავის მხრივ ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა ერთმანეთისგან მუშაობის სიხშირით (მაგალითისთვის: ჰერცებით) იყო განსხვავებული. პირველი სერვერი იყო ყველაზე ნელი, მეორე შედარებით სწრაფი და ასე იმატებდა მეთორმეტე, ყველაზე სწრაფ და ყველაზე მაღალ სიხშირეზე მომუშავე, სერვერამდე. ამ სერვერებზე, თქვენ (ღმერთმა) დააყენეთ ვირტუალური სამყარო, რომელიც განაწილდა ამ თორმეტ სერვერზე და შეიქმნა ერთი დიდი ვირტუალური სამყარო, რომელიც თავის მხრივ თორმეტ სიმკვრივის სამყაროს მოიცავდა სერვერების მიხედვით. მატერიის სიმკვრივეების თემას ჩვენ შემდეგ თავში დაუბრუნდებით და უფრო დეტალურად გავარჩევთ.

რა თქმა უნდა, თუ თქვენ (ღმერთი), მიუჯდებოდით კომპიუტერს მარტო და შეხვიდოდით ამ სერვერების ვირტუალურ სამყაროში, ამ ვეებერთელა სამყაროში

იქნებოდით სრულიად მარტო. თქვენთვის ეს საინტერესო არ იქნებოდა, მიიღებდით იმაზე ნაკლებ გამოცდილებას, ვიდრე სერვერზე ბევრს ადამიანს რომ ეარსება, რომლებიც გამოიკვლევდნენ ამ სამყაროს თქვენთან ერთად და ყველა კომპიუტერიდან ერთდროულად. ამის გარდა, გამოცდილება მით უფრო ღრმა და მრავალფეროვანი იქნებოდა, თუკი ყველა ეს პიროვნება თავად იქნებოდით. ყველა კომპიუტერის ერთდროულად მართვის მიზნით, თქვენ მიიღეთ ამნეზია, დაივიწყეთ, რომ ხართ ღმერთი და მიუჯექით პირველ კომპიუტერს, შეასრულეთ რაღაც მოქმედება, შემდეგ ადექით, მიიღეთ ისევ ამნეზია და დაივიწყეთ იმ პირველი კომპიუტერის ამბები. ამის მერე გადაჯექით მეორე კომპიუტერთან, სადაც ასევე შეასრულეთ გარკვეული მოქმედება, ისევ ადექით, დაივიწყეთ, რომ ის მეორე კომპიუტერის პერსონაჟიც თქვენ ხართ, გადახვედით მესამე კომპიუტერთან და მსგავსი პრინციპით შემოირბინეთ არსებული მილიარდობით კომპიუტერი, საბოლოოდ კი, ისევ დაუბრუნდით პირველ კომპიუტერს და გააგრძელეთ სვლა მეორე წრეზე და ასე დაუსრულებლად. ეს

შემოვლა ხდება ძალიან სწრაფად, რადგან იქ დრო არ არის იმ სახით, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, მაგრამ, ჩვენი ენით რომ გადმოვცეთ, ეს ხდება წამის მეათასედებში. საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ ჩვეულებრივი ნათურა, რომელიც სინამდვილეში ციმციმებს, მაგრამ ამას იმდენად სწრაფად აკეთებს, რომ ჩვენი თვალისთვის ის უბრალოდ ანთია.

საბოლოდ, ფრაგმენტაციის შემდეგ, მივიღეთ მილიარდი პერსონაჟი, რომელიც უკვე სერვერზე, სადაც ვირტუალური სამყაროა დაყენებული, მოღვაწეობს აბსოლუტურად დამოუკიდებლად, არის ინდივიდუალური პიროვნება, არსება თუ სული და იღებს თავის, აბსოლუტურად უნიკალურ გამოცდილებას ნულიდან.

თუ ისევ განვმეორდებით, ჩვენ მივიღეთ მილიარდობით პერსონაჟი ამნეზიით და პლუს ერთი (ღმერთი) ამნეზიის გარეშე. თქვენს (ღმერთის) და ამ მილიარდ პერსონაჟს შორის განსხვავება ის იქნება, რომ მათ არ ეხსომებათ, რომ ისინი სინამდვილეში თქვენ ხართ, ანუ მათ არ ეხსომებათ რომ ღმერთები არიან იმიტომ, რომ განვითარება დაიწყეს ნულიდან

და ჩამოყალიბდნენ აბსოლუტურად ინდივიდუალურ პიროვნებებად. თუმცა, ამით ყველაფერი არ მთავრდება. ღმერთმა მოახდინა არა მარტო საკუთარი თავის ფრაგმენტაცია სერვერებზე, არამედ მისცა საშუალება უკვე სერვერზე მოღვაწე ფრაგმენტებს, თავად მოეხდინათ თავიანთი თავის შემდგომი ფრაგმენტაცია. თუმცა, რომ არ მომხდარიყო სულების ქაოსური და უსასრულო გამრავლება, ფრაგმენტაციის რაოდენობაზე ღმერთმა დააწესა გარკვეული შეზღუდვები. ამიტომ ამ კანონის ფარგლებში, სულს შეუძლია თავისი ფრაგმენტაცია თორმეტჯერ განახორციელოს, ხოლო თავის მხრივ, ამ თორმეტ სულს, სათითაოდ აქვს საშუალება კიდევ თორმეტჯერ მოახდინოს თავისი თავის ფრაგმენტაცია და ა.შ.

დედამიწაზე არსებობს უამრავი სხვადასხვა თქმულება, მთელ სამყაროში არსებულ, ყველა არსების თუ სულის ერთიანობაზე და ეს კონცეფციები სწორედ ამ სისტემიდან გამომდინარეობს. ასევე, ყველა უნდა შეეგუოთ იმ ფაქტს, რომ უკიდურესად ნეგატიური ადამიანი,

ყველა დამნაშავე, მკვლელი თუ მანიაკი, ეს ამნეზია მიღებული ღმერთები არიან. თუ ვინმე არ გიყვართ, გძულთ, განიკითხავთ ან ცუდს უსურვებთ, შეგიძლიათ ჩათვალოთ, ეს თქვენი მხრიდან ღმერთის მისამართით გაკეთებული ქმედებაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გარშემო სულ ღმერთები მოძრაობენ და რა თქმა უნდა, მათ რიცხვში თითოეული ჩვენგანიც შედის.

აქვე, მინდა დავაზუსტო, რომ ციფრი თორმეტი პირობითია. სხვა სამყაროში ეს ციფრი შეიძლება ნებისმიერი იყოს. თქვენ ალბათ მიაქცევდით ყურადღებას, რომ ბევრი რამ ხშირად უკავშირდება რიცხვ თორმეტს, სინამდვილეში ეს არის ჩვენს სამყაროში ნუმერაციის სისტემის მრგვალი, ოპტიმალური რიცხვი. ისევე როგორც ჩვენთვის არის რიცხვი ათი. სხვა სამყაროებში მრგვალი რიცხვი შეიძლება იყოს მაგალითად, ცამეტი ან ასევე სხვა ნებისმიერი რიცხვი და ამ რიცხვზე იყოს აწყობილი ნუმერაციაც და სხვადასხვა სისტემაც.

სულის ფრაგმენტების გაერთიანება

სულის ფრაგმენტაციის სისტემის გაცნობის შემდეგ, თქვენ შეიძლება გაგიჩნდეთ შეგრძნება, რომ ამ დიდ სისტემაში თითქოს სრულიად პატარა ნაწილაკი ხართ, რომ წარმოადგენთ იმ ფრაგმენტირებული სულის ერთ, საწყალ ფრაგმენტს, რომელიც თავის მხრივ, არის მასზე ზემდგომი არსების ფრაგმენტი და ა.შ. და რომ საბოლოოდ, თქვენ ხართ მხოლოდ წვეთი ამ თვალუწვდენელი ზღვის ტალღებში. სინამდვილეში, კი ყველაფერი ზუსტად რომ საპირისპიროდაა - ჩვენ თვითონ ვართ შემქმნელიც და მონაწილეც. სინამდვილეში, თავად ვართ ის ღმერთი, რომელმაც ამნეზია მიიღო და თავისი თავიდან ფრაგმენტები შექმნა, ხოლო სხვა ყოველი ადამიანი ჩვენს გარშემო, სინამდვილეში, ისევ ჩვენ ვართ, ოღონდ სხვა გამოცდილებით.

როდესაც, სული იღებს საკმარის გამოცდილებას და ასრულებს ხანგრძლივ დაბადებების სერიას დედამიწაზე ან თუნდაც სხვა, მსგავს პლანეტაზე, მას აქვს არჩევანი - შეუერთდეს თავის უმაღლეს მე-ს მაღალ სიმკვრივეებში. თუმცა, ფრაგმენტის

მიერთება არ ნიშნავს, რომ ჩავიკარგებით ჩვენს უმაღლეს მე-ში არსებულ სხვა ფრაგმენტებში და ვიქნებით მხოლოდ მისი პატარა ნაწილი. შედარებისთვის, დილით ვიღვიძებთ და ჩვენი ცხოვრების ის დღე განსხვავებულია სხვა დღეებისგან. თუმცა, ჩვენ ვართ ჩვენი ცხოვრების განვლილი დღეების შედეგი. თითოეული განვლილი დღე, რომელიც განსხვავებულია, რომ შევაჯამოთ, მივიღებთ ჩვენ თავს, რაც ახლა ვართ. ზუსტად ასევე, გაერთიანებული სული წარმოადგენს მისი ფრაგმენტების მიღებული გამოცდილების შედეგს. როგორც ჩვენ, არ ვართ მხოლოდ ერთი დღე, ისე კოლექტიური არსებაც არ არის მხოლოდ ერთი, განცალკევებული ფრაგმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ როდისმე შეუერთდებით თქვენს უმაღლეს მე-ს, ეს შეერთება თქვენს პიროვნების დაკარგვასთან კავშირში საერთოდ არ იქნება, ზუსტად ისევე იგრძნობთ თავს, როგორც მანამდე, უბრალოდ დაგემატებათ იმ სხვა, თქვენი პარალელური ფრაგმენტების გამოცდილება. თქვენ უბრალოდ შეერთების მომენტში გააცნობიერებთ,

გაგახსენდებათ, რომ ის სხვა ფრაგმენტებიც და თქვენი უმაღლესი მეც, თავადვე იყავით. იმ დიდი ციკლის გარდა, რაც გაიარეთ წარსულში, უბრალოდ მოგემატებათ დამატებით, თქვენი სხვა ფრაგმენტების მიერ განვლილი გამოცდილება და ერთი საფეხურით მაღალი მე-ს გამოცდილებაც. აქედან გამომდინარე, არსებობს მხოლოდ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა, ერთი სიტუაციიდან მეორეში მოხვედრა ან ერთი სხეულის მეორით შეცვლა, მაგრამ ჩვენი მე იმ სახით, როგორც ჩვენ, საკუთარ თავს აღვიქვამთ, იარსებებს სამუდამოდ. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მაღალგანვითარებული არსებები არიან კოლექტიური არსებები, რომლის ფრაგმენტებმა გაიარეს განვითარება დაბალი სიმკვრივის სამყაროებში და ბოლოს დაბრუნდნენ უკან. მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო ისტორიული, ლეგენდარული ფიგურა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბნელ ძალებთან ბრძოლის და დედამიწაზე ცნობიერების ამაღლების საქმეში - მთავარანგელოზი მიქაელი. ის გახლავთ ერთი

პიროვნება, რომელიც შედგება ათასზე მეტი ფრაგმენტისაგან. ეს ნიშნავს იმას, რომ მან ძალიან დიდი ხნის წინ მოახდინა ფრაგმენტაცია და თავისი თავისგან შექმნა ჯერ თორმეტი პიროვნება, ხოლო შემდეგ ამ თორმეტიდან თითოეულმა, შექმნა კიდევ თორმეტი სული, რომლებიც გადანაწილდნენ სხვადასხვა სამყაროში. ამ ფრაგმენტებმა გაიარეს მთელი ევოლუცია, იბადებოდნენ ერთ პლანეტაზე, მეორეზე, შემდეგ შესაძლოა სადღაც, კოსმოსურ დაჯგუფებებში და იერარქიებში მსახურობდნენ და ბოლოს, ამ დაგროვილი დიდი გამოცდილებით დაუბრუნდნენ თავიანთ პირველსაწყისს, უმაღლეს მე-ს და დღეს ეს პიროვნება წარმოადგენს ერთიან არსებას, რომელსაც მიღებული აქვს ბევრი პიროვნების გამოცდილება ერთდროულად. მიქაელი მას ჰქვია იმიტომ, რომ მისი ერთ-ერთი ფრაგმენტის ბოლო ცხოვრებაში მიქაელის სახელს ატარებდა.

მაღალგანვითარებული არსება მიქაელი და კიდევ სხვა ბევრი არსება, რომლებიც ზოგი ჩვენთვის ცნობილია და ზოგი არა, არ წავიდნენ მათი განვითარების დონის შესაბამის, მაღალი სიმკვრივის

პლანეტებზე, დარჩნენ ჩვენს მზის სისტემაში, რათა ემსახურონ დედამიწას და დაეხმარონ ხალხს, მათ ხელში არსებული რესურსების, შესაძლებლობებისა და გამოცდილების გამოყენებით. ჩვენი გადმოსახედიდან, ისინი არიან ჩვენი მასწავლებლები, რომლებიც გვეხმარებიან იმ გზის გავლაში, რომელიც მათ ოდესღაც გაიარეს.

იმისდა მიუხედავად, რომ თუნდაც ძალიან მაღალი სიმკვრივის არსებები ჩვენთან შედარებით კოლოსალურად დიდ გამოცდილებას და ცოდნას ფლობენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ განვითარება შეწყვეტილი აქვთ. ასევე, ეს არ ნიშნავს იმასაც, რომ ამ პიროვნებამ აბსოლუტურად ყველაფერი იცის და თეორიულად, ამ მაღალგანვითარებულმა არსებამაც არ შეიძლება დაუშვას შეცდომა. გამოცდილების მილებას არ აქვს ზღვარი და შესაბამისად, მისი გამოცდილების დაგროვება კვლავ მიმდინარეობს. იგივე პრინციპით ღმერთიც ვითარდება, იღებს დამატებით გამოცდილებას და ფართოვდება.

აღმოსავლურ სწავლებებში არსებობს სხვადასხვა ლეგენდა, რომლის თანახმადაც, როდესაც

საბოლოოდ მივაღწევთ განვითარების გარკვეულ დონეს, შევუერთდებით რაღაც მაღალ ენერგიას და ჩავიკარგებით მასში ან მივიღებთ სტატიკურ ფორმას, ვიქნებით მედიტაციაში, აბსოლუტურ ნეტარებაში და თან სამუდამოდ. მიუხედავად იმისა, რომ ზედა სიმკვრივეებში ერთიანობის ტენდენცია და შეგრძნება ბევრად უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია, ხოლო ქვედა სიმკვრივეებში სული უფრო მოწყვეტილია ამ ერთიანობას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მთლად სწორი კონცეფცია მაინც არ არის. იმ დიდ სამყაროში, რომლის ძალიან პატარა ნაწილიც ჩვენ ვართ, ისეთი სული ან არსება შესაძლოა არც არსებობს, რომელიც უმიზეზოდ, უბრალოდ ზის ნეტარებაში, არაფერს აკეთებს და აღარ ვითარდება.

როდესაც სული მთლიანად ასრულებს დედამიწაზე მოღვაწეობას, საკმარისად დაიხვეწა, გაივლის დაბადება-სიკვდილის გრძელ ციკლს, სადაც ნახავს, ისწავლის და შეიცნობს ყველაფერს, რაც აინტერესებდა, ამის შემდეგ, უკვე მას აქვს არჩევანი დაუბრუნდეს და შეუერთდეს იმ არსებას, ვისი

ფრაგმენტიც იყო, სანამ დაბალ სიმკვრივეში ჩამოვიდოდა და სანამ დაბადებების გრძელ ციკლს დაიწყებდა. მაგრამ, ისევ და ისევ, სინამდვილეში, ეს არსება ისევ იგივე პიროვნებაა. შემდეგ, მოღვაწეობას გააგრძელებს უკვე მაღალი სიმკვრივის სამყაროში ან სურვილისამებრ ისევ გამოყოფს ფრაგმენტს, რომელიც წავა დაბალ სიმკვრივეებში ახალი ევოლუციის გასავლელად და ახალი თავგადასავლების საძიებლად. ხოლო, დიდი დროის შემდეგ ისევ დაუბრუნდება ერთი საფეხურით მაღალ მეს. შესაბამისად, თეორიულად, თუ ჩვენ ხვალ უცებ შევუერთდით ღმერთს, მისი ნამცეცის ოდენა ფრაგმენტი კი არ ვიქნებით ან წვეთი მისი ფრაგმენტების მორევში, არამედ უბრალოდ მივხვდებით ან გავიხსენებთ, რომ ეს ჩვენ თვითონ ვყოფილვართ ღმერთი და ეს სამყაროც ჩვენივე ჩანაფიქრი იყო. ხოლო, როგორც ამ ცხოვრებაში ყოველი ჩვენი განვლილი დღე არის ჩვენი გამოცდილების ნაწილი. ისე ჩვენთვის როგორც ღმერთისთვის, ყოველი ფრაგმენტის განვლილი დიდი გზა, ჩვენი გამოცდილების ნაწილი გახდებოდა.

თუმცა რეალობაში, დედამიწაზე გავრცელებული კონცეფცია, თითქოს ჩვენი კარგი ყოფაქცევისთვის ღმერთს შევუერთდებით, დაახლოებით ჟღერს ასე: ჩვენ დავიბადეთ დედის მუცლიდან და როდესაც გავიზრდებით და კარგად მოვიქცევით, ისევ დედის მუცელში შევძვრებით. სინამდვილეში, უსასრულოდ დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ჩვენი სული უკვე დიდ მასშტაბებს მიაღწევს, შეგვეძლება თავად გავხდეთ ღმერთი, დავდგათ სერვერები (დიდი კომპიუტერები), დავაყენოთ ვირტუალური სამყარო და დავაწესოთ ჩვენი კარმული კანონები, მოვახდინოთ საკუთარი თავის ფრაგმენტაცია ამ სამყაროში, ანუ გავჩნდეთ აქ უამრავი სულის სახით, ოლონდ განულებული მეხსიერებით და ეს სულები ინდივიდუალურად დაიწყებენ განვითარებას, ხოლო, მათთვის ღმერთი უკვე თავად ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ჩვენი მხრივ, რა თქმა უნდა, ვურჩევთ ამ სულებს, თუ როგორ ან რა სისტემით ჯობს განვითარება და თუ ჩვენ თავისუფალ ნებაზე დაფუძნებულ კანონმდებლობას დავაწესებთ, აქედან დაიწყება საგიჟეთი. ზოგი სული იტყვის, რომ მას სულ არ ადარდებს არაფერი და იმას იზამს რაც სურს,

ზოგიერთი ჩვენს არსებობას საერთოდ არ დაიჯერებს, ნაწილიც კერპად გაგვიხდის და ჩვენზე ილოცებს, ზოგიც ივლის და ჩვენი სახელით ილაპარაკებს იმის მიუხედავად, რომ ამის უფლება არ მიგვიციათ და ა.შ. სინამდვილეში, ჩვენი სამყაროს ღმერთი სწორედ ასეთ არსებას წარმოადგენს.

სიმკვრივე, თორმეტი სერვერი

დავუბრუნდეთ ინტერნეტ კაფეს მაგალითს. როგორც უკვე ვთქვით, ღმერთმა ინტერნეტ კაფეში დადგა თორმეტი სერვერი (დიდი კომპიუტერი), რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია და ქმნის ერთ დიდ ვირტუალურ სამყაროს, თუმცა სერვერები თავიანთი მუშაობის ვიბრაციის სიხშირით განსხვავდებიან ერთმანეთისგან და შესაბამის სიმკვრივის სამყაროს ქმნიან თითოეულ სერვერზე.

იმისთვის, რომ გავიაზროთ, თუ რა არის ვიბრაცია, წარმოვიდგინოთ პროპელერი, რომელიც ტრიალებს ნელა. დაბალ სიხშირეზე, მისი მოძრაობა თვალისთვის ადვილად აღსაქმელია, მაგრამ სიჩქარის მატებასთან ერთად მკვეთრი გამოსახულებაც იკარგება. ანალოგიურად, ჩვენს ფიზიკურ თვალს შეუძლია დაინახოს მხოლოდ

მატერიალური სიმკვრივის რაღაც ნაწილი, გარკვეული ამპლიტუდის ფარგლებში.

ძირითადად, ციური სხეულები (პლანეტები და მზეები), რომლებიც არსებობენ სამყაროში, შედგებიან თორმეტივე სიმკვრივისგან. სხვა სიტყვებით, სამყაროში არსებული თითქმის ყველა პლანეტასა თუ მზეს აქვს თავისი თორმეტი ასლი, რომელიც განთავსებულია თორმეტივე სერვერზე. თუმცა, ეს ასლები ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს ქიმიური შემადგენლობით, სტრუქტურითა და სხვა მონაცემებით. მაგალითად, ჩვენი ფიზიკური სამყაროს ძირითადი ნაწილი განლაგებულია მესამე სერვერზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვარსებობთ მესამე სიმკვრივის სამყაროში, თუმცა დედამიწას გააჩნია ყველა სიმკვრივე, მათ შორის, მაღალი სიმკვრივეებიც. ის ასტრალური სამყარო, რომელიც პირველ თავში აღვწერეთ, სწორედ დედამიწის მაღალ სიმკვრივეზეა განთავსებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა პლანეტის ყველა სიმკვრივე ათვისებული და დასახლებულია. მაგალითად, მზე მესამე და მეოთხე

სიმკვრივეში არის გავარვარებული და ფიზიკურად მასზე ცხოვრება შეუძლებელია, თუმცა, მის უფრო მაღალი სიმკვრივის გარსზე არსებობა უკვე შესაძლებელია ეთერული სხეულით. ასევე, მაღალ სიმკვრივეებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის წარმოადგენს პორტალს. ან მაგალითად, სატურნი ჩვენს დაბალ, მესამე სიმკვრივეში გაზის და სხვა ელემენტებისგან შემდგარი დაუსახლებელი პლანეტაა, ხოლო მეშვიდე სიმკვრივეში იქ მდებარეობს მცირე მასშტაბის დასახლებული ქალაქები და კოსმიური ბაზები. ასევე, დედამიწაზე, მესამე სიმკვრივეში, დედამიწის გულში გავარვარებული ლავაა ისე, როგორც ეს ცნობილია მეცნიერებაში, თუმცა, ამავდროულად, მაღალ სიმკვრივეებში იქ განლაგებულია სხვადასხვა ქალაქი მაღალი სიმკვრივის ბინადრებით.

როდესაც ამ წიგნს ვწერ, ჩვენი ცნობიერება მესამე სიმკვრივეშია, თუმცა მესამე და მეოთხე სერვერზე განლაგებულია ზუსტად ის მატერიალური სამყარო, რომლის აღქმასაც ამ მომენტისთვის ყველაზე მეტად ვართ მიჩვეული. აქედან გამომდინარე, ჩვენი

აღქმისთვის ყველაზე გასაგები, მესამე და მეოთხე სერვერზე არსებული მატერიის კანონზომიერებაა. ის დრამა, რომელიც ვითარდება არა მარტო ჩვენს დედამიწაზე, არამედ მთელ მატერიალურ სამყაროში, მესამე და მეოთხე სიმკვრივის სერვერზე მიმდინარეობს. ეს გარკვეულწილად ასახულია ფილმებში, როგორიცაა მაგალითად, ვარსკვლავური ომები (ინტ. იხ. Star Wars), სტარტრეკი (ინტ. იხ. Star Trek) და სხვ., მეხუთე და მეექვსე სიმკვრივის სამყაროები ჩვენსას ჰგავს, თუმცა მეშვიდეს ზემოთ უკვე განსხვავებული გარემო და არსებობის პრინციპებია, ჩვენ კი იმ სამყაროს აღქმა უბრალოდ გაგვიჭირდება. მეშვიდე სერვერი არის ერთგვარი გამყოფი სიმკვრივე, მაღალი და დაბალი სიმკვრივის სამყაროებისა.

რაც უფრო მაღალ სერვერზე ავდივართ, მით უფრო ჩვენი ფიქრები იძენს მეტ ძალას. ფაქტობრივად, მაღალ სიმკვრივეებში ერთი გაფიქრება უკვე ქმედებაა. შესაბამისად, ერთი ნეგატიური აზრი, მაღალი სიმკვრივის სამყაროებში, შეიძლება დიდი ზიანის მომტანი გახდეს. ამიტომ, იქამდე სანამ სული

მალალ სიმკვრივეებში მოხვდება, ის დაბალ სიმკვრივეებში სწავლობს, ვითარდება, ხვეწს თავის თვისებებს იმისთვის, რომ მისი ფიქრები იყოს კონტროლირებადი.

სხვადასხვა სწავლებაში შევხვედრილვარ ისეთ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად, მატერიალურ სამყაროს უყურებენ ეჭვის თვალით, ნეგატიურად მოიხსენიებენ დედამიწაზე არსებულ ფასეულობებს და თითქოს ადამიანს უჩენენ გრძნობას, რომ ერთადერთი მიზანი ამ მატერიალური სამყაროს იგნორირება უნდა იყოს . ეს მიდგომა მთლად სწორი არ არის. ყველა სიმკვრივე მატერიალური სამყაროს ჩათვლით, შექმნილია ღმერთის მიერ და არაფერია ცუდი იმაში, რომ ადამიანი მყარად იყოს მატერიაში, სარგებლობდეს მატერიალური კეთილდღეობით და ამავე დროს, სულიერ ცხოვრებასაც ეწეოდეს. უკიდურესობა წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაში ხედავს ბედნიერებას და ერთადერთ მიზანს. როგორც ნებისმიერ

საკითხში, აქაც ოქროს შუალედის შენარჩუნება ყველაზე კარგი ვარიანტია.

ასევე, ბევრი ადამიანი ოცნებობს მაღალ სიმკვრივეებში მოხვედრას, რაც ძალიან კარგია. თუმცა მაღალ სიმკვრივეებში მობინადრე არსებები, ზოგჯერ პირიქით, ოცნებობენ კიდეც დაბალ სიმკვრივეებში არსებობას. ჩვენი რეალობიდან ეს შეგვიძლია შევადაროთ სტუდენტს, რომელიც სწავლის მალე დასრულებაზე ოცნებობს, ხოლო ხანშიშესულ ადამიანს სტუდენტური პერიოდი ენატრება და იმ დროში დაბრუნებას ისურვებდა.

რეინკარნაციის სირთულეები

თეორიულად, თუ თქვენ მოფრინდებით დედამიწაზე კოსმოსური ხომალდით, ხოლო შემდეგ ის ხომალდი კატასტროფას განიცდის, მაშინ არსებობს იმის საშიშროება, რომ მოხვდეთ დედამიწის დაბალი სიმკვრივის გავლენის ქვეშ, დაგემართოთ ამნეზია და საბოლოოდ, დაიწყოთ დედამიწაზე დაბადება. დილით, ჩვეულებრივ იწუწუნებთ სამსახურში

წასვლასთან დაკავშირებით, საღამოს მიუსხდებით ტელევიზორს, როგორც ყველა და გადაცემაზე, რომელიც მფრინავ ხომალდებზე იქნება, დარწმუნებით განაცხადებთ, რომ მფრინავი თეფშები, რა თქმა უნდა, არ არსებობს, ეს ყველაფერი ვიღაცებმა მოიგონეს და რომ ამ სისულელეებისგან უკვე დაიღალეთ და სხვა არხზე გადართავთ. ხოლო, როდესაც "თქვენიანები" მოგაკითხავენ, მათ რა თქმა უნდა, ვერ იცნობთ და სავარაუდოდ პანიკაში ჩავარდებით. შემდეგ თქვენთვის ჩაილაპარაკებთ: "არა, რაღაც არსებობს!"

დედამიწის დაბალი ვიბრაციის ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა შეიძლება მოუვიდეს ყველას, მათ შორის, სამყაროში განვითარებით ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომ კოლექტიურ არსებასაც კი. თუ ის თავისი სულის ენერგიის ნაწილს დაწევს ვიბრაციულად და მოხვდება დაბალ სიმკვრივეებში, მისი შესაძლებლობები მკვეთრად შემცირდება. ხოლო, თუ მისი სულის ფრაგმენტს ექნება შეხება დედამიწის დაბალ ვიბრაციებთან, მან შესაძლოა საერთოდ

დაკარგოს სულის ნაწილი და მისი ფრაგმენტი, როგორც უკვე დამოუკიდებელი სული დაიწყებს დაბადებას დედამიწაზე და მას საერთოდ არ ემახსოვრება, რომ სინამდვილეში სამყაროში ყველაზე მაღალი სიმკვრივის არსებას წარმოადგენს.

ზოგადად, რაც უფრო მაღალ სიმკვრივის სამყაროში ხვდება სული თუ არსება, მისი შესაძლებლობები მით უფრო იზრდება, მით უფრო მეტი ძალაუფლება აქვს ხელთ და შეცდომების დაშვების რისკიც იმატებს. ამიტომ, ქვედა სიმკვრივეებში, ისეთში როგორიც დედამიწაა, სულები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიმუშაონ შესაბამისი თვისებები, რათა მომავალში, მაღალი სიმკვრივის სამყაროში შეცდომები გამორიცხონ. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ მაგალითი ჩვენი რეალობიდან. თუ თეორიულად, პოლიტიკაში, ბიზნესსა თუ მსგავს, სხვა სფეროში ინდივიდის კარიერულ აღმავლობას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის ადამიანი, მით უფრო მეტი შეცდომის დაშვების მიდრეკილება უჩნდება. მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ, რომ მუშაობთ

რაიმე კომპანიაში და ხართ რიგითი თანამშრომელი. წლების შემდეგ გამოიჩინეთ თავი როგორც კარგი მუშაკი და დაგაწინაურეს. საბოლოოდ, კარიერულ კიბეზე კიდევ უფრო მაღლა აიწიეთ და გახდით დირექტორი, შესაბამისად, თქვენი პასუხისმგებლობაც ძალიან გაიზარდა და თქვენ მიერ დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება კომპანია დაღუპოს კიდეც. ამიტომ, შეცდომის შემთხვევაში, მოგხსნიან დირექტორის თანამდებობიდან და აღმოჩნდებით ისევ რიგითი თანამშრომლის პოზიციაზე. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სული ან არსება, რომელიც მაღალ სიმკვრივეებში იმყოფება, უშვებს შეცდომას ან არღვევს იმ სამყაროში მოცემულ კარმულ კანონს და ვარდება დაბალ სიმკვრივეში. ამ პროცესს ხშირად ეძახიან დაცემას. ხოლო მაღალგანვითარებულ არსებებს, რომლებიც ამ გზით მოხვდნენ დაბალ სიმკვრივეებში, ცნობილი არიან დაცემული ანგელოზების სახელით.

ამავე სახელით ვიცნობთ არსებებს, რომლებიც დედამიწის ბოლო მილიონი წლის ისტორიის

მანძილზე ჩამოდიოდნენ აქ, რათა დახმარებოდნენ ადამიანებს ცნობიერების ამაღლებაში, დედამიწაზე არსებული პრობლემებიდან გამომდინარე. მათი ჩამოსვლის მისიები და მიზეზები იყო სხვადასხვა, ზოგიერთები ხდებოდნენ მმართველები, ზოგსაც მოჰქონდათ ცოდნა, რათა გაევრცელებინა და დაენერგა დედამიწის მოსახლეობაში და ა.შ. თუმცა, დედამიწის მატერიალური სამყარო იმდენად უხეშია და ჩამთრევია, რომ ზოგჯერ ისინი იმდენად ერთვებოდნენ აქ მიმდინარე დუალურ პროცესებში, რომ ნაწილობრივ ავიწყდებოდათ, თუ რისთვის იყვნენ ჩამოსულები. ისინი ვერ უძლებდნენ დაბალი სიმკვრივეების გავლენას, უშვებდნენ შეცდომებს და ეხვეოდნენ კარმულ დავალიანებებში. მიზეზი შეიძლება მრავალი ყოფილიყო, მაგალითად, ზოგჯერ ისინი, ვისაც ეხმარებოდნენ, მათ წინააღმდეგ მიდიოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ. ამისგან შოკს და იმედგაცრუებას განიცდიდნენ. ან მაგალითად, ზოგჯერ ხდებოდნენ მმართველები, რომლებიც ქვეყნის აღმშენებლობისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ, თუმცა მოსახლეობას ეს არ ესმოდა და

უპირისპირდებოდნენ მათ. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამ პროცესს განაპირობებდა, ადამიანებისთვის დამახასიათებელი ერთი უცნაური თვისებაა, რომელიც ახლაც თვალში საცემია და ის ადამიანის არასწორ არჩევანს ეხება. მაგალითად, დემოკრატიული სამყაროს/ქვეყნების და ტერორისტებს/დიქტატორულ ქვეყნებს შორის დაპირისპირებისას, დგებიან ამ უკანასკნელთა მხარეს. ასევე, კრიმინალური სამყაროსა და პოლიციის რაიმე დაპირისპირებისას იჭერენ კრიმინალების მხარეს. იგივე ვრცელდება კონკრეტული პიროვნებების შემთხვევაში, მაგალითად ავიღოთ პოლიტიკოსები, რომლებიც აშენებენ ქვეყანას, აძლიერებენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს და სისტემას და ამ დროს ხალხი მათ წინააღმდეგ ირაზმება. ხოლო კრიმინალები და დამპყრობლები ზოგჯერ გმირები ხდებიან.

საბოლოო ჯამში, მმართველები დიქტატორებად იქცეოდნენ ან უშვებდნენ სხვა შეცდომებს. ზოგიც ვერ უმკლავდებოდა სექსუალურ ლტოლვებს,

უჩნდებოდა ძლიერი მიჯაჭვულობა და ვერ ტოვებდა პლანეტას, როგორც თავიდან ჰქონდა დაგეგმილი.

ერთი სიტყვით, მაღალი სიმკვრივის არსებებს უჭირდათ იმ გარემოში მოღვაწეობა, რომელსაც მიჩვეულები არ იყვნენ, ერთ შეცდომას მეორე მოჰყვებოდა და ეხვეოდნენ კარმულ დავალიანებებში, რომელთა გასტუმრებასაც ვერ ასწრებდნენ ან ვერ ახერხებდნენ. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ასეთი სულების მორალური ღირებულებები ძალიან მაღალი იყო, შესაბამისად, ავტომატური კარმა მათზე ბევრად ინტენსიურად მუშაობდა. ავტომატური კარმის მუშაობის პრინციპები ჩვენ გვაქვს აღწერილი წიგნის თავში ავტომატური კარმა.

წარმოიდგინეთ, რომ ჩადიხართ, რომელიმე, შედარებით განვითარების სტადიაზე მყოფ ქვეყანაში, რათა იქ ჩაატაროთ ლექციები ან სულაც გახდეთ მმართველი და ამ გზით დაეხმაროთ ამ ქვეყანას განვითარებაში. იმ ქვეყანაში გენიშნებათ ხელფასი, იღებთ მოქალაქეობას, თუმცა თქვენ არ ხართ ამ გარემოს მიჩვეული, უშვებთ შეცდომებს, ქვეყნის კანონმდებლობასთან,

მართლმსაჯულებასთან გექმნებათ პრობლემები, რჩებით ხელფასის გარეშე და გიგროვდებათ ვალები. საარსებო ფული სადმე უნდა იშოვოთ. სხვა გზა აღარ გრჩებათ და იძულებული ხართ ეს ფული სხვადასხვა ხრიკით ადგილობრივ მოსახლეობას გამოართვათ. ფულს პირდაპირ ვერ წაართმევთ, რადგან ციხეში აღმოჩნდებით. ამიტომ მიმართავთ ისეთ ხერხებს, რომ ადამიანებმა თავად მოგცენ ფული. პარალელურად, შეკრული აღმოჩნდებით ქურდულ სამყაროსთან და საბოლოოდ, კრიმინალად იქცევით.

ღმერთის ინკარნაცია დედამიწაზე

როგორც უკვე ვთქვით, თუ მაღალგანვითარებულ არსებას სურს დედამიწაზე, ჩვენს რეალობაში შემოსვლა და მოქმედება, მას ეს ჩვეულებრივი დაბადების შედეგად შეუძლია განახორციელოს, მაგრამ დაბადების პროცესს მოჰყვება ამნეზია და ამის შემდეგ მას საერთოდ არ ეხსომება, თუ რისთვის არის აქ ჩამოსული და ის ცოდნაც არ ექნება, რაც აქამდე ჰქონდა.

იმისთვის, რომ დედამიწაზე მაღალგანვითარებულმა არსებამ იმოქმედოს ამნეზიის გარეშე, გამოიყენება ასეთი ხერხი: ორ არსებას შორის ხდება მოლაპარაკება, რომლის ფარგლებშიც პირველი არსება გაივლის ჩვეულებრივ დაბადების პროცესს დედამიწაზე და მიიღებს ამნეზიას. ის იცხოვრებს დედამიწაზე გარკვეული პერიოდი, ხოლო შემდეგ, მეორე არსება, უკვე ამნეზიის გარეშე შემოვა მის სხეულში. ამ დროს, პირველი არსება ნაწილობრივ გადასცემს მართვის სადავეებს მეორე არსებას, რომელიც ამნეზიის გარეშე იმოქმედებს თავისი მაღალი ცოდნების შესაბამისად. ფაქტობრივად, ერთ სხეულს გაინაწილებს ორი არსება, თუმცა ამ პროცესში იკვეთება შემდეგი პრობლემა: მაღალი სიმკვრივის არსებას აქვს ჩვენი გადმოსახედიდან ძალიან მაღალი ვიბრაცია, ამიტომ ის დაბლა სწევს თავის ვიბრაციას, რათა ფიზიკურ სხეულთან შესაბამისობაში მოვიდეს. ამის მიუხედავად, დაკლებულმა ენერგიამაც კი შეიძლება გაგლიჯოს ფიზიკური სხეული. ამიტომ, პირველმა არსებამ, რომელიც ფიზიკურ სხეულში დაიბადება, ცხოვრების განმავლობაში უნდა მოამზადოს ორგანიზმი და

მაქსიმალურად აწიოს მისი ვიბრაცია, რათა შემდგომ მისმა სხეულმა გაუძლოს მაღალ-ვიბრაციული არსების პირდაპირ შემოსვლას.

თუ, თეორიულად, ღმერთს ან ღმერთის დონის არსებას მოუნდება ადამიანის სხეულში შემოსვლა, მისი ვიბრაცია იმდენად მაღალია, რომ ის არამარტო სხეულს, არამედ მთელ პლანეტასაც კი საფრთხეს შეუქმნის, მაგრამ დედამიწაზე იმყოფებიან მაღალგანვითარებული არსებები, რომლებიც იმ დონეზე განვითარდნენ, რომ პირდაპირ კავშირში არიან ღმერთთან. ღმერთს შეუძლია მათ მაღალი სიმკვრივის, ფაქიზ სხეულში შემოსვლა და ისინი ღმერთის ენერგიის კარგი გამტარები არიან. სხვა სიტყვებით, ღმერთს შეუძლია იმოქმედოს მათი მეშვეობით.

აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ წიგნში მოყვანილი თეორიების ასპროცენტიანი უტყუარობის გარანტიას ვერ მოგცემთ, თუმცა ჩემი ინფორმაციით, ზემოთ აღწერილი ხერხი განხორციელდა იესოს შემთხვევაშიც. სულიერ სამყაროში იმ პიროვნების ნამდვილი სახელი, რომელსაც დედამიწაზე იესო

ერქვა, არის სანანდა. ის წარმოადგენს მაღალგანვითარებულ, მე-8 სიმკვრივის სინათლის არსებას, რომელიც წარმოშობით პლეადის ვარსკვლავური სისტემიდანაა. არსება სანანდას ფრაგმენტი დედამიწაზე დაიბადა ჩვეულებრივი გზით და ცხოვრების მანძილზე მოამზადა სხეული, რათა მასში შემოსულიყო კიდევ უფრო განვითარებული არსება, სახელად მაიტრეი. ის წარმოადგენს არსებას, რომელიც სათავეში უდგას დედამიწის სულიერ განვითარებას და იერარქიაში უჭირავს თანამდებობა, რომელსაც დედამიწაზე პლანეტარული ქრისტე ჰქვია. მინდა დავამატო, რომ ეს თანამდებობა არ არის სამუდამო და გარკვეული პერიოდის წინ მის ადგილს სხვა არსება იკავებდა. მაღალგანვითარებულ არსება მაიტრეის აქვს პირდაპირი კავშირი ღმერთის ენერგიასთან და მისი ცნობიერების კარგ გამტარად გვევლინება. ფაქტობრივად, არსება სანანდა, რომელიც განვითარების დონით შედარებით უფრო ახლოს იყო ადამიანთან, მიიღო ამნეზია და დაიბადა როგორც ადამიანი, სახელად იესო. თავისი ცხოვრების მანძილზე მან მოამზადა მაღალვიბრაციული სხეული,

ხოლო შემდეგ ის გაუნაწილა მაიტრეის (პლანეტარული ქრისტე) და გახდა მისი ცნობიერების გამტარი. მაიტრეი, თავის მხრივ, ღმერთის ცნობიერების გამტარი იყო და ფაქტობრივად, გამოდის, რომ ამ გზით, გარკვეული პერიოდი, იესოს სხეულით ღმერთი მოქმედებდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსება სანანდა (იესო) და მაიტრეი (პლანეტარული ქრისტე) არიან აბსოლუტურად სხვადასხვა პიროვნებები, თუმცა სინამდვილეში, სანანდა არის მაიტრეის ფრაგმენტი (ფრაგმენტაციაზე ჩვენ ვისაუბრეთ წინა თავებში).

საბოლოოდ გამოდის, რომ თუ ვიტყვით, რომ იესო არ იყო ღმერთი, ეს სწორი იქნება იმიტომ, რომ პიროვნება იესო ღმერთი არ არის, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ იესო ღმერთიც იყო, ესეც შეიძლება ჩაითვალოს სწორად იმიტომ, რომ იესოს სხეულიდან სწორედ რომ ღმერთი გველაპარაკებოდა გარკვეული პერიოდი. ასევე, თუ ვიტყვით, რომ იესო და ქრისტე სხვადასხვა პიროვნებები არიან, ესეც სიმართლე იქნება, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ეს ერთი და იგივე

არსებაა, ესეც არ იქნება არასწორი იმიტომ, რომ ერთი მეორის ფრაგმენტია.

ასეთი ტექნოლოგიით დედამიწაზე ღმერთი მოქმედებდა შემდეგ პიროვნებებში: იესო, ბუდა, კრიშნა, ლაო-ძი, განდი, ზოროასტრი, მუჰამედი, სოკრატე და სხვ. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შუამავალი იყო არსება მაიტრეი და ზოგ შემთხვევაში, კიდევ სხვა არსება, რომელსაც იმ დროისთვის პლანეტარული ქრისტეს თანამდებობა ეკავა.

როდესაც განვიხილავთ მსგავს თემებს, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ვსაუბრობთ წარსულზე, ისტორიაზე, დღეს კი ტექნოლოგიების ერაა და რომ ეს თემები უბრალოდ თაროზე შემოდებული ძველი ისტორიაა. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქითაა. კაცობრიობის ამ გარდამტეხი პერიოდისთვის, დედამიწაზე მობილიზებულია მაღალგანვითარებული არსებების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა. დღეს სინათლის მსახურების დიდი გუნდი დედამიწაზე იმყოფება, მათ შორის ზემოთ ნახსენები ყველა არსება, რომელიც

დედამიწაზე ცნობილია როგორც იესო, მიქაელი, ქრისტე და მრავალი სხვა. ისინი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ, რათა დაეხმარონ კაცობრიობას, იმ დაშვებული კანონების ფარგლებში, რაც დედამიწაზე არსებობს.

ჩვენს მსგავს პლანეტებზე არსებობს რეგულაცია, სადაც გარკვეული პერიოდულობით მალალგანვითარებული არსება ან თვითონ ღმერთი, ზემოთ აღწერილი ხერხით იბადება პლანეტებზე, აწვდის ინფორმაციას და ცდილობს მისცეს სწორი მიმართულება ხალხს. კონკრეტულად ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სწავლება იმის მიხედვით, თუ რა რეგიონში ან რა ეპოქაში მოხდა ამის დანერგვა. ეს არის ანალოგი იმისა, როდესაც უნივერსიტეტს პერიოდულად სტუმრობს პროფესორი, რომელიც ასწავლის სტუდენტებს სხვადასხვა საგანს, იმის მიხედვით, თუ რომელ კურსზე არიან ისინი ან რა აკლია კონკრეტულად ამ ჯგუფს სწავლის კონკრეტულ პერიოდში. მაგრამ, თუ როგორ ან რა სახით გავრცელდეს ეს სწავლებები, ვინ დაიწყებს ამ სწავლებების გამოყენებას ან თუნდაც რა

ინტერპრეტაციას გაუკეთებენ მას, ეს უკვე აბსოლუტურად სხვა საკითხია და ზოგჯერ პრობლემაც სწორედ აქ იმალება.

ქრისტეს ცნობიერება

სტანდარტულად, სული მოქმედებს თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც სხვადასხვა მატერიალურ თუ სულიერ სამყაროში არსებობის განმავლობაში მიიღო. ის იყენებს იმ მონაცემთა ბაზებს, რაც ამ მრავალი ინკარნაციის მანძილზე დაუგროვდა.

კონკრეტულად, ჩვენს შემთხვევაში, ინკარნაციის და ამნეზიის პირობებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად მხოლოდ ამ ცხოვრებაში დაგროვებული ცოდნის ბაზებს ვიყენებთ. წარმოვიდგინოთ, რომ მოხვდით სადმე კოსმოსში, უცხო ადგილას. თქვენ არ იცით სად ხართ ან რა უნდა გააკეთოთ, თუმცა გაქვთ მობილური ტელეფონი, სადაც შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია. ჩვენი რეალობის მაგალითზე, GoogleMap-ში შეგიძლიათ ნახოთ თქვენი ადგილმდებარეობა ან Google-ის საძიებო სისტემაში მოიძიოთ ინფორმაცია ადგილზე, სადაც იმყოფებით ან თუნდაც დაურეკოთ ადამიანს, ვინც აქ ნამყოფია და უკვე აქვს აქ არსებობის გამოცდილება. გამოდის,

რომ თუ გაქვთ წვდომა ინტერნეტის ქსელთან, გამოიყენებთ უკვე არსებულ დიდ გამოცდილებას და ინფორმაციულ ბაზებს. წარმოიდგინეთ, რომ ყურზე გაქვთ მიდებული მობილური, დადიხართ უცხო გარემოში და ყველაფერს, რაც გჭირდებათ, პირდაპირ გკარნახობთ ადამიანი, ვისაც უკვე იმ გარემოში არსებობის გამოცდილება აქვს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ თქვენ იყენებთ არა მარტო თქვენი ცოდნის ბაზებს, არამედ სხვა ადამიანის ინფორმაციულ ბაზებს, რომლის ცოდნაც ამ სფეროში აღემატება თქვენსას. ახლა გადავიდეთ კოსმიურ მასშტაბზე, სადაც არსებობს უამრავი არსება, რომელთა გამოცდილება წარმოუდგენლად დიდია და თუ უერთდებით იმ არსებას, მაშინ თქვენთვის მისაწვდომი ხდება იმ არსების გამოცდილებაც და ინფორმაციული ბაზებიც. მაგრამ ამით ყველაფერი არ მთავრდება, ის არსება შეიძლება თავის მხრივ, იყოს შეერთებული ღმერთის ბაზებთან, რომლის მოცულობაც, თავადაც ხვდებით, რომ უზარმაზარია. ერთ-ერთი ასეთი ქსელი უკავშირდება არსებას, რომელსაც უკავია დღეს პლანეტარული

ქრისტეს თანამდებობა და ამ სისტემას თუ ქსელს დედამიწაზე ქრისტეს ცნობიერება ჰქვია.

რა თქმა უნდა, დედამიწაზე იმყოფებიან სხვა მაღალგანვითარებული სინათლის არსებებიც, რომლებთანაც შესაძლებელია დაკავშირება. ეს განპირობებულია იმით, თუ კონკრეტულად რისთვის სჭირდება ადამიანს ეს და რა მიზანი ამოძრავებს მას. რა თქმა უნდა, თუ ჭურჭლის გარეცხვა გვინდა და ვფიქრობთ, თუ რომელი თეფში გავრეცხოთ პირველი, ამისთვის მსგავსი ქსელის გამოყენება არ ღირს.

სამყაროში ყველა არსება იმყოფება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, შესაბამისად, ისინი ფლობენ სხვადასხვა სიძლიერის სხეულებს, აზროვნების სტრუქტურებს და აქვთ სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაციული გადამუშავების შესაძლებლობა. დაახლოებით ისე, როგორც ერთმანეთისგან განსხვავდება სხვადასხვა კომპიუტერი, მონაცემების მიხედვით.

თეორიულად, თუ ჩვენ დავუსვამთ კითხვას მაღალი სიმკვრივის არსებას და თუ დაგვიბრუნებს პასუხს

ისე, როგორც მიჩვეულია კონტაქტს მაღალ სიმკვრივეში არსებული თავისი დონის არსებებთან, ჩვენ კი ეს ინფორმაცია შეიძლება ვერ გადავამუშაოთ. დაახლოებით ისე, როდესაც მობილურში გამოგიგზავნეს ფაილები PDF-ში ან 3D-ში, თქვენ კი ამ დროს "ფანრიანი ნოკია" გაქვთ და ამ ფაილებს უბრალოდ ვერ გახსნით. ამიტომ გამომგზავნმა მთელი ინფორმაცია უნდა მოაქციოს რამდენიმე წინადადებაში და შემდეგ შეტყობინებით უნდა გამოგიგზავნოთ ეს ინფორმაცია. მაგრამ თუ თქვენი აზროვნების ვიბრაცია აწეული გაქვთ და ანუ, უკვე სმარტფონით მოძრაობთ, მაშინ იმ არსებამ უნდა გამოაგზავნოს ფაილი, რომელიც შეიძლება უკვე შეიცავდეს მაგალითისთვის 3D ფორმატს, ოლონდ მის ძალიან გამარტივებულ ვერსიას. ამიტომ, ამ შემთხვევაში, არსება, რომელსაც უკავია პლანეტარული ქრისტეს თანამდებობა, უნდა ფლობდეს მაღალი ვიბრაციის ცნობიერებასაც, რომ შეეძლოს მაღალი სიმკვრივეებიდან ინფორმაციის მიღება, ამასთან ერთად კარგად უნდა იცნობდეს ადამიანების ცნობიერებას, რომ შესაბამისად გადაამუშაოს და შეამციროს მისი მოცულობა იმ

დონემდე, რომ დედამიწაზე ადამიანმა შეძლოს მისი მიღება და გაშიფვრა. სხვა სიტყვებით, გადმოთარგმნოს ეს ინფორმაცია ჩვენი ცნობიერების დონეზე და ასევე უნდა შეეძლოს ერთდროულად გაატაროს ბევრი ადამიანისთვის გამიზნული ინფორმაცია და იყოს კავშირში ბევრ ადამიანთან/სულთან ერთდროულად.

შედარების მიზნით, წარმოიდგინეთ, რომ ღმერთმა შექმნა ვირტუალური სამყარო, ხოლო ამ სამყაროს გამოსაკვლევად - დახმარების სისტემა. ეს არის ანალოგი იმისა, როდესაც გსურთ ისარგებლოთ რაიმე აპლიკაციით ან ონლაინ სერვისით და მას გააჩნია დახმარების ღილაკი (ინგ: Support / Help) და ეს დახმარების ფუნქცია ავტომატურ რეჟიმში მუშაობს ყოველ წამს და ყოველ წუთს უწყვეტად, იმდენჯერ, რამდენჯერაც სულს/არსებას ეს ესაჭიროება.

ალბათ დაგებადათ ბუნებრივი კითხვა, თუ კოსმოსში არსებობს ზემოთ აღწერილი სისტემა როგორც WI-FI, მაშინ ჩვენ რატომ არ შეგვიძლია, რომ ის დავიჭიროთ (ყოველ შემთხვევაში, ახლა, როდესაც ამ

წიგნს ვწერ, ჩვენ ეს არ შეგვიძლია). წარმოვიდგინოთ, რომ მე ვარ სახლში, სადაც შემოყვანილია ინტერნეტი, ხოლო სახლის შიგნით უკვე ნაწილდება WI-FI როუტერის საშუალებით და ხელში მობილური მიჭირავს, მაგრამ ინტერნეტი არ მაქვს. რა თქმა უნდა, შეიძლება ამის სხვადასხვა მიზეზი იყოს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი იქნება ტექნოლოგია. კონკრეტულად კი მიზეზი შეიძლება სიგნალის სიხშირეში იმალებოდეს. თუ მე მიჭირავს მობილური, რომელსაც შეუძლია დაიჭიროს WI-FI-ს გარკვეული სიხშირის ტალღები, მაგალითად 2G, ხოლო ოთახში არის WI-FI-ის მოწყობილობა, რომელიც 3G-ზე მუშაობს, კავშირი ვერ შედგება. ანალოგიურად, ღმერთისგან წამოსული სიგნალი არის დედამიწაზე, ხოლო ამ სიგნალის გამანაწილებელი, როგორც როუტერის მაგალითზე, შეიძლება იყოს არსება, რომელსაც პლანეტარული ქრისტეს თანამდებობა უჭირავს. მაგრამ ჩვენ, ადამიანებს ისე გვაქვს ვიბრაცია დაცემული, რომ ვერ ვიჭერთ ღმერთისგან წამოსულ ამ სიგნალს. და როგორც უკვე ალბათ მიხვდით, აქედან გამოსავალი არის ადამიანის ვიბრაციის აწევა, რაც ცალკე განსჯის საგანია და

ამას უკვე დაწვრილებით უკვე მომდევნი წიგნში გავარჩევთ.

როგორ მუშაობს დრო

ახლა კი მივუახლოვდით ყველაზე რთულად ალსაქმელ თემას. თუ ამ კონცეფციასაც დასძლევთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ახლოს ხართ იმ მდგომარეობასთან, როდესაც სამყაროს ძირითადი მონახაზი გააზრებული გაქვთ.

დრო, შეიძლება მდინარეს შევადაროთ. თეორიულად, თქვენ შეგიძლიათ შეცუროთ მდინარის ერთ წერტილში და გაჰყვეთ მის დინებას, თუმცა შეგიძლიათ ამოხვიდეთ წყლიდან და ისევ შეხვიდეთ მდინარის სხვა მონაკვეთში. ანალოგიურად, სულს ასტრალური სამყაროდან შეუძლია დაიბადოს ერთ პერიოდში, ხოლო შემდეგი დაბადება ჩვენი დროით უფრო ძველ ეპოქაში განახორციელოს. როგორც მდინარე არსებობს ერთდროულად ყველა მონაკვეთში, ზუსტად ისე, დედამიწის მატერიალური

სამყაროს რეალობის წარსულიც და მომავალიც ერთდროულად არსებობს.

ალბათ გაგიჩნდათ ბუნებრივი კითხვა, როგორ შეიძლება ყველაფერი ერთდროულად არსებობდეს და როგორ შეიძლება ერთი და იგივე სული იყოს სხვადასხვა დროის სხვადასხვა სხეულში ერთდროულად? ახლა გავიხსენოთ ის თავი, სადაც გავარჩიეთ სულის ფრაგმენტაცია. სულს, ფრაგმენტაციის სისტემის დახმარებით, შეუძლია იყოს იგივე დროის მონაკვეთში, რამდენიმე სხეულში, რამდენიმე ადამიანის სახით ერთდროულად. თუმცა ამით ყველაფერი არ მთავრდება. ისევე როგორც მდინარე არსებობს ერთდროულად მთელ სიგრძეზე, ისე ადამიანი არსებობს დროის სკალაზე არა მხოლოდ თავისი ყველა ინკარნაციით, არამედ თითო ინკარნაციაში გატარებული ყველა დროის მონაკვეთის თუ წამის ჩათვლით, ერთდროულად. სხვა სიტყვებით, სული არის იმ ყველა წინა ცხოვრებაში ჩართული ახლა და აქ ერთდროულად და ეს პროცესი ამ წამს ხდება. ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ სული ახდენს ფრაგმენტაციას არა

მხოლოდ სხვადასხვა სხეულში, არამედ ცხოვრების ყოველ წამში და ეს ყოველი წამი ერთდროულად ახლა არსებობს.

ზემოალნიშნულის უკეთ გასაგებად, ავიღოთ დროის მცირე მონაკვეთი, კერძოდ 15 წამი და წარმოვიდგინოთ, რომ სული აკეთებს ფრაგმენტაციას ამ 15 წამში. ის ჯერ ხვდება პირველ წამში, მეორე წამში, შემდეგ მესამეში და ასე თხუთმეტამდე, ხოლო შემდეგ ისევ პირველ წამში გადადის. ფაქტობრივად, ის ტრიალებს ამ 15 წამში. ამ დროს, რეალური დრო მიდის წინ და ამ 15 წამს დაემატა კიდევ ერთი წამი და სული უკვე ტრიალებს ამ 16 წამში, შემდეგ კიდევ დაემატა დამატებითი წამი და უკვე 17 წამში ტრიალებს და ა.შ. ოღონდ ამ მომენტისთვის სული აღიქვამს მხოლოდ იმ ახალ დამატებულ წამებს იმიტომ, რომ მისთვის ის ახალია და ეს მას აძლევს დროის მსვლელობის შეგრძნებას.

ახლა, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი სული ტრიალებს მთელი ჩვენი ცხოვრების წამებში, რაც კი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში გავიარეთ. ხოლო ყოველ წამს, ამ მთლიანი რაოდენობის წამებს, რაც

გავიარეთ, ემატება კიდევ ახალი დამატებითი წამი და ეს არის ის წამი, რომელსაც აწმყოს ვუწოდებთ. მაგალითად, თუ ამ ცხოვრებაში უკვე გვიცხოვრია მილიარდი წამი, ეს ნიშნავს, რომ ფრაგმენტირებული ვართ და ვიმყოფებით ამ მილიარდ წამში ერთდროულად, ხოლო ამ მომენტში, ამ მთლიან რაოდენობას დაემატა კიდევ ახალი წამი. ამგვარად, ჩვენ ახლა აღიქვამთ მხოლოდ იმ ახლად დამატებულ თითო წამს და არა მთლიან მილიარდ წამს იმიტომ, რომ ის ჩვენთვის ახალია.

თუმცა ამით ყველაფერი არ მთავრდება, სინამდვილეში, ჩვენი სული არა მხოლოდ ამ ცხოვრების წამებში ტრიალებს, არამედ მთელი წინა ცხოვრებების წამებშიც და თუ, მაგალითად, განვლილი გაქვთ 50 ცხოვრება, თქვენი სული ამ 50 ცხოვრების ყოველ წამში ტრიალებს. ანუ ის ჩანერგილია ან ფრაგმენტირებულია 50 ცხოვრების ყოველ წამში და ის არსებობს მთელი 50 ცხოვრების ყოველ წამში. აქედან გამომდინარე, ჩვენი სული არსებობს ზუსტად ახლა, ყველა განვლილ რეინკარნაციაში. უბრალოდ ჩვენ, ახლა აღვიქვამთ იმ

ახალ წამს, რომელიც ემატება ამ მთლიან რაოდენობას იმიტომ, რომ ის ჩვენთვის ახალია. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ დროის მონაკვეთი “ერთი წამი” პირობითად მოვიყვანე თვალსაჩინოებისთვის. მაგალითისთვის ერთი წამის მეათედიც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც ადამიანი პირველად რეინკარნირდება, მას აქვს დედამიწაზე ერთი მიმდინარე ცხოვრება. როდესაც გარდაიცვლება და შემდეგ მეორედ დაიბადება, მას აქვს უკვე ორი მიმდინარე ცხოვრება. როდესაც მესამედ დაიბადება, აქვს სამი მიმდინარე ცხოვრება და ა.შ.

თუ ზემოთ აღწერილ სისტემას შევაჯამებთ, სულს, რომლის ძირითადი სამყოფელი ასტრალურ სამყაროშია, აქვს არჩევანი დაიბადოს და გაუშვას თავისი სულის, მაგალითად 2020 წელში, ხოლო როდესაც ის უკან დაბრუნდება, განახორციელოს ხელახალი რეინკარნაცია უკვე 1920 - ში, შემდეგ კი სულაც 1850 - ში და შემდეგ ისევ 1920 - ში. ფაქტობრივად, სული შეიძლება იყოს სამხედრო

მეთაური, რომელიც დაესხა თავს მეორე ქვეყანას, ხოლო პარალელურად შეიძლება იყოს სამხედრო მეთაური იმ ქვეყნისა, რომელსაც დაესხა. ფილმებში გვხდება ხოლმე ისეთი სიუჟეტი, როდესაც დადებითი პერსონაჟი ებრძვის ბოროტებას და ბოლოს გაიგებს, რომ ის ვისაც ებრძვის, არის საკუთარი თავი. იმიტომ, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ადრინდელი რეინკარნაციების ერთ-ერთი ცხოვრება.

ზოგადად, სული ცდილობს სხვადასხვა დროის პერიოდებში დაიბადოს, რათა მიიღოს მრავალფეროვანი გამოცდილება, თუმცა ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც სული იბადება რამდენჯერმე ერთი და იმავე პერიოდში. ამ შემთხვევაში, მის ინტერესშია, რომ ის, მის მეორე მე-სთან არასდროს გადაიკვეთოს იმიტომ, რომ თუ ეს ორი ადამიანი დამეგობრდა და ერთ ქვეყანაში ან ერთად იცხოვრეს, მაშინ ისინი მსგავს გამოცდილებას მიიღებენ და ეს ამ სულისთვის არ არის მომგებიანი. ამიტომ თვითონ ასტრალურ კომპიუტერულ ქსელშიც შეიძლება ჩაიდოს პროგრამა, რომელიც ცდილობს ორი ერთი და იგივე

სული არასდროს შეახვედროს ერთმანეთს. უმეტეს შემთხვევაში, გიდი სხვა ქვეყანაში ეძებს ხოლმე მშობლებს მისი მფარველობის ქვეშ მყოფ სულისთვის, თუ ის იგივე პერიოდში აპირებს დაბადებას პარალელურ რეჟიმში.

ზემოალნიშნულის უკეთ გასააზრებლად, მინდა გაგიზიაროთ ინფორმაცია, რომელსაც ვფლობ ჩემი სულის ისტორიაზე: მე დედამიწაზე მოვხვდი დაახლოებით მილიონამდე წლის წინ, მთლიანობაში გავლილი მაქვს 1500-მდე ინკარნაცია ჩვენს მატერიალურ სამყაროში. თუმცა აქედან, წარსულში, რომელიღაც წინა ინკარნაციებში 8 ჯერ დავიბადე ამავე, ჩვენი დროის პერიოდში და ეს ნიშნავს, რომ ამჟამად ჩემი სული კიდევ 8 სხვადასხვა ადამიანის სხეულშია, რომლებიც მიმოფანტული არიან სხვადასხვა ქვეყანაში და სავარაუდოდ, არ აქვთ ერთმანეთთან შეხება. მე მაინტერესებდა გამერკვია მათი ვინაობა და დავკავშირებოდი მათ, თუმცა სულიერი სამყაროდან უარი მივიღე, არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე. ამავდროულად, ჩემი წინა ინკარნაცია იტალიაში იყო მე-18 საუკუნის

ბოლოს, მე-19 საუკუნის დასაწყისში. ეს ნიშნავს, რომ ამ 8 ინკარნაციიდან, ჩემი წინა ცხოვრება არცერთი არ იყო.

ძირითადად, სული ირჩევს დაბადების დროს იმის მიხედვით, თუ რა განვითარების ეტაპზეა ის ამ მომენტში, მაგალითად, შედარებით განვითარებული სული არ აირჩევს იმ პერიოდს დაბადებისთვის, როდესაც საზოგადოებაში მეფობს მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი და ადამიანების ძირითადი მიზანი მტრის განადგურება და მისი წამებაა. ეს მხოლოდ შეიძლება მოხდეს სპეციალური მისიით, სადაც თქვენ დაიბადებით შორეულ წარსულში და მაშინ იმ საზოგადოებისთვის იქნებით წარმოდგენილი, როგორც მასწავლებელი, გურუ, წმინდანი და ა.შ. თუმცა ისტორიიდან თქვენთვის ცნობილია, რომ ზოგჯერ ასეთ ადამიანებს სასტიკად უსწორდებიან. მე ეს შემთხვევით არ მოვყევი იმიტომ, რომ სინამდვილეში, დღესდღეობით, აქ იმყოფება უამრავი სული, რომელიც სწორედ ჩვენი მომავლიდან არის ჩვენ დასახმარებლად მოვლენილი.

და თუ მათ დროის კუთხით განვიხილავთ, ჩვენი აღქმით, ისინი სწორედ ჩვენი მომავლიდან არიან.

თუმცა, დაბადებას აქვს მთელი რიგი რეგულაციები, დრო შენდება ბლოკებით. მაგალითად, ახლანდელ სულს არ შეუძლია დაიბადოს ატლანტიდის პერიოდში იმიტომ, რომ იმ დროის ბლოკის მშენებლობა უკვე დასრულებულია.

საბოლოო ჯამში, უხეშად რომ ვთქვათ, დღეს თქვენი მე-ს ვარიანტები დედამიწაზე არსებობს შემდეგი რაოდენობით: დაბადებები რომელშიც თქვენ იმყოფებით, მაგალითად 100 და ამას მიმატებული თითო ინკარნაციის რეალობები, მაგალითად 12. საბოლოოდ გამოვა, რომ ამ მომენტისთვის დედამიწაზე თქვენი ათასამდე ვერსია არსებობს.

თუ შევაჯმებთ, ფაქტობრივად, ჩვენი რეალობა არის ცალკე აღებული დროის ხაზი, რომელიც მოთავსებულია ასტრალური სამყაროს დროის ხაზის შიგნით. ხოლო თავის მხრივ, ასტრალური სამყაროს დროის ხაზი მოთავსებულია სხვა, უფრო მაღალი სიმკვრივის სამყაროს შიგნით და ა.შ. და საბოლოოდ, ამ სისტემით არის აწყობილი მთელი სამყარო. დრო,

როგორც ასეთი, მიედინება ყველგან, მათ შორის ვირტუალური სამყაროების მილმაც, იქ სადაც ლმერთია, თუმცა ყველა ისინი ერთმანეთის დამოუკიდებლად არსებობს.

სავარაუდო პარალელური რეალობები

როგორც უკვე ვთქვით, ასტრალურ კომპიუტერულ სისტემაში იწერება ყველაფერი, რაც ხდება დედამიწაზე. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ ჩვენი თვალებით, რეალურად ჩვენ ვხედავთ სამყაროს მხოლოდ მცირე ნაწილს, არამედ ყველაფერს მოლეკულურ და ციფრულ დონეზე იმიტომ, რომ ეს ვირტუალური რეალობაა. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ იქ იწერება ის ქიმიური აზროვნების პროცესებიც, რაც ჩვენს ტვინში თუ ფაქიზ სხეულებში მიმდინარეობს, ასტრალურ კომპიუტერს შეუძლია წინასწარ გამოთვალოს თუ რა მოხდება მომავალში. ამას ის აკეთებს კიდეც ავტომატურად და ეს ინფორმაცია მის მყარ დისკებზე ჩნდება როგორც სავარაუდო რეალობა. თეორიულად, თუ მინდორში გავუშვებთ რობოტებს,

ასტრალური კომპიუტერი ციფრული სიზუსტით გამოთვლის, თუ რას მოიმოქმედებენ ისინი, თუ როდის შევლენ ერთმანეთთან შეხებაში, როდის დავარდებიან თუ ადგებიან იმიტომ, რომ ასტრალური კომპიუტერი ხედავს, თუ რა მექანიკური პროცესები ხდება მათ მექანიზმში და ის უცებ გადაამუშავებს ამ ინფორმაციას და წარმოქმნის სავარაუდო მომავალს, რომელიც ერთი იქნება. ერთი იმიტომ, რომ ეს მექანიკური რობოტები არიან, მაგრამ ადამიანის შემთხვევაში, იმ მექანიკურ მოწყობილობას ემატება სული, რომელიც ამ მექანიკური მოწყობილობის უკან დგას და რაც რობოტისგან განსხვავებით მეტი არჩევანის საშუალებას იძლევა. მატრიცას შეუძლია გამოითვალოს, თუ რა გზით წახვალთ ჩვენ, მაგრამ ჩვენი კეთილი ნების, თავისუფალი არჩევანის თუ სულიერების გათვალისწინებით, შეიძლება გადავიფიქროთ და მაგალითად სხვა გზით წავიდეთ. სხვა სიტყვებით, ჩვენ გაქვთ მეტი არჩევანი, რობოტებისგან განსხვავებით. თუმცა ასტრალურმა კომპიუტერმა ისიც იცის, რომ ჩვენ გვაქვს არჩევანი და რალაც დონეზე იცის ისიც, თუ რა შეიძლება

ავირჩიოთ ან არ ავირჩიოთ. ამიტომ, ჩვენი, ადამიანების შემთხვევაში, მომავალი სავარაუდო რეალობა მხოლოდ ერთი კი არა, არამედ უსასრულოდ ბევრი შეიძლება იყოს. ამას გარდა, ასტრალური კომპიუტერი ასევე გამოითვლის იმას, თუ რამდენად დიდი შანსია ჩვენ ერთი თუ მეორე რეალობა ავირჩიოთ. აქედან გამომდინარე, ის თითო რეალობას პროცენტულ მაჩვენებელს ანიჭებს. თუ ამ ყველაფერს ვიზუალურად წარმოვიდგენთ, შეიძლება შევადაროთ ხეს, სადაც არის ძირითადი ღერძი და მისგან წარმოქმნილი განშტოებები. თუ ადამიანი ირჩევს ერთ განშტოებას, ის ხდება მისი მთავარი ღერძი, რომელსაც თავის მხრივ ექნება განშტოებები. თითო ტოტის სისქე განისაზღვრება სულის მიერ მათი არჩევის შანსიდან გამომდინარე. რაც უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ სულმა სწორედ ეს გზა აირჩიოს, მით მაღალია ამ განშტოების პროცენტული მაჩვენებელი. ხოლო ხის შემთხვევაში, მით უფრო სქელია ხის ტოტი.

პატივცემულო მეგობრებო, ის ფაქტი, რომ ასტრალურ კომპიუტერს შეუძლია გამოიანგარიშოს

თქვენი სავარაუდო მომავალი, აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ ირჩევთ, ფიქრობთ თუ აკეთებთ თქვენი არჩევანი არ არის. ყოველი ნაბიჯი თქვენს ცხოვრებაში თქვენი არჩევანის შედეგია, უბრალოდ მატრიცას მისი დაახლოებით გამოთვლა შეუძლია იმიტომ, რომ ის ხედავს აზროვნების პროცესებს ჩვენ ფიზიკურ და ფაქიზ სხეულებში. თუ მე ის გამოვიცანი, რომ თქვენ ხვალ სამსახურში წახვალთ, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ეს თქვენი არჩევანი არ იყო.

თუ, მაგალითად, მიხვალთ ვინმე ექსტრასენსთან, მკითხავთან ან წინასწარმეტყველთან და ჰკითხავთ მომავალზე, მან შეიძლება დაინახოს თქვენი ერთ-ერთი რეალობა და გითხრათ ამის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში ამის გარდა, სხვა რეალობებიც შეიძლება არსებობდეს განშტოებების სახით. თუმცა თქვენ, ექსტრასენსის თუ მკითხავის ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება კონცენტრირდეთ ამ კონკრეტულ რეალობაზე და ამით მომავალში ავტომატურად ზუსტად ის აირჩიოთ. მაგრამ, შესაძლოა პირიქითაც მოხდეს - ექსტრასენსმა თქვენი

ერთ-ერთი რეალობა დაინახოს, რომელიც არ გაწყობთ ან საშიშია თქვენთვის და ამის შემდეგ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება თუ მომავალი ქმედებები და აირიდოთ ეს სავარაუდო რეალობის ხაზი.

სინამდვილეში, ასტრალური სამყაროდან ჩვენი ეს სავარაუდო რეალობები ხილვადია. წიგნის თავში დაბადება მატერიალურ სამყაროში ვისაუბრეთ, თუ როგორ შეუძლია სულს თავისი მომავალი ინკარნაცია დაათვალიეროს და შეიგრძნოს ის. სწორედ ეს მექანიზმი აძლევს მას ამის საშუალებას. იგივე მექანიზმის დახმარებით, კარმის სპეციალისტებს შეუძლიათ დაინახონ ჩვენი მომავალი ცხოვრების სავარაუდო რეალობები თუ განშტოებები და მომავალი კარმულ პროგრამა მას მოარგონ.

პარალელური რეალობები და “დეჟავუ”

ის გარემოებები, რომ დრო არსებობს ერთდროულად, სამყარო ვირტუალურია და სულს შეუძლია ფრაგმენტაცია, საშუალებას იძლევა ადამიანს ჰქონდეს რამდენიმე პარალელური რეალობა ერთდროულად. თუ თეორიულად გადავალთ შორეულ წარსულში, ჩავერევით რომელიმე ადამიანის ცხოვრებაში და შევცვლით მას, მაშინ მის ცხოვრებაში წარმოიქმნება მეორე, ახალი რეალობა, ხოლო თუ ამ მეორე რეალობას მომავალში კიდევ ვინმე შეცვლის, წარმოიქმნება უკვე მესამე რეალობა. თუმცა, რომ არ მოხდეს რეალობების დაუსრულებლად გამრავლება, ასტრალურ კომპიუტერში დაწესებულია შეზღუდვა, სადაც ერთ პიროვნებას შეუძლია არსებობდეს 12 რეალობაში ერთდროულად, ხოლო კიდევ ახალი რეალობის გაჩენის შემთხვევაში, ის პირველი, ანუ ყველაზე ძველი რეალობა სერვერიდან გაქრება.

ეს პრინციპი კარგად ჩანს სხვადასხვა მხატვრულ, ფანტასტიკური ჟანრის ფილმში, რომლის სიუჟეტი დროში მოგზაურობაა. პირველი, რაც მახსენდება, არის ლეგენდარული ფილმი “უკან მომავალში” (ინტ. იხ: Back to the Future).

ამის გარდა, რომ არ მოხდეს მსგავსი, თითქმის იდენტური რეალობების გამრავლება, როდესაც პიროვნების ძირითად რეალობას გამოეყო ახალი განშტოება, ხოლო ის მიზეზი, რატომაც გამოეყო უკვე დასრულდა და ის ახლად გამოყოფილი რეალობა უკვე ისევ ისე დაემსგავსა პირველ ძირითად რეალობას, კომპიუტერული სისტემა ამ ორ რეალობას აერთიანებს. როდესაც ეს ხდება და ეს ორი რეალობა უკვე ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, შეერთების მომენტში შეიძლება ერთი რეალობიდან მეორეში გამოჟონოს ინფორმაციამ წამის მეასედებში და ამ დროს ადამიანს ემართება ის, რასაც ჩვენ ვეძახით “დეჟავუს”. მოვიყვანოთ ასეთი, ოდნავ არაზუსტი შედარება: ერთი და იგივე ნომერი მობილურში სხვადასხვა სახელით ჩავიწერეთ და შემდეგ მობილურმა შეგვატყობინა, რომ გვაქვს იგივე

ნომერი და მოხდა ამ ნომრების გაერთიანება, ხოლო გაერთიანების დროს ეს ნომერი უცებ გეცნოთ.

წარმოვიდგინოთ, რომ გადახვედით წარსულში, 60 წლით უკან. მიხვედით ადამიანთან, შესთავაზეთ პარკში გასეირნება და ისიც დაგთანხმდათ. ამ პიროვნების მომავალი ისედაც უკვე არსებობს, მაგრამ მისი ცხოვრების მონაკვეთში წარმოიქმნება ახალი განშტოება. მას შემდეგ, რაც გაისეირნებთ პარკში და ერთმანეთს დაშორდებით, ის ადამიანი ჩვეულებრივად გააგრძელებს ცხოვრებას, ხოლო თქვენ დაბრუნდებით თქვენს დროში. ამ შემთხვევაში, იმ ადამიანის ახალი ამ პატარა განშტოება უკვე შეუერთდება მის ძირითად ხაზს იმიტომ, რომ ახალი განშტოების გაგრძელებას აზრი არა აქვს და ამ ძირითადი განშტოების და ამ ახალი პატარა განშტოების შეერთების მომენტში ამ პიროვნებამ შეიძლება იგრძნოს ის რასაც “დეჟავუ” ჰქვია.

პატივცემულო მეგობრებო, ფრაგმენტაცია, დრო და პარალელური რეალობები საკმაოდ რთული თემაა. დაახლოებით 2009 წელს, როდესაც ამ სფეროში ჯერ კიდევ სულ დამწყები ვიყავი, დროის მუშაობის

მექანიზმით დავინტერესდი და “ზემოთ” ვიკითხე. არსებებმა მითხრეს, რომ ამ საკითხს ორ სიტყვაში ვერ ახსნიდნენ და ამ ეტაპზე ჯობდა უბრალოდ მიმელო ის ფაქტი, რომ დრო ასე უცნაურად არსებობს. შემდგომში, რა თქმა უნდა, ამ საკითხს სერიოზულად ჩავუჯექი და გამოვიკვლიე, რისთვისაც საკმაო დრო დამჭირდა. შემდგომ, ისიც არ იყო ადვილი მომეფიქრებინა წიგნში თუ როგორ ამეხსნა მარტივად. ამიტომ, თუ ერთ ან ორ წაკითხვაში დროის ან თუნდაც ფრაგმენტაციის მუშაობის მექანიზმი ბოლომდე ვერ გაიაზრეთ, ეს პრობლემა საერთოდ არ არის და ნურც იმას იფიქრებთ, რომ სათანადოდ ჭკვიანი არ აღმოჩნდით.

სულების წარმოშობის ისტორია

ყველამ ვიცით, რომ დედამიწაზე არსებულ ქვეყნებს აქვთ სხვადასხვა მიგრაციული პოლიტიკა. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ძნელია საცხოვრებლად გადასვლა, მოქმედებს მკაცრი სავიზო რეჟიმი, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში საცხოვრებლად წასვლა, თუნდაც გარკვეული პერიოდით, ადვილია. არსებობს ქვეყნები, რომელთა კარი მუდამ ღიაა. კოსმოსშიც ანალოგიური სიტუაციაა, უამრავ, სხვადასხვა ცივილიზაციას გააჩნია თავისი მკაცრი კრიტერიუმები, ხოლო დედამიწა არის ცივილიზაცია, სადაც ყველანაირი სულისთვის კარი ყოველთვის ფართოდაა ღია. ამიტომ, ისტორიის მანძილზე, ბევრი სული, რომელიც სხვა პლანეტაზე მაინცდამაინც საუკეთესოდ არ იქცეოდა, მოხვდა დედამიწაზე, რაც,

რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დედამიწაზე მოსული ყველა სული ასეთი იყო.

ძირძველ სულებად, რომლებიც თავიდანვე დედამიწაზე იბადებოდნენ, ითვლებიან პლეადელები, რომელთა სამშობლო მზის სისტემა პლეადაა (ინტ. იხ. Pleiades). თუმცა დღეს, ისინი დედამიწაზე მყოფი სულების მხოლოდ ძალიან მცირედ ნაწილს წარმოადგენენ. პლეადელების გარდა, დღესდღეობით, დედამიწაზე გადიან განვითარებას სულები შემდეგ თანავარსკვლავედსა თუ მზის სისტემებზე არსებული პლანეტებიდან: ორიონი, სირიუსი, ლირა, ვეგა, არქტური და სხვ. მაგალითად, პირადად ჩემი სული წარმოშობით არის სირიუსის თანავარსკვლავედზე არსებული ერთ-ერთ პლანეტის ცივილიზაციიდან, რომლის ბინადრები კრისტალური არსებების სახელით არიან ცნობილი. დედამიწაზე მოვხვდი დაახლოებით ნახევარი მილიონზე მეტი წლის წინ, სინათლის ძალების მხარდასაჭერად, როდესაც ჩვენს პლანეტაზე, სინათლისა და ბნელ ძალებს შორის საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა (თუმცა, როგორც ხედავთ, ამდენი

ხნის განმავლობაში აქედან გაღწევა ველარ მოვახერხე იმ დროისთვის ჩამოსული სხვა მრავალი სულის მსგავსად).

რიცხობრივად, დედამიწაზე ჭარბობენ ორიონის თანავარსკვლავედიდან პორტირებული სულები, რომელსაც თავისი ისტორია გააჩნია. დიდი ხნის წინ, ორიონის თანავარსკვლავედში არსებულ დასახლებებზე შეიქმნა დიდი იმპერია, რომელიც რალაც დოზით დიქტატურაში გადაიზარდა, ამას მოყვა ადგილობრივთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება, რამაც საბოლოოდ ორი დაპირისპირებული ბანაკი შექმნა. დიქტატორული, ნეგატიური მხარე განლაგებული იყო მზის სისტემა რიგელზე (ინტ. იხ. Rigel) და მის წინააღმდეგ მებრძოლი, პოზიტიური მხარე - მზის სისტემა ბითლჯუსზე (ინტ. იხ. Betelgeuse). მათ შორის სასტიკ ომს მოყვა დიდი ნგრევა, ხოლო ზოგიერთი პლანეტა სრულიად განადგურდა. მათი ნარჩენები ორიონ ნებულას (ინტ. იხ. Orion Nebula) სახელით არის ცნობილი და ღამის ცაზე ჩანს როგორც ნისლი. ამ დიდ ნგრევას მოჰყვა დიდი რაოდენობით

ლტოლვილების ნაკადი ორივე დაპირისპირებული მხრიდან, რომელიც სხვადასხვა პლანეტაზე გადანაწილდა, ხოლო გარკვეული ნაწილი სწორედ დედამიწაზე მოხვდა. იმ დროისთვის ისინი ბრძოლას დედამიწაზეც კი განაგრძობდნენ. ზოგადად, ორიონელების ნაწილი ხასიათდება შედარებით უფრო მებრძოლ, ცოტა უხეში სულის პატრონად, ამიტომ დედამიწაზეც ეს გარკვეულწილად აისახა და დღესაც იგრძნობა.

რა თქმა უნდა, დედამიწა არ არის მხოლოდ იძულებით გადაადგილებულთა თავშესაფარი. აქ მოდიან სულები, რომლებსაც უნდათ გამოცადონ ძლიერი შეგრძნებები და ემოციები - როგორც დადებითი ასევე უარყოფითი. ჩვენს სამყაროში მათ, ექსტრიმის მოყვარულ ადამიანებს დავარქმევდით. საბოლოო ჯამში, დღეს დედამიწაზე იმყოფებიან აბსოლუტურად სხვადასხვა წარმომავლობის, ხასიათის, მიდრეკილებებისა თუ მსოფლმხედველობის სულები.

ანალოგიურად, იმ შემთხვევაში, თუ თეორიულად დედამიწაზე მოხდება ატომური ომი და პლანეტა

განადგურდება, მილიარდობით სული დარჩება გახსნილ კოსმოსში გამოკიდებული, სხეულების გარეშე. ჩვენს შემთხვევაში, მოხდება ევაკუაცია გალაქტიკური კონფედერაციის (გავარჩევთ შემდეგ თავში) მხრიდან იმიტომ, რომ ჩვენი პლანეტა ოფიციალურად შედის გალაქტიკური კონფედერაციის გაერთიანებაში. მოხდება კონფედერაციის საფრენი ხომალდების დიდი მობილიზაცია და ჩვენს სულებს გადაიყვანენ ან პირდაპირ სხვა მსგავს პლანეტებზე ან ჯერ მოხდება ჩვენი დროებით თავშესაფარში გადაყვანა სხვა პლანეტებზე და შემდეგ გადანაწილება. საბოლოდ, ჩვენი სულები აღმოჩნდებიან უკვე სხვა პლანეტებზე, როგორც ემიგრანტები. სწორედ ესეთ ემიგრანების პლანეტას წარმოადგენს დედამიწა.

მინდა დავამატო, რომ ატომური ომის მაგალითი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანე. რეალურად, ომის საშიშროების შემთხვევაში, დედამიწის საქმეებში გარედან ჩაერევიან, რაც უკვე არაერთხელ განხორციელებულა პლანეტაზე ბოლო წლებში. ამას

გარდა, თუ მაინც მოხდა დედამიწის განადგურება, მას გააჩნია სათადარიგო ასლი.

რაც შეეხება სულების პირვანდელ წარმოშობას, რომლებიც დღეს დედამიწაზე გავდივართ ინკარნაციას, ღმერთმა ჩვენი ფრაგმენტაცია მოახდინა ლირა/ვეგას თანავარსკვლავედზე, იმ პლანეტებზე სადაც მოხდა ადამიანის დეენემის შემუშავებაც. ადამიანის წარმოშობის საკითხს ჩვენ განვიხილავთ თავში: ადამიანის წარმოშობის ისტორია.

სულის სტრუქტურა და ევოლუცია

წინა თავებში ჩვენ ვისაუბრეთ სულის ფრაგმენტაციაზე, ხოლო ახლა განვიხილოთ მისი ძირითად კონსტრუქცია. ალბათ ისედაც იცით, რომ სული არის ცალკე მდგომი სუბსტანცია, ხოლო ფიზიკური თუ სხვა ტიპის სხეულები, რომლებიც შეიძლება შედგებოდეს ფიზიკური, ასტრალური, მენტალური, ეთერული, კაუზალური თუ სხვა მატერიისგან ან მათი კომბინაციებისგან, არის როგორც სკაფანდრი სულისთვის, სხვადასხვა სიმკვრივის სამყაროებში არსებობისთვის. ყველა ამ სხეულს თუ სკაფანდრს აქვს ცალკე კონსტრუქცია, რომელიც მოიცავს აზროვნების სტრუქტურებს, ინფორმაციის შენახვის თუ გადამუშავების ფუნქციებს, ხოლო სულს - ცალკე. ჩვეულებისამებრ, პარალელს ისევ კომპიუტერულ სისტემებთან

გავავლებთ. სული არის ცალკე კომპიუტერული მექანიზმი, ხოლო სხეული სხვა კომპიუტერული სკაფანდრი, სხვადასხვა სამყაროს საკვლევად.

თუ ჩვენი მაგალითიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, რომელიც სულის ფრაგმენტაციას ეხებოდა. სული, არის ინტერნეტ კაფეში მჯდომი ღმერთის ფრაგმენტი თავის კომპიუტერიანად, ხოლო სხეული არის უკვე ინტერნეტ კაფეში მყოფ სერვერზე, ვირტუალურ სამყაროში აწყობილი სამ განზომილებიანი ობიექტი. სხვა სიტყვებით, პირველი არის ჩვენი ნამდვილი მე, ხოლო მეორე ავტომანქანა, რომელსაც ჩვენ ვმართავთ. სულ ახლად შექმნილი სული არის ფრაგმენტი, რომელიც ზის ახალ დადგმულ კომპიუტერთან, რომელშიც ოპერაციული სისტემის გარდა საერთოდ არაფერია ჩაწერილი. ახალი სული ეს არის აბსოლუტურად ახალი ან ახლად დაფორმატებული კომპიუტერი. აქედან გამომდინარე. მან საერთოდ არაფერი იცის.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ სული არის ცენტრი ან ბირთვი, რომლის გარშემო სამი მყარი დისკია (იგივე ვინჩესტერი ან დიდი მეხსიერების ბარათი). პირველ

დისკზე ჩაწერილია ოპერაციული სისტემა, როგორც მაგალითად iOS ან Windows, ხოლო დანარჩენ, მეორე და მესამე დისკებზე იწერება აბსოლუტურად ყველაფერი, რასაც სული გადის თუ გრძნობს, მისი შექმნის მომენტიდან. თუმცა ამ ორ ვინჩესტერებზე ინფორმაცია არ იწერება ქაოსურად, არამედ ის ხარისხდება მყარ დისკებზე არსებულ საქალალდეებში, მსგავსი ინფორმაციის პრინციპით. ამ დახარისხებას აკეთებს პირველ დისკზე ჩაწერილი ოპერაციული სისტემა როგორც ეს კომპიუტერში ხდება. მეორე და მესამე მყარ დისკზე არის საქალალდეები, რომლებიც ივსება ინფორმაციით იმის მიხედვით, თუ რა ტიპის გამოცდილებას გადის ან რა თვისებებს იძენს სული თავისი მოღვაწეობის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, პირველი დისკი ანაწილებს ინფორმაციას, მეორე და მესამე დისკებზე და მათში მოთავსებულ საქალალდეებში ისე, როგორც ჩვენ კომპიუტერში ახალ ფაილს ვაგდებთ შესაბამის საქალალდეში, შესაბამის დისკზე. სულის შემთხვევაში პირველ დისკზე ჩაწერილი ოპერაციული სისტემა ამას ავტომატურად აკეთებს.

კარმული პროგრამა არსებობს სწორედ იმისთვის, რომ მყარ დისკებზე არსებული საქაღალდეები შეივსოს მეტ-ნაკლებად თანაბრად და ამოავსოს ის საქაღალდეები, რომლებიც შედარებით ცარიელია. თუ მაგალითად. ადამიანს არ აქვს სინდისი ან თანაგრძნობის უნარი არ გააჩნია, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი საქაღალდე მას ინფორმაციით არ აქვს შევსებული.

როდესაც ადამიანი ხვდება გარკვეულ გარემოში და ტვინი იღებს ინფორმაციას ფიზიკური ორგანოებიდან ამ სიტუაციის შესახებ, ამ ინფორმაციას გადასცემს მაგნიტურ პროცესორებს (გავარჩევთ შემდეგ თავში) და სულის მყარ დისკებს, საიდანაც ბრუნდება სიგნალი იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაცია წერია ამ დისკებზე თუ პროცესორებზე. თუ სულის მყარ დისკზე არ წერია თანაგრძნობის ინფორმაცია, მაშინ ადამიანს ეს გრძნობა საერთოდ არ გაუაქტიურდება. ის იმოქმედებს ინსტინქტებიდან, მაგნიტური პროცესორებიდან გამომდინარე ან საერთოდ არაფერს მოიმოქმედებს. ხოლო თუ სულს აქვს გამოვლილი სიტუაცია, რამაც

შეავსო ინფორმაციით თანაგრძნობის საქაღალდე, მაშინ ტვინი მიიღებს შესაბამის ინფორმაციას და ექნება შესაბამისი, შემდგომი რეაქცია.

თქვენ შეიძლება გაგიჩნდათ კითხვა, რატომ იწერება ყველაფერი ორ დისკზე და არა ერთზე. ყველაზე საინტერესო ზუსტად აქედან იწყება. იქიდან გამომდინარე, რომ სამყაროს შექმნის დროს ღმერთის ჩანაფიქრი იყო გამოეკვლია დუალიზმი, მან ეს დისკები ორ ნაწილად დაყო, უფრო სწორად, სულს შეუერთა ორი დისკი, სადაც ერთში იწერება ყველაფერი, რაც ნეგატიურთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორეში ყველაფერი რაც პოზიტიურთან. გამოდის, რომ სულის ერთი ნაწილი უარყოფით მხარეს წარმოადგენს, ხოლო მეორე დადებითს.

ყველა ჩვენი ნეგატიური აზრი, გრძნობა, თუ საქციელი, მაგალითად, მოვიტყუეთ, ვინმეს რამე დავუშავეთ, ვიყავით აგრესიული, მომხვეჭელები, შურიანები და სხვა, აღიბეჭდება ერთ მყარ დისკზე, ხოლო ყველა პოზიტიური აზრი, გრძნობა თუ საქციელი, მაგალითად, ჩვენ გავაკეთეთ სიკეთე,

ვფიქრობთ სიყვარულზე, სიხარულზე და ა.შ. შესაბამისად იწერება მეორე მყარ დისკზე. თუ რომელი დისკის შევსებას მიანიჭებს სული უპირატესობას, დადებითის თუ უარყოფითის, მისი აბსოლუტურ კეთილ ნებაზეა დაფუძნებული და გამომდინარეობს სწორედ აქედან, თუ რა გზას აირჩევს სული თავისი მრავალრიცხოვანი რეინკარნაციებიდან გამომდინარე - გადაწყვეტს შეავსოს უფრო მეტად უარყოფითი თუ დადებითი თვისებების დისკი. შესაბამისად, ამან შეიძლება განაპირობოს ისიც, თუ რომელ სამყაროში მოხვდება სული საბოლოოდ და რომელ სამყაროში გააგრძელებს განვითარებას, დედამიწაზე რეინკარნაციების ციკლის დასრულების შემდეგ. არ შეშინდეთ, სავარაუდოდ ამ წიგნის მკითხველების უმეტესობას დიდი ხანია უკვე არჩეული აქვს დადებითი მიმართულებით განვითარება.

დადებითი და უარყოფითი მყარი დისკების შევსების ინტენსივობა და პროცენტული მაჩვენებელი ერთმანეთის მიმართებაში ინდივიდუალურია და ყველას სულს სხვადასხვა შეიძლება ჰქონდეს. თავის

მოლვაწეობის მანძილზე, სულები ავსებენ ორივე დისკს, მაგრამ უპირატესად ერთ-ერთ დისკს უფრო. თუ, მაგალითად სულმა მაქსიმალურად პოზიტიური მხარის შევსება აირჩია, ეს შეიძლება შევადაროთ სულებს, რომლებიც არასდროს ცუდს თავში არ გაიელვებენ, არიან მაქსიმალურად კეთილები, წესიერები და დადებითები. და პირიქით, სულმა შეიძლება მაქსიმალურად უარყოფითი გზა არჩიოს და ამით უარყოფითი დისკის შევსება დაიწყოს, მაგრამ დადებითი დისკის შევსება მინიმალურად, გარკვეული პროცენტით მას მაინც ევალება. ანალოგიურად, ვისაც დადებითი მიმართულება აქვს არჩეული, ანუ თქვენ გევალებათ გარკვეული პატარა ფიქსირებული პროცენტით ნეგატიური დისკის შევსებაც, იმისთვის, რომ სული არ იყოს ზედმეტად რეალობას მოწყვეტილი და მიამიტი.

თუ, თეორიულად სული ვითარდება ისე, რომ მინიმალურ დასაშვებ ზღვარზე ავითარებს თავის დადებით დისკს და მაქსიმალურად ავსებს ნეგატიურს, ის იქნება ყველაფერზე წამსვლელი, დაუნდობელი ბოროტმოქმედი, თუმცა რაღაც

კარგის ნაპერწკალი მას ყოველთვის ექნება, სწორედ იმ დადებითი დისკის მინიმალურად შევსების ხარჯზე. თუ სულმა აირჩია ნეგატიური განყოფილების შევსება და მიჰყვა მას ბოლომდე, საბოლოოდ მოხდება შესაბამის სამყაროში, სადაც მსგავსი ინტერესების და მიმართულების სულები ვითარდებიან.

ხდება ისეც, სანამ სული დედამიწაზეა, თავიდან ადგას ნეგატივის გზას და ამით ავსებს პრიორიტეტულად ნეგატიურ დისკს და შემდეგ გადმოდის სიკეთის მხარეს, იწყებს დადებითი დისკის შევსებას და საბოლოოდ გამოდის, რომ ის იღებს მაქსიმალურ გამოცდილებას. თუმცა ეს ყველაზე ძნელი გზა არის იმიტომ, რომ უარყოფითი დისკის შევსების დროს სული სავარაუდოდ დიდ კარმულ ვალებს აგროვებს, ხოლო თუ შემდეგ სინათლის მხარეს გადმოსვლა მოინდომა, მოუწევს ყველა კარმული ვალის გასტუმრება.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ვინჩესტერებზე და საქალალდეებში, რომელიც მათშია მოთავსებული, დაუსრულებლად შეედინება ინფორმაცია, რის

ხარჯზეც ვინჩესტერებზე არსებული ინფორმაცია იზრდება. როდესაც რომელიმე ვინჩესტერი გადაივსება, პროცესორი ანუ ოპერაციული სისტემა ავტომატურად შექმნის კიდევ ახალ, ანალოგიურ ვინჩესტერს და ინფორმაციის ჩაწერა უკვე ამ ახალ ვინჩესტერზე გაგრძელდება. საბოლოო ჯამში, ყველა არსება თუ სული ვითარდება დაახლოებით ამ გაფართოების პრინციპით, მათ შორის ღმერთიც, თუმცა თვითონ მყარი დისკების გადანაწილება და სტრუქტურა სხვადასხვა სამყაროში სხვადასხვანაირია.

სულიერი განვითარება, ეს არის ის გამოცდილება, ის ბარგი თუ შენაძენი, რომელსაც სული აგროვებს სხვადასხვა სამყაროში სხვადასხვა სიტუაციებში და ამ სიტუაციების გაანალიზებით და დასკვნების გაკეთებით, რასაც ერთ სიტყვაში გამოცდილება შეიძლება დავარქვათ.

კოსმოსის მასშტაბით, არსებებს, რომლებმაც უკვე დიდი ხანია ეგრეთ წოდებული ნეგატიური დისკის შევსება აქვთ არჩეული სულიერი განვითარების გზაზე, უწოდებენ არსებებს, რომლებიც

პრიორიტეტულად საკუთარი თავის მსახურებაში არიან. ხოლო არსებებს, ვინც პოზიტიური გზა აირჩიეს, სხვების მსახურებაში მყოფ არსებებად მოიხსენიებენ. ინგლისურ ენაში ამის გამომხატველი აბრევიატურაც კი არსებობს: STS (Service To Self) და STO (Service To Others). ეს არის ის ფაქტორი, რომელიც იმ დიდ სამყაროს, რომლის ძალიან პატარა ნაწილიც ჩვენ ვართ, რაღაც დონეზე ორ ნაწილად ყოფს. ამას ჩვენ უფრო დაწვრილებით გავარჩევთ თავში: სინათლე და სიბნელე ჩვენს სამყაროში.

აბსოლუტურად თეორიულად, თუ ჩვენ, ოდესმე, დიდი ხნის შემდეგ, ღმერთს შევუერთდებით მაშინ ეს, ჩვენი დაგროვებული ინფორმაცია გადაიწერება მისი სულის მყარ დისკზე. ხოლო ჩვენი სული გაერთიანდება ღმერთთან იმ პრინციპით, რაც უკვე ჩვენ აღვწერეთ იმ თავებში, სადაც ვისაუბრეთ ფრაგმენტაციაზე. თუ კიდევ გავამარტივებთ, ფაქტობრივად გამოდის ასეთი სიტუაცია: ღმერთმა შექმნა სამყარო დაყო თავისი თავი ნაწილებად და თითო ნაწილს გაატანა მეხსიერების ბარათი, ასევე იმ ნაწილებმა გააკეთეს ფრაგმენტაცია და უკვე იმ

თავის ფრაგმენტებს გაატანეს მეხსიერების ბარათები. ის ფრაგმენტები დააგროვებენ მეხსიერების ბარათებზე ინფორმაციას და მიუტანენ თავის უმაღლეს მე-ს, ხოლო საბოლოოდ, ეს დაგროვილი მეხსიერების ბარათები მივა ღმერთამდე და ის დაგროვების ბარათებიდან გადმოწერს მთელ ინფორმაციას თავის მეხსიერების ბარათზე და მიიღებს გიგანტურ მეხსიერების ბარათს. და ისევ მინდა შეგახსენოთ, რომ სინამდვილეში აქ მხოლოდ ერთი პიროვნება ფიგურირებს და ეს თქვენ ხართ. ასევე, ზემოთ მოყვანილი მაგალითი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხვალ, ზეგ ან როდისმე ღმერთს შევუერთდებით, არამედ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თვითონ გავხდებით ღმერთები.

სულის ევოლუცია

როგორც უკვე ვთქვით, სულს, რომელიც სულ ახლახან შეიქმნა, აბსოლუტურად არ გააჩნია რაიმე ცოდნა, არანაირი გამოცდილება და საერთოდ არ გააჩნია ინდივიდუალურობა. სტანდარტული სქემა, რომლითაც სული გადის განვითარების პროცეს

შემდეგია: პირველად ის ინკარნირდება ქვებში და მინერალებში, სადაც სული მინიმალურად შეიგრძნობს სამყაროს იმ მცირედი შესაძლებლობებით, რაც მინერალებს და ქვებს გააჩნიათ. ამით სული აგროვებს გარკვეულ ცოდნას და დგამს სამყაროს შეცნობის პირველ ნაბიჯებს. შემდგომ, ის უკვე იწყებს ინკარნირებას მცენარეულ სამყაროში. მცენარეებს უკვე სამყაროს აღქმის მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ, მათ შორის გარკვეული ემოციებიც და განწყობაც. შემდეგი ეტაპი, როგორც ალბათ უკვე მიხვდებოდით, მოდის ცხოველთა სამყარო. ცხოველებს არ შეუძლიათ ინტელექტუალური სამუშაოების წარმოება და ვერც ფორმულას გამოიანგარიშებენ, მაგრამ ისინი უკვე ისევე აღიქვამენ სამყაროს, ისევე აქვთ ემოციები, გრძნობენ ტკივილსაც, დარდობენ ან ზრუნავენ, როგორც ადამიანები. ზოგიერთი ცხოველი იმდენად ჭკვიანია, რომ უკვე ადამიანიც კი შეიძლება მოგვაგონოს. ეს ხდება იმიტომ, რომ ეს სულები ცხოველში ინკარნაციის უკვე ბოლო სტადიაზე იმყოფებიან და ახლოს არიან ადამიანში ინკარნაციის ეტაპის დაწყებასთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

სტადიების გავლა, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდ დროს მოიცავს, ეს შეიძლება მილიონ წელზე მეტიც იყოს. არ არის აუცილებელი ყველა ეს განვითარების სტადიები სულმა ერთ პლანეტაზე გაიაროს, მაგალითად, იქიდან გამომდინარე, რომ დედამიწა ასე ვთქვათ, ემიგრანტების პლანეტაა, დედამიწაზე არსებული სულების უმეტესობას თავის განვითარების მინერალ-ცხოველების ციკლი სხვადასხვა პლანეტებზე აქვთ გავლილი. თეორიულად, სულმა შეიძლება ერთ პლანეტაზე გაიაროს მინერალებიდან ცხოველამდე გზა, ხოლო შემდეგ სხვა პლანეტაზე გააგრძელოს ადამიანად დაბადება და შემდეგ კიდევ სხვა პლანეტაზე გადავიდეს. ისევე როგორც ადამიანი შეიძლება ერთ ქვეყანაში დადიოდეს ბალში, ხოლო სკოლა სხვა ქვეყანაში დაამთავროს.

მინდა დავაზუსტო, მინერალების ინკარნაციის შემთხვევაში, ერთი სული ფრაგმენტაციას ახდენს მინერალების კომპლექსში და არა თითო კენჭში სათითაოდ. ანალოგიურად ხდება ყვავილების,

ბალახის ან ბუჩქების და ასევე, კალიების, ჭიანჭველების თუ ჭიების შემთხვევაშიც.

ზემოთ აღწერილი სქემა არ წარმოადგენს რაიმე კოსმიურ კანონს. შედარებისთვის, დედამიწაზე არსებობს ბაღი, სკოლა და შემდგომ უნივერსიტეტი, თუმცა კანონი არ ავალდებულებს ყველას, რომ ეს ეტაპები გაიაროს. თეორიულად, სულს შეუძლია გამოტოვოს ყველა სტადია და პირდაპირ ადამიანად დაიწყოს დაბადება, თუმცა ამისთვის მან სხვა სპეციალური მომზადება უნდა გაიაროს. თუ ჩვენ მოვათავსებთ ახალ შექმნილ სულს სხეულში, რომელსაც ჯერ არაფერი გაუვლია და სულის მყარი დისკი ცარიელი აქვს, მაშინ ის საერთოდ ვერ მიხვდება, თუ რა ხდება ცხოვრებაში. ასეთი სული იქნება მხოლოდ ინსტინქტების იმედზე, არ ექნება რაიმე ფასეულობები და საერთოდ ვერ გაარჩევს რა არის კარგი და ცუდი.

სულის ევოლუციის ეტაპების ასეთი თანმიმდევრობა არსებობს იმიტომ, რომ ქვედა ეტაპიდან, ზედა ეტაპისკენ თანმიმდევრული და ნელი სვლა სულისთვის უფრო საინტერესო და სტიმულის

მომცემია. ის გრძნობს მაქსიმალურ კმაყოფილებას, როდესაც გარკვეულ წარმატებებს აღწევს თანდათანობით, როგორც უმეტეს კომპიუტერულ თამაშში, სადაც ქვედა დონიდან გადადიხართ ზედა დონეზე და ეს პროცესი ბევრად უფრო ჩამთრევია, ვიდრე პირდაპირ ზედა დონეზე რომ აღმოჩენილიყავით. ხოლო, კარმა და კარმული პროგრამები არის მექანიზმი, რომელიც ხვეწს და ამზადებს სულს შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად, როგორც ზღვა, რომლის ტალღები უხეშ ქვას ეტაპობრივად გლუვს ხდის და საბოლოოდ იდეალურად მომრგვალებული და სლიპინა ფორმა აძლევს.

მე ხშირად მსმენია ასეთი კითხვა: შეიძლება თუ არა ადამიანის სული რეინკარნირდეს ცხოველში? მინდა ანალოგი ჩვენი რეალობიდან მოვიყვანო: შესაძლებელია თუ არა სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხა უნივერსიტეტში, ისევ დაბრუნდეს და დაესწროს სკოლის გაკვეთილებს? თეორიულად, რა თქმა უნდა, მას ეს შეუძლია, ამას ჩვენი კანონი შეიძლება არც კრძალავდეს, მაგრამ მეტწილად ასე

არ ხდება იმ მიზეზით, რომ ზემოაღნიშნულს აზრი არ აქვს. თუმცა შეიძლება მოხდეს ისე, რომ სულს, რომელსაც ადამიანად დაბადება ახალი დაწყებული აქვს, დააკლდეს რაღაც თვისებები და ის ისევ ცხოველად, ერთხელ ან რამდენჯერმე დაიბადოს, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი გამონაკლისია.

დედამიწაზე დღეს ინკარნირებულია განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მდგომი სული. შედარებით დამწყებიდან - განვითარების ბოლო სტადიამდე მისულ სულამდე. თუმცა ცხოველის სტადია ახალდამთავრებული სული, რომლისთვისაც ადამიანის სხეულში დაბადება პირველი ან თუნდაც მეათე უნდა იყოს, ამ ეპოქაში თითქმის არ არის იმიტომ, რომ ასეთ პერიოდში დამწყებ სულს არავინ შემოუშვებს. ამიტომ, თეორიულად, თქვენი წინა ცხოვრება ცხოველის სხეულში ვერ იქნებოდა, ხოლო თუ ამ წიგნს კითხულობთ და შინაარსი მეტწილად გესმით, ეს ნიშნავს, რომ თქვენი ცხოველის სხეულში განვითარების ციკლი ძალიან შორეულ წარსულში გქონდათ და უმეტეს თქვენგანს ეს ეტაპი სხვადასხვა პლანეტაზე გაქვთ გავლილი.

კარმული პროგრამა სულზე ვრცელდება მაშინ, როცა ის უკვე შედარებით გონიერი ცხოველის სხეულში იბადება, რომელიც განვითარებულია იმ დონემდე, რომ ინსტინქტების გარდა, უკვე დამოუკიდებლად და ცნობიერად შეუძლია ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღოს.

განვითარების ნებისმიერ სტადიაზე სული საკუთარ თავს აღიქვამს ისე, როგორც დღეს ჩვენ აღვიქვამთ ჩვენ თავს. თუ თქვენ დაელაპარაკებით ძალიან მაღალგანვითარებულ არსებას, ის შეგნებულად არასდროს გაგრძნობინებთ, რომ თქვენზე უფრო განვითარებულია. ღმერთიდან დაწყებული მაღალი სიმკვრივეების არსებებით დამთავრებული, ყველას გააჩნია იუმორის გრძნობა და თეორიულად, მათთან კომუნიკაციას, თუ ასეთი როდისმე შედგა, ჩვეულებრივი სახე ექნება. თუმცა სულმა ასეთი ურთიერთობისას ყოველთვის კორექტულობა უნდა გამოიჩინოს. განვითარებული არსებების ცუდად, არაკორექტულად ან აგდებულად მოხსენიებას შესაძლოა კარმული შედეგები მოჰყვეს. არა თვითონ იმ არსების მხრიდან, ვის მიმართაც დაფიქსირდა ეს

ფაქტი, არამედ კარმული სისტემის მიერ, რომელიც წიგნის დასაწყისში აღვწერეთ.

საბოლოო ჯამში, რაც უფრო ვითარდება და იხვეწება სული, მით უფრო ეხსნება წვდომა მაღალი სიმკვრივეების სამყაროებთან. შესაბამისად, მისთვის უფრო მისაწვდომი ხდება უფრო მაღალ ვიბრაციაზე მომუშავე სხეულები თუ აზროვნების სტრუქტურები.

ის, რაც ჩვენ აღვწერეთ ზემოთ, სამყაროში ითვლება კლასიკურ, ძირითად განვითარების სისტემად, საიდანაც სული ნულიდან იწყებს და ნელ-ნელა ზემოთ, განვითარების საფეხურებზე მიემართება. თუმცა არსებობს ტიპი სულებისა, რომლებიც განვითარებას ზემოდან ქვედა სიმკვრივის მიმართულებით ახორციელებენ, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა უკან ბრუნდებიან. ამ სულების ფრაგმენტაცია ღმერთმა მოახდინა ლირა/ვეგას თანავარსკვლავედზე მეშვიდე სიმკვრივეში, რომელთა ნაწილმა გადაწყვიტა მეშვიდე სიმკვრივის ზემოთ, რვიდან მეთორმეტე სიმკვრივის ჩათვლით არსებული სამყაროების კვლევა. ხოლო ნაწილმა - ქვედა, მეშვიდე სიმკვრივეზე დაბლა არსებული

სამყაროების კვლევა და ისინი ნელ-ნელა დალმავალი სისტემით უფრო დაბალ და დაბალ სიმკვრივეში ახდენდნენ თავისი სულის ფრაგმენტაციას. დედამიწაზე დღეს რეინკარნაციას ასეთი სულების დიდი რაოდენობა გადის.

როდესაც სულის ფრაგმენტი სრულიად ამთავრებს ადამიანის განვითარების საფეხურს, ამის შემდეგ, სავარაუდოდ ის უერთდება მის უმაღლეს მე-ს მაღალ სიმკვრივეებში და უკვე შემდგომ მას აქვს არჩევანი ისევ გამოეყოს და დაბრუნდეს ახალი ციკლის გასავლელად ან დარჩეს და გააგრძელოს სვლა უფრო მაღალ სიმკვრივეებისკენ როგორც არსებამ.

ადამიანის სხეულის აგებულება

ფიზიკური სხეული, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ და შევიგრძნობთ, არის მაღალტექნოლოგიური ბიო რობოტი. ის სავსეა უმაღლესი ტექნოლოგიური ფუნქციებით, თუმცა დღეს გამოყენებაშია მათი მხოლოდ გარკვეული ნაწილი, კაცობრიობის განვითარების დონის შესაბამისად. ეს მექანიზმი იმდენად რთულია, რომ თუნდაც გვქონოდეს ამის შესაძლებლობა, რომ გავრკვეულიყავით მისი მუშაობის მექანიზმში სილრმისეულად, ამას ასეულობით ცხოვრებაც კი არ ეყოფოდა. თუმცა ზედაპირულად მარტივი რალაცების ცოდნას წინ არაფერი დაუდგება. ამისთვის პარალელს ისევ კომპიუტერთან გავავლებთ.

ადამიანის სხეული შედგება ფიზიკური, ასტრალური, მენტალური, ეთერული და კაუზალური კომპონენტებისგან. ამავდროულად, ასტრალური, მენტალური და ეთერული ნაწილები მიბმულია ფიზიკურ სხეულს და მუშაობს მასთან ერთად. ადამიანის აზროვნება და ფუნქციონირება ხდება ფიზიკური ტვინის და ამ ფაქიზი სხეულების კომბინაციით. ფიზიკური სხეულის განადგურების შემდეგ, სული თანდათანობით იშორებს ამ სამ სხეულსაც და ასტრალურ სამყაროში რჩება კაუზალურ სხეულში .

ალბათ დაგებადებათ კითხვა - თუ ადამიანს აქვს ფიზიკური სხეული და ტვინი, მაშინ რისთვის არის საჭირო ზემოთ ჩამოთვლილი ნატიფი სხეულები? ადამიანის ტვინის შესაძლებლობები შეზღუდულია იმიტომ, რომ ეს მექანიზმი შედგება მესამე სიმკვრივის კომპონენტებისგან და არის მექანიკური. ფიზიკურ ტვინს შეუძლია გარკვეული სამუშაოს ჩატარება, მაგრამ მას არ შეუძლია მაგალითად, ვიზუალიზაცია, რაღაცის წარმოდგენა, დაგეგმვა ან რთული ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება.

დაახლოებით ისე, როგორც კალკულატორის ფუნქციებია შეზღუდული. ან თუნდაც კომპიუტერს შეუძლია გარკვეული ამოცანების შესრულება, მაგრამ მას არ ექნება ემოციები, გრძნობები, ფასეულობები და მრავალი სხვა რამ, რაც მაღალ ინტელექტთან არის კავშირში. რომ არა ნატიფი სხეულები, როდესაც სული სხვადასხვა მიზეზით, თუნდაც დროებით ტოვებს ადამიანის სხეულს, მაშინ ის აზროვნების გარეშე დარჩებოდა. ვინც ფიზიკური სხეულიდან ერთხელ მაინც გამოსულხართ, დამემოწმებით, რომ აზროვნება გქონდათ ისეთივე, როგორც ფიზიკურ სხეულში.

ფაქტობრივად, ადამიანის ფიზიკურ სხეულს დამატებული აქვს ნატიფი სხეულები იმიტომ, რომ გაზარდოს მისი ფუნქციები და ამ ნატიფი სხეულების მუშაობის შედეგად ვიღებთ იმ მრავალფუნქციურ, ემოციურ ერთეულს, რასაც ადამიანი ჰქვია. შემდეგ თავში ჩვენ უკვე დეტალურად გავივლით, თუ რა კომპონენტებია ჩართული ადამიანის ფუნქციონირებასა და აზროვნებაში.

ადამიანის ძირითადი ფიზიკური კომპონენტები

დნმ - შეიძლება შევადაროთ რაიმე მოწყობილობის ელექტრონულ პლატას, სადაც მისი ფუნქციებია ჩაწერილი. როგორც მაგალითად, უთოში, მტვერსასრუტში, სარეცხის მანქანაში და სხვ. ის წააგავს მყარ დისკს, რომელშიც ჩაწერილია ადამიანის სხეულის მუშაობის პროგრამა ან ოპერაციული სისტემა, როგორც მაგალითად ჩვენთან, კომპიუტერულ სამყაროში არსებობს iOS ან Windows. ადამიანის შემთხვევაში, დნმ-ის სისტემა დაყოფილია თორმეტ სპირალად, როგორც კომპიუტერის მყარი დისკის შემთხვევაში. ის შეიძლება იყოს დაყოფილი C, D, E და სხვა დისკებად. ამ დისკებზე ანუ სპირალებზე ჩაწერილია ადამიანის სხვადასხვა ფუნქცია. პირველ სპირალზე ჩაწერილია უფრო მარტივი და ამ სამყაროში მარტივი არსებობის პროგრამები, ხოლო შემდგომ დისკებზე უფრო რთული და მაღალ სამყაროებში არსებობის უფრო რთული ფუნქციები. ჩვენ, ადამიანებს აქტიური გვაქვს თორმეტიდან მხოლოდ

ყველაზე დაბლა მყოფი, ორი-სამი მყარი დისკი ანუ ორი-სამი სპირალი, ხოლო დანარჩენი გათიშულია დენის წყაროდან, იქიდან გამომდინარე, რა განვითარების საფეხურზეც ვდგავართ და რომელ სიმკვრივის სამყაროშიც ვიმყოფებით. რაც უფრო მაღალია სიმკვრივე, მით უფრო მეტი დნმ-ის სპირალი უნდა იყოს გააქტივებული.

ნერვული სისტემა - ეს არის ის, რასაც კომპიუტერულ სამყაროში შეიძლება დავარქვათ სქემები და კაბელები. ისინი გადასცემენ სხვადასხვა სიგნალებს და მონაცემებს. თუ შედარებას მოვიყვანთ ავტომანქანების სამყაროდან, ეს იქნება ელექტრობა. ნერვული სისტემა არის დამაკავშირებელი სხეულის ნაწილების ან ორგანოების და ტვინს შორის. სადენები სხეულის ნაწილებიდან მიედინება ხერხემალში, ხოლო ხერხემლიდან ადის ტვინთან. თუმცა, თავად ხერხემალი თავის მხრივ, სავსეა სხვადასხვა რელეებით თუ სენსორებით, რომელიც გადაამუშავებს სხეულის ნაწილებიდან და ორგანოებიდან მომავალ იმპულსებს ტვინისკენ და

ტვინიდან მომავალ იმპულსებს სხეულის ნაწილების მიმართულებით. ყველა სადენი მიყვება ხერხემალს დაახლოებით შემდეგი პრინციპით: წარმოვიდგინოთ სახლი მშენებლობის დროს, სადაც ბევრი კაბელია მიმოფანტული ყველგან და ხელოსანი მათ ერთად შეკრავს. ნერვული სისტემის გარდა, სხეულის ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ჰორმონების სისტემაც. ჩაკრების და დნმ-ის სისტემისგან განსხვავებით, რომელსაც მალე განვიხილავთ, ეს სისტემები დღევანდელ მეცნიერებაში და მედიცინაში კარგად არის ცნობილი.

ადამიანის თავი შეიძლება შევადაროთ დედაპლატას კომპიუტერში, რომელიც სავსეა სქემებით და სხვადასხვა რთული მექანიზმებით. ის შუაში აღჭურვილია მოწყობილობით, რომელიც კომპიუტერის პროცესორის ჩიპს შეიძლება შევადაროთ. თუ მარტო თვალს დავაკვირდებით, მივხვდებით თუ რა მექანიზებულია ის, აქვს ფოკუსის გასწორების ფუნქცია, რომელიც შეიძლება ფოტოაპარატს ან ვიდეო კამერას გვახსენებს.

მხოლოდ ცალკე აღებული თვალი საკმაოდ რთული კომპიუტერული მექანიზმია.

ტვინი - ეს არის პროცესორი, რომელშიც უამრავი პროცესი მიმდინარეობს, თუმცა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ადამიანის ნატიფი და ფიზიკური სხეულის ნაწილებიდან მომავალი სიგნალების გადამუშავება და ერთმანეთთან დაკავშირებაა. ასევე, ის აღჭურვილია მყარი დისკით, სადაც იწერება ყველაფერი, რაც პიროვნების ირგვლივ ხდება.

ისევ მინდა დავაზუსტო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დეტალი თუ სისტემა, მათ შორის ზურგის ტვინი და თავის ტვინიც არის მექანიკური, ის მუშაობს ავტომატურად ზუსტად ისე, როგორც კომპიუტერი. ტვინს არ შეუძლია გაუჩნდეს, მაგალითად, ახალი იდეა ან გამოიგონოს რაიმე ახალი, აწარმოოს ინტელექტუალური სამუშაო ისევე, როგორც კომპიუტერს თვითონ არ შეუძლია მოუვიდეს რაიმე იდეა ან განიცადოს რაიმე ემოცია.

ფაქიზი სხეულების ძირითადი ნაწილები

ჩაკრები - ეს არის ზუსტი ანალოგი იმისა, რასაც კომპიუტერულ სისტემაში კვების ბლოკი ეწოდება. ჩაკრების სისტემის დახმარებით, სხეულის ყველა ნაწილს, როგორც ფიზიკურს ასევე ნატიფს, მიეწოდება ენერგია, დენი, რის ხარჯზეც ხდება მათი ამუშავება.

იმის გამო, რომ სხვადასხვა ფიზიკურ ორგანოს თუ ნატიფი სხეულების ნაწილებს (რომელსაც შემდეგ განვიხილავთ) მუშაობისთვის სჭირდება სხვადასხვა სიმძლავრის დენი, ამიტომ ეს სისტემა დანაწილებულია ბლოკებად, დენის ტრანსფორმატორებად, იგივე ჩაკრებად. კონკრეტულად ადამიანის ფიზიკურ სხეულზე არსებობს შვიდი დენის გამანაწილებელი ბლოკი, ტრანსფორმატორი ან ჩაკრა. სინამდვილეში, არსებობს კიდევ სხვა დამატებითი ჩაკრებიც, ზოგიერთი მათგანი ადამიანის თავის ზემოთ არის განლაგებული და კვებას მექანიზმებს, რომელიც ჩვენი თვალისთვის უხილავია (ერთ-ერთ მათგანს

შემდგომ განვიხილავთ). თქვენ ალბათ გინახავთ ჩაკრების განლაგება ფოტოებზე და იცით, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ფერით. როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა სხეულის მექანიზმები საჭიროებენ სხვადასხვა ტიპის ან სიხშირის დენს, ამიტომ თითო ჩაკრა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დენის გადამყვანი ტრანსფორმატორი, რომელსაც ასტრალური კომპიუტერიდან მოწოდებული დენი გადაჰყავს შესაბამის დაბალ ძაბვაზე. როგორც ჩვენს რეალობაში არსებობს დენის უფრო ნაკლებ სიმძლავრეზე გადამყვანი მოწყობილობა, მაგალითად მობილური ტელეფონის ან კიდევ სხვა ელექტრონული მოწყობილობის დამტენი. ნატიფ სამყაროში, რაც უფრო მაღალია ვიბრაციის სიხშირე, მით მატერია გვევლინება უფრო მუქი ფერის ტონალობად.

მაგნიტური პროცესორები

თითო ჩაკრაზე მიბმულია მაგნიტური პროცესორი, რომელიც ლიტერატურაში მოიხსენიება იგივე სახელად, ჩაკრებად ან ენერგეტიკულ ცენტრებად.

ალბათ ყველა დასახელება სწორია, უბრალოდ, მსოფლიო არ არის ჩამოყალიბებული საერთო სახელებზე, ამიტომ, იქიდან გამომდინარე, რომ ამ წიგნში ჩვენ ვიყენებთ უმეტესად კომპიუტერულ ენას, ამ მოწყობილობას ვუწოდე მაგნიტური პროცესორი, რაც თემასთან ყველაზე შესაბამის ტერმინად მომეჩვენა.

ადამიანის ნატიფ სხეულში არსებობს ეთერული კომპონენტებისგან შემდგარი ძირითადი 7 მაგნიტური პროცესორი:

ინსტინქტების პროცესორი - პირველი, არის ყველაზე დაბლა განლაგებულია მაგნიტური პროცესორი, სადაც ჩაწერილია ყველაფერი ის, რითაც იბადება ადამიანი. მისი ქცევები, ინსტინქტები, თვისებები, სქესის და რასის განმასხვავებელი ფუნქციები. ასევე, ფიზიკური სხეულის ფუნქციები, როგორც მაგალითად სისხლის მოძრაობა, სხეულის ზრდა, გარეგნობა, სუნთქვა და სხვ. ასევე, ინსტინქტები, რომელიც წინა ცხოვრებიდან შეიძლება იყოს გამოყოლილი (მაგალითად წინა ცხოვრებიდან გამოყოლილი

სიმალლის შიში), ადამიანის ასტროლოგიური მახასიათებლები (რომელზეც ახდენს გავლენას ჩვენს მზის სისტემაში არსებული პლანეტები) და სხვ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროცესორი აბსოლუტურად დომინირებს ადამიანის ქცევებზე. ამ ყველაფერს ემატება ის გამოცდილება, რაც სულმა მთელი წინა რეინკარნაციების განმავლობაში დააგროვა.

მოქმედების პროცესორები - მეორე და მესამე პროცესორში, რომლებიც მდებარეობს მუცლის ქვედა და ზედა ნაწილში, იწერება ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვითვისებთ ცხოვრების მანძილზე, როგორიც არის მაგალითად სიარული, მეტყველება, ყველაფერი ის, რასაც ვსწავლობთ უმეტესად ბავშვობიდან, თუნდაც ზრდასრულ ასაკში. ამაში შედის მაგალითად ცეკვა, თხილამურებით სრიალი თუ სხვა სპორტული სახეობები, მანქანის ტარება და ა.შ. ერთი სიტყვით ყველა ის აქტივობა, რომელიც ჩვენ გვჭირდება ვაკეთოთ დაუფიქრებლად, მექანიკურად, იწერება მოქმედების პროცესორში.

ემოციური პროცესორი - ეს პროცესორი მდებარეობს გულის დონეზე და როგორც მისი სახელი მეტყველებს, შეიცავს პროგრამებს, რომლებიც უკავშირდება ემოციებს და სხვადასხვა, არაფიზიკური გამოვლინებებსა თუ თვითგამოხატვას. სიყვარულის მედიტაციის დროს სწორედ ამ ჩაკრას მიეწოდება მეტი დენი და უფრო მეტად აქტიურდება.

ინტელექტუალური პროცესორი - მდებარეობს ადამიანის ყელის დონეზე და მასში მიმდინარეობს ის პროცესები, რაც უკავშირდება ადამიანის სურვილებს, ინტერესებს, რაიმეს დაგეგმვას, ანალიზს, ინფორმაციის მოძიებას, გადამუშავებას და ა.შ..

მეექვსე პროცესორი - რომელსაც მესამე თვალსაც ეძახიან, მდებარეობს ადამიანის თავის ცენტრში და ეხება ადამიანის დამატებით უნარებს, რასაც დღეს ზებუნებრივს ეძახიან, როგორიც არის ტელეპათია, ნათელხილვა, წინასწარმეტყველება, ინტუიცია, ექსტრასენსორიკა და სხვ. ასევე, ამ პროცესორის მუშაობას უკავშირდება ადამიანის შესაძლებლობა

იგრძნოს ადამიანის აურა, თვისებები, განწყობა, განზრახვები თუ სხვა.

სანამ მეშვიდე პროცესორის განხილვაზე გადავიდოდით, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ჩამოთვლილი პროცესორები, სტანდარტულად, მამაკაცებს და ქალებს ცოტათი განსხვავებულად უაქტიურდებათ. თუ რიგითობით მივყვებით, ეს ერთის გამოტოვებით ხდება, 4 და 6 პროცესორი ქალებს უფრო ადვილად უაქტიურდებათ, ხოლო 5 და 7 - მამაკაცებს.

მეოთხე ჩაკრა, რომელიც ადამიანის ემოციებს მართავს, ქალებს უფრო ადვილად უაქტიურდებათ, შესაბამისად, ამიტომ ხდება, რომ ქალები უფრო მეტად მგრძნობიარენი არიან და უფრო ღრმად აღიქვამენ ემოციებს. ასევე, მეექვსე ჩაკრა, რომელსაც მესამე თვალს ეძახიან, ქალებს დამატებითი ხედვის თუ შეგრძნების უნარს ანიჭებს. ისინი უკეთესად გრძნობენ ადამიანებს, აურებს, ბიოველს, აზრფორმებს და სხვ. ასევე, არამატერიალური სამყაროს შეგრძნებასაც უმძაფრებს. მაგალითისთვის მინდა გავიხსენო

პირადი გამოცდილება - როდესაც მსურდა დამეზუსტებინა გარკვეული ინფორმაცია მაღალგანვითარებულ სინათლის არსებებთან და ამისთვის დამხმარე მედიუმი მჭირდებოდა, რომელიც მათთან ტელეპათიურ კავშირზე გავიდოდა. მამაკაცების შემთხვევაში, კონტაქტი არც ერთხელ შემდგარა, ხოლო ქალების შემთხვევაში, ყველაფერი გამოდიოდა მაშინაც კი, როდესაც მათ არამატერიალური სამყაროს არსებობის საერთოდ არ სჯეროდათ.

ამავდროულად, მეხუთე პროცესორი, რომელიც ინტელექტუალურ პროცესებზე აგებს პასუხს, კაცებს უფრო ადვილად უაქტიურდებათ, რაც მათ საშუალებას აძლევს უფრო ადვილად გაუმკლავდნენ ისეთ სამუშაოებს, რაც ლოგიკასთან, მათემატიკურ გამოთვლებთან თუ სხვა მაღალინტელექტუალურ სფეროს უკავშირდება.

პატივცემულო მკითხველებო, ეს პრინციპი აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ ქალს არ შეუძლია ლოგიკური თუ მათემატიკური სამუშაოს შესრულება ან კაცს ემოციები არ გააჩნია. ამაში რა

თქმა უნდა სხვა ფაქტორებიც თამაშობს როლს, განსაკუთრებით ის თუ რა მიმართულებით ვითარდება სული ან განვითარების რა საფეხურზე დგას ის. მაგალითად, სულს რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება, დამწყებ სულთან შედარებით, აზროვნების შესაძლებლობები ბევრად მაღალი ექნება, იმისდა მიუხედავად რომელი სქესის სხეულს მოირგებს.

ღმერთმა და მისმა გუნდმა ადამიანის სხეულის დაპროექტების დროს სქესის მიხედვით ჩაკრების განსხვავებული პრინციპი ჩადეს იმიტომ, რომ მეტი მრავალფეროვნება შეეტანათ ჩვენს დუალურ სამყაროში და ქალისა და მამაკაცის სხეულების შესაძლებლობები ცოტათი განსხვავებული ყოფილიყო. ასევე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაც უფრო საინტერესო გამხდარიყო, თუნდაც ერთმანეთის შევსების ხარჯზე. ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ ასტრალურ სამყაროში სულებს სქესი არ აქვთ, ერთ ინკარნაციაში სულმა შეიძლება ქალის სხეული მოირგოს, ხოლო შემდეგში - მამაკაცის.

მეშვიდე პროცესორი - რომელიც ადამიანის თავის ზედა, ყველაზე მაღალ წერტილშია განლაგებული, აგებს პასუხს ინფორმაციის გადამუშავებაზე, რაც მაღალფარდოვან თემებს ან რაიმე არამატერიალურ ან ღვთიურ საკითხებს უკავშირდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქიდან გამომდინარე, რომ ზედა პროცესორებზე მოწოდებული ძაბვა სულ უფრო იმატებს, აქ არის ის ზღვარი, რის ზემოთაც ადამიანს უჭირს ასეთ მაღალ ძაბვასთან კონტაქტი. ამიტომ, ამ ცენტრებთან შეხება აქვთ მხოლოდ იმ ადამიანებს, ვინც ამ მიმართულებით არის მომზადებული. რა თქმა უნდა, თეორიულად ეს ყველას შეუძლია, თუ ამის სურვილი და სწრაფვა არსებობს.

პრაქტიკაში ზედა ჩაკრების სრულად ამუშავების პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება: როდესაც ადამიანი დაკავებულია ინტენსიური მედიტაციით, მანტრების გამეორებით, კონცენტრაციით თუ ლოცვებით, გიდი აკვირდება ამ პროცესებს, ატარებს მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ მისი ქვეშევრდომის სხეული მზად არის იმ მაღალი ძაბვის დენის მისაღებად, რაც ზედა ჩაკრების

ასამუშავებლად არის საჭირო. როდესაც ადამიანი ინტენსიური მედიტაციით საკმაოდ აიმაღლებს ვიბრაციას და უკვე საკმარისად მოამზადებს სხეულს, გიდი უკვე მზადყოფნაში იქნება, რომ დაიჭიროს მისი მორიგი მედიტაციის კულმინაციური მომენტი. როცა ეს მომენტი დადგება, გიდი თავის კომპიუტერიდან ამ ჩაკრებში უშვებს მაღალი ძაბვის დენს, რაც ზედა პროცესორებს მუშაობაში მოიყვანს. ხოლო პროცესორზე არსებული პროგრამა თავის მხრივ, აამოქმედებს სხვადასხვა მექანიზმებს მათ შორის ჰორმონალურ ჯირკვლებს ფიზიკურ სხეულში, ასტრალურ მაგნიტური გვირგვინს (რასაც მომდევნო ქვეთავში შევეხებით) ნატიფ სხეულში და სხვ. საბოლოოდ, ზედა მაგნიტური პროცესორების ინტენსიური მუშაობის საფუძველზე, ადამიანს დაეწყება ისეთი ინტენსიური შეგრძნებები, რაც ცხოვრებაში არასდროს უგრძნია და ვერც წარმოედგინა, რომ ასეთი რამ არსებობს.

ეს შეგრძნებები შეიძლება უკავშირდებოდეს: სამყაროსთან ერთიანობას, ბუნების აღქმას ენერგეტიკულ თუ სილამაზის დონეზე, სტიქიებთან

შერწყმას, ასევე იმის გაცნობიერებას, რომ თვითონ ხარ ღმერთი ან ღმერთი მოქმედებს შენში და მრავალი სხვა. მე პირადად მქონდა ბოლო ვარიანტის გამოცდილება, დიდი ხნის წინ, როდესაც სხვადასხვა მედიტაციის პრაქტიკით ვიყავი დაკავებული. თუმცა მაშინ, არ მქონდა იმხელა გამოცდილება როგორც ეხლა, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, ვერ ვხვდებოდი თუ რა ხდებოდა ჩემს თავს და ჩავთვალე, რომ რაღაც უცნაური, დროებითი გასხივოსნების გამოცდილება მივიღე.

საბოლოოდ, გიდი წყვეტს დენის მიწოდებას იმიტომ, რომ დიდი ხნით ამ ჩაკრების ინტენსიური გამოყენება ადამიანს არ შეუძლია, მაღალი ძაბვის გამო. ადამიანი ძირითადად მალევე უბრუნდება ჩვეულ მდგომარეობას, ეს ინტენსიური შეგრძნებები ქრება და რჩება მხოლოდ მოგონებები, როგორც რაიმე განსხვავებული გამოცდილება ჩვენს ცხოვრებაში. თუ თეორიულად მოხდა დენის ზედმეტი მიწოდება, მაშინ ადამიანი უცებ დაიწვება და დაიღუპება. ეს, რა თქმა უნდა, არასდროს ხდება იმიტომ, რომ გიდი

იცნობს მისი ქვეშევრდომის შესაძლებლობებს და ყველაფერი გათვლილი აქვს.

ალბათ დაგებადებათ ბუნებრივი კითხვა - რა აზრი აქვს მაშინ ამ გამოცდილებას, თუ ის დროებითია. საქმე იმაშია რომ, როდესაც ადამიანს შეუძლია ეს პროცესი გაიაროს, ეს ნიშნავს, რომ მან უკვე განავითარა ჩაკრები იმ დონეზე, რომ შეუძლია მაღალი ვიბრაციის ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, რაც მას შეუწყობს ხელს სულიერ განვითარებაში. მაგალითისთვის, ხომ არის განსხვავება, გაქვთ ფანრიანი ნოკია თუ თანამედროვე სმარტფონი? კი ორივე რეკავს, მაგრამ სმარტფონის შესაძლებლობები გაცილებით ფართოა.

მინდა ასევე დავაზუსტო, ეს პროცესი არ არის კავშირში სწორი და არასწორი ინფორმაციის გადამუშავებასთან. როგორც მაგალითად, ახალი და მძლავრი კომპიუტერი არ ნიშნავს, რომ იქ ჩაწერილი ინფორმაცია აუცილებლად სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ეს უბრალოდ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი პოტენციურად ფლობს მძლავრ კომპიუტერს, რომელსაც შეუძლია გადაამუშაოს

მაღალი ვიბრაციის ინფორმაცია. ხოლო ეს ინფორმაცია თუ რა სახისაა ან რას შეიცავს, ეს აბსოლუტურად სხვა საკითხია. თუ თქვენ ამ წიგნს კითხულობთ და ნაწილობრივ მაინც აღიქვამთ, ეს უკვე ნიშნავს, რომ თქვენ "ფანრიანი ნოკიით" უკვე დიდი ხანია არ სარგებლობთ და ფლობთ მძლავრ კომპიუტერს.

მინდა დავამატო რომ, ეს გამოცდილება არ არის რეკომენდებული ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მოწესრიგებული ქვედა ენერგეტიკული ცენტრები, რაც წარმოადგენს ფუნდამენტს ან საძირკველს ზედა ჩაკრების მუშაობისთვის.

მაგნიტური გვირგვინი - ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც ხდება მაღალინტელექტუალური იდეების წარმოქმნა და ასევე აზროვნების ძირითად პროცესებზე კონტროლი. ის არის ეთერული მატერიისგან შექმნილი მოწყობილობა, რომელიც განთავსებულია თავის ოდნავ ზემოთ, აქვს ე.წ. "ბუბლიკის" ფორმა და ტრიალებს. ის ბრუნავს სხვადასხვა სიჩქარით ან გაჩერებულია იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციის

გადამუშავების პროცესები მიმდინარეობს ადამიანში. რაც მეტია ფიქრის ინტენსივობა, მით უფრო სწრაფად იწყებს ტრიალს ეს მოწყობილობა. მაგნიტური გვირგვინი პირდაპირ არის შეერთებული ასტრალურ კომპიუტერულ სისტემასთან, კერძოდ გიდის კომპიუტერთან ისე, როგორც ჩვენს რეალობაში Wi–Fi ანტენა უკავშირდება მოდემს. მაგნიტურ გვირგვინში მიმდინარეობს ინტელექტუალური პროცესები, რაც დაკავშირებულია ახალ იდეებთან, შემოქმედებასთან, სულის მიერ დაგროვილ გამოცდილებასთან და სხვ. ყველაფერი, რაზეც ადამიანი ამბობს, რომ იდეა შთაგონება თუ ინფორმაცია ზემოდან მიიღო, მოდის ამ მაგნიტურ გვირგვინში არსებული ასტრალური კომპიუტერიდან, რომელიც გიდის განკარგულებაშია. ისევ მინდა შეგახსენოთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გიდი რაიმე სახით ერევა თქვენს გადაწყვეტილებაში ან ცხოვრებაში.

ასევე, მაგნიტური გვირგვინის დახმარებით გიდი ახორციელებს კონტროლს ადამიანში მიმდინარე

პროცესებზე იმისთვის, რომ ყველაფერმა გამართულად იმუშაოს.

სხვადასხვა მედიტაციით, კონცენტრაციით, მანტრების თუ ლოცვების გამეორებით, შესაძლებელია ჩაკრისთვის კიდევ უფრო მეტი დენის მიწოდება და მაგნიტური გვირგვინის კიდევ უფრო ჩქარა დატრიალება. სიჩქარე ზოგჯერ ისეთი მაღალია, რომ ის იწყებს ნათებას და იმ ადამიანებს, ვისაც სამყაროს აღქმის თუ დანახვის დიაპაზონი ოდნავ მეტი აქვს, მათთვის შეიძლება ეს მოწყობილობა ხილული გახდეს. სწორედ აქედან მოდის ლეგენდები შარავანდედზე, რომელიც ფრესკებზეც კი არის ასახული.

მინდა დავაზუსტო, რომ ტერმინი "მაგნიტური გვირგვინი"არის ჩემ მიერ წიგნის წერის პროცესში მოგონილი სიტყვა. იმიტომ, რომ ინტერნეტში ვერ მოვიძიე შესაბამისი ტერმინი შარავანდედის გარდა. ასე რომ, შეიძლება ლიტერატურაში ეს მოწყობილობა სხვა სახელითაც შეგხვდეთ.

შეიძლება დაგებადოთ კითხვა, რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი პროცესორი

და ადამიანს ყველა ამოცანა მისი დახმარებით გადაეწყვიტა? სინამდვილეში, ეს ყველაფერი ენერგიის დაზოგვასთანაც არის კავშირში. რაც უფრო რთული, ინტელექტუალური ან მაღალფარდოვანი ფიქრების გადამუშავება მიმდინარეობს ადამიანში, მით უმეტეს, სადაც ჩართულია ვიზუალიზაციაც, მით უფრო ზედა ჩაკრას იყენებს იგი, შესაბამისად მეტი დენი იხარჯება ამისთვის. ხოლო, რაც უფრო პრიმიტიულ ინფორმაციას გადაამუშავებს, მაგალითად, ჩავიყარო თუ არა ჩაიში შაქარი, მით ქვედა ჩაკრებია მოქმედებაში და შესაბამისად ნაკლები ენერგიაც იწვება. თუ ისევ ანალოგს მოვიყვანთ ჩვენი რეალობიდან, იმისთვის, რომ გამოვიანგარიშოთ თუ რამდენია ორს პლუს სამი, ამისთვის ხომ არ დავიხმარებთ სუპერ ძლიერ კომპიუტერს, არამედ კალკულატორიც საკმარისი იქნება. წიგნის შინაარსზე ფიქრის და წერის პროცესის შემდეგ მე ყოველთვის ვგრძნობდი დაღლილობას და სულ მეძინებოდა. ბოლოს გადავწყვიტე გამერკვია, თუ რატომ ხდებოდა ეს და მაღალგანვითარებულმა არსებებმა შემატყობინეს, რომ წიგნის თემებზე

ფიქრის და დამუშავების მომენტში ვიბრაცია მეწეოდა ზემოთ, ვიყენებდი ზედა ჩაკრებს და ავტომატურად მათთან დაკავშირებას ვცდილობდი, რაც მეტ ენერგიას მოითხოვდა. შემდეგ შევამჩნიე, რომ იგივე მემართებოდა ხატვის დროსაც.

მატერიის ვიბრაცია - ეს არის ანალოგი იმისა, როდესაც კომპიუტერი მაღალ სიხშირეზე მუშაობს, ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარე მატულობს და შესაბამისად, მისი შესაძლებლობები იზრდება. ეს, რა თქმა უნდა, მეტ ენერგიასაც მოითხოვს. როდესაც ადამიანი დაკავებულია მედიტაციით, ლოცვით ან იმყოფება ისეთ შენობაში, რომელიც კონსტრუირებულია ადამიანის ვიბრაციის აწევაზე (მაგალითად ტაძარი, პირამიდა თუ დოლმენი). მას ენერგია უფრო სწრაფად ეხარჯება და ზოგჯერ ის იწყებს მთქნარებას ან ეძინება. ადამიანის ვიბრაცია დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის კვებაზე, რეჟიმზე, საქმიანობასა თუ შინაგან მდგომარეობაზე. სხეულის ვიბრაციის აწევის მნიშვნელობაზე ჩვენ უფრო ვრცლად შემდეგ წიგნში ვისაუბრებთ.

ახლა კი, მოდით შევაჯამოთ განხილული ინფორმაცია და მოვიყვანოთ მაგალითი, თუ როგორ მუშაობენ ეს მოწყობილობები ერთად. თუ ადამიანი თითზე შეგეხებათ, ნერვული დაბოლოებები, ნერვული არხების დახმარებით, ზურგის ტვინს ინფორმაციას გადასცემენ. ზურგის ტვინი, თავის მხრივ, დაამუშავებს ამ ინფორმაციას. კერძოდ, შემდეგ პარამეტრებს: თუ რა ძალით იყო შეხება, რა ინტენსიურობით და ა.შ. თავის მხრივ, ის გადამუშავებულ ინფორმაციას გადასცემს ტვინს, ხოლო ტვინი მოითხოვს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რეაქცია ჰქონდეს მაგნიტური ცენტრებიდან, საიდანაც, თავის მხრივ, დაბრუნებულ ინფორმაციას გადასცემს სხეულის შესაბამის ნაწილს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა მოიმოქმედოს სხეულმა, იქნება ეს ხელის გაწევა თუ სხვა მოქმედება.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ დაჯექით მანქანაში, საჭესთან და თქვენი თვალები და სხეულის ნერვული სისტემა გადასცემს ტვინს, რომ საჭესთან ზიხართ. ტვინი დაუკავშირდება შესაბამის ენერგეტიკულ ცენტრს

(ჩაკრას), მოითხოვს ტარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და პარამეტრებს, თუმცა თუ თქვენ იქ ჩაწერილი მსგავსი არაფერი გაქვთ, იქიდან არ მოვა ინფორმაცია და უბრალოდ ვერაფერს მოიმოქმედებთ.

როგორც ხედავთ, ადამიანი საკმაოდ კომპიუტერიზებულია. სწორედ ამიტომაა ჩვენი, ადამიანის შეცვლა ასეთი ძნელი. მას უჭირს თავის თავის გადაპროგრამირება და იმ ჩანაწერების წაშლა, რაც შეიძლება თვითონაც არ ჭირდებოდეს ან არ უნდოდეს. ამიტომ ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ სხვა ადამიანები მივიღოთ ისეთები, როგორებიც არიან. ეს ეხება როგორც სხვას ასევე ჩვენს თავსაც. ჩემს მიერ ადამიანის აგებულების დახასიათების ამ წიგნში ჩართვის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს იყო.

და ბოლოს, მინდა დავამატო შემდეგი რამ: თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ადამიანი ევოლუციის, ბუნებრივი გზით შეიქმნა, ეს იგივე იქნებოდა გვეთქვა, რომ ლეპტოპი ან სარეცხის მანქანა ბუნებრივად, ევოლუციის საფუძველზეა შექმნილი. მაგრამ იმის გამო, რომ კაცობრიობის არსებობის ამ ეტაპზე

გადაწყვეტილია, რომ ადამიანებისთვის ამის შესახებ მასიურად არ იყოს ცნობილი, მეცნიერების დახმარებით დანერგილ იქნა თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანი თითქოს დედამიწის ევოლუციის გზით შეიქმნა. თუმცა ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერები სულელები არიან.

ადამიანის ტექნიკური მომსახურება

როგორც ყველა მექანიზმს, დედამიწაზე თუ მის გარეთ, ისე ადამიანსაც სჭირდება ტექნიკური მომსახურება და ეს გიდის სამუშაოს ძირითადი ნაწილია. აქ მოვიყვან ამ სამუშაოების მცირე ჩამონათვალს. რა თქმა უნდა, მაქსიმალური ოპერაციები არის ავტომატური, იმის გამოკლებით, რაც საჭიროებს ინტელექტუალურ ფაქტორს და მანქანას არ შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს.

სიმართლე რომ გითხრათ, მე ძალიან მეცინება, ალბათ თქვენც, იმ შედარებებზე, რომელიც ამ წიგნში მომყავს, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ახლა წაიკითხავთ. ადამიანი

იტენება დენით, დაახლოებით ისე, როგორც ვტენით მობილურს. გიდი დატენვაზე უშვებს ადამიანს მთელი ღამის განმავლობაში. თუ ადამიანის ბატარეა დაჯდა დღისით, მაშინ ის გრძნობს, რომ ეძინება და ამ დროს გიდის კომპიუტერიდან ჩქარი დატენვით იტენება. თქვენ შეიძლება გიგრძნიათ კიდეც, როდესაც დღისით ჩათვლიმეთ და მომენტალურად მოგივიდათ ენერგია. ტექნიკურად ეს რა თქმა უნდა, ხდება ასტრალურ სამყაროში არსებული კომპიუტერის დახმარებით, რომელზეც ყველა ადამიანი არის შეერთებული, ჩაკრების გავლით, ავტომატურად და გიდის მეთვალყურეობის ქვეშ. გამოუძინებელი ადამიანი, ეს არის ანალოგი იმისა, როდესაც დაუტენავი მობილური გვაქვს.

იმის გამო, რომ კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც მე ამ წიგნს ვწერ, არამატერიალური სამყარო არ არის გამოკვლეული. ფართო მასებში დანერგილია ვერსია, თითქოს ადამიანი ენერგიას საკვებიდან იღებს. თუმცა, ალბათ თავადაც შეამჩნევდით, რომ ადამიანს ენერგია ძილის დროს უფრო ემატება, ვიდრე

კვებისას. და პირიქით, საკვების გადამუშავებაზე მიდის გარკვეული რაოდენობით ენერგია. ასევე მას ფიზიკურად არ გააჩნია ისეთი ორგანო, რომელშიც მოხდება საკვებიდან ენერგიის მიღება და არც ამ ენერგიის შენახვა. საჭმლიდან ადამიანი იღებს იმ ნივთიერებებს და ვიტამინებს, რაც აუცილებელია ფიზიკური სხეულის ფუნქციონირებისთვის.

თუ თქვენ გქონიათ კომპიუტერთან შეხება, გეცოდინებათ, რომ მუშაობის დროს გროვდება ბევრი არასაჭირო დროებითი ფაილი. ეს შეიძლება იყოს ფაილები, რომლებიც დესკტოპზე, შესაბამის საქაღალდეებში თუ პროგრამულ, დროებით ფაილებში გროვდება. ეს ხდება იმიტომ, რომ კომპიუტერმა თვითონ არ იცის თუ რომელ დროებით ფაილს გამოიყენებთ მომავალში და რომელს არა. მაგალითისთვის მას არ შეუძლია ავტომატურად წაშალოს ყველა ფაილი, რომელიც დესკტოპზე გიდევთ. იგივე პრინციპით მუშაობს მაგნიტური გვირგვინი, რომელიც აგენერირებს ჩვენს აზრებს. ამიტომ, როდესაც ადამიანს სძინავს, გიდი თავისი

კომპიუტერიდან უძღვება ამ გადახარისხების პროცესს, როდესაც ამის საჭიროება არსებობს.

მაგალითად, თქვენ ერთ დღეს თანაბარი მონდომებით ისურვეთ ორი სურვილი. პირველი იყო გეჭამათ ნაყინი, მეორე - წამოგეწყოთ ახალი ბიზნესი. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ორივე სურვილი ადამიანის მხრიდან თანაბარი მნიშვნელობის ქმედებაა, კომპიუტერს გაუჭირდება თვითონ გადაწყვიტოს, თუ რომელი წაშალოს და რომელი არა. საბოლოოდ, თქვენ დილით გაიღვიძებთ და ნაყინის იდეა შეიძლება არც გახსოვდეთ და ბიზნეს იდეა შეიძლება უფრო მკაფიო ან ხორცშესხმულ იდეად წარმოგიდგეთ.

ჩვენ დილით ვიღვიძებთ და თავში ყველა აზრი გვაქვს დალაგებულ, დახარისხებულ და განახლებულ მდგომარეობაში. ეს ღამის დალაგების და დახარისხების პროცესი ასე რომ არ იყოს, მაშინ დილით გავიღვიძებდით და მენტალური მდგომარეობა გვექნებოდა ზუსტად ისეთი, როგორიც დაძინების მომენტში გვქონდა.

სხეულთა ნაირსახეობა სამყაროში

როგორც უკვე ვთქვით, სხეული, იქნება ეს ფიზიკური თუ სხვა უფრო ფაქიზ მატერიისგან შექმნილი, არის როგორც სკაფანდრი სულისთვის. ისევე როგორც კომპიუტერებში ან მობილურებში არის სხვაობა ტექნიკურ მახასიათებლებსა თუ მონაცემთა გადამუშავების სიჩქარეში, ისე სხვადასხვა სხეულებიც განსხვავდებიან ტექნიკური მონაცემებით. რაც უფრო მაღალ სიმკვრივეში ავდივართ, მით უფრო მაღალ ტექნოლოგიური სხეულები გვხდება და მათი სიმძლავრე და სიხშირე უფრო და უფრო მატულობს. აქედან გამომდინარე, მაღალი სიმკვრივის არსებებს შეუძლიათ დიდი ინფორმაციის ერთდროულად გადამუშავება, ბევრ საკითხზე ერთდროულად ფიქრი და გადაწყვეტა. პრინციპი აქ შემდეგში მდგომარეობს: რაც უფრო მაღალ განვითარებულია სული, მით უფრო ირგებს მის შესაბამის, უფრო მეტად განვითარებულ და ძლიერ სხეულს, მაგრამ თუ იგივე ზე-განვითარებული სული ჩავა დაბალ ვიბრაციულ

სხეულში, მისი აზროვნების შესაძლებლობები დაიკლებს.

ადამიანის სხეულიც, ჩვენი ისტორიის განმავლობაში, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა სიხშირეზე მუშაობდა. მაგალითად, ჩვენი წინა ცივილიზაცია, რომელსაც ატლანტიდა ერქვა, დღევანდელთან შედარებით იყო ტექნიკურად ბევრად უფრო განვითარებული. იმ ცივილიზაციის გადმოსახედიდან, დღევანდელი კომპიუტერი არის დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენი გადმოსახედიდან ძველი, მექანიკური, საბეჭდი მანქანა. ამის გარდა, მაშინდელი სხეულები უფრო მაღალ ვიბრაციაზე არსებობდნენ და უფრო მეტი ინფორმაციის გადამუშავება შეეძლოთ. სხვა სიტყვებით, მაშინ ადამიანის აზროვნების კომპიუტერი იყო უფრო ძლიერი, ვიდრე ახლა. იმ დროინდელი შენახული ინფორმაცია, რომელიც ატლანტიდელებმა შემოინახეს მომავალი თაობებისთვის, დღესაც არსებობს პირამიდებში, დოლმენებსა თუ სხვა ნაგებობებში, მაგრამ დღეს ადამიანის გონება არ არის განვითარებული იმ

დონეზე, რომ შეძლოს ასეთი დიდი ინფორმაციის მიღება და წაკითხვა. მაგალითად, თუ დღევანდელი ადამიანი შევა იმ შენობაში, სადაც ეს ინფორმაცია არის შენახული, ის გონებას დაკარგავს. დაახლოებით ისე, როგორც სუსტ კომპიუტერში დისკი რომ ჩადოთ და გახსნათ 3-დე ზე მომუშავე აპლიკაცია, თუმცა ეს სუსტი კომპიუტერი უბრალოდ ვერ შეძლებს ამ ინფორმაციის წაკითხვას და გაიჭედება. ხოლო, იმდროინდელი ადამიანი ამ ნაგებობაში შესვლის დროს ჩვეულებრივად, ტელეპათიურად მიიღებს იქ არსებულ იმ ინფორმაციას. მისთვის ეს იქნება ზუსტად ისეთი მოქმედება, როგორც ჩვენტვის კომპიუტერთან მუშაობა.

ადამიანის წარმოშობის ისტორია

ის მექანიზმი, რასაც ადამიანი ჰქვია, რომლის ტექნიკური აგებულება აღვწერეთ წინა თავებში, შექმნილია ღმერთისა და მისი გუნდის, მაღალი სიმკვრივის არსებების ხელმძღვანელობით მილიონობით წლის წინ. ეს არ მომხდარა კონკრეტულად დედამიწაზე, ისევე როგორც სარეცხის მანქანა, რომელიც ყველას გვაქვს სახლში, კონკრეტულად ჩვენ ბინაში და მარტო ჩვენთვის არ შექმნიდნენ მექანიკოსები. ადამიანი შეიქმნა სპეციალურ ქარხნებსა თუ ლაბორატორიებში, უკვე არსებული სქემების და მათი მოდიფიკაციის საფუძველზე. ამ პროცესს ჩვენს რეალობაში გენურ ინჟინერიას უწოდებენ. პირველად, ადამიანი როგორც მექანიზმი ისე დაინერგა და დაიტესტა ლირა/ვეგა თანავარსკვლავედის სისტემის ერთ-ერთ

პლანეტაზე. ღმერთის თავდაპირველი ჩანაფიქრი იყო შეექმნა სუპერ-სხეული, რომელიც მისთვის იქნებოდა დასაყრდენი დაბალი და მაღალი სიმკვრივის სამყაროებისთვის. მასში ჩაიდო თორმეტივე სიმკვრივის სამყაროში არსებობის შესაძლებლობა. დაახლოებით ისე, ინჟინრებმა ეგზოტიკური, ძვირადღირებული ავტომანქანა რომ შექმნან, რომელშიც ჩადონ თითქმის ყველა ფუნქცია იმისთვის, რომ შესძლებოდა ყველა გარემოში ფუნქციონირება. საბოლოო ჯამში, ცივილიზაციების ცვლილებების და უამრავი მოვლენის შემდეგ მოხდა ადამიანის დნმ-ის ნელ-ნელა გავრცელება ასზე მეტ, სხვადასხვა მზის სისტემაში არსებულ პლანეტებზე. ამ ხნის განმავლობაში ადამიანმა განიცადა ბევრი სხვადასხვა შეჯვარება და სახეცვლილება მის დნმ-ში და საბოლოოდ, ჩვენს შემთხვევაში, ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორიც დღეს გვაქვს.

ადამიანის ქარხნული, თავდაპირველი ვერსიის შესაძლებლობები იყო ძალიან მაღალი, მას შეეძლო სხვადასხვა სიმკვრივეებში გადასვლა, ტრანსფორმაცია, ჩქარი გადაადგილება, ფრენა,

ტელეპორტაცია და სხვ. თქვენ ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა, რა მოხდება თუ ჩვენ გავააქტიურებთ ყველა იმ ფუნქციას, რაც ქარხნული წესით მოჰყვებოდა ადამიანს. აბა, როგორ წარმოგიდგენიათ მფრინავი ადამიანები დღეს? ბებია, რომელიც სუპერმარკეტში პურის საყიდლად პირდაპირ ფანჯრიდან გაფრინდება. დღეს ეს დაახლოებით იმის ტოლფასია, რომ საბავშვო ბაღში ბავშვებს ჩავაბაროთ მანქანები, თვითმფრინავები, ვერტმფრენები და წარმატება ვუსურვოთ ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაში. თუმცა ადამიანის შესაძლებლობების მომატება ახალ ერასთან დაკავშირებით, მოხდება თანდათანობით და ეს პროცესი ისედაც დაწყებულია, რაც შესამჩნევია თუ სხვადასხვა თაობის ადამიანების შესაძლებლობებს შევადარებთ.

ჩვენი მზის სისტემის და დედამიწის ისტორია

პირველი პლანეტა ჩვენს მზის სისტემაში, სადაც ცივილიზაცია არსებობდა, არის პლანეტა ვენერა. ის იყო უფრო მაღალ ვიბრაციაზე, ხოლო მის ბინადრებს წარმოადგენდნენ ამაღლებული დახვეწილი არსებები, რომელთა განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახლდათ მუსიკა. მითებმა და ლეგენდებმა ამ რასაზე ჩვენამდეც მოაღწიეს. ვიზუალურად მათ გამოსახავენ როგორც თეთრ ტანსაცმელში ჩაცმული მეუფეებს, რომლებიც არფაზე და სხვა ინსტრუმენტებზე უკრავენ. გარკვეული, დიდი პერიოდი ამ სამყაროში არ არსებობდა დაპირისპირება ან ძალადობა. შემდგომ, ცივილიზაციამ გადაინაცვლა პლანეტაზე სახელად მალდეკი, იგივე ფაეტონი (ინტ. იხ. Maldek / Phaeton). საბოლოო ჯამში, ამ ცივილიზაციაში წარმოიქმნა ორი დაპირისპირებული მხარე, რომელიც ფლობდა მძლავრ ატომურ იარაღს. მოხდა

ისე, რომ ერთ-ერთ მხარეს აუფეთქდა ატომური იარაღის საწყობი, რამაც მთელი პლანეტა ნამსხვრევებად აქცია. დღეს მის ადგილზე არის ასტეროიდების სარტყელი, რომელიც ცაზე ტელესკოპით მოჩანს. ამის შემდეგ, სულები, რომლებიც პლანეტის და სხეულების გარეშე დარჩნენ, გადაასახლეს და მათ შექმნეს ცივილიზაცია მარსზე. ამ პლანეტაზე არსებობის ფინალი იყო ქიმიური ომი, რასაც მოყვა გარემოსა და ჰაერის იმდენად მოწამვლა, რომ ხალხს მოუწია მიწაში დასახლებების შექმნა და იქ გადასახლება. საბოლოოდ, ყველა სული, რომელიც ინკარნირდებოდა მარსზე, გადმოვიდა დედამიწაზე.

ახლა კი გადმოვინაცვლოთ ჩვენს პლანეტაზე. დედამიწის ნამდვილი სახელია გაია. ამ სახელით არის ცნობილი ეს პლანეტა კოსმიურ სამყაროში. გაია შეიქმნა დაახლოებით 4,5 მილიარდი წლის წინ, ხოლო ცოცხალი ორგანიზმები მასზე გაჩნდა მილიონობით წლის წინ.

დიდი ხნის განმავლობაში, დედამიწა იყო სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის სატესტო ლაბორატორია.

პრაქტიკაში ეს დაახლობით ასე გამოიყურებოდა: წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვართ სხვა პლანეტის ბინადრები და ჩვენი პლანეტისთვის გვინდა შევქმნათ ხოჭო. სპეციალისტები ამ ხოჭოს შექმნიან როგორც მექანიზმს, ხოლო შემდეგჩვენ წავიღებთ მას და ჩავაგდებთ დედამიწაზე და დავაკვირდებით, თუ როგორ განვითარდება, რა ნაკლოვანებები აღმოაჩნდება ან რა მუტაციას განიცდის.

საბოლოოდ, დედამიწაზე იმ პერიოდში ბინადრობდნენ წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის ეგზოტიკური, სხვადასხვა ტიპის/ჯიშის ცხოველები, თუ სხვა ორგანიზმები. სწორედ ეს არის მიზეზი დღეს ჩვენს რეალობაში არსებული ფლორა და ფაუნის დიდი მრავალფეროვნებისა. შედარებისთვის, სხვა მსგავს პლანეტებზე ერთი ტიპის ცხოველებში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ჯიში გვხვდება.

ჰუმანოიდების მსგავსი არსებები დედამიწაზე გაჩნდნენ, პლეადელების (ინტ-ში იხ: Pleiadians) ორგანიზებითა და ინიციატივით. ამ პროცესებში, პლეადელების გარდა, მონაწილეობდა და დღესაც მონაწილეობს არაერთი კოსმიური ოჯახი და

განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი არსება, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ბინადრობენ ჩვენი გალაქტიკის სექტორში არსებულ მეზობელ თანავარსკვლავედებზე. მრავალი მილიონი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ფორმით, დედამიწაზე არსებობდა ბევრი რასა და დაფიქსირდა უამრავი მოვლენა. თუმცა თუ ჩვენ უახლოეს ისტორიას მაქსიმალურად გავამარტივებთ, ის შეგვიძლია დავყოთ შემდეგი ცივილიზაციების სახით: პანგეა, ლემურია, ატლანტიდა და ახლანდელი ცივილიზაცია.

დღესდღეობით, ჩვენს მზის სისტემაში ადამიანები ბინადრობენ მხოლოდ დედამიწაზე. ჩვენს მზის სისტემაში არსებულ სხვა პლანეტებზე არიან მხოლოდ ისეთი არსებები, რომლებსაც ძირითადად ეთერული სხეულები გააჩნიათ და მათი საქმიანობა მეტწილად დედამიწასა და ჩვენს ცივილიზაციას უკავშირდება. დაახლოებით ისე, რაიმე ქარხანა და მის გარშემო დასახლებები რომ წარმოვიდგინოთ, ხოლო ამ დასახლებების მაცხოვრებელთა უმეტესობა ამ ქარხანაში რომ მუშაობდეს. ამის გარდა,

დედამიწაზე, მთვარეზე, სხვა პლანეტებზე და დედამიწის გარშემო განლაგებულია სინათლის გალაქტიკური კონფედერაციის და სხვა კოსმიური ოჯახის ბაზები, მათ შორის მინუს სამყაროებიდან.

სინათლე და სიბნელე ჩვენს სამყაროში

იმისთვის, რომ გავერკვეთ, თუ რა ხდება დღეს სამყაროში კოსმიური მასშტაბით, პოლიტიკის თემას ვერ ავცდებით. თუ ადამიანს აინტერესებს გაიგოს რა ხდება სამყაროში, ის ზედაპირულად მაინც უნდა ერკვეოდეს პოლიტიკაში. საბოლოო ჯამში, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით მათერიალური თუ სიმკვრივით მასთან მიახლობულ სამყაროები, შედგება პოლიტიკისა და ბიზნესისგან, როგორც ეს დედამიწაზეა.

როდესაც ღმერთმა შექმნა ის დიდი სამყარო, სადაც ჩვენ ვიმყოფებით (აქ იგულისხმება არა მხოლოდ დედამიწა, არამედ მთელი სამყარო) მისი თავდაპირველი ჩანაფიქრი იყო შეეცნო დუალიზმი. მან შექმნა ექსპერიმენტული სამყარო, რომელიც ძირითადად ეფუძნება კეთილი ნების პრინციპს. არსებობენ სხვა სამყაროებიც, რომლებიც თუნდაც

ჩვენი კონკრეტული ღმერთის ან სხვა ღმერთების დაქვემდებარებაშია და მათ სხვა ძირითადი კანონები აქვთ. კეთილი ნების სისტემის მოკლე განმარტება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: სულებს აქვთ უფლება იცხოვრონ იმ წესებით, რომლებსაც თვითონ დაადგენენ ან თუნდაც წესების გარეშე, იმ საერთო კარმული პრინციპების გათვალისწინებით, რაც ღმერთმა თავიდანვე დაადგინა. თუმცა ამას არ აქვს ბევრი საერთო იმ წარმოდგენასთან, თითქოს ამ პრინციპიდან გამომდინარე, რაც მოგვესურვება ის უნდა ვაკეთოთ, როგორც დღეს დედამიწაზე შეიძლება ბევრმა ადამიანმა იფიქროს. სინამდვილეში, სწორედ კეთილი ნების პრინციპმა მოიტანა კაცობრიობისთვის დიდი უბედურება და ტანჯვა.

სამყარო რომლის ძალიან პატარა ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ არის ძალიან მრავალ ფეროვანი, არსებობს უამრავი ცივილიზაცია, კოსმიური გაერთიანება თუ იერარქია. თუმცა კეთილი ნების პრინციპის პირობებში საბოლოო ჯამში სამყაროში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი გაერთიანება

რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სინათლე და სიბნელე ან ნეგატიური და პოზიტიური. თუმცა სინამდვილეში, ეს უბრალოდ ორი მსოფლმხედველობის და ორი სხვადასხვა ფასეულობის კრებულზე დაფუძნებული ორი სამყაროა. როგორც ჩვენთან დედამიწაზე არსებობს ბევრი ქვეყანა მაგრამ საბოლოო ჯამში ფასეულობების მიხედვით ისინი ორ დიდ ბანაკს წარმოადგენენ. თუ ძალიან გავამარტივებთ, სამყაროში არსებულმა სულების ნაწილმა ისურვა განვითარებულიყო ღმერთის მიერ შემოთავაზებული სისტემით. ხოლო მეორე ნაწილმა ისურვა განვითარება იმ სისტემით, რომელიც თავად სურდა ან საერთოდ სისტემის გარეშე. რა თქმა უნდა, იქ, სადაც სისტემა არ არის და უბრალოდ ძლიერი იმარჯვებს სუსტზე, საბოლოოდ არის ერთი გამარჯვებული, რომელიც მთელ ძალაუფლებას იღებს საკუთარ ხელში და უკვე ის ერთი ადგენს იმ სისტემას, რომელსაც თვითონ გადაწყვეტს.

როგორც წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, დედამიწა ასევე არის ექსპერიმენტული, თავისუფალ ნების

სისტემაზე აგებული პლანეტა. ფაქტობრივად გამოდის, რომ დედამიწა წარმოადგენს დიდი ექსპერიმენტის შიგნით არსებულ პატარა ექსპერიმენტს. ამიტომ ისევე როგორც დიდ ექსპერიმენტში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება, რომლებშიც სულებმა მოისურვეს არსებობა (ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორი ფასეულობისკენ სწრაფვა), ისე დედამიწაზეც ანალოგიურად წარმოიქმნა ორი საპირისპირო ფასეულობების მქონე გაერთიანება. სინამდვილეში, სწორედ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია დედამიწაზე არის ასლი ან მინიატიურული ვერსია იმისა, რაცა მთლიანად სამყაროში ხდება. ამიტომ დედამიწაზე არსებული პოლიტიკურ/ეკონომიკური სიტუაციის ზედაპირული ცოდნა მოგვცემს საშუალებას გავიაზროთ, თუ რა ხდება მთლიანად სამყაროში.

ასე და ამგვარად, დედამიწის, როგორც ექსპერიმენტის ფარგლებში, წარმოიქმნა სისტემა, რომელიც დემოკრატიული ფასეულობებისკენ ისწრაფვის და ამ სისტემის სათავეს წარმოადგენს

ამერიკის და ევროპის ქვეყნები, რომელსაც შეიძლება დავარქვათ პოზიტიური მხარე ან პლუს სისტემა. ხოლო ამის საპირისპიროდ დედამიწაზე წარმოიქმნა მისი საპირისპირო მხარე, რომელსაც დედამიწაზე ოფიციალური სახელი არ გააჩნია, თუმცა პირობითად მას შეიძლება ვუწოდოთ ავტოკრატიული / დიქტატორული / კლანური სისტემა, რაც კოსმიური მასშტაბით არის ანალოგი იმისა, რასაც ნეგატიურ მხარედ ან მინუს სისტემად მოიხსენიებენ.

კოსმიური მასშტაბით, ამ ორი მხარის დაპირისპირება შეიძლება შევადაროთ ცივ ომს, როგორც ერთ დროს დედამიწაზე მიმდინარეობდა ცივი ომი ორ დიდ ქვეყანას და სისტემას შორის, ამერიკის (პოზიტიური მხარე) და რუსეთის (ნეგატიური მხარე) სახით, რაც ახლაც გრძელდება. ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: არასდროს უნდა ვიფიქროთ, რომ არსებები, რომლებიც ნეგატიურ სისტემას ემსახურებიან, არიან ნეგატიურები ან ბოროტები. ისევე როგორც ადამიანი, რომელიც ცხოვრობს დიქტატორული მმართველობის ქვეყნაში,

არ შეიძლება ჩაითვალოს ნეგატიურ პიროვნებად. დედამიწის შემთხვევაში, უბრალოდ ქვეყანაში ხან ერთი ძალა იმაჯვებს, ხან მეორე. თუმცა კოსმიური მასშტაბით, ნეგატიურ სამყაროში რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთი კოსმიური დაჯგუფებები, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიითა და სისასტიკით გამოირჩევიან, როგორც ჩვენ სამყაროში დიქტატორული მმართველობის სამყაროში არიან ტერორისტები, დამპყრობლები და სხვა.

ასეა თუ ისე, დედამიწაზე არსებული სიტუაცია სულს აძლევს საშუალებას გაეცნოს იმ ფასეულობებს, საითკენაც ეს ორი მხარე ისწრაფვის. მას აქვს საშუალება დაიბადოს დემოკრატიულ ფასეულობებზე აგებულ სისტემაში და ასევე ავტოკრატიული / კლანური / ოლიგარქიული / დიქტატორული მმართველობის სისტემაში, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი მიმართულებით სურს განვითარება და საბოლოოდ, შესაძლოა დედამიწიდან ის მოხვდეს იმ სამყაროში, რომლის ფასეულობები მისთვის უფრო შესაფერისია. გასათვალისწინებელია ის პრინციპიც, რომ ბნელი

მხარე თავის თავს, ბნელს რა თქმა უნდა, არ უწოდებს. ეს სინათლის გადმოსახედიდან არის ის ბნელი. შესაბამისად, არც დედამიწაზე არსებული ქვეყნები, რომლებიც ავტოკრატიული / კლანური / ოლიგარქიული / დიქტატორული სისტემით ვითარდებიან, არ აღიქვამენ თავიანთ თავს ბნელ მხარედ. ეს მხოლოდ დემოკრატიული სისტემის გადმოსახედიდან ჩანს ასე. ასევე, მეთოდები, რომლებითაც მოქმედებენ ეგრეთ წოდებული მინუს მიმართულების სახელმწიფოები, მიუღებელი, თუმცა ეს მხოლოდ "პლუს" სახელმწიფოებიდან გადმოსახედიდან. ხოლო მინუს სისტემების თვალთახედვით, მათ ქმედებებში დასაძრახი არაფერია და პირიქით, ისინი პლუს სახელმწიფოებს თავად მიიჩნევენ მიუღებელ სისტემებად.

ის ლეგენდები, რაც უკავშირდება სინათლის და სიბნელის ბრძოლას კოსმიური მასშტაბით, არის ის დრამა, რომელიც ძირითადად ვითარდება მესამე და მეოთხე სიმკვრივის მატერიალურ სამყაროში. ზედა, მაღალი სიმკვრივის სამყაროებში ასეთი სახით დუალიზმი აღარ არსებობს, თუმცა მაღალ

სიმკვრივეში მყოფი არსებები იქიდან ცდილობენ თავისი პოლიტიკის გატარებას ქვედა მატერიალურ სამყაროებში. ფაქტობრივად, მათი ფრონტის ხაზი გადის ქვედა, მესამე და მეოთხე სერვერზე მდებარე მატერიალურ სამყაროებში. რაც შეეხება დედამიწას, თავისუფალი ნების პრინციპიდან გამომდინარე, აქ ორივე მხარეა წარმოდგენილი - ნათელიც და ბნელიც, თუმცა ამ სამყაროში არსებობა და მოქმედება ხდება მხოლოდ ღმერთის და მისი გუნდის მიერ დადგენილი კანონების გათვალისწინებით. კონკრეტულად დედამიწა და მზის სისტემა ეკუთვნის პლეადის სისტემას და ის ოფიციალურად ღმერთისა და მისი გუნდის დაქვემდებარებაშია. როგორც უკვე ვთქვით, დედამიწა არის ექსპერიმენტული პლანეტა და მინუს სისტემაც არის ერთგვარი მონაწილე ამ ექსპერიმენტში. ბნელ მხარეს მყოფ არსებებს გარკვეულწილად აქვთ დედამიწაზე მოქმედების შესაძლებლობა, თუმცა ღმერთის კანონების გათვალისწინებით. თუ გადატანითი მნიშვნელობით ვიტყვით, დედამიწა არის ამ ორი სისტემის საზღვარზე და როგორც უკვე ვთქვით, მთავარი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა ან

ადამიანების ჯგუფმა თვითონ გადაწყვიტონ, თუ რომელ სისტემისკენ სურთ იარონ და განვითარდნენ.

ისევ თუ განვმეორდებით, რომელი ძალები მოიგებენ ან დაწინაურდებიან დედამიწაზე, ამას ვერავინ ვერ წყვეტს ადამიანების გარდა. როგორც ადამიანის ბედი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ისე კაცობრიობის ბედს მხოლოდ ადამიანების ერთობლიობა წყვეტს. ეს არის სწორედ კეთილი ნების პრინციპი, სადაც სიბნელესაც და სინათლესაც არსებობის შანსი ეძლევა და თუ რომელი დაწინაურდება ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, ვინც ამ თამაშში მონაწილეობს, ამ შემთხვევაში ადამიანები. ღმერთის მიერ დადგენილი ძირითადი კანონი რომელიც მოქმედებს დედამიწაზე, არის კაცობრიობის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. ის კრძალავს ნებისმიერი ძალების პირდაპირ და უხეშ ჩარევას ჩვენს მატერიალურ რეალობაში, გამონაკლისი მხოლოდ ატომური ომის საფრთხის შემთხვევაა და მსგავსი ჩარევა რამდენჯერმე უკვე განხორციელდა. თუმცა ამ ექსპერიმენტის პირობებში დაშვებულია ადამიანებსა და სხვა ძალებს

შორის კონტაქტი და ინფორმაციის გაცვლა ამის ერთერთი გზა არის ტექნიკა რომელსაც ჩენელინგს ეძახიან.

სამყაროების დახასიათბა

ახლა, გადავიდეთ ზემოთ მოყვანილი ორი სამყაროს, ეგრეთ წოდებული სინათლის და მინუს სამყაროების დახასიათებაზე. ამისთვის, მინდა შედარება კვლავ ჩვენ პლანეტასთან გავაკეთო: ისევე როგორც დემოკრატიულ ქვეყნებში სადაც ცხოვრების დონე მაღალია, მოხვედრა შეიძლება ადვილი არ იყოს და საჭიროებდეს ვიზას. ისე სინათლის სამყაროებში მოხვედრაც უფრო რთულია და სული უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს (თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სული რომ საბოლოოდ ღმერთის მიერ კონტროლირებად სინათლის სამყაროში მოხვდეს, ამას დაწვრილებით შემდეგ წიგნში განვიხილავთ). ხოლო დიქტატორულ ქვეყნებში მოხვედრა ადვილია, თუმცა იქიდან გამოსვლა უფრო ძნელი. შესაბამისად მინუს სამყაროდან გამოსვლა ძალიან ძნელია შეიძლება

ითქვას ზოგჯერ შეუძლებელიც, ხოლო სინათლიდან სიბნელისკენ გადასვლისთვის ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი საკმარისია.

მინუს სამყაროები წარმოადგენს ტექნოლოგიურად მაღალ დონეზე მყოფ ცივილიზაციებს (ეს საერთოდ არ ნიშნავს რომ ტექნოლოგიები ცუდია). სინათლის სამყაროებიც მაღალ ტექნოლოგიურია უბრალოდ მინუს სამყაროები აქცენტს უფრო ტექნოლოგიებზე აკეთებენ.

სინათლის სამყაროში არის დიდი ერთიანობა, და სუფევს დიდი სიყვარული. გამოთქმა "ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის" კარგად მიესადაგება იქ არსებობის პრინციპს. ამ სამყაროში სულები ვითარდებიან, სიყვარულით, სიკეთით, შემწყნარებლობით, სიხარულით და სხვა. ამ სამყაროში ყველა სული შეერთებულია ღმერთის საინფორმაციო ბაზებთან ან ხელოვნურ ინტელექტთან, იმ სისტემით რაც უკვე განვიხილეთ თავში სიმკვრივე თორმეტი სერვერი, უმეტესობა ვინც ამ წიგნს კითხულობს სწორედ ამ სამყაროს მიეკუთვნება. თუ დედამიწაზე ყველანაირი ტიპის

სულია თავმოყრილი სინათლის სამყაროში, ყველა სული თქვენნაირია. ხოლო მინუს სამყაროში სინათლის არსებას საერთოდ ვერ შეხვდებით, თუმცა მაღალ განვითარებული და ჭკვიანი სულები რა თქმა უნდა ორივე სამყაროშია უხვად არის.

რაც შეეხება მართვის სტრუქტურებს. ორივე სამყაროს აქვს იერარქიული სტრუქტურა, სადაც ერთი სულის თუ არსების ზემოთ ყოველთვის ვიღაც დგას. სინათლის სამყაროებში მოქმედებს მკაცრი კარმული კანონები, ერთი არასწორი ნაბიჯი და კარმა თავზე დაატყდება სულს, იმის და მიუხედავად რა დამსახურებაა აქვს მას. თუმცა მეტია არჩევანის გაკეთების თავისუფლება, რაც აძლევს სულს განვითარდეს იმ მიმართულებით რაც სურს. მინუს სამყაროებში არ არის კარმა, როგორც ჩვენ გვაქვს დედამიწაზე ან სინათლის სამყაროშია, თუმცა არჩევანის გაკეთების საშუალებაც შეზღუდულია. თუ პარალელს ჩვენი რეალობიდან გავავლებთ, თუ სულს დაევალება გახდეს მაგალითად მწერალი მას აღარ ექნება არჩევანი იმისა, რომ გახდეს მაგალითად მომღერალი. არსებობს კიდევ შუალედური სამყარო,

რომელიც მინუს სამყაროდ განიხილება, თუმცა ღმერთის კონტროლირებად სამყაროს წარმოადგენს.

დედამიწის პოლიტიკური და ბიზნეს მოდელი

ღმერთის მიერ შექმნილი მთელი სამყარო არის სისტემატიზებული და სტრუქტურირებული. მიგდებული და უფუნქციო თითქმის არაფერია. თუ განვიხილავთ ჩვენს პლანეტას მხოლოდ ბიზნესის კუთხით, მივიღებთ შემდეგ ბიზნეს მოდელს: დედამიწამ უნდა შეინახოს თავისი თავი და უნდა მიიღოს მოგებაც. ადამიანებს, ცოცხალ ორგანიზმებსა თუ სულებს მიეწოდება დენი, ხოლო ადამიანებმა ამ დენის დახმარებით უნდა გამოიმუშაონ შესაბამისი ტიპის ენერგია, რომელიც კოსმოსში ფულის ერთეულია. ადამიანებისგან და დედამიწის ბინადრებისგან გამოყოფილმა შესაბამისმა ენერგიამ უნდა დაფაროს ის ხარჯები, რაც დედამიწის ინფრასტრუქტურის შესანარჩუნებლად იხარჯება. ხოლო დარჩენილი

მოგება მიდის დედამიწის ინვესტორებთან წილების მიხედვით. ასეთია იერარქიის კოსმიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ღმერთის მიერ კონტროლირებად სისტემას. ნაწილი მიედინება მინუს სამყაროში, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა მიდის მეწილეებთან, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა კოსმიურ ცივილიზაციასა თუ სისტემას. თუ ადამიანები აზიანებენ დედამიწის სტრუქტურას, ანაგვიანებენ ბუნებას, აბინძურებენ ატმოსფეროს და ვნებენ თავიან ორგანიზმს ან კიდევ სხვა რამეს, ამ ყველაფრის გამოსწორება მოითხოვს დამატებით ხარჯებს, რასაც იხდიან ისინი, ვინც ეს ხარჯები წარმოშვა, ანუ ადამიანები. ამიტომ, არსებული კარმული ალგორითმიდან გამომდინარე, ადამიანების მიმართ შეიძლება გატარდეს გარკვეული ღონისძიებები, რომ მათ უფრო მეტი ენერგია გამოყონ და დაფარონ დამატებითი დავალიანება, რაც შესაძლებელია პლანეტის გლობალურ პრობლემებში გამოიხატოს. ამ კარმული სისტემის მუშაობის პრინციპი განხილულია თავში: ქვეყნის და პლანეტის კარმული სისტემა.

სამთავრობო სტრუქტურები

დედამიწის, როგორც ექსპერიმენტის ხელმძღვანელი, არის ღმერთი და მისი გუნდი რომელსაც "იერარქია"-ს უწოდებენ. როგორც ჩვენ რეალობის მაგალითზე ქვეყნის პირველი ფიგურა - პრეზიდენტი, შემდეგ მოდიან მინისტრები და სხვადასხვა სამთავრობო თუ აღმასრულებელი სტრუქტურები. ეს სახელმწიფო სტრუქტურები თუ სამინისტროები დაახლოებით დაყოფილია იგივე სისტემით, როგორც ჩვენთან დედამიწაზე. მაგალითად, კარმის სამინისტრო, რომელიც მთელი პლანეტის, სახელმწიფოების, რასებისა თუ ადამიანების კარმულ საკითხებს ხელმძღვანელობენ. ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც დედამიწის საფარის სისტემებს, ბუნების ინფრასტრუქტურას თუ სხვა კომპონენტების შენარჩუნებას კურირებს. ასევე, სამედიცინო, საგანმანათლებლო, სამაშველო და მრავალი სხვა. დედამიწის მთავრობის სტრუქტურები თუ ოფისები განლაგებულია 5-7 სიმკვრივეებზე. ამ სამთავრობო სტრუქტურებში დასაქმებული არიან

სპეციალისტები, რომლებიც მოწვეულები არიან სხვადასხვა ჩვენი მსგავსი, თუმცა ჩვენზე ბევრად განვითარებული ცივილიზაციებიდან. მათ შორის როგორც ღმერთის კონტროლირებად, ასევე, უმეტესობა მინუს სამყაროებიდან. ბევრი მათგანი ძალიან ძველი არსებაა, რომელიც უკვე არსებობდა იქამდე, სანამ ადამიანი შეიქმნებოდა და მათ ჩვენ მსგავსი, დაბალ სიმკვრივეებში არსებობის მრავალ მილიონ წლიანი გამოცდილება გააჩნიათ. ასევე ამ სამინისტროებში, როგორც პრაქტიკანტები და გარკვეული სამუშაოს შემსრულებლები არიან დასაქმებული ჩვენი, ადამიანის სულები იმ პერიოდში, როდესაც სული ასტრალურ სამყაროში თავის ინკარნაციებს შორის პერიოდში იმყოფება.

ბიზნეს სექტორი

ახლა კი ჩავულრმავდეთ იმას, თუ რა ბიზნეს პრინციპები არსებობს თვითონ დედამიწის მატერიალურ თუ უფრო მაღალი სიმკვრივის შრეებში. თვალსაჩინოებისთვის მინდა მოვიყვანო ასეთი შედარება: წარმოვიდგინოთ, რომ გვსურს დავიწყოთ ბიზნეს საქმიანობა და ამ მიზნით დავაპირეთ კომპანიის დარეგისტრირება. ამისთვის დაგვჭირდება შესაბამის ადგილას მისვლა (ჩვენს შემთხვევაში, იუსტიციის სახლი) და ამ ბიზნესის დარეგისტრირება სისტემაში. მაგრამ, ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ტექნოლოგიები უფრო განვითარდა და სხვაგან მისვლა აღარ გვჭირდება. ჩანაწერი ჩვენი ბიზნესის შესახებ ავტომატურად ჩნდება, ჩვენი სურვილის თუ განზრახვის შესაბამისად. ასტრალური კომპიუტერის ხელოვნური ინტელექტის ალგორითმიც სწორედ ასე მუშაობს.

როგორც ჩვენ სამყაროში არსებობს მცირე თუ მსხვილი ბიზნესი, ანალოგიურად ასტრალურ სამყაროშიც არის მცირე და მსხვილი ეგრეგორული

გაერთიანებები. მცირე ბიზნესის, ანუ ეგრეგორის უკან შეიძლება ერთი არსება იდგეს, თუმცა ისევე როგორც ჩვენთან, დიდ კორპორაციებში არსებობენ დამფუძნებლები, დირექტორები თუ თანამშრომლები, ისე დიდი ეგრეგორების უკან შეიძლება იდგნენ მსგავსი სტრუქტურები და არსებები.

(მინდა შეგახსენოთ, რომ სინამდვილეში სიტყვა "ეგრეგორი", ნიშნავს აზრ-ფორმების ნაერთს და არა ასტრალურ კომპიუტერში რეგისტრირებულ რაიმე გაერთიანებას, რაც თავში ასტრალური კომპიუტერული ქსელი, Facebook ჯგუფს შევადარეთ. თუმცა ტერმინი "ეგრეგორი" თავიდანვე იყო არასწორად დანერგილი და უკვე ფართოდ არის გავრცელებული, ამიტომ ჩვენც ამ შემთხვევაში ამ მნიშვნელობით ვიხმართ)

თვალსაჩინოებისთვის მინდა განვიხილოთ ისეთი დიდი გაერთიანება როგორც დღეს დედამიწაზე არსებული რელიგიური კონფესიებია. დიდი იმ მხრივ, რომ მათ ბიუჯეტში, ანუ ეგრეგორებში შეედინება დიდი რაოდენობით ენერგია ანუ ფული და

შესაბამისად, ისინი ფლობენ დიდ შესაძლებლობებს. ამ ეგრეგორის მფლობელები არიან არსებები, რომლებმაც ეს რელიგია დააფუძნეს და დიდი ბიუჯეტის ხარჯზე შეუძლიათ ჰყავდეთ ბევრი თანამშრომელი. ხოლო ამ დიდი კომპანიის მუშაობის სისტემა დაახლოებით ჰგავს დიდი სადაზღვევო კომპანიის პრინციპს. როდესაც ამ რელიგიებში გაერთიანებული ადამიანი ასრულებს რაიმე ქმედებას ან რიტუალს, რომელიც დაკავშირებულია ამ ეგრეგორთან (მაგალითად ლოცვა), ამ დროს ის რიცხავს ენერგიას ამ ეგრეგორში და ეს აღირიცხება ასტრალურ კომპიუტერშიც. ხოლო, როდესაც ამ ადამიანს რაიმე დაჭირდება ან მოხვდება გასაჭირში, ის მოითხოვს დახმარებას, (მაგალითად, ღმერთო მიშველე) და უკვე არსებები, რომლებიც ამ გაერთიანებაში მუშაობენ და გასამრჯელოს ამ საერთო ეგრეგორიდან იღებენ ენერგიის სახით, შეეცდებიან ამ ადამიანის დახმარებას და მისი პრობლემის მოგვარებას. და ეს დახმარება ბევრი სახის შეიძლება იყოს. რაც უფრო მეტ ენერგიას

აგზავნის ადამიანი ამ ეგრეგორში, მით მეტია მისი რეიტინგი ამ გაერთიანებაში.

თუ რა თეორიები ან იდეოლოგია არის დაკავშირებული ამ ეგრეგორთან ეს კიდევ ცალკე განსჯის საგანია, ის შეიძლება რეზონირებდეს ან სულაც არა, იმ ინსტიტუციასთან, რომელიც მას იყენებს. უხეში შედარება: მაგალითად, ავეჯის ბიზნეს კომპანიას, რომელიც ყიდის მაგიდებს, შეიძლება სარეკლამოდ იყენებდეს ფრაზებს - "იცხოვრე ლამაზად ან მოიპოვე ბედნიერება" ან კიდევ უფრო დიდ ტექსტებს ან მთელი თეორიებს ქმნიდეს, თუმცა შესაძლოა ავეჯთან ის პირდაპირ კავშირში არ იყოს.

ასევე, სხვადასხვა არსება დგას იმ ეგრეგორების უკან, რომლებიც ივსება ადამიანის მიერ განცდილი ემოციების ხარჯზე გამოყოფილი სპეციფიკური ენერგიებით. მაგალითად, სილამაზის აღქმის, აგრესიის, სიყვარულის, სექსის დროს გამოყოფილი ენერგია. მითებში არსებობს უამრავი ტექსტი, სადაც ფიგურირებენ ღმერთები, რომლებიც სხვადასხვა სფეროს განაგებენ.

ამას გარდა, არსებობენ არსებები, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ ისე როგორც ჩვენს სამყაროში ინდივიდუალური მეწარმე საქმიანობს. ისინი შეიძლება სთავაზობდნენ ადამიანებს სხვადასხვა სერვისს სხვადასხვა დარგში. მაგალითად, სურვილების ასრულებას, ხოლო შემდეგ მათგან იღებდეს ამ მომსახურების საფასურს ენერგიის სახით, იმ რაოდენობით, რა ძალისხმევაც ჩადო მათი სურვილის ასრულებაში.

არსებები

თუ რა არსება ან არსებები დგანან სხვადასხვა ეგრეგორის უკან, ზოგჯერ შეიძლება ცნობილი იყოს ადამიანებისთვის, ზოგჯერ არა. როგორც ჩვენს სამყაროში, ჩვენს გარშემო უამრავი კომპანიაა, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ვიცოდეთ მათი ვინაობა, ზოგჯერ არა. ასევე, ერთი კომპანიის მფლობელი შეიძლება საჯაროდ გამოდიოდეს ან იწერდეს ვიდეოებს და იყოს ცნობილი, ხოლო მეორე არა. ისტორიის მანძილზე, მითებსა თუ სხვა ტექსტებში

მათ სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, თუმცა ყველაზე ხშირად ღმერთებს უწოდებდნენ.

ასევე მათი წარმოშობა შეიძლება აბსოლუტურად სხვადასხვა იყოს. შეიძლება იყვნენ არსებები, რომლებიც ადრე დედამიწაზე დასახმარებლად მოვიდნენ და შემდეგ აქედან ველარ გავიდნენ, ვისაც დაცემული ანგელოზები ს სახელით არიან ცნობილი. ჩვენ ისინი განვიხილეთ თავში სინათლე და სიბნელე ჩვენს სამყაროში. ასევე, არსებები მინუს სამყაროდან, სინათლის არსებებიც და არსებები სხვა, ღმერთის მიერ კონტროლირებადი სამყაროებიდან. უმეტესი ბიზნესის უკან დაცემული ანგელოზები დგანან, იმიტომ რომ დედამიწის საერთო ბიუჯეტიდან მათ საარსებო ენერგია არ ერიცხებათ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათ ბიზნესები იმ დონემდე ჩაიგდეს ხელში, რომ ფაქტობრივად რაღაც დოზით დედამიწა მათ ხელში აღმოჩნდა.

ასეა თუ ისე, ყველა ყველა ბიზნესმენი მოქმედებს დედამიწაზე ღმერთის მიერ დადგენილ კარმული კანონმდებლობის ფარგლებში. თუმცა ზოგიერთი

ბიზნეს,ი რა თქმა უნდა, ცდილობს სხვადასხვა ხრიკით თავიანთი ბიზნესების გაფართოებას. ეს შეიძლება იყოს რაიმე იდეოლოგიის ან კონცეფციის დანერგვაც დედამიწაზე და სხვ. მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო კონცეფცია თუ ნარატივი იმის შესახებ, რომ რეპტილიებმა დაიპყრეს ჩვენი პლანეტა. ამ კონცეფციით, დაახლოებით 2011 წელს, როდესაც მსგავს საკითხებს ვეცნობოდი, მეც დავინტერესდი. საბოლოოდ, ამან ძალიან ჩამითრია და დავიწყე ამ არსებებზე ინფორმაციის მოძიება და შესწავლა, (ამ წიგნშიც კი მქონდა შეტანილი მსგავსი კონცეფციები) იმისდა მიუხედავად, რომ ჩენელინგის დროს სინათლის არსებებმა ორჯერ გამაფრთხილეს, რომ მსგავს საკითხებზე კონცენტრაციით მე ამ არსებებს ჩემს ცხოვრებაში უფრო ვიზიდავდი. საბოლოოდ, როდესაც ჩემი ცოდნები უკვე საკმაოდ გაფართოვდა, გავაცნობიერე, რომ ხაფანგში ვიყავი. ამ კონცეფციამ კარგად მოიდგა ფეხი იმიტომ, რომ ჩვენ, ადამიანებს გვიყვარს ჩვენი წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალება. ახლა უკვე მსგავსმა შეცდომებმა და დიდმა გამოცდილებამ მომცა

საშუალება ორ წინადადებაში მივხვდე, თუ რა ძალები დგას ამა თუ იმ კონცეფციის უკან.

თუ მხატვრულად ვიტყვით, რეპტილიების კონცეფციის უკან შეიძლება თვითონ რეპტილიები იდგნენ, ხოლო ეშმაკის კონცეფციის უკან - ეშმაკი. და არ აქვს მნიშვნელობა ამ კონცეფციებში სიმართლე დევს თუ არა. ჩვენთვის. ადამიანებისთვის ძირითადი ომი ჩვენს შიგნით მიმდინარეობს და ამაზეა დამოკიდებული დედამიწაზე სინათლის მხარე დაწინაურდება თუ სიბნელის.

მსგავსი კონცეფციები, რომელიც ადამიანის სასიკეთოდ არ მუშაობს, ძალზე ბევრია. წიგნის გაგრძელებაში ჩამოვწერ ყველას, რაც კი მსმენია.

არასამთავრობო ორგანიზაციები

სინათლის არსებებს, რომლებიც დღეს არიან დედამიწაზე, არ გააჩნიათ ფინანსური ინტერესი, რაც სჭირდებათ, ყველაფერი ისედაც აქვთ. ისინი ცდილობენ ადამიანების ცნობიერების ამაღლებას, პლანეტარული მაშტაბით აგზავნიან დამატებით

ენერგიას და ზოგჯერ თავადაც ინკარნირდებიან მატერიალურ სამყაროში. ეს არის ანალოგი ჩვენს რეალობაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც ცდილობენ განვითარებაში ჩამორჩენილ ქვეყნებში აამაღლონ ცნობიერება და აფინანსებენ სხვადასხვა პროექტს.

ინფორმაციული ომი

როგორც დღეს დედამიწაზე მიმდინარეობს დიდი მასშტაბის საინფორმაციო ომი, ორად გაყოფილ ბანაკს შორის, ერთი მხრივ, ეს არის დემოკრატიული ძალები, რომლის სათავეშია ამერიკა, გაერთიანებული ევროპა თუ სხვა ქვეყნები და მეორე მხრივ, მათი მოწინააღმდეგეები - ბნელი ძალები, ისე ასტრალურ პლანზე მიმდინარეობს ინფორმაციული ომი ნათელსა და ბნელ ძალებს შორის.

მაგალითად, როგორც არსებობს დიდი საინფორმაციო პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც დემოკრატიულ ფასეულობების დისკრედიტაციაზეა მიმართული და რომელიც ცდილობს შესაბამისი ინფორმაცია განათავსოს საინფორმაციო მედია თუ ინტერნეტ საშუალებებში, ზუსტად ისე ასტრალურ კომპიუტერის ქსელში ნეგატიური არსებები ცდილობენ შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას, რათა ეს იდეები ადამიანამდე მივიდეს. და პირიქით, სინათლის არსებები ცდილობენ სწორი ინფორმაციის

განთავსებას ასტრალური ქსელის საინფორმაციო ველში, რაც ასევე ადამიანებამდე აღწევს. იგრძნობა გარკვეული ტენდენცია - ნეგატიური არსებები უფრო მასებზე მუშაობენ, ხოლო სინათლის არსებები უფრო ვიწრო წრეებზე.

უფრო კონკრეტულად, თუ რა სტერეოტიპებს და დოგმებს ნერგავენ ეგრეთ წოდებული "დაცემული" ან ნეგატიური არსებები, ხოლო რას ნერგავენ სინათლის არსებები, ეს დიდი თემაა და ამიტომ განხილული შემდეგ წიგნში იქნება განხილული.

დედამიწის ძირითადი კანონი

საბოლოო ჯამში, როგორც ჩვენს სამყაროში იშლება დრამა, რაც პოლიტიკას და ბიზნეს ინტერესებს ეხება, ისევე ასტრალურ სამყაროში - იგივე დრამა, იგივე სტრუქტურები, ბიზნეს თუ პოლიტიკური ინტერესები არსებობს. ისევ მინდა შეგახსენოთ, რომ დედამიწაზე არსებობს წესები, რომლებსაც ყველა მიჰყვება და მთავარი წესი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, არის დედამიწის საქმეებში არ

ჩარევის პრინციპი. დაშვებულია მხოლოდ კონტაქტი, ამის ერთ-ერთ გზას "ჩენელინგი" ჰქვია. დედამიწის მთელი ისტორიის მანძილზე ამ მეთოდს იყენებდნენ და ახლაც იყენებენ პოზიტიური, სინათლის არსებები და ასევე ე.წ. ნეგატიური არსებები.

ჩვენ, ადამიანები დედამიწას თავზე დავიმხობთ, თუ ავაყვავებთ, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ ვინმე არსებას უნდა პირადად ჩაერიოს და შეცვალოს დედამიწის ყოფა კარგისკენ ან თუნდაც ცუდისკენ, მაშინ ის უნდა დაიბადოს როგორც ადამიანი და ისე იმოქმედოს. ამ პროცესის დეტალებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

და ბოლოს, თუ ზემოთ თქმულს შევაჯამებთ, იქედან გამომდინარე, რომ უმეტესი ბიზნესის უკან ე.წ. "დაცემულები" დგანან, დედამიწაზე შეიქმნა სიტუაცია, რაც "კვების ჯაჭვს" შეიძლება შევადაროთ. ადამიანები იკვებებიან ცხოველებით, ხოლო ადამიანების ენერგიით ზემოთ ხსენებული არსებები. ის ფაქტი, რომ ჩვენ ვტანჯავთ ცხოველებს და ვიკვებებით მათი სხეულებით, ავტომატური კარმა აძლევს საშუალებას ჩვენზე ზემოთ მდგომ არსებებს

აძლევს საშუალებას, რომ ჩვენც ანალოგიურად მოგვექცენ.

ქვეყნის და პლანეტის კარმული სისტემა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისევე როგორც არსებობს კარმა პიროვნებისთვის, ასევე არის ოჯახის, ქვეყნის და მთლიანად ცივილიზაციის კარმაც კი. კარმული პროგრამა გამოითვლება ამ გაერთიანებაში არსებული ხალხის, გარკვეული კრიტიკული მასის ფიქრებისა და ქმედებების საფუძველზე, ძირითადად ეს არის 50 პროცენტზე მეტი.

თუ რა მიმართულებით განვითარდება ქვეყანა, მაგალითად, გაღარიბდება თუ გამდიდრდება, აყვავდება თუ ჩაეშვება, დამოკიდებულია მოსახლეობის ფიქრებზე, სტერეოტიპებზე, მიდგომებსა თუ მენტალიტეტზე. ასტრალურ კომპიუტერში შეედინება ჯგუფში თუ ქვეყანაში არსებული ადამიანების, მოსახლეობის ფიქრები, მიდგომები და სხვა ინფორმაცია. ალგორითმი ამ

ინფორმაციას გადაამუშავებს და ავტომატურად დაიწყებს ამ ჯგუფისთვის თუ ქვეყნისთვის შესაბამის გარემოებების მოზიდვას.

მაგალითად, თუ მოსახლეობა იზიდავს სიღარიბეს, ყოველთვის გამოჩნდება მთავრობა, რომელიც ეკონომიკას დაანგრევს. თუ ხალხი იზიდავს ქვეყნის კეთილდღეობას, კარმული სისტემა შეეცდება მოიზიდოს მთავრობა, რომელიც ქვეყანას ალმშენებლობისა და წარმატებისკენ წაიყვანს. თუმცა ეს საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობა მხოლოდ შემსრულებელია. თუ რის მოზიდვას დაიწყებს ქვეყანა, ავტომატური კარმის ალგორითმის საფუძველზე, დამოკიდებულია ხალხის მასების მენტალიტეტზე, სტერეოტიპებზე, ფასეულობებსა თუ ფიქრებზე, თუმცა მთავრობა თავის მხრივ, ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ფიქრებზე, დანერგოს სტერეოტიპები, გაუჩინოს კეთილგანწყობა ამა თუ იმ ფასეულობის მიმართ, მოანდომოს ამა თუ იმ მიმართულებით სვლა, რაც თავის მხრივ, მომავალში ამ ქვეყნის კარმაზეც

იმოქმედებს. ამიტომ, ეს ორი მხარე ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთმანეთზე ზემოქმედებს.

მაგალითად, თუ ქვეყანაში არის 60 პროცენტი ამბიციური, ქედმაღალი ან უმადური ადამიანი, შესაძლოა ამას მოჰყვეს გარკვეული კარმული პროგრამის გაშვება, რომელიც მთელ ქვეყანაზე იმოქმედებს, რაც უბიძგებს ამ ქვეყნის მოსახლეობას გამოსწორებისკენ. და პირიქით, თუ ქვეყანაში არსებული ადამიანების გარკვეული მასა პოზიტივს ასხივებს, უყვარს ერთმანეთი და ა.შ., ამ ქვეყნის კარმულ პროგრამაში ჩაიდება ბევრი წამახალისებელი თუ ქვეყნის სხვა სახის აღმავლობის გარემოებები.

თუ ერთი ქვეყანა თავს დაესხა მეორეს, მას წარმოექმნება კარმული დავალიანება, რომელიც ექნება გასასტუმრებელი და მასზე განხორციელდება ანალოგიური ან სხვა ქმედებები და ღონისძიებები. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა გააცნობიერებს დანაშაულს, აბსოლუტურად შეიცვლება და გამოსწორდება (მაგალითად, ქვეყანა ეწეოდა დამპყრობლურ პოლიტიკას, ხოლო დღეს იგი

სამაგალითო დემოკრატიულ ქვეყანას წარმოადგენს), მაშინ, მასზე იმოქმედებს შერბილებული კარმული შედეგები, როგორც ეს ხდება ხოლმე პიროვნების კარმის შემთხვევაში და მას დაეკისრება მრავალი წლის განმავლობაში ფინანსური თუ სხვა დახმარების აღმოჩენა დაზარალებული ან სხვა ქვეყნების მიმართ. ხოლო დაზარალებული ქვეყანა, რომლის მიმართაც განხორციელდა ძალადობრივი ქმედებები, მიიღებს კარმულ ქულებს. სხვა სიტყვებით, სისტემას წარმოექმნება დავალიანება ამ ქვეყნის მიმართ. შესაბამისად, ასტრალურ კომპიუტერში არსებული ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი დაიწყებს დაზარალებული ქვეყნისთვის სხვადასხვა სიკეთის მოზიდვას, რაც უამრავ რამეში შეიძლება გამოიხატოს, იქნება ეს ქვეყნის შიდა აქტივობები თუ გარედან სხვა ქვეყნების დახმარება, რაც ამ ქვეყნის აღდგენას, აღმავლობას და დიდ წინსვლას განაპირობებს.

ასევე, თუ ადამიანი ქვეყნის თავდაცვისთვის ბრძოლაში გმირულად იღუპება ან ზარალდება, ის ბევრ, ეგრეთ წოდებულ, კარმულ ქულას იღებს და

სისტემა მასთან დავალიანებაში რჩება. იგივე პრინციპი ვრცელდება თავდასხმისგან დაზარალებული მოსახლეობის შემთხვევაშიც.

რათმაუნდა, არის სხვა ბევრი ნიუანსი, რომელსაც ასტრალური კომპიუტერის ალგორითმი გამოითვლის. მაგალითად, როგორია აგრესორი ქვეყნის მოსახლეობის მიდგომა ამ ფაქტთან მიმართებაში, როგორი პროცენტული მაჩვენებელი, რა ენერგიას ასხივებს თავდამსხმელი თუ დაზარალებული მოსახლეობის ერთობლიობა, რა ოდენობით ნეგატივი და აგრესია შეედინება ერთი თუ მეორე ქვეყნიდან. ეს ყველაფერი იმოქმედებს ომის მსვლელობაზეც და ამ ქვეყნების მომავალზეც. ასევე, გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ გამოეხმაურებიან ამ ფაქტს სხვა ქვეყნები, როგორ დაუჭერენ მხარს დაზარალებულ ქვეყანას ან რას მოიმოქმედებენ აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი შეჯამდება და მომავალში იმოქმედებს ამ ქვეყნების მდგომარეობაზე. თუ ქვეყანა ინარჩუნებს გულგრილობას და ამ პოზიციას მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იზიარებს, ამას

მოჰყვება კარმული შედეგები ამ ქვეყნისთვის, რაც შესაძლოა გამოიხატოს იმაში, რომ სხვა სიტუაციაში მას სხვა ქვეყნები არ დაეხმარებიან. ფაქტობრივად, როდესაც რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ერთი ქვეყანა გასაჭირშია ან გლობალურად ხდება რაიმე პრობლემა, ეს არის ერთგვარი ტესტი ქვეყნებისთვის, თუ როგორ გამოავლენენ ისინი საკუთარ თავს, რაც მომავალში მათ განვითარებასა და მდგომარეობაზე აისახება.

ქვეყნის კარმული ზემოქმედების შედეგები შეიძლება გაიწელოს მრავალი წელი. ეს დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის მატერიალურ სიმკვრივეზე, ვიბრაციაზე და იმ პარამეტრებზე, რაც მითითებულია ასტრალურ კომპიუტერში. რაც უფრო მაღალია ვიბრაცია, მით უფრო სწრაფად ხდება ყველაფერი. იმ პერიოდში, როდესაც მე ამ წიგნს ვწერ, ჩვენი რეალობა მესამე სიმკვრივიდან გადადის მეოთხე სიმკვრივეში. შესაბამისად, კარმული შედეგები ბევრად ჩქარდება.

დედამიწაზე შეხვდებით თეორიებს, რომელიც ცოტათი ცვლის ან ამახინჯებს კარმული მუშაობის

პრინციპებს. მაგალითისთვის, არსებობს მითები თითქოს ადამიანის ან ადამიანების სექსუალური ორიენტაციისთვის შეიძლება ქვეყანას სასჯელი გამოუგზავნონ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ეს მითები დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაციისთვის ვრცელდება.

ასეა თუ ისე, მთავარი პრინციპი და რაზეც მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო, მდგომარეობს შემდეგში: შესაძლოა თქვენ ებრძვით ბოროტებას, მაგალითად, აგრესორ ქვეყანას, თუმცა უნდა ეცადოთ, რომ არ მოხდეს ზიზღის და აგრესიის ამოფრქვევა იმიტომ, რომ ეს იმოქმედებს ავტომატური კარმის ალგორითმის მუშაობაზე. ეს იმოქმედებს ნეგატიურად როგორც ქვეყნის კარმაზე, ასევე თქვენს პირად კარმაზეც. აგრესიის ინტენსიური ამოფრქვევით თქვენ ფაქტობრივად მუშაობთ მტრის საკეთილდღეოდ. ეს რომ არ მოხდეს, სასურველია ადამიანმა შინაგანად მიიღოს, რომ ბოროტება არსებობს, რაც საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ მან გულგრილად შეხედოს პროცესებს და არ იმოქმედოს, მისი სესაძლებლობის ფარგლებში,

იქნება ეს დახმარება თუ მტერთან ბრძოლა. გულგრილობა - ეს არასასურველი მეორე უკიდურესობაა. თუ ბრძოლა გარდაუვალია, ჯობს ადამიანს ამოძრავებდეს გმირობა და თავდადება და არა ზიზღი აგრესია ან შურისძიება. ეს არ ეხება მხოლოდ ფიზიკურ ბრძოლას, არამედ პოლიტიკური, ინფორმაციული ბრძოლასაც, თუ ბრძოლას ფასეულობებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც სინათლის მხარეს არის, (დედამიწის შემთხვევაში იგულისხმება დემოკრატიული ქვეყნები) უნდა გაერთიანდეს ნეგატიურად ორიენტირებული ქვეყნების წინააღმდეგ და არ უნდა მისცეს მათ გაფართოების და მათი პოლიტიკის გატარების საშუალება. თუმცა, ისევ გავიმეორებ, ეს არ უნდა მოხდეს შინაგანი ზიზღის ფონზე. ცნობილ ფრაზას "გიყვარდეს მტერი შენი" რომელიც ძალიან კარგად ვიცით, სინამდვილეში ძალზე ღრმა საფუძველი და შინაარსი უდევს. ეს ფრაზა იყო ნათქვამი იმიტომ, რომ დედამიწაზე ბოროტებას სიკეთეზე სწორედ ამის გამო გაუმარჯვია.

ცივილიზაციის, პლანეტის კარმა

იგივე პრინციპით როგორც კარმული პროგრამა და ავტომატური კარმა მუშაობს ცალკეულ პიროვნებაზე, ოჯახზე, სხვადასხვა გაერთიანებაზე თუ ქვეყანაზე, ასევე ის ფუნქციონირებს მთელი ცივილიზაციასთან, პლანეტასთან მიმართებაშიც.

მაგალითად, თუ მთელი პლანეტის გარკვეული კრიტიკული მასა არ უფრთხილდება ეკოლოგიას და ანაგვიანებს პლანეტას, ამას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული კარმული შედეგები, რომელიც მთელი პლანეტარული მასშტაბით გამოვლინდება, იქნება ეს ვირუსები, სტიქიები თუ სხვა, რაც უბიძგებს ადამიანს გადააფასოს გარკვეული მიდგომები.

კარმა და კარმული პროგრამა სტანდარტულად ერთი ცივილიზაციიდან მეორეშიც კი გადადის. მაგალითად, ჩვენს წინამორბედ ატლანტიდის ცივილიზაციის არსებობის ბოლო პერიოდისთვის, ცივილიზაცია ზედმეტად ჩაერთო ენერგიის დაგროვების პროცესში, მათ ააგეს დიდი პირამიდები,

სადაც ხდებოდა დიდი ენერგიის დაგროვება და ეს სიხარბეში გადაიზარდა. საბოლოოდ, ეს გიგანტური პირამიდები მწყობრიდან გამოვიდა და მოხდა პლანეტარული კატასტროფა, რასაც მოჰყვა მთელი კონტინენტის ჩაძირვა პირამიდებიანად. ამ ადგილას წარმოიქმნა ოკეანე, რომელსაც ჩაძირული კონტინენტის პატივსაცემად იგივე სახელი, ატლანტიკის ოკეანე დაარქვეს. ატლანტიდის დანგრევას მოყვა ნეგატიური კარმული შედეგები, რაც იმ დროისთვის ვიბრაციის მკვეთრ დაცემასა, ასევე სილარიბის ტენდენციაში გამოიხატა და რაც გარკვეულწილად, შესაძლოა დღემდე გრძელდებოდეს.

სხვის კარმაზე ზემოქმედება

ზოგადად, ყველა კარმული პროგრამის დამუშავება ხდება მხოლოდ იმის მიერ, ვისთვისაც ეს პროგრამა დაიწერა და ვინც ეს კარმული დავალიანება წარმოქმნა. არ შეიძლება, რომ ადამიანის ინდივიდუალური კარმა თავის თავზე სხვა ადამიანმა აიღოს. ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა: მაშინ, როგორ

აილო იესომ სხვისი ცოდვები საკუთარ თავზე? ჩვენ ალნიშნულ საკითხს ახლა გავარჩევთ.

იესომ თავისი სწავლებით შეცვალა გარკვეული სტერეოტიპები, მიდგომები და ამით მოახდინა ხალხზე ზემოქმედება. სხვა სიტყვებით, მისი და მისი თანამოაზრეების აზრები და მიდგომები აღიბეჭდა ასტრალური კომპიუტერის მონაცემებში და ავტომატური კარმის ალგორითმმა კაცობრიობისთვის სულ სხვა რამის მოზიდვა დაიწყო და ააცდინა დამღუპველ შედეგებს.

თუ ჩვეულ შედარებას გამოვიყენებთ, Facebook-ის გვერდზე დაიწერა ბევრი პოსტი, კომენტარი თუ შეფასება, რამაც გარკვეულწილად შეცვალა ხალხის მიდგომები, იმოქმედა მათ სტერეოტიპებზე, ავტომატურად შეიცვალა მატრიცაში არსებული მონაცემები და ამით დედამიწისთვის აცილებულ იქნა ის ნეგატიური და დამღუპველი შედეგები, რაც მატრიცის ავტომატური კარმის ალგორითმს შეეძლო გამოეწვია.

მოვიყვანოთ ცოტა არაზუსტი შედარება: ქვეყანაში ეწყობა არჩევნები და კენჭს იყრის ორი კანდიდატი.

ერთი წარმოადგენს დადებით მხარეს, ხოლო მეორე - უარყოფითს. რეიტინგით ლიდერობს უარყოფითი მხარე მცირე პროცენტული უპირატესობით. თუმცა უარყოფითი კანდიდატის არჩევის შემთხვევაში, ქვეყანა დაიღუპება. რა თქმა უნდა, თვითონ ხალხი ამას ვერ ხვდება. თქვენი მისია არის ამ ქვეყნის გადარჩენა, ამისთვის თქვენი ძლიერი ენერგეტიკით ცდილობთ, რომ რამენაირად აიყოლიოთ ხალხი იმისთვის, რომ მათ დადებით კანდიდატს მისცენ ხმა. ამ მიზნით თქვენი დადებითი ფიქრები გაუშვით ქვეყნის ეგრეგორში კარგი კანდიდატის სასარგებლოდ და გარკვეული რაოდენობა ხალხისა აიყოლიეთ. ანუ ქვეყნის Facebook გვერდზე დატოვეთ უამრავი კარგი გამოხმაურება დადებითი კანდიდატის სასარგებლოდ, რითაც გარკვეულწილად შეცვალეთ ხალხის აზრი დადებითი კანდიდატის მიმართ და ამით მოახერხეთ ქვეყნის გადარჩენა.

მაშინდელი მდგომარეობით, როდესაც იესო მოვიდა დედამიწაზე, პლანეტის კარმა იყო იმდენად ნეგატიური, რომ მას დაღუპვისკენ მიაქანებდა. იესომ

და მისმა დამხმარე გუნდმა მოახერხა ამ საშიშროების აცდენა, რაც აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას ან მთლიანად მოსახლეობას აღარ მოეთხოვებათ პასუხი იმ ქმედებების გამო, რაც მათ განახორციელეს და რომ ამით კარმა ეხსნებათ.

გაგრძელება იქნება ❤

ALEXANDER.VARVARIDZE.COM

FACEBOOK.COM/VARVARIDZE

INSTAGRAM.COM/ALEXANDER.VARVARIDZE

VARVARIDZE@GMAIL.COM